143
1932

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ეროვნული ანარეკლები

1–2

ს ა ბ ჭ ო ს ტ ა ბ ი ს
1 9 3 2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა
ასოციაციის ყოველთვიური ორგანო

# პროლეტარული მწერლობა

26266 56778

საზოგადოებრივ-პოლიტიკური
და
სამხატვრო-სალიტერატურო
ჟურნალი

№ 1–2

Библиотека

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

19-წელიწადი მეექვსე 1932
სახელგამი ტფილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაზ. „კომუნისტი“-ს სტამბა. ტფილისი, კამოს ქ., № 68
მთავლიტი 387. შეკვეთა 603. ტირაჟი 3.800

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მუშაობის გოლშავიკურად გარდაქმნისათვის

(საქ. პრ. მწერალთა ასოციაციის გამგეობის მეშვიდე პლენუმზე, ამხ. ბ. გუაჩიძის მოხსენების ირგვლივ, მიღებული რეზოლუცია)

1. გაშლილი სოციალისტური მშენებლობის პირობებში მიმდინარეობს პროლეტ-ლიტერატურული მოძრაობის განვითარება. საბჭოთა კავშირი უკვე შევიდა სოციალიზმის პერიოდში. უკვე დასრულდა სოციალისტური ეკონომიკის საძირკველის აგება. ეს ახალი მოვლეხები, ახალი ძერები სოციალისტურ მშენებლობაში ახალ ამოცანებს უსახავს პროლეტ-ლიტერატურულ მოძრაობას ც, ვინაიდან პროლეტარული ლიტერატურა სოციალისტური მშენებლობის მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს.

სოციალისტური მშენებლობის მიმდინარე ეტაპი უდიდეს მოთხოვნილებებს უყენებს პროლეტარულ მწერლობას. პროლეტარიატის და კოლმეურნეების კულტურული დონის ზრდა იწვევს ამ უკანასკნელთა მოთხოვნილების უაღრეს ზრდას მხატვრული ლიტერატურისადმი. ამავე დროს თვით პროლეტარული ლიტერატურის და პროლეტარული მკითხველის ზრდა საზღვრავს ლიტერატურული მოძრაობის ხელმძღვანელობის უფრო რთულ ამოცანებს.

2. პროლეტ-ლიტერატურული მოძრაობა განმტკიცდა, გაიზარდა და მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაცია

3. მიუხედავათ ამ მიღწევებისა საქ. პრ. მწერ. ასოციაციის მიმდინარე მდგომარეობას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია დააკმაყოფილოს სოციალისტური მშენებლობის გაზრდილი მოთხოვნილებები.

პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია წარმოადგენს ძირითად ორგანიზაციას, რომელიც ატარებს პარტიის ხაზს ლიტერატურაში. ამდენად მისი როლი, ამოცანები მიმდინარე ეტაპზე მეტად დიდია. ყოველივე ეს პროლეტარულ მწერლობის წინაშე მკვეთრად სვამს საკითხს მუშაობის ახალ მოთხოვნილებების მიხედვით გარდაქმნისა და გადახალისების შესახებ.

პარტიის და მუშათა კლასის ბელადის ამხ. სტალინის ისტორიულ მითითებას მუშაობის გადახალისების შესახებ უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალისტურ მშენებლობის ყველა დარგისათვის, მათ შორის მწერლობისათვისაც. მუშაობის გადახალისება ლიტერატურის ფრონტზე ბელადის მითითებათა საფუძველზე მიმდინარეობს მეტად ნელი ტემპით და სრულიად არადამაკმაყოფილებლად. პროლეტ-ლიტერატურული მოძრაობა ბოლშევიკური ტემპებით უნდა შეუდგეს ყველა სფეროში თავისი მუშაობის სისტემის გარდაქმნას.

4. საქარ. პრ. მწერ. ასოციაციამ კარგათ უნდა გაითვალისწინოს: ა) ახალი მოთხოვნილებები, რომელიც დაკავშირებულია მხატვრული ლიტერატურის, როგორც პარტიული იარაღის, გაზრდილ მნიშვნელობასთან სოციალიზმისათვის ბრძოლაში, ბ) ახალი მოთხოვნილებები, რომელიც დაკავშირებულია იმასთან, რომ პროლეტ. მწერ. ასოციაცია, როგორც ლიტერატურულ-აღმზრდელობითი შემოქმედებითი საწარმოო ორგანიზაცია გადაიქცა მასიურ ორგანიზაციათ, გ) ახალი მოთხოვნილებები, რომელიც დაკავშირებულია პროლეტარიატის და კოლმეურნე მასების უდიდეს კულტურულ ზრდასთან და ამით გამოწვეულ ყურადღების ზრდა ლიტერატურისადმი და დ) ახალი მოთხოვნილებები, რომელიც დაკავშირებულია იმასთან, რომ აუცილებელია მეტი ყურადღება მივაქციოთ შემოქმედებას, მხატვრულ მწერლობას.

5. უკანასკნელი ლიტერატურული დისკუსია საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკებში, და მათ შორის საქართველოშიაც, ამტკიცებს კომკავშირის ყურადღების ზრდას პროლეტ-ლიტერატურული მოძრაობის საკითხებისადმი. საკავშირო კომკავშირის ცეკას მდივანის კოსარევის და საქართველოს კომკავშირის ძირითადში სამართლიანი გამოსვლა ამტკიცებს კომკავშირის ყურადღების ზრდას პროლეტარული ლიტერატურისადმი. ეს მოვლენა გამოხატავს კომკავშირული ახალგაზრდობის იდეურ მხატვრული მოთხოვნილებების

ზრდასაც. კომკავშირული ახალგაზრდობა თავის მოთხოვნილებებს უყენებს პროლეტარულ მწერლობას (რაც წარმოადგენს საერთო პროლეტარული მოთხოვნილებების ნაწილს), რომლის ძირითადი აზრიც იმაში მდგომარეობს, რომ აუცილებელია პროლეტ-მწერალთა ასოციაციის დაუყოვნებლივი და ღრმა მობრუნება მუშაობის ახალი ფორმებისადმი.

უკანასკნელ ხანებში ჩატარებული დისკუსიის ერთ-ერთი ძირითადი დასკვნა უნდა იყოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ძირეული მობრუნებათათვის ლენინური კომკავშირისადმი და საქმიანი და შეერთებული მუშაობისათვის კომკავშირისა და პრ. მწერ. ასოციაციას შორის.

პრ. მწერ. ასოციაციის ეს მობრუნება კომკავშირისადმი გამოხატულ უნდა იქნას არა მარტო დეკლარაციაში, არამედ საქმიან მუშაობაში პირველ რიგში მთელი პრ. მწერ. ასოციაციის და მისი პრესის ჩაბმით კომკავშირული ლიტერატურის დათვალიერებაში, კომკავშირთან ერთად ლიტერატურული წრეების დათვალიერების ჩატარებაში.

6. იმისათვის, რომ დაძლეულ იქნას ის შეცდომები და ნაკლოვანებები, რომელსაც ადგილი აქვს საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ხელმძღვანელობაში, თვით ასოციაციაში აუცილებელია ფართოდ გაიშალოს ბოლშევიკური თვითკრიტიკა, რომელიც აქამდე არ იყო გაშლილი და ნაწილობრივ ადგილი ჰქონდა თვითკრიტიკის ჩახშობას*).

7. პროლეტარული მწერლობა იზრდება ხარისხობრივად. მას აქვს მნიშვნელოვანი ძიღწევები. მაგრამ მიუხედავათ ამისა, მას ჯერ კიდევ ბევრი აქვს გასაკეთებელი, რათა შეასრულოს მის წინაშე მდგომი ამოცანები, რომლის ცხოვრებაში გატარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს შეუნელებელი და მტკიცე ბრძოლა ლენინური მსოფლმხედველობის დაუფლებისათვის. პროლეტ წერალთა ასოციაციამ უფრო თანმიმდევარი და კრიტიკული მუშაობა უნდა აწარმოოს მთელი წარსული ლიტერატურული გამოცდილების შეთვისებისათვის და აგრეთვე ღრმად გაითვალისწინოს თავისი შემოქმედებითი გამოცდილება და რევოლუციონური პრაქტიკა, რომ

*) საქართველოს პრ. მწერ. ასოციაციის ხელმძღვანელობაში არსებული ჯგუფობრივობის, ნაწილობრივ თვითკრიტიკის ჩახშობის და ადმინისტრატიულობის გამოსავალ პუნქტად არ შეიძლება მიჩნეული არ იქნას საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას ზოგიერთი ყოფ. ხელმძღვანელის (ს. **მამულია**, გ. **დევდარიანი** და სხვ.) მოქმედება, რომელთაც შესაძლებლად მიაჩნდათ ასოციაციის ერთი რომელიმე ჯგუფის გავლენის ქვეშ დაეყენებიათ მთელი ასოციაცია.

ამით გააძლიეროს ყოველდღიური მონაწილეობა სოციალისტურ მშენებლობაში.

საქ. პრ. მწერ. ასოციაციამ უნდა გააძლიეროს ბრძოლა კომ-ყოყოჩობის ელემენტების, „მემარცხენე“ ვულგარიზატორების და ყველა მათ წინააღმდეგ, ვინც გაურბის სწავლას. ასეთი ბრძოლის გაძლიერების გარეშე შეუძლებელია ბოლომდე დავამარცხოთ მთავარი მემარჯვენე საშიშროება, რომელიც დღეს გამოიხატება არა მარტო პროლეტარული ლიტერატურის განვითარების შესაძლებლობის უარყოფაში, არამედ იმ მისწრაფებებშიაც, რომ პროლეტარული ლიტერატურის განვითარება წარემართოთ რესტავრატორობის, ძველის აღდგენის გზით, იმის შეუფასებლობაში, რომ პროლეტარული მწერლობის ამოცანები თვისობრივად ძირითადში განსხვავდება ყველა წარსული კლასების ლიტერატურისაგან.

ჰარტის მიერ წამოყენებული ლოზუნგი—„ლიტერატურული მაგნიტოსტროი“-ს შექმნა პროლეტარულ მწერლებს რაზმავს მემარჯვენე და „მემარცხენე“ კაპიტულიანტების წინააღმდეგ, რომლებიც სხვადასხვა ფორმით ერთნაირად უარყოფენ პროლეტარიატის დიდ ხელოვნების შექმნას, რომელიც დადგება მარქს-ლენინის და სტალინის იდეების სიმაღლეზე.

8. შემოქმედებითი დისკუსია ემსახურება მნიშვნელოვან ამოცანას: პროლეტარული მწერლობის მიერ მარქსისტულ-ლენინური დიალექტიურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობის დაუფლებას. საქარ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში შემოქმედებითი დისკუსია ჯერ კიდევ არ გაშლილა. განვლილ პერიოდში შემოქმედებითი დისკუსიას დიდი ნაკლოვანებები ახასიათებდა, მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია: დისკუსიის აბსტრაქტური ხასიათი, დაბალი თეორიული დონე, საერთო ფრაზეოლოგიის სიჭარბე და კონკრეტულ კრიტიკისაგან დაშორება.

პროლეტარული ლიტერატურის ზრდა თავისთავად იწვევს მასში სხვადასხვა შემოქმედებითი ჯგუფებს, სხვადასხვა ნაკადს და მიმდინარეობებს, რომლებიც თავისებური გზით ცდილობენ დიალექტიურ-მატერიალისტური მეთოდის დაუფლებას, მის გამოყენებას მხატვრულ შემოქმედებაში. საქ. პრ. მწერ. ასოციაციაში არ არსებობს არც ერთი შემოქმედებითი ჯგუფი, რაც ცხადია არ შეიძლება ჩაითვალოს დადებით მოვლენად.

ამ ხაზით საქარ. პრ. მწერ. ასოციაციის შემდგომი გადახალისება უპირველეს ყოვლისა გამოიხატება იმაში, თუ რამდენად ფართოდ, ღრმად და კონკრეტულად გაშლილი იქნება შემოქმედებითი დისკუსია, რამდენათ მაღალ დონეზე იქნება აყვანილი იგი და რამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენად მეტი შემოქმედებითი ჯგუფები იქნება ჩამოყალიბებული, რომელთაც შესაფერისი ამხანაგური ატმოსფერა უნდა შეექმნას მუშაობისათვის.

საქართველოს პრ. მწერ. ასოციაციის ხელმძღვანელობამ შემოქმედებითი ჯგუფების არა პასიური რეგისტრაცია უნდა აწარმოოს, არამედ ხელი უნდა შეუწყოს მათ წარმოშობას პრ. მწერ. ასოციაციის საერთო შემოქმედებითი შეხედულების საფუძველზე, რაც უნდა ნიშნავდეს შემოქმედებითი ჯგუფების სხვადასხვა შეხედულების გაერთიანებას (შემოქმედებითი შეხედულების ერთიანობა, ამა თუ იმ თემატიკაზე მუშაობა და ა. შ.). ასოციაციის ხელმძღვანელობა არ უნდა მოითხოვდეს მათგან შემოქმედებითი პლატფორმას. შემოქმედებითი ჯგუფების მუშაობა მათი შემოქმედებითი პროდუქციის მიხედვით უნდა იქნას შემოწმებული.

შემოქმედებითი დისკუსია მოითხოვს ყველა პრ. მწერლის, ყველა მიმართულების გამოცდილების უფრო მაღალ თეორიულ გარკვევას და განზოგადოებას. ასეთი თეორიული მუშაობის გაძლიერების გარეშე შემოქმედებითი დისკუსია არ შეიძლება გახდეს აღზრდის მეთოდი, პროლეტ. მწერალთა ასოციაციის მუშაობის ძირითადი შინაარსი.

9. ამხ. სტალინის წერილი: „ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხების შესახებ“ წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს პარტიულ დოკუმენტს ყველა ბოლშევიკისათვის, რომელ სფეროშიც არ უნდა მუშაობდეს ის. ამხ. სტალინის მითითება ავალებს იმათ, ვინც მუშაობს ლიტერატურის და ხელოვნების ფრონტზე, ძირეულად შეამოწმონ თავიანთი თეორიული მუშაობა იმის და მიხედვით, თუ ამ სფეროში რამდენათ სწორედ ტარდება „ბოლშევიზმის სასიცოცხლო ინტერესები“ (სტალინი).

ამხ. სტალინის წერილი ავალებს საქ. პრ. მწერ. ასოციაციას და მის ყველა მომუშავეს შეამოწმონ თავიანთი თეორიული მუშაობა იმის მიხედვით, რომ იბრძოლონ თეორიის პარტიულობისათვის, ლენინის ფილოსოფიური მემკვიდრეობის, როგორც მარქსიზმის განვითარების ახალი საფეხურის დაუფლებისათვის, თეორია შეამოწმონ პრაქტიკის მოთხოვნილებებით, თუ რამდენად წარმატებით სწარმოებდა ბრძოლა კლასიურ მტრებთან და მის გავლენებთან ლიტერატურის თეორიის ფრონტზე.

პლენუმს აუცილებელ და გადაუდებელ ამოცანად მიაჩნია ყველა იმ შეცდომის მხილება, რომელსაც ადგილი ჰქონდა ასოციაციის როგორც ძირითადი მომუშავეების, ისე სხვა ამხანაგების თეორიულ მუშაობაში, რაც გამოიხატებოდა უპირველეს ყოვლისა პლეხანოვის

შეხედულებების გავლენაში ხელოვნებისა და ლიტერატურის სფეროში, ზოგიერთ დებორინულ შეცდომებში, მემარჯვენე-„მემარცხენე“ გადახრების ზოგიერთ კონკრეტულ მოვლენისადმი შემარიგებლობაში, მე-60 წლების მოღვაწეების როლის შემცდარ შეფასებაში, გადემიახების ლოზუნგის გაზიარებაში, ცალკეული „მემარცხენე“ შეცდომის დაშვებაში კლასიკოსების საკითხში და სხვ. (ბუაჩიძე, რადიანი, ლუარსამიძე, სულავა, ნატროშვილი და სხვები); უკანასკნელ ხანებში, კერძოდ ამხ. სულავას მიერ დაშვებული იქნა უხეში პოლიტიკური შეცდომები, რომელიც მდგომარეობს სტენის შეეჭვების თეორიის გაზიარებაში, ომის საკითხების არა ლენინურ გაგებაში და სხვ. შეუბრალებლად მხილებულ უნდა იქნას ლიტფრონტის ზოგიერთი შეხედულების გავლენები (ბენაშვილი, ნაროუშვილი), ლიტფრონტული და ცალკეული ნეომენშევიკური დებულებები (პ. ქიქოძე), ფედერალისტური რეციდივები და დამპალი ლიბერალიზმი (ხუნდაძე, ამაღლობელი), მომენშევიკო იდეალიზმი (დუდუჩავა), ლიკვიდატორული შეხედულებები (მუშიშვილი) და სხვ.

10. საქარ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის თეორიის სფეროში გადახალისების მნიშვნელოვან ამოცანად პლენუმს მიაჩნია: ა) კადრების განტვირთვა სერიოზული თეორიული მუშაობისათვის; ბ) თეორიული მუშაობის გეგმიანი წარმოება და მისი მტკიცე დაკავშირება მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ლიტერატურის და ხელოვნების სექციასთან, გ) უფრო მტკიცედ დაკავშირება იდეოლოგიური ფრონტის პროლეტარულ კადრებთან, უპირველეს ყოვლისა მებრძოლ მატერიალისტ-დიალექტიკოსთა საზოგადოებასთან. ბრძოლა უნდა გამოეცხადოს ცეხურ კარჩაკეტილობას, უნდა გავამრავალფეროვანოთ ასოციაციის აქტივის თეორიული მოთხოვნილებანი, დ) გაძლიერებულ იქნას ბოლშევიკური თვითკრიტიკა, როგორც აუცილებელი პირობა და წინამძღვარი კოლექტიურ მუშაობაში, ე) განვითარდეს კონკრეტული კრიტიკა, ამაღლებულ იქნას მისი ხარისხი, მოისპოს მასში ზერელობა, შემთხვევითობა, ხელის დაფარების ელემენტები, წარმოებულ იქნას ბრძოლა არა ობიექტურ ჯგუფური ინტერესებით გამოწვეულ კრიტიკის წინააღმდეგ,

იმისათვის, რომ გავაუმჯობესოთ კონკრეტული კრიტიკა, აუცილებელია მოვახდინოთ კრიტიკული კადრების დათვალიერება. უნდა ავსწიოთ კრიტიკოსების თეორიული დონე, რათა ისინი სრულად დაეუფლონ დიალექტიურ მატერიალიზმს, ლენინის მემკვიდრეობას. კრიტიკის ეს გადახალისება უნდა მიმდინარეობდეს შემდეგი ლოზუნგით: „ბრძოლა ლიტერატურის თეორიის პარტიულობისათვის, ბრძოლა ლენინური ეტაპისათვის“.

11. პლენუმი ანდობს ბიუროს და სამდივნოს, რათა მორიგი ყრილობისათვის ეხლავე დაიწყოს შემოქმედებითი პლატფორმის გამომუშავება, რომელიც წარმოადგენს შემოქმედებითი დისკუსიის და შემოქმედებითი ჯგუფების მუშაობისა და ზრდის, „ლიტერატურის მაგნიტოსტროების“ ლოზუნგის კონკრეტიზაციას და განვითარების საფუძველს.

პლენუმი სთვლის, რომ ლოზუნგი „შევქმნათ ლიტერატურის მაგნიტოსტროები“, რომელიც აღრმავებს და შემდგომ ანვითარებს პროლეტლიტერატურის ძირითად ლოზუნგებს, სავსებით ამტკიცებს საქარ. პრ. მწერ. ასოციაციის ბრძოლის სისწორეს ყოველი სახის მემარჯვენე საშიშროების გამოხატულების (ვორონშჩინა, პერევერზევშინა, ესთეტიური ფორმალიზმი, ლიტფრონტი, ლეფი და სხვა) და „მემარცხენე“ ვულგარიზატორების (ლიტფრონტი, ლეფი და სხვ.) წინააღმდეგ. ლოზუნგი—„შევქმნათ ლიტერატურის მაგნიტოსტროი“ მოითხოვს პროლეტარულ მწერლობიდან ყოველგვარ გადახრის წინააღმდეგ ბრძოლას მხატვრული ხარისხის ამაღლებისათვის და ბრძოლას აზნაურულ განწყობილებების და „სინედლის“ თეორიის წინააღმდეგ, რომელიც უპირისპირებს ერთმანეთს ტემპს და ხარისხს, პრაქტიკასა და თეორიას. ლოზუნგი „შევქმნათ ლიტერატურის მაგნიტოსტროი“ ავალებს პროლეტარულ მწერლებს გააძლიერონ ბრძოლა სოციალისტური რეკონსტრუქციის თემატიკისათვის, პარტიის მიერ დასახული ამოცანების, კომუნისტური შრომის გმირების ჩვენებისათვის.

ლოზუნგი „შევქმნათ ლიტერატურის მაგნიტოსტროი“ მოითხოვს სასტიკ ბრძოლას პასიური ჭვრეტის, იდეალისტური უშუალო შთაბეჭდილების თეორიის, სქემატიური რაციონალიზმის, ემპირიზმის, წვრილ-ბურჟუაზიული სუბიექტივიზმის, ლიტ-ფრონტის და სხვ. წინააღმდეგ. შემოქმედებითი მეთოდის საკითხების დამუშავება უნდა მიმდინარეობდეს შემდეგი ლოზუნგით: „ბრძოლა შემოქმედებითი მეთოდის პარტიულობისათვის“ და „ლიტერატურის მაგნიტოსტროის“ შექმნისათვის.

12. პლენუმი აღნიშნავს, რომ საქ. პრ. მწერ. ასოციაციის წარსული ლიტერატურულ-პოლიტიკური მუშაობა წარმოადგენს პარტიის ლიტერატურულ-პოლიტიკური ხაზის ძირითადში სწორად გატარების ფაქტს. მომავლისათვის პლენუმს აუცილებელ საჭიროდ მიაჩნია ბრძოლის გაძლიერება ბურჟუაზიული საშიშროების და ბურჟუაზიულ გავლენების წინააღმდეგ ლიტერატურაში და ლიტერატურის თეორიაში (კერძოდ აუცილებელია ტროცკისტული „კონტრაბახდისტების“ შეუბრალებელი მხილება). ამ საფუძველზე გაძლიერებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა იქნას მუშაობა თანამგზავრებში და მოკავშირეებში, გაძლიერებული იქნას ბრძოლა ასოციაციის შიგნით ცალკეული პროლეტარული მწერლის შემოქმედებაში არსებული წვრილ-ბურჟუაზიული განწყობილებების წინააღმდეგ, გაძლიერებული იქნას ბოლშევიკური მეთვალყურეობა და შეურიგებლობა ასოციაციის წევრებს შორის არსებულ ყველა სახის მემარჯვენე, „მემარცხენე“ გადახრებისადმი.

13. საქ. პრ. მწერ. ასოც. ლიტერატურულ-პოლიტიკური მუშაობის გადახალისების მნიშვნელოვან მომენტებს წარმოადგენს:

ა) მუშაობის წარმოება არა ამხანაგების გახსაზღვრული რიცხვის მიერ, არამედ მთელი ორგანიზაციის ჩაბმა მუშაობაში.

ბ) საბჭოთა მწერლების ფედერაციის იდეურ-შემოქმედებითი და ლიტერატურულ-პოლიტიკური როლის გაზრდა. გადახალისება საბჭოთა მწერლების ფედერაციასაც უნდა შეეხოს, ფედერაციის რიგებშიაც უნდა გაიშალოს შემოქმედებითი დისკუსია.

გ) შექმნა მთელი რიგი თავისუფალი ორგანიზაციისა მსგავსათ „ლოკაფი“-სა, რომლის მიზანიც იქნება ხელი შეუწყოს მწერლობის მონაწილეობას სოციალისტურ მშენებლობაში და ძველი ტიპის მწერლის გარდაქმნას ახალ საწყისებზე (ახალი ტიპის მწერალი).

დ) გამომცემლობის და ჟურნალების შემოწმება, თუ რამდენად ასრულებენ ისინი მწერლებთან მუშაობის ამოცანებს, რამდენათ წარმოადგენენ ისინი მწერალთა საზოგადოებრივობის ცენტრს.

ე) საქარ. პრ. მწერ. ასოციაციამ მთლიანად და თვითეულმა მომუშავემ ცალკე კარგად უნდა გაითვალისწინოს ის მდგომარეობა, რომ ლიტერატურულ-პოლიტიკური მუშაობა თანამგზავრებთან და მოკავშირეებთან შეიცავს ამასთანავე მხატვრული ხელმძღვანელობის საკითხს, უშუალო შემოქმედებითი დახმარებას, ინდივიდუალურ მუშაობას, რომელიც ითვალისწინებს ამა თუ იმ თანამგზავრ და მოკავშირე მწერლის შემოქმედებითი მეთოდის თავისებურებას.

14. მთელი ამ გადახალისების პირობა და წინამძღვარია ასოციაციის ძირეული ორგანიზაციული გადახალისება, რომლის მნიშვნელოვან მომენტებსაც წარმოადგენს:

1) ასოციაციის და მისი ორგანიზაციული სტრუქტურის გარდაქმნა იმის და მიხედვით, რომ პრ. მწერ. ასოციაცია არის იდეურ-ალმზრდელობითი შემოქმედებითი საწარმოო ხასიათის ორგანიზაცია.

2) მუშაობის მთელი ცენტრის გადატანა ჟურნალებში, გაზეთებში, გამომცემლობებში და ა. შ.

3) ასოციაციის მთელი მუშაობის გამსჭვალვა ნამდვილი შემოქმედებითი საწარმოო მუშაობით.

4) ადმინისტრატიულობისა და ჯგუფობრივობის ელემენტებ-ს სრული მოსპობა.

5) საწარმოო თათბირების გადაქცევა მუშაობის მუდმივ ფორმათ.

6) მწერლობაში გაწვეულ დამკვრელ მუშათა მუშაობა ასოციაციის საქმიანობის ცენტრში უნდა დადგეს. უნდა შეიქმნას დამკვრელთა კაბინეტები, გამოიცეს მათი ნაწერები სხვადასხვა საკითხის შესახებ, ინდივიდუალურად მიმაგრებული იქნას მათზე პროლეტარული მწერლები.

7) დიფერენციალური მიდგომა ასოციაციის ცალკეულ ფენებთან და მწერლებთან, მუშაობის ინდივიდუალიზაცია იმის და მიხედვით, რომ გათვალისწინებულ იქნას ლიტერატურის თავისებურობა, სპეციფიკა.

8) შემოქმედებითი ჯგუფების ჩამოყალიბება და მასში მუშაობისათვის ნორმალური პირობების შექნა.

9) კომკავშირის და პროფკავშირის უფრო მეტი მონაწილეობა ასოციაციის მთელ მუშაობაში (კერძოთ წარმოებებში არსებული ლიტ-წრეების ხელმძღვანელობაში).

10) შემოქმედებითი გამოცდილების გაზიარება როგორც ცალკეულ სექციებს შორის, ისე ავტონომიური ოლქების, რესპუბლიკების ასოციაციების შორის მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, გაძლიერება ინტერნაციონალური აღზრდისა ასოციაციის საქმიანობის მთელ სისტემაში.

11) გაძლიერება ბრძოლის ასოციაციის მთელი მუშაობის პარტიულობისათვის, ჩაბმა ასოციაციის საქმიანობაში პარტიული კადრების უფრო მეტი დაახლოებით პარტორგანიზაციებთან, რათა მათ მეტი საშუალება მიეცეთ გაუწიონ ასოციაციის საქმიანობას მეტი კონტროლი.

12) ასოციაციამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ხელოვნების სხვა სფეროებში მუშაობას (კინო, თეატრი, მუსიკა და სხვ.).

13) ასოციაციამ უნდა აიღოს ინიციატივა, რათა დაარსებული იქნას კოლეეურნე-გლეხ მწერლების ორგანიზაცია.

14) ლოკაფის მუშაობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, სამუშაოდ გამოყოფილი უნდა იქნან აქტიური მწერლები.

15) მასიური მუშაობის ხაზით ასოციაციის წინაშე სდგას მუშაობა მკითხველებთან და ბიბლიოთეკებში, მუშაობა იმის გამოსარკვევათ, თუ რა სახის მხატვრულ ლიტერატურას აწოდებენ სკოლებს.

16) ყოველ მიზეზს გარეშე განხორციელებული უნდა იქნას პროლეტარულ მწერალთა კადრების მთლიანი კონსოლიდაცია.

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის გადახალისების საერთო ორგანიზაციულ ამოცანას წარმოადგენს, რომ ის გადაიქცეს მწერალთა შემოქმედებითი საწარმოო კოლექტივად.

---

**ბორის ჩხეიძე**

# ფერო

(რომანი)

ორთქლმავალი დადგა, ბოლი ამოყარა, აშიშინდა.

როგორც ყველა თავისი მოქალაქე, ისე მიიღო ამ პატარა ქალაქმა ეს მგზავრიც, რომელიც ჩამოვიდა ბოლო ვაგონიდან და სადგურის შუაკარისაკენ გაემართა.

ისევ ის შენობა, ბაქანი და ნაგებობანი, მხოლოდ ქვევით აუშენებიათ რაღაც სამსართულიანი შენობა. შიგნითაც ისევ ის დგამი, კარები კი დროთა სამსახურში ძლიერ გაცვეთილა, საღებავი აღარავის წაუსვამს და სკამებსაც გავარდნია დასაჯდომები, არც მათთვის მიუქცევია ვინმეს ყურადღება.

ყველაზე დიდი ცვლილება, რომელიც ლუკამ აქ შეამჩნია, ყველასაგან დავიწყებული ფაქტი იყო: მაშინ, როდესაც ის ვაგონში შეაგდეს და სამხედრო სამსახურში გააგზავნეს, ამავე სადგურის ბაქანზე დადიოდა რკინის გზის ჟანდარმი. ხელში ეჭირა წელზე მიბმული ქარქაშიანი ხმალი და, ვინც არ მოეწონებოდა, ზურგში გაჰკრავდა.

ახლა კი ეს აღარ იყო. აღარ იყვნენ აგრეთვე მაშინდულათ მორთული და გამოჭიმული სადგურის მორიგი ქმედები. ისინი ახლა გარბოდენ იქეთ, სადაც ჩერდებოდა ორთქლმავალი, და ღიმილით აწოდებდენ კვერთხს, ნაძენძით ხელის წმენდაში გართულ მემანქანეს.

ლუკამ დაათვალიერა დარბაზები. ერთი სულიერიც აღარ იყო ნაცნობი ამ პატარა ქალაქში. ისინი თითქოს მოვარდნილმა ქარმა და ცეცხლმა გადააშენა უნიშნოდ. ან კიდევ მაშინ ეს მოქალაქენი ბავშვები იყვნენ და დაიხარდენ, მის ტოლებს სახე დაეპრანჭათ, მოხუცდნენ, უფრო ხნიერებმა კი წვერები მოუშვეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ შემთხვევაში, ყველაფერი ეს ლუკას ნაკლებად აინტერესებდა იმ წუთში. მისთვის საკმაო არ იყო, რასაც ქალაქი წარმოადგენდა ამჟამად გარდა გაზაფხულის მზისა, უხვად რომ აბნევდა სხივებს და სითბოს. ქროდა ნელი და საამური სიო, და ხალხს ხელში ეჭირა გაზაფხულის ნაადრი ყვავილები—ია და ჭორჩიოტა.

აგერ გაიარა ვიღაცამ. ძლივს იცნო. ის იმ დროს ზესტაფონელი ქვასროლია მეშურდულე ბიჭი იყო და მტრედების დაუძინებელი მტერი.

ამ ქალაქში ერთიმეორეს თითქმის ყველანი იცნობენ და ესალმებიან. ჩამოსულიც ისეთი ვინმე არ იქნება, რომ ხაცნობი არ გააჩნდეს.

ლუკას კი არავინა ჰყავს არც ნაცნობი, არც ნათესავი. თავი რომ გააცნოს ვინმეს უხერხულია, ალბათ დაივიწყეს ის, მკვდართა ხსოვნაში გადაიტანეს და მით დაკმაყოფილდენ. ძას არავისთვის გაუგებინებია, რომ აქამდე ცოცხალია. მაშასადამე, დავიწყებას მიეცა. თოთხმეტი წელი ჯავრსა და მოგონებას ერთბაშად გააქარწყლებს.

ლუკას ქართულიც აღარ ეხერხებოდა კარგად. თუმცა აქაური გამვლელები ვერ არჩევდენ ადგილობრივ ადამიანებში და ზოგი შემომხდური ქართულად ელაპარაკებოდა.

პირველად სადაც არ უნდა მისულიყო ლუკა, ეს იყო აუცილებლად სარაიონო პარტკომი. ჰკითხა ვიღაცას და გასწია ორსართულიანი შენობისაკენ. აქ აღმრიცხველ მაგიდაზე ლუკამ გადასცა სამგზავრო და საღრიცხვო ბარათი. აღმრიცხველმა ქაღალდი ორჯერ შეატრიალა, გარკვევით ამოიკითხა ერთ ადგილას: „ურალის მეტალურგიული ქარხნის ქვაბის ხელოსანი, ამხ. ლუკა ვოლკოვი“. რაღაც ჩაინიშნა და ერთი ბარათი გადასდო ყუთში, მეორე კი ისევ ვოლკოვს გადასცა. და სამაგიეროდ მოსთხოვა პარტბილეთი, ისიც გადაათვალიერა და შენიშნა, რომ აკლია ერთი თვის საწევრო გადასახადი, მაგრამ ლუკა ვოლკოვი ერთი თვე მგზავრობდა გასული თვის ხუთმეტიდან.

— არ ვიცი ეხლა, რა საქმე მოგცეთ, ამხ. ვოლკოვო?—მიუგო მან და სთხოვა ჩამომჯდარიყო სკამზე.

ლუკა სკამზე ჯდებოდა და თან ამბობდა:

— სულერთია, რაც იქნება. წარმოებაში მირჩევნია, უფრო ნაცნობი საქმეა.

— მაშ კარგი, გამოცხადდით კომუჯრედში და იქ გაიგებთ.

---

პატარა ხნის დასვენების შემდეგ ვოლკოვმა იგრძნო, რომ გასეირნება სჯობდა და აუჩქარებლად გამოვიდა აივნით გარეთ. აქე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან მოსჩანდა მდინარე ყვირილა, კუპრივით შავი და სქელი. გაღმა მდინარის პირს მისდევდა უძველესი შარა, ინდოეთის ისტორიული გზა, და მას ზევით იწყებოდა ვენახები, ბაღები, ხეხილი და მოსახლეობა. გლეხები მუშაობდენ: ასობდენ მარგილებს, აკეთებდენ ღობეებს და ცეცხლს უკიდებდენ მოხვეტილ ძეძვს.

— წყეულია ეს ქალაქი,— ფიქრობდა ლუკა. ურალის შემდეგ ეს აღარ იყო ასატანი ამბავი. დილას ლუკა ვოლკოვი იქ საყვირზე ზეზე იყო. ჩაიცვამდა ტყავს, ჯიბეზე ჩასვლისას შეისუნთქავდა ჩრდილოეთის ხმელ სიცივეს და გასწევდა ქარხანაში. ამ პატარა ქალაქში კი განსაზღვრული მარშრუტით ჩამოიცილიდა რკინის გზის ტრანსპორტი და ამცნობდა ქვეყანას, რომ არსებობს სადღაც დიდი ქარხნები, საწარმოონი, რომელთა დამზადებული საქონლის ზიდვას ვერც კი აუდიან ეს ვეებერთელა საბარგო ვაგონები და ორთქლმავლები.

ლუკას მოეწონა რკინის გზის ჩიხებს მაღლა ვადასავალი ხიდი, რომელზედაც თითქმის მუდამ იდგა ხალხი და ქვეშ კი გადიოდენ მატარებელნი. ლუკამ შორს შენიშნა ბუხარი, საიდანაც ამოდიოდა ქვანახშირის მიხაკისფერი ბოლი. კარგად რომ დააკვირდა, ეს იყო დიდი აგურხანა, რომელიც მის დროს ზესტაფონში არ იყო და მის შესახებ ამოიკითხა ქართულ გაზეთში, რომელიც მას განუწყვეტლივ მისდიოდა ურალში.

— აქაურ ბიჭებს არ უმთქნარებიათ,— ფიქრობდა ახლა ვოლკოვი და გადადიოდა მდინარეზე გაბმულ ბონდს, რომელიც ძლიერ ქანაობდა. ქვეშ მიშხუოდა ყვირილა, მარგანეცისაგან შავად შეღებილი. მზე ანათებდა მდინარის ზედაპირს, და მთელს სიგრძე-სიგანეზე ჰგავდა ახტრაციტის მბზინავ სარტყელს.

მდინარის ნელი და უხვმქავბადიანი ჰაერი რბილად და საამოდ უვლიდა ფილტვებს. დაცხა. მოიხადა ქუდი და ხელში დაიჭირა.

შარაგზით სიარულში გადამეტებული სითბო იგრძნო და ქურთუკი გაიხადა. მიდიოდა ზევით, მდინარის დინების პირდაპირ. უნდოდა ეიახა აგურის ქარხანა და მასთან იმის გამორკვევაც სურდა თუ რის შემძლე იყო ღუძელები და რისი ფიქრი შეიძლებოდა მათ იმედით.

აგურხანის მაღალი ბუხრიდან განუწყვეტლად ამოდიოდა მიხაკისფერი კვამლი, და ვოლკოვი მიხვდა ფერზე, რომ ეს უნდა ყოფილიყო ტყიბულის ძველი ქვანახშირი.

აქაური ყოველმხრივი ქარი ბოლს გორაკებისაკენ მირეკავდა, ხან ძირამდე დაიყვანდა და ბაღ-ვენახებს გააკრავდა, ხანაც მდინარეს დააყოლებდა. ბუხარი თანდათან ჩნდებოდა მთელის სიმაღლით, გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჩნდა ქარხნის ნამმრალობის სახურავებიც. იგი მოზრდილი იყო, ასე რომ ამ ქალაქისათვის ასეთი ქარხნის აშენება ათიოდე წლის ზრდას უდრიდა. ღილზე გადებულ, ჭანჭიკებით შეკრულ მუხის ხიდს იქით, აგურის პატარა სახლის წინ, მუშები ირეოდენ. მიახლოვებულმა ლუკამ დაინახა კედლის გაზეთი ხშირი წერილებით, აქა-იქ ეხატა კარიკატურები, რომელიც მუშებს ძლიერ მოსწონდათ და სარედაქციო კოლეგიაზე ამბობდენ, რომ ეს დიდი გამბედაობა იყო.

გაზეთის ერთ კუთხეში ეხატა ქარხნის ბიუროკრატი, დაღებული პირით და გრძელი ენით, იქვე ეხატა ვიღაც კაცი, რომელსაც თავი ჭურში ქონდა ჩაყოფილი და იხრჩობოდა. მუშები მას ფეხებით ეწეოდენ ზევით, მაგრამ ის კი ჭურისკენ იწევდა დასახრჩობად. კარიკატურის ქვეშ ეწერა:

— თქვენ რა გინდათ, რომ ჭურში ჩავიხრჩო!

ლუკა მოშორებით გაჩერდა. ქარხკომი სამუშაოს ათავებდა და შინ მიდიოდენ. ისინი ერთიმეორეს ეკითხებოდენ რაღაც ამბავს და უფრო კი აჩუმებდენ ნიკო ბოგვერაძეს, რომელიც ძლიერ ჯავრობდა, რომ იგი დახატეს უმსგავსოდ ჭურის თავზე, და იმუქრებოდა, რომ არ მოგითძენთ ასე საცინლად აგდებასო.

ნიკო ბოგვერაძე იყო აქაური, აგურის ძველი ოსტატი. წარსულ დროში ის სწორედ იმდენს შოულობდა ხელფასს, რამდენიც ჭეოფნიდა ზესტაფონში მეტად იაფი ღვინისათვის და არასოდეს არ იკლებდა მისი აზრით აქ „სიკეთეს“.

— ორმოცი წელიწადია ღვინოსა ვსვამ და კიდევაც დავლევ!

— ჩვენც კიდევ დაგწერთ ამისათვის კედლის გაზეთში, ამხანაგო ნიკო!

ეუბნებოდა მას საშუალოზე მაღალი ტანის, ლურჯი შალის ტანსაცმელში გამოწყობილი ქალი.

ნიკო ბოგვერაძე კი განაგრძნობდა სიცხარეს:

— დამწერეთ! რამდენიც გინდათ, დამწერეთ, მე ხომ მეტი არა ვიცი რა. რა უნდა გავაკეთო ამ რვა საათის შემდეგ? კაცი დარდით გულზე გავსკდები. მე ბოსტანი არ მიკეთებია და ვერც გავაკეთებ.

ახლა ის უკვე ყვიროდა და მუშტით უტევდა მუშებს.

ლუკა აღარ უყურებდა ბოგვერაძეს. ის თოთხმეტი წლის მანძილზე ცოტათი შეცვლილიყო. მარტო საფეთქლებთან გათეთრებოდა თმა და თვალები უფრო დაბეროდა. მას ყველაზე უფრო აინტერესებდა ქალი. აღარ გრძნობდა უყურებდა თუ არა, ფიქრობდა თუ არა მასზე, და ძაშინ გამოერკვა, როდესაც უცხო კაცის მიჟინებული მზერა იგრძნო ქალის სხეულმა და ადგილზე ატრიალდა. ქალი აქეთ-

იქეთ იხედებოდა და უნდოდა დაენახა ვინმე, რომელიც მას უყურებდა, მაგრამ მოშორებით მდგომარე უცხო კაცი დაინახა.

ქალს არ შეეძლო გაეფიქრა, რომ ეს უცხო მას უყურებდა. ლუკა ფიქრით და თვალებით შორს მთებისაკენ იმზირებოდა, სადაც ღრანტეებში ეყარა თოვლის ზვავთა შვავები და ჯერ გაუშლელი ტყეები სტოვებდენ ზღაპრულ ტევრების შთაბეჭდილებას. ის თვით ქალის შეხედვამ გამოარკვია და უნებურად მიიხედა მისკენ.

— მელაშა.

იცნო ლუკამ და ჩქარი ნაბიჯით გასწია შორაპნის კვანძის საყუდისაკენ. საყუდი კი მდინარის გალმა იყო, და კვლავ ბონდი უნდა გაევლო. მით უფრო კარგი: ძალზე ჩამოცხა, და ბონდზე შეიძლებოდა გაგრილება. სიამოვნებით იბანავებდა, რომ მდინარე მარგანეცით არ ყოფილიყო შეღებილი. ლუკას დაავიწყდა, რომ აქ ერთიმეორეს ერთვოდა ყვირილა და ძირულა და მაშინ მოაგონდა, როდესაც შეხედა შესართავს, სადაც შედედებული, ქარხნების ნარეცხი ყვირილა და ანკარა ძირულა ერთიმეორეს ერთოდენ. მან გასწია ძირულისაკენ, მოიბანა თავპირი და ისევ საყუდისაკენ გამოეშურა. აქ ბათომ-ბაქოს მაგისტრალს ეყრება ჭიათურის ვიწრო ლიანდაგიანი გვირისტი. პატარა ორთქლმავლები და ასეთივე ყალიბის მორჩილი ვაგონები კივილით, ქშენით და ჭახუნით მიარღვევენ ყვირილის ხეობას.

ყოველ საათში ჩამოდის მადნისგან შავად გამურული, მარგანეცის ბელტებით და სილით დატვირთული ყუთრონები და დგება ჩიხებში. კონდუქტორები გარბიან მაშინ ხელში ფარნების ქნევით ყოველი მხრით და ჩამომდგარ ტრანსპორტის თავის ალაგს გადარიგების მოლოდინში ფუსფუსებენ. ცელქი ბავშები კი ხტებიან მუხრუჭებზე და აჯავრებენ ორთქლმავალის კივილს, რითაც იმსახურებენ მეისრეების ჯიგრიანად შეგინებას.

ქვევით კი გრძლად და შავად, დაჟანგებული სახურავით, კუშტად გამოიყურებიან ესტოკადები, რომელშიდაც პატარა ორთქლმავლები ქშენით აგორებენ ყუთრონებს და ქშენითვე სცილდებიან ქვევით—თხრილებამდე და საყუშდი მოდიან. ყუთრონებს კი ესევიან მუშები და სცლიან მაგისტრალის ყუთრონებში.

არც აქ იყო ბევრი რამ ცვლილება. შეიძლება ბევრი რამ დაინგრა და ბევრი რამეც აშენდა. თუმცა ამ საყუდისათვის ისიც კმაროდა, რომ მაგისტრალის ხიდი, რკინის სვეტებზე გადადებული, დაკიდებული ზეთაღებიანი ხიდით შეეცვალათ და ძველ ნაციხარზე აეგოთ წყლის ანუ ნავთის ოთხი ვეებერთელა გულღრუ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რკინის გზის კოპწია და საიმედოდ ნაგები სახლებისათვის მოემატებიათ კიდევ ერთი დიდი სახლი, რომელიც ეტყობოდა, თეატრი და კლუბი იყო.

ლუკა მიაბიჯებდა, გვერდზედ არ იხედებოდა, რომ წინ შემოხვდენ აგურხანის მუშები. ნიკო ბოგვერაძე ახლა გამოშვინდილებული მოსდევდა მათ და ისევ თავის უბედურებაზე ლაპარაკობდა, მაგრამ მელაშას პასუხი ერთი და იგივე იყო.

— ნუღა დაითვრები და აღარ გაგწერთ.

— კი, მაგრამ მე ხომ ერთი დღე, ერთი წუთიც არ გამიცდენია, რად უნდა გამწერონ კედლის გაზეთში?!

კითხულობდა გულმოსული ბოგვერაძე, და მელაშამაც უკანასკნელად უპასუხა:

— მომეშვი, ამხანაგო ნიკო! ჩვენთვის შენი სიმთვრალე უფრო მეტი უბედურებაა, ვიდრე ერთი საათის გაცდენა. თუმცა არც გაცდენაა გასახარელი. ერთს დღეს მოსცდები, ჯანდაბას, როგორმე ავიტანთ, ქარხანა ამით არ დაიქცევა. ერთხელ კი დაითვრები როდესმე, და ყოველთვის კოჯა წყალს არ მოიტანს, სადმე ჩაჰკვდები და წადი მერე და ეძებე ნიკო ბოგვერაძეები.

ამ საუბარში იყვნენ ისინი, რომ ლუკა შეეფეთა მათ. მელაშამ პირდაპირ თვალებში შეხედა და თითქოს იცნო, მაგრამ იმდენად შორს იყო ეს ნახული სახე, რომ არ აგონდებოდა. თავისდაუნებურად შესწყვიტა მან ამხანაგებთან საუბარი და, თითქოს სუნთქვაშეკრული, ენას ვეღარ იდგამდა.

გადაუხვიეს კლუბის ეზოში, იქ ხალხი ირეოდა. ერთს კუთხეში კი ისხდენ ბიჭები და მანდალინების დაკვრით ერთობოდენ. ხალხისა და ახალი ამხანაგების შეხედვამ მელაშას დაუბრუნა სუნთქვის წონასწორობა და მან დინჯად იკითხა:

— ვინ უნდა იყოს ეს უცნობი?

— ეგ ამხანაგი დღეს პარტკომში იყო. ურალიდან ჩამოსულა. ლუკა ვოლკოვია, სთქვა ვიღამაც,

— ჰა... გადმოისროლეს?

— ჩვენთან იმუშავებს კომუჯრედში და, ალბათ, კრებაზე დასასწრებლად მოდის, — დაუმატა კიდევ ახლო მდგომმა მუშამ.

ბევრი ლაპარაკის დრო აღარ იყო, თავმჯდომარე კრებას ხსნიდა.

---

ლუკამ ბინა რკინის გზის შენობების ფლიგელში აღმოაჩინა. ბექობის პირად ამოშენებულ ოთახს ფანჯრები ბაღისა ქუჩა გამოყენებული. აქედან თითქმის მთლად მოჩანდა რკინისგზის მოძრაობა.

26266
ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთახის პატრონი იყო რუსი კალატოზი და მებუხრე, რომელსაც მთელს რაიონში უფრო იცნობდენ, ვიდრე რომელიმე დიდ მოხელეს. მისი გვარი იყო ბალაშოვი და სახელი კოლია. გამოიცვალა მრავალი მთავრობა, კოლია ბალაშოვი კი მაინც იმ სადგურში დარჩა. წინად ამ სადგურიდან მენშევიკებმა რუსი მუშები გადაასახლეს. კოლიამ ქართულიც კარგად იცოდა, გადაკვრაც ეხერხებოდა, იქვე მახლობელ სოფელში დაიმალა ერთ წელიწადს და შეეგუა აქაურობას.

ასეც არ ყოფილიყო, კვანძის და სადგურის მმართველობა კოლიას უფრთხილდებოდა. ერთად-ერთი დარჩა ის „ხახოლი“ რუსებიდან ლუძელების რსტატი და ამისათვის ხელიდან არ უშვებდენ. ასეთ მდგომარეობას ბალაშოვიც იყენებდა და, რამდენიც შესაძლებელი იყო, უმატებდა თავის ხელფასს. არ გააჩნდა ცოლშვილი და არც სწუხდა, რომ არა ჰყავდა.

ლუკა წამოწოლილი იყო. ფიქრობდა მომავლის ამბებზე და აქაურ ადამიანებთან მიდგომის ხერხებს იმუშავებდა.

ვოლკოვს თითქმის გადავიწყებოდა ყველა აქაური ჩვეულება, მაგრამ დროსაც ისე შეეცვალა ადამიანები და მათი ნირი, რომ ძლიერ ნაკლებად ჰგავდენ იმ ხალხს, რომელიც მან დატოვა აქ თოთხმეტი წლის წინად ვაგონში შეგდების დროს.

გარეთ, წყალსაქაჩავებთან, ყვიროდენ. მემანქანემ გადმოაგდო მოსაშვები მილი და მუშების შუაგულში ჩამოხტა. შუაშივე იდგა კოლია ბალაშოვი და ჰყვიროდა.

— შემომხედეთ, ამხანაგებო, შემომხედეთ! ისეთი კედელი ამოვიყვანო, ისეთი ბუხარი ავაგო, რომ მიწისძვრამაც ვერ დაანგრიოს. ჩემმა მზემ, მე ეს შემიძლია, მაგრამ არავისაც არ ვასწავლი ხელობას, რომ გადამკიდებიხართ. თქვენ ღვინოს მასმევთ? კარგი და პატიოსანი, კოლიაც დაგალევინებსთ სამაგიეროს. ხელობას კი არ ვასწავლი არავის, აქვე რომ სული გამაცხებინოთ.

— არ აიყვან შეგირდებს და ჩვენ ვიცით, რასაც ვიზამთ,— ემუქრებოდა მას მემანქანე, თანაც თავის თავს აგინებდა:

— შე ოხერო, ჩემო თავო! რად დაგზოგე, ღორო, აი, დედიჩემის ღმერთს, რამდენჯერ ეგდე ჩიხებში, რად არ გადაგიარე, რად არ გაგსრისე...

— რად არ გამსრისე, მერე? აქნამდე ჩემს დარდებს მეც მოვინელებდი და თქვენც გაიხარებდით ოყრაყებო, ძაღლებო, თქვენი დედა... მე თქვენი.

— ეე! დედასაც იგინები, ლოთო? მე შენ გიჩვენებ სეირს, თუ დაგინახე კიდევ სადმე ჩაგდებული ჩიხებში! გადაგიტარებ შუაზე... აი პირდაპირ ხერხემალზე და თეძოს თავებზე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენს მამას გადაუვლი და მიაკვდება ღორები, შე ოხერო, შენს დ... და შენს მამა-პაპასაც საფლავში.

— ხელობა ვასწავლო? რად ვასწავლო ხელობა, ვის ვასწავლო, აი იმ გლეხებს, ემ გორებზე რომ ოდები წამოუჭიმავთ? არა, ძმაო, ისინი ისწავლიან და შემდეგ შინ გაიქცევიან, აქ ხომ არ დარჩებიან. კარგს დალევენ, კარგს ჩაიცვამენ და შენ, კოლია ბალაშოვო, სდიე მათ—გაიფუჭე სიცოცხლე და შემდეგ გაგინონ მშობელი. რატომ ვიზამ ამას, რატომ, ჰა? თავიდან ძოცილდით თქვენი შეგირდებიანად, თორეძ ქაფჩით დავუძტვრევ ყველას მოუპარსავ კისრებს, იმათი ჯიშიც და იმათი დ...

— კოლია ძალზე გალეშილია. აი ოხერი. ესაო და ღვინო იაფიაო, ყოველ დღე უნდა გამოთვრეს?!

ლუკამ ფანჯარა გააღო. საქმე მწვავდებოდა, გინება გადამლაშდა, და ბალაშოვს მოთელავდენ.

ფანჯრიდან გადასახტომი იყო, ორი მეტრის სიმაღლიდან. ლუკა გადახტა, და ქურთუკი გამოეცო ლურსმანს, ზედ შერჩა, თვითონ კი ძირს მოადინა ბრაგვანი. ის მიჭაუნებდა დაყრილ ხრეშზე, ის იყო მიუახლოვდა, რომ უცნობის დანახვაზე მუშები მოსცილდენ ბალაშოვს.

— ეს რა ამბავია, რადა ჩხუბობთ! შენც კიდევ, ეი, დაჟანგულო ქვაბო, ყოველ ცისმარა დღეს უნდა დაითრო?!

ბალაშოვი კი უფრო ირეოდა.

— აი თუ გნებავთ ჭირი, კაცი შინ შემოვუშვი, ახლა მევე მემუქრება, იქნებ ბინიდანაც გამომაგდოს აწი ამ მოთრეულმა ოხერმა. წადი აქედან, რაღა! დედაშენიც მაგათი დედების სიაში, ვიღაც ვოლკოვი ხარ; თუ გინდა კიდევ ლვოვი იყავ და როძიანკოს დედაც თქვენი დედების სიაში ჩამიწერნია.

— სწორედ გადარეულა, იფიქრა ლუკამ, მებუხრე კი იგინებოდა რამდენიმე სართულით, ნაყვავილარი ხმელი სახე ემანჭებოდა, ტუჩებიდან თეთრი დუჟი გადმოდიოდა და ისედაც პატარა თვალები ყვრიმალებში ჩამძვრალიყვენ, და ბაიები ქინძისთავების ოდენად უბჟუტავდა.

— შენ კი, ბალაშოვო, ჩემთან არ გაგივა ეგ ოხრის ოინები, წამოდი შინ, თორემ კატასავით მოგგუდავ.

— შენი შინაც და შეხი კეთილებიც. შენც მოემატე კიდევ ამ მატრაბაზს!

ამ სიტყვებით ბალაშოვი გადაბარბაცდა და მიეგდო რკინის გზის პირას ნახევრად, წელს ქვევით, მაზუთის ჭოჭში და ნახევრად კი ბექობზე მატლივით ხშირად ამოსულ და აყვავებულ ქონდარზე.

— მომცილდით! მომცილდით! თქვენი დედაცა და ცოლვბიც! ყვიროდა მებუხრე.

— დადექი, ოხერო, დაჩუმდი.

ლუკამ მაზუთში ამოსვრილ მებუხრეს ფერდებში ჩაავლო ხელი, მოიდო თეძოზე და წაიღო. მებუხრე ხელ-ფეხს ასავსავებდა და ღრიალებდა.

— ვერნებო, მჭამლებო, ახლა იქნება კიდევაც სცემოთ კოლია ბალაშოვს. ჰარამი იყოს თქვენზე მისი ამაგი.

ლუკა კი მას ყურს არ უგდებდა, იცოდა მისი ხასიათი: ბალაშოვი გამოფხიზლდებოდა და არც კი დაახსომდებოდა რაც მოუვიდა და ილაპარაკა.

ძლივს შეათრია ბინაში და დასდო ტახტზე. ბალაშოვს უმალვე ჩაეძინა. ლუკამაც მოატყუა თვალი. ცოტა ხნის შემდეგ ბალაშოვი გამოფხიზლდა, დაიწყო ბორიალი ოთახში, და ლუკასაც გამოეღვიძა.

— ეი, მებუხრევ, რას დამთვრალხარ, ტიალო! სადმე ჩაეგდები და ბოლოკივით ამოგძვრება ეგ ოხერი სული. დაგემართება რამე უბედურება და ნახავ შენ სეირს.

ბალაშოვი სდუმდა. ხანდახან კი, თითქოს მოთმინებიდან გამოსული, ნაღვერდლიანად ჰყრიდა სიტყვებს ძნელად მოსახმარი ენიდან.

— ჰმ... დავლევ, კიდევ დავლევ! მაშ როგორ არ დავლიო! ეგ ოხრები გადამკიდებიან: შეგირდებს ხელობა ასწავლეო, მეღუმელეობა, მებუხრეობა, კედლის აყვანაო. მაგრამ ისინი ყველანი გლეხები არიან, ქალაქის სიცხისა და სიცივისაც კი ეშინიათ. გარბიან აქედან. გლეხებს უშენებენ იქ სოფლად უმსგავსო ფიცრულ სახლებში ბუხრებს. ვისაც ვასწავლე, წავიდეს სოფლებში და ისე გადაიკარგენ, რომ ქალაქად თითქოს არასოდეს ყოფილან და თითქოს ბალაშოვს ერთი კაციც არ გაუზრდია.

მერმე კიდევ ვის ოხრებს ვასწავლო, ქალაქი გადაშენდა, ერთი სახლიც არ კეთდება, ერთი საწარმოოც არ არის. დაუჟინიათ ოხრად დასარჩენი მარგანეცი. მუშები აქ წელებზე ფეხს იდგამენ, ჰკვდებიან მაღაროებში და რკინას კი ევროპა ამზადებს. იმათგან ჩვენ ვყიდულობთ და ერთი-ორად გვაძრობენ გავის ტყავს. მოდი, ახლა შევატრიალოთ, ევროპამ იყიდოს ჩვენგან რკინა, და თუ ამისათვის ვიმუშავებთ, ხუთი ათასს ვასწავლი კედლის აყვანას კვირაში. ნახე მაშინ როგორ დატრიალდეს კოლია ბალაშოვი... ისეთი ხელსნები დაგიზარდოთ, რომ კოლიას ათჯერ სჯობდენ და ოცჯერ მეტი გააკეთონ. ახლა კი აღარც ჯანი მაქვს, გონებაც მატყუებს, თარაზოს და შეეულის ხმარება მიჭირს, მერმე კიდევ გული მტკივა, ეს ოხერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გული. ბურჟუამ იცის ცხოვრება, იმ წყეულმა, ჩვენ კი აქ რევოლუცია გვაქვს და ამ დროს ბურჟუა ჩვეხგან მარგანეცს ყიდულობს, რკინას ჩვენი ოფლით კაზძავს, რკინას ისევ ჩვენზე ჰყიდის და ფულს იგებს. გული კვდება, ამხანაგო ვოლკოვ. მე დიდი ბუხარი მინდა ავაშენო, ათი, ოცი, ათასი! აი ისეთები და მეტი კიდევ, აგურხანას რომ დაჰყურებს. აქ კი სადგურში სადმე გაფუჭდება გერმეტიული ღუმელი და იმას ორს აგურს თუ ამოუყენებ გვერდში... ამისთანა სიცოცხლეც, მაგათი დედაც... დავლევ, კიდევ დავლევ, სანამ ვენახები მთლად ფილოქსერას არ შეუჭამია!

— სწორი ხარ, ბალაშოვო, მაგრამ ცოტა მოიცადე, შე წყეულო, ნუ ჩაკვდები მაგ ოხერ ღვინოში. ყველაფერი იქნება.

ვოლკოვი ადგა და გარეთ წასასვლელათ ემზადებოდა, თანაც პაპიროსს ახვევდა ხამ ქაღალდში და მახორკა სცვივოდა იატაკზე.

— როდისღა იქნება? რამდენი ხანია, რომ რევოლუცია მოხდა და რომ არაფერს ვაშენებთ, ასე მგონია, რომ ტყუილი რევოლუციაა. თუ ასე დავრჩით, გლეხებს დავემსგავსებით და რომ ბურჟუამ არ შეგვჭამოს, თვით ჩავეყლაპინებით, გადავგვარდებით. იცი ეს, ძმაო? მე კი ვიცი, ვიცი! ბალაშოვმა გლეხიც ნახა, მუშაც არის, ბურჟუასთანაც ბევრი საქმე ჰქონდა. ის წყეული ბურჟუა სინდიოფალასავით შეგილოცავს და ყელს ტკბილად გამოგჭრის. მე კი მარჯვენა მაქვს, ეს გასახმობი, გასატიალებელი. ბუხრები მინდა ვაშენო, დღეში ორს აგურს თუ სადმე შევაკვეტებ, ისიც კი დიდ საქმედ მიაჩნიათ. მარჯვენა მტკივა, ეს წყეული მარჯვენა, მაშინ კი, როდესაც აქ კედლები აიგება და დავტრიალდები ზევით, ასიოდ შეგირდსაც ავიბარებ. აბა მითხარი, ვოლკოვ, რა აჯობებს მაშინ ჩემს საქმეს, გეფიცები, გზის უფროსობაზედაც არ გაგიცვლი. შეგირდებს შეეუსწორებ აგურებს, ვასწავლი ხელისგულზე გატეხას, დუღაბის მოსმას, ქაფჩის მოქნევას, შევალ ხარაჩოებზე, მაღლა-მაღლა წავალ, ავათრევ ჩემს მაზარას, ჩაიდანს, ავადუღებ ჩაის და, დაღლილი, ორ გირვანქა პურს ნერწყვივით გადავყლაპავ. შიგნით შენობაში ჩაიდგმება ცემენტის დანადგრები, მანქანების ღერძები, კბილანები, მქნევარები, კარკასები და ასი ათასი ფანჯარა. მათ თავზე დაჰყურებს მაღალი მილები. მაშინ გაიხარებს ბალაშოვი კოლია, იქ ჩემი სისხლით აგურები იდება, შიგნით ფუტკარივით აირევიან მუშები და გემო მიეცემა შეგინებას და ჭამასაც. მერე სადმე მოვკვდები და დავიმარხები. ჭია ხომ არა ვარ, რომ აქ არაფერი დავტოვო, მოვკვდე და ათასების ნახელავ საქმეში ბალაშოვის აგურიც არ ერიოს?!

ვოლკოვი გულდასმით და სიამოვნებით უგდებდა ყურს მებუხრის საჩივარს, მაგრამ ეს იყო თითქოს ბოდვა თავგახურებული ადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიანისა, რომელსაც გული აქვს და რაღაც უნდა. ეცადა ბოლომდე მოესმინა და კითხვაც მიეცა.

— კარგი, ბალაშოვ, ავაშენოთ. მაგას ხომ ფულები უნდა და შეძლება?

ბალაშოვი კი უფრო აენთო.

— მეც ვიცი, რომ ფული და შეძლება უნდა. თუ არ შეძლება, არაფერი გამოვა. გლეხმა იცის ასე. დღეს გაძღება, ხვალისათვის კი არაფერს ფიქრობს. ოლონდაც შეირჩინოს ის, რაც აქვს, და სხვა ფეხებზე ჰკიდია. სწორედ ისინი არიან, რომ ჩამოდიან აქ და ქეიფობენ სამიკიტნოებში, სვამენ ღვინოს, ხარჯავენ ათს, ოც თუმანს. შინ რომ ესტუმრო—ვაშლი და სხვა რამ ხილი არ აქვს, მიწა კი ბევრი აქვს. იმდენს არ ფიქრობს, რომ ტირიფის მაგიერ ხეხილის აბაზიანი ნერგი ჩარგოს. თვითონაც ბევრი ექნება ვაშლი და გასასყიდათაც ბევრი მოუვა. აი რა არის ჩვენი გლეხი, ძმაო.

შემდეგ სათემოზე გამოვა, დაიტრაბახებს: აი მე ზესტაფონში ამ დროს ათი თუმანი შევჭამე, ვიქეიფეო. ნამდვილად კი ხნავს ერთ და იმავე მიწას, მოჰყავს სიმინდი სწორედ იმოდენი, რომ მხოლოდ ოჯახი დაარჩინოს. ჩვენც ხომ ასე არ ვიზამთ? ჩვენ უნდა ავაშენოთ... თუგინდაც მამასისხლად გაგვიხდეს პურის ჭამა. პურს ვიშოვით, როგორც იქნება, მხოლოდ თუ ბურჟუამ შეგვყლაპა, მერმე ახალი რევოლუცია დაგვჭირდება. შვილები კი იტყვიან: არ ააშენეს, არაფერი ჰქონდათ და არაფერი შეეძლოთ, დედლები იყვნენო. აი ჩვენი მომავალი, ვოლკოვ.

— ავაშენოთ, ბალაშოვ, მაგრამ ევროპამ რომ არ იყიდოს?

— ჯანდაბამდე გზა ჰქონია, თუ არ იყიდის. ჯერ ჩვენ დაგვჭირდება მაინც და მერმე კი... მე ვიყავი სპარსეთში, იქ ბუხრები ვაშენე, სხვაგანაც ვიყავი. აბა თვითონაც სთქვი, სად არ ვიქნებოდი რუსი მებუხრე? ხარბინშიაც ვიყავ, ცინდაოში ვცხოვრობდი, ციციკარში, მუკდენში და ბომბეიში სახლები მიშენებია, ახლა იქ ყველგან რევოლუციები ხდება. ვთქვათ გაიმარჯვეს, მოიცილეს იხგლისელები და ამერიკელები თავიდან და თავიანთ ბურჟუაზიასაც წესი აუგეს, მოგთხოვეს შენ, ლუკა ვოლკოვო, რკინა და რას გაუგზავნი? ვერაფერსაც ვერ გაუგზავნი, ისევ ბურჟუას მიმართავენ და ის მიჰყიდის რკინას. რევოლუცია კი ურკინოდ არ იქნება. მერე რამოდენა ხალხი და ქვეყანაა, ჩვენ მათ ვერც კი გავუძლებთ, რომ ერთს დღეს მათთვის საჭირო საქონელი მოგვთხოვონ. რკინაა, ძმაო, საქმე, რკინა! თუ რკინა გვექნება, ბურჟუა ვერაფერს გვიზამს.

ბალაშოვის უკანასკნელ სიტყვაზე ვოლკოვი გულიანად იცინოდა და ხრჩობით უპასუხებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერე, რატომ არ ამბობ ასე, ბალაშოვო, შენც ხომ გლეხი ხარ ახლა? ჩაგიხურავს გული და შიგნით თურმე როგორი ამბები ჩაგიმარხავს, არაფერს ამბობ და ღვინოსა სვამ.

— როგორ არ ვამბობ! ვთქვი! კიდევაც ვიყვირე, მაგრამ სიტყვა არ ვიცი დალაგებული, არც წიგნი ვიცი იმოდენი, რომ გაზეთში დავწერო, კოლია ბალაშოვს მარტო კედლის და ბუხრის აშენებას უჯერიან და კიდევ იციან, რომ მე რაგინდ დავითვრე, წელან რომ ბიჭებს ვაგინებდი, მართლა კი არ ვაგინებ, არამედ ჩემს გულის ბოღმას ვიკლავ... და მათ ეს იციან. აქამდე საიქიოში გამამგზავრებდენ, მაგრამ კაი ბიჭებია ეგ ოხრები, წყეულები...

---

— ყველაფერი ეგ საჭიროა, მაგრამ მეოცნებე ყოფილხარ, ჩემო ძმაო, მეოცნებე, რაზეც ოცნებობ, საქმემდე უნდა დაიყვანო ის, სთქვა და გააკეთო საქმე, თორემ, ციბაძეს მოზვერივით რომ ირბინო და იბღავლო და ბუღრაობით მიწა რქებზე მოიდო, არაფერი გამოვა. თუ გინდა, ორივემ ერთად მოვკიდოთ ხელი და ვიმუშაოთ. ენახოთ, რა გამოვა, ბალაშოვ. ცუმცა ძნელია, შენ სულ ოხრობ და ითვრები. კაცი ხმას ვერ გაგცემს, რომ პირში ღვინო არ ამოგყარდეს და წინწანაჭრით გასლოკინებს.

ბალაშოვი უსმენდა და, თითქოს ბავშიაო, ზეზე წამოხტა.

— მორჩა, ლუკა. შენ მექვაბე ხარ, ხელოსანი, სადღაც ათას მთას იქით ქალაქებში ქვაბები გიშენებია, ბრიგადები გყოლია, კარგად იცი ჩვენი ძმის ხასიათი, თუ რამეს ფიქრობ და ვერ აკეთებ, ან კიდევ პირობები არა გაქვს, მაშინ ღვინოს სვამ, სხვას ვერაფერს მოიგონებ. ხედავ და ფიქრობ უკეთესზე, ხელები კი მოჭრილი გაქვს, მარტო შენი ჯიბე კიდევ არ კმარა წყეული. აბა დაიწყე რამე, მოგყვები. ღორღალს მოგიშვერ და აგურებმა ზედ გადაიაროს. ბალაშოვის კისერმა იცის, როგორ გაუძლოს. იქ ძარღვები ისეა გასკვნილი, რომ ხმალიც ვერ გადასჭრის. აი წვიმა მოდის გარეთ, თავსხმა და შხაპუნა. მე შიშველი დავდგები გარეთ და წყალი რომ შემოგვაკლდეს, ნამით დავიბან. პური თუ გამოგველევა—მიწას შევჭამ.

ბალაშოვი ეცა ლუკას, შემოეხვია მკვრივ მხრებში და გადაჰკოცნა.

— ხელები შემიკარი, სამუშაოდან რომ მოვიდე, და დამაგდე იატაკზე, თუ კიდევ დავითვრე ოხერი.

გარეთ კი ნაჩქარევმა წვიმამ გადაიღო, ღრუბლები მოედო მთებს და ჩაეფარა ტაფობებს გაშლილ ბატის ფრთებივით. ქროდა ნელი სიო, წვიმით დაწმენდილი, მჟავბადით გაჟღენთილი და მსუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუქი. ყვირილა მოდიოდა შავი ანტრაციტივით მბზინავი. იქით კი ძირულას შერთოდა ღელეების ნიაღვრის ნახეთქი და მორბოდა მღვრიე. სამარშრუტო მატარებლები მიგრიალებდენ, ხოლო შავი ქვის ყუთრონები მალების ტკაცუნით ძალუმად იღუნებოდენ მოხვეულში. შესართავს გაღმით კი ობლად მოჩანდა უზარმაზარი აგურხანის ციკლები და მთების სიმაღლე ბუხარი.

— წყეული ხარ, ოხერო მებუხრე, ჩერჩეტი, და მიყვარხარ შენი ეკონომიკით—უთხრა ლუკამ და მკლავით გასწია ის კარებისაკენ.

[redacted]

ვოლკოვი და ბალაშოვი გავიდენ ეზოში. მიდიოდენ წითელ გნეისმოყრილ ხვინჭკაზე. ალაგ-ალაგ გუბეები იდგა. ბავშები ცელქობდენ. გუბეში ისროდენ ქვებს და შეხაროდენ შხეფებში გადატეხილ მზის სხივებს, წამს რომ ძრავალ ფერად გაიშლებოდა. საყუდი კი იდგა მრავალი ასეული ფანჯრით, შავად გამურული, და ჩიხებზე დასრიალებდენ კოლომენის ქარხნის ვიწროლიანდაგის ორთქლმავლები. მემანქანე ტრიალებდა შიკნით, უძატებდა მაზუთს, მუშები კი მაგისტრალის გადალმიდან მოდიოდენ ჯგუფ-ჯგუფებად.

— გამოფხიზლდი, ოხერო! რა მუცელში ჩაგდის, მუდრეგო, მაგოდენი სპირტი! გეფიცები სიყრმეს, რომ აწი აღარ დაგზოგავ, გაგსრეს კალიასავით, თუ კიდევ დაითვერ და სადმე ჩაეგდე. გონება მაინც მოშალე და ჯანდაბას შენი თავი!

ეუბნებოდა ბალაშოვს ერთი იმათთაგანი, რომელიც აყალმაყალში ღებულობდა მონაწილეობას.

ისე კი ყველანი გულწრფელად იცინოდენ, როდესაც აგონდებოდათ ბალაშოვის სიმთვრალე.

— შენ, ამხანაგო ვოლკოვო, ჩვენს უჯრედზე ყოფილხარ მომაგრებული. ამხანაგები ამბობენ, რომ ბიუროში გაგიყვანოთ. შენ აქ ურალელების პრაქტიკა უნდა გადმოიტანო. აქაური ბიჭები იქაურზე ნაკლები კი არ არიან, მაგრამ რა ჭქნან: იმათოდენი საქმე არა გვაქვს და ესაა ჩვენი უბედურება, იქ თურმე მუშები არც კი ყოფნით. აქ კი იმდენი ხელოსანია, რომ მათ შეგირდების საქმეზე ვამუშავებთ. ახლებს კიდევ ვერ ვზრდით, სამუშაოს სივიწროვე ნებას არ გვაძლევს. კიდევ აქ ერთგვარი ბიურო გვაქვს, სადაც ამხანაგებს ევალებათ შემოიტანონ ისეთი წინადადება, რაც აქაურ შენებას ესაჭიროება, და სწორედ იმ ბიუროსაც უნდა უხელმძღვანელონ.

— ნაღდია, ნაღდი! ახალი ამხანაგი გვინდა... თორემ აქ სულ საერთაშორისო მდგომარეობაზე ლაპარაკობენ და ასე ვიწროდ კი ვართ. ჩვენ ჩვენი მუშაობა უნდა გავშალოთ - ეს გორები უნდა და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანგრიოთ, ზედ ქარხნები უნდა წამოვჭიმოთ, გალმა-გამოლმა მთები ხიდებით უნდა შეეაერთოთ.

იძახდა სერგია ობოლაძე, რომელსაც ულვაშები მაგრად დაეგრიხა, ყურებისაკენ გადაეწია და ეს გვარიც არ შეჰფეროდა, რადგანაც კვანძში მუშაობდა მისი დედ-მამა, დიდედა და პაპა ორივე მხრიდან განაგრძობდენ სოფლად დღეგრძელ სიცოცხლეს. თვითონაც კიდევ ორძოცის წლის გადამბმელი იყო, კარგად მოზრდილი ოჯახით.

ვოლკოვი გულიანად იცინოდა, მოსაუბრეებს კი არ ესმოდათ რატომ იცინოდა ის და ვოლკოვი გულუბრყვილო მოეჩვენათ. ხოლო ვოლკოვის სიცილი ამტკიცებდა მას, რომ აქ სამუშაო ნიადაგი იყო და უფრო დაახლოვებულებთან ამბობდა:

— კარგი ბიჭები ხართ, ამხანაგებო, და მეოცნებე მარტო ბალაშოვი არ ყოფილა...

და უახლოვდებოდენ შენობას, რომელიც გამოირჩეოდა ყველა ნაგებობაში. აშენებული იყო თეთრი ოთხკუთხედი დათლილი ქვებით. თეატრი თითქმის უსწორდებოდა ყველაზე მაღალ შენობას. ბილიკები და მოედანი მოეკირწლათ გნეისის ხრეშით და ფეხქვეშ ხრიშინი საამურად ერთოდა ხმაურს.

— აი, ამხანაგებო, ეს არის ამხანაგი ლუკა ვოლკოვი, გაიცანით პირადად. ჩვენ ახლა შეგვიძლია ყველაფერი გავაკეთოთ, ეს ურალელი ამხანაგია, იქაურ მუშაობას აქ გადმოიტანს, გაგვაცნობს და ვიმუშავებთ,—აცნობდა მუშებს ლუკას ერთი ამხანაგთაგანი, და ისიც ყველას აძლევდა სალამს.

---

ეზოს ერთ მხარეზე იდგენ ქალები და საუბრობდენ; მათ კარგად ეცვათ. ხელფასი ახლა კარგი იყო და საქონელიც იშოვებოდა. თითქმის ყველანი მუშათა ოჯახებიდან იყვნენ. ქალების შუაში იდგა მელაშა და ელაპარაკებოდა მათ. მისალმებაზე მობრუნდა ვოლკოვი-საკენ და სამაგიეროთ სალამი ვეღარ მოახერხა. იგი ნაცნობი იყო, მაგრამ მოუგონებელი, დიდის ხნიდან ხსოვნის კუნჭულში მიმალული, და შეუძლებლად მიაჩნდა მოგონების აღდგენა. ამიტომაც ცქმუტავდა და გრძნობდა უხერხულობას. ცოტა ხნის მიჩერება იყო საჭირო, და დავთრები მთლად დაებნეოდა, აენთებოდა სახე, დაებმოდა ენა. და ქალები მიხვდებოდენ, როგორ მოსვლის უმალ შეასკდა მათი ბელადი უცხო კაცს. მელაშასთვის ახლა ძნელი იყო იმ სისუსტის გამოჩენა მამაკაცთან, რომელიც ყოველ ადამიანს გააჩნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელაშამ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. იქით მდინარე მოქუხდა და მოჰქონდა მჩატე ჰაერი.

მან კვლავ შეხედა ვოლკოვს და დაეკარგა მოსვენება, აუთრთოლდა გული. თვალები აღარ ამბობდენ, რომ ის ფიქრობდა რამეს.

უნებურად დაეშვა სკამზე და შემოიხვია მკლავები მკერდზე, სტეხდა რაღაც უცნაური გრძნობა, რომელიც იშვიათად იყო ხოლმე მის სხეულში და რის შემდეგაც მელაშა თითქოს გოგონად იქცეოდა, ემატებოდა ძალა და აზროვნება. ღვივოდა ქვანახშირის აგუზგუზებულ ნაღვერდალივით.

ქალებმა თითქოს გაუგეს მელაშას და ყველანი გარშემო იდგენ ჩუმად, უსიტყვოდ. უყურებდენ მელაშას, უკანასკნელიც გრძნობდა ამას. ქალები ინაწილებდენ მის აღელვებას და ამიტომაც კიდევ დამატებით უყვარდა მელაშას ეს ქალები, ხანდახან ძალიან უხეშები, კაპასები, მყვირალები, აშარები, მაგრამ განსაზღვრულ წუთებში ისეთივე გრძნობიარენი, როგორც თვით მელაშა. ამასთანავე კიდეგ იყო გაზაფხულის შუაგული, მზეს მოჰქონდა ყოველდღივ ახალი სითბო, იშლებოდა ყვავილები, კვირტები, სიოზე გრიალებდენ ხეები და იძროდა ყოვილი სხეული. გორაკებში გათხრილ რკინის გზის ლიანდაგის გასწვრივ სეირნობდა საგაზაფხულოდ მჩატე ტანსაცმელში გამოწყობილი კვანძის მოსახლეობა, და მოისმოდა ხმაური.

შორიდან მოსულმა ორთქლმავლის გუგუნმა მელაშა ჩვეულებრივ განწყობილებას დაუბრუნა. ამოისუნთქა, გაისწორა თავსაკრავი და წამოდგა აწითლებული. კლუბის ზარი იხმობდა ხალხს დარბაზში. ხალხიც შედიოდა და იკავებდა ადგილს.

მელაშაც ჩამოჯდა პრეზიდიუმის მაგიდასთან, იგი აღარ იყო დაბნეული და მტკიცედ უყურებდა შეკრებას, მათ რიცხვში ვოლკოვსაც. კუთხეში კი ცალი მხრით კაპასობდენ ქალები და ბოხი ხმით აჯავრებდა მათ ობოლაძე, რონოდების გადამბმელი.

— აი, თქვე ეშმაკის კერძებო! დაჩუმდით! ყურთა სმენა იყოს! სადაც მუშების კრებაა, იქ მოჰყვებით სწორედ ყვირილს, სხვაგან კი ხმას არ ამოიღებთ. მერე კიდევ სულ კონტრ-რევოლუციონურ ამბებს ლაპარაკობთ, თქვე წყეულებო, თქვენა. სიცოცხლე აქვს სერგო ობოლაძეს თქვენ ცხელი დღე დაგაყაროთ მაგისათვის, აშარებო!

— შენ, ეი, ობოლაძე, სულ კონტრ-რევოლუცია რომ გელანდება, როტომ არ ტაცი, რომ ჩვენი ამოცანაა ქალებმა ხმა ამოიღონ, იყვირონ, ილაპარაკონ, ენაჩაგდებული არ იყვნენ, შენ რომ გაგიგონონ, უფრო მეტი კონტრ-რევოლუცია ის იქნება.

— ამხანაგო მელაშა, თქვენ მართალი ხართ. ილაპარაკონ ქალებმა, ეს ძალიან საინტერესოა, აიმედა ვოლკოვმა მელაშა და გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახედა ობოლაძეს, რომელიც შეხედვის უმალ შუა ყვირილზე შეჩერდა.

— ამხანაგო ვოლკოვ, მაგათ ალაპარაკებას და ენის ამოდგმას მე მთელი წლები მოვუნდი, ეს ოხერი კი აჩუმებს, კონტრ-რევოლუცია ჰგონია წყეულს.

მელაშას თქმაზე ობოლაძე უფრო გადაირია, აღიზიანებდა ქალებს და თვალებს ქორივით აბრიალებდა. ის იძახოდა:

— აი, წახდა საქმე! სადაც ეს წყეულები, კუდიანები ჩაერევიან, იქ პატიოსანი კაცს აღარც კი ეცხოვრება.

— დააჩუმეთ ეს ლაქლაქა, თორემ გავათრევ! ყვიროდენ ქალები, რაზედაც ვოლკოვი გულიანად იცინოდა და აღტაცებით ეუბნებოდა მელაშას:

— ამხანაგო მელაშა, ძალიან აქტიური ქალები გყოლიათ, მათ დახმარებით რამის გაკეთებაც შეიძლება.

მელაშა კი იჯდა მაგიდის ახლო და ეს იყო პირველი ახლო დალაპარაკება ვოლკოვთან. ის გრძნობდა, რომ ის, ვოლკოვი, უფრო მეტი იყო, ვიდრე ერთის თვალის გადაკვრით მოჩანდა. ამიტომ გამოუცნობი ხუთვა უჭერდა ყელში და სამაგიერო პასუხს ველარ ახერხებდა.

— თქვენ, ამხანაგო ვოლკოვ, არ იცით ამ ქალების ამბავი. გაგწეწავენ, ისეთი აშარები არიან, მაგრამ არა უშავს, მოუვლით.

— თქვენი ბრალია, ალბათ, თქვენც აშარი იქნებით და იმისათვის არიან აშარები თქვენი ქალებიც.

ვოლკოვმა ეს ისეთის ჩვეულებრივი კილოთი უთხრა მელაშას, რომ ქალს სრულებით დაეკარგა ის პატარა ეჭვიც კი, რომელიც მას გააჩნდა. თუ ვოლკოვი ის იყო, მას რომ ეგონა. კარგად უნდა სცოდნოდა მელაშას ამბავი: აშარი იყო ის თუ წყნარი. ამასთანავე ვოლკოვის თვალები, წარბების ზიდვა, მხიარულება მელაშას მაინც აგონებდა იმ შორეულ ამბავს, რასაც ის ერთ ავ წუთს მოსწყდა. მელაშამ კიდევ კრიტიკულად გაარჩია სიტყვა „აშარი“ და, ცოტაც არ იყოს, ეწყინა. არ იცოდა რა იყო აქ ქალებისათვის სამარცხვინო და მით უფრო მისთვის პირადად. აქ იდგა ქალთა აქტივობის საკითხი და ამისათვის ქალების ყოველგვარი ზნე უნდა გამოეყენებია მელაშას. რატომ წამოცდა ვოლკოვს ის, რაც არ იყო საჭირო, თუ გინდაც გულში რომ ჰქონებოდა? რატომ სწორად არ სვამდა საკითხს და მოეჩვენა, რომ ვოლკოვი ერთი მრავალთაგანია, გუგულივით გაჰყვირის, დაეძებ- თავის ტოლს, და როდესაც აღმოაჩინა ტოლი, იფრინეს ერთად. შემდეგ მამალი გუგული გაფრინდა ისე, რომ ერთ-

ხელაც აღარ გაახსენდა ტოლი, ხოლო დედალმა შეაფარა თავი სხვა მთას და ქორის ბუდეში ჩასდო კვერცხები.

მელაშას ცოტათი შეეზიზღა კიდევაც ვოლკოვი, მაგრამ ჯერ არ გრძნობდა საბოლოოდ გულის აყრას, თუმცა ასეთი წუთის მელაშას ისე ეშინოდა, როგორც სიკვდილის. რამდენადაც აზრები თავში ირეოდენ და სცილდებოდა ის ვოლკოვს, იმდენად ვოლკოვის თითო გაპოხდვა ძირშივე ანგრევდა მელაშაში აღძრულ ვოლკოვის მიმართ უარყოფით განწყობილებას.

— თქვენი რიგია, ამხანაგო მელაშა, — გამოაცხადა თავმჯდომარემ.

მელაშა ადგა და დაიწყო ლაპარაკი. ქალებიც გაჩუმდენ და უსმენდენ. მაგრამ არ ისვენებდა ობოლაძე, ყველაფერს ქალებს აბრალებდა და წამოიძახა.

— ჩვენ, ამხანაგებო, მუშაობა გვინდა, აქ კი ქალები მოგროვილან და ლაპარაკობენ. რას გვეტყვიან ესენი კარგს...

ეხლა კი ველარ მოითმინა ბალაშოვმა და, რაც ძალი და ხმა ჰქონდა, იყვირა:

— შენ, ეი, გადამბმელო, დაანებე მანდ თავი ტყუილ-უბრალოდ ყვირილს, თორემ სიცოცხლეს დაგამწარებ! მოვუსმინოთ ამხანაგ მელაშას, ჩვენ ლენინი გვასწავლის, რომ ქალთა მონაწილეობის გარეშე არ შეიძლება სოციალიზმი აშენდეს. გესმის ეს, შე ყრანტალა?!

— მესმის და შენზე უკეთესადაც.

— თუ გესმის, მაშინ ენა ჩაიგდე, თორემ კონტრ-რევოლუციონერი შენვე იქნები!

მიუგო ბალაშოვმა და ჩამოჯდა. მელაშა კი განაგრძობდა:

— ჩვენ, ამხანაგებო, ასე ვერ გავჩერდებით, უნდა ავაშენოთ რამე საწარმოო, თორემ ასე არ იქნება, ეს ქალები რომ ყვირიან, უბრალოდ ხომ არ ყვირიან, თავის დროზე ისინი დათხოვდენ, შვილები ჰყავს ყველას. თქვენ კარგად იცით, მთელი ჩვენი ოჯახები სავსეა მოზარდებით. მათ სამუშაო უნდათ და ის კი ჩვენც—დედებსა და მამებს—არ გვყოფნის. სოფლიდან ახალგაზრდობა გვაწყდება და ჩვენ მათ უკან ვაბრუნებთ.

— მართალია, ამხანაგებო! ჩვენ ასე ვერ გავჩერდებით, რამე უნდა გავაკეთოთ, თორემ არ იქნება ასე, კაცებს რა გიშავთ, სამუშაოზე ხართ, შინ მუშის ულუფას მიირთმევთ და გარეთ კიდევ სადმე პირს წაჰკრავთ, ან კიდევ ჯამაგირის ნახევარს არ მოიტანთ შინ, —გაწიწმატებული იძახდა ობოლაძის ცოლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ყოჩაღ, ყოჩაღ, დედაკაცო, ეგრე სთქვი, მაგრათ დაარტყი, ეხლა კი გვესმის, რატომ იძახის სერგია ობოლაძე, ეგ „თბილისფეხი“ გადამბმელი, ქალები ეშმაკები არიან და მათი ყვირილით არაფერი გამოვაო. ჯამაგირი არ მიაქვს, ალბათ, მაგ სალახანას შინ!

იძახდა ხრინწიანი ხმით ბალაშოვი და მოჰყვა ქალების წაქეზებას.

— ჩვენ ვაჩვენებთ მაგათ, როგორ უნდა ქალების ალაგმვა, მეორე და პარტბილეთი ჯიბეში უდევს, თავზე უნდა დაახიო მაგ არამზადა გადარეულს, თავზე! ეხლა კი მოისმინეთ, ამხანაგებო, კრება გრძელდება.

— ამ მიზნისთვის გამოყოფილი არიან ამხანაგები. როდესაც ინჟინრები ჩამოვლენ, მათ უნდა უთხრან, რომ აქ რამე დაიწყონ. როგორც ხედავთ, მდინარეები და მთები ბევრი გვაქვს, ვიწრო ლიანდაგი მაინც გააფართოონ, ელსადგური მაინც ააშენონ ან წისქვილი ააგონ.

— აი, გენაცვალე ქოჩორში, ნამდვილი ქალი ხარ, მელაშა! ჩვენ არ ეტყუვდებოდით, როდესაც ქალთა ორგანიზატორად დაგასახელეთ,— ქსინავდა წინა რიგში მექანიკოსი ლენტო, თანაც მთელი სახით იცინოდა და უზარმაზარ პირს აღებდა, რომელიც არც ისე ძალიან მოსჩანდა: სქლად ამოსული ულვაშები მკერდამდე სწვდებოდა.

— ბურჟუას ჰგავს ეს, ფიქრობდა ბალაშოვი კოლია. მაგრამ ლენტო სახელოსნოს დაარსებიდან მუშაობდა იქ მექანიკოსად. არა ერთი თაობა გაზარდა მექანიკოსების, ზეინკლების და ხარატების. ლენტოს ხუმრობასაც კი დიდ მნიშვნელობას აძლევდენ მუშები და პარტუჯრედიც დიდის პატივისცემით ეპყრობოდა. მართალია, სულ ორი თვე იყო, რაც ლენტომ პარტიის საკანდიდატო ბარათი მიიღო, მაგრამ მას ჰქონდა ცოტაოდენი დამსახურებაც. არ შევიდა მენშევიკურ პარტიაში მენშევიკების დროს და ვერავითარი სასყიდლით ვერ გადაიყოლიეს ის სხვა პარტიებმაც. ამ კვანძის მუშები ლენტოს უყურებდენ და არც ისინი შესულან მენშევიკურ პარტიაში. ახლა კი რად არ უღირდათ, რომ კრებაზე მათ ვერავინ წამოსძახებდა მენშევიკურ პარტიაში ყოფნას?

— მაშ წინადადება შემომაქვს: ამ საქმეს ამხანაგმა ვოლკოვმა უთაოსნოს, ის, ამხანაგებო, ბიუროშიაც უნდა შევიყვანოთ.

წამოაყენა ლენტომ წინადადება.

— კარგია! კარგია! ოღონდაც რამე ააშენონ, მოახედოს აქეთ ის წყეული ინჟენრები, მთავრობაშიაც მიმართოს, თორემ ლამის დავდუნდეთ. მარტო ოთქლმავლებისა და შავი ქვის რონების მეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა ჩანს რა. მთები უნდა გადავაბრუნოთ, ქვას ზეთი გავადინოთ და ქვანახშირი აღმოვაჩინოთ.

ამბობდა კიდევ ვიღაც შუაგულიდან.

ეხლა კი სიტყვა ვოლკოვს ეკუთვნოდა, და ხალხიც შეჩერდა.

ვოლკოვმა საყვედურით დაიწყო.

— ამხანაგებო, მარტო ყვირილი არაფერს შველის, თუ საქმეს მოგვანდობთ, ვეცდებით გავაკეთოთ, ხოლო აქვე უნდა ვთქვათ რა შეგვიძლია. აი, ამხანაგებო, ობოლაძე იძახის, ქვას ზეთი გამოვადინოთ, ქვანახშირი აღმოვაჩინოთ, ნავთის ჭები ამოვიყვანოთ, თავსაბანი მიწა კიდევ ევროპაში გავზიდოთ. ყველაფერი ეს ძლიერ კარგია, მაგრამ თუ არ არის ამ რაიონში ასეთი მადნები, მაშინ რა ვუყოთ?

ამასთანავე თქვენი ცხვირწინ არ გინდათ დაინახოთ რამე, აქ დაბადებულხართ, გაზრდილხართ, ამ შავ ქვას კი, ამხანაგებო, ყურადღებას არ აქცევთ, და ევროპაში გადის ის მას შემდეგ, რაც აღმოაჩინეს. თქვენ არც ის იცით რათ გადის, ვის რისთვის სჭირდება და რას აკეთებენ მისგან. ევროპა სულელი არაა აქედან ქვიშა წაიღოს. ევროპა შავ ოქროს ეზიდება. თქვენ მას ქვანახშირს ეძახით და ის კი სრულებითაც არ იწვის, რკინისა და თუჯის გამოდნობა უმარგანეცოდ კიდევ წარმოუდგენელია. თქვენ, ამხანაგებო, არც ის იცით, მგონია, რომ ასეთი მარგანეცის მადანი მთელს ქვეყანაზე არ მოიძებნება. მარგანეცი მიაქვთ აქედან კაპიტალისტებს და მის გადამუშავებაში იქ მუშებს ჰყვლეფავენ. ჯანდაბამდე გზა ჰქონია ბურჟუაზიას, ამხანაგებო, ეყოთ, რაც გვეჰმეს. აი, ამხანაგებო, საკითხის წამოჭრა თუ გნებავთ, ეს მარგანეცი აქავე გავაკეთოთ ჩვენ ფაბრიკატად, ფერომარგანეცად. ჩვენ ის ურალში ევროპიდან შემოგვქონდა მამასისხლად და ერთს დღეს რომ არ მოგვყიდონ ფერომარგანეცი, ჩვენი რკინის წარმოება დადუმდება, რკინა აღარ გვექნება, და ევროპაც ადვილად ჩაგვიგდებს ხელში. თუ ჩვენ ფერომარგანეცის გადასამუშავებელ ქარხანას ავაგებთ, მუშების მოყვანა სხვა მხრიდანაც კი დაგვჭირდება. ერთ მუჭა ქვასაც აღარ გავატანთ ბურჟუას, აქ გადავამუშავებთ და ინებონ და ოქროზე შეიძინონ ჩვენგან ფერო.

და იცით რა იქნება ეს, ამხანაგებო? სულ ორს წელიწადში ველარ იცნობთ ამ დარაბებიან ზესტაფონ-შორაპანს, არ გვინდა სამიკტნოები, ჩვენ ქარხანა გვინდა, შიგ რომ დატრიალობდენ ათასობით მკლავმაგარი ბიჭები და მერე ჩვენ ვიცით, ამხანაგებო. მაშინ აღარც ეს ქალები იყვირებენ, ყველას სამუშაო ექნება, ყველას შვილები შევლენ იმ ქარხანაში, გასათხოვარს ექნება მზითვად შრომა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილებს—სოციალიზმი და მოხუცებს კიდევ გაუბოროტებელი სიბერე. აი, ამხანაგებო, ეს საქმე უნდა გავაკეთოთ ჩვენ.

დარბაზი სულგანაბული უყურებდა ვოლკოვს. მელაშა ახლა მთელის ყურადღებით ისმენდა სიტყვის წარმოთქმის ტონსაც კი. თითქოს არც კი ენახა აქამდე ვოლკოვი, თითქოს არც უფიქრია მის ბრიალა თვალებზე, სადა მავ წარბებზე.

— მშვენიერი ამხანაგი ხარ, ამხანაგო ვოლკოვ. ქვა შეგიძლია დაადულო თქვენ. ფერო თითქოს გვაქვს. მწამს ეს საქმე, არამც თუ მე, აი ყველას.

და დარბაზში მართლაც აღარ იყო ისეთი კაცი, რომელსაც სჯეროდა, რომ ქარხნის აშენებაზე ვინმე უარს იტყოდა.

— აი, კაცო! ხომ ვამბობდით, ურალის მუშაობის პრაქტიკას გადმოიტანსო. მართლაც, რატომ აქნამდე ვერ მოვიგონეთ და სადღაც ეშმაკში ვაგზავნიდით ამ ოქროსავით მადანს?

— ამაზე კი ველარ გვეტყიან უარს.

— ეს ხომ ნაღდი საქმე იქნება.

— მუშები იჩქაროდენ შინისკენ.

---

— ძალიან გაგინებებიათ თავი აქაურობისათვის, ამხანაგო მელაშა. აგიშენებიათ ერთი აგურხანა და მისჩერებიხართ მას და ბოგვერაძეს. ეს როგორი ქალაქია, რომ ერთი ბუხარი დგას? ამოდენი ხანი აქ დადიხართ და გგონიათ, რომ საქმე გიკეთებიათ. აგრე არ ვმუშაობდით ურალში. ერთ მუჭა ნედლეულსაც ვერ წაიღებს იქიდან ევროპა. იქავე ვამუშავებთ და მერმე მიირთვან რამდენიც უნდათ, ხოლო ჯერ შინაც არ გვყოფნის ის.

ფერო კი აუცილებლად უნდა ავაშენოთ. ასეთები აღარ უნდა დარჩენ მაშინ ეს გძელი ყუთრონები. იარონ მათ ფეროთი დატვირთულებმა და გაზარდონ ჩვენი ნავსადგურები. აქ კი დამსხდარან და ოცნებობენ: ეს და ის გორა შეართონ, ქვანახშირი აღმოაჩინონ იქ, სადაც ის არ არის, ნავთი ამოიყვანონ იქ, სადაც არ მოიპოვება. ეს უდრის ბუზების თვლას, რომლებიც სიცივეზე ხელად იხოცებიან. ჩვენი ქალები კი ყიდულობენ მოქვიშნეულის თავსაბან მიწას და მითიც კმაყოფილნი არიან. გესმით, ამხანაგო მელაშა, ასეთი ჩამორჩენა დაუშვებელია!

კრების მიმდინარეობაში მოსაღამოებულიყო, ელექტროც აინთო. ვოლკოვი იცვამდა ქურთუკს, წასასვლელად ემზადებოდა, გაჭირვებით უყრიდა სახელურებში მკლავებს და ტყავი ჭრაჭუნებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელაშამ ეხლა უფრო გაბედვით შეხედა ვოლკოვს ელექტროს სინათლეზე. სახე ისევ ნაცნობი იყო, მაგრამ აღარ იყო ნაცნობი მიხვრა-მოხვრა. ვოლკოვი, ჩვეულებრივ, ადგილიდან არ იძროდა. შეკითხვაზე მოხრიდა მხოლოდ თავს და უკიდურეს შემთხვევაში შემოტრიალდებოდა მთელი ტანით, როგორც ძველი გამოცდილი მხედარი. ასევე იყო დაგეშილი სახის ყოველი ხაზი, და ძნელი იყო ეჭვის შეტანა, რომ ვოლკოვი ადგილობრივი ვინმე ყოფილიყო. მაინც აკვირვებდა მელაშას მისი ქართულის კარგად ცოდნა, მაგრამ ეს იყო მეტად პატარა საბუთი. ბევრი ენახა მელაშას გადმოყვანილი პარტიული ამხანაგები, რომლებიც ხელად ითვისებდენ ენას და ხშირად ქართველებზედაც უკეთ ლაპარაკობდენ ქართულად.

— გამარჯვებით, ამხანაგო მელაშა. შეგიძლიათ ამაღამ კარგად დაიძინოთ, მხოლოდ ფანჯარებს ნუ დატოვებთ ღიას, ღამე წვიმა ისევ მოვა. გეტყობათ ჯანმრთელი ხართ და კარგი ძილი გეცოდინებათ. საშიშია არ გაციოდეთ.

ვოლკოვი კარამდე იყო მისული, ჩექმებით იატაკს ანძრევდა. კარში არ გაეტია, გააღო მეორეც და თავისუფლად გავიდა.

კიბეზე მოისმა ღრმად და წმინდა ჰაერით კმაყოფილი შესუნთქვა. ელექტროს სხივებზე მოჩანდა პაპიროსის ბოლი და ბზინავდა მოწითალო ქურთუკი.

ვოლკოვი კი მიდიოდა. მელაშა მოელოდა, რომ ის დაბრუნდებოდა, რამე დარჩა მაგიდაზე, თუნდაც დაბღაჯნილი ჩანაწერი, თუნდაც რამე კითხვა ან მელაშასთან, ან კედელთან, ან დამლაგებელთან. მაგრამ გნეისმოყრილ ეზოში ფეხის ხმაც აღარ ისმოდა. ვოლკოვი ჩაიყლაპა ჩიხებსა და შენობებს ბორის. წარმოიდგინა მელაშამ, რომ იქ, ჩიხების გადაღმა, კოლია ბალაშოვის ბინაში გაიშოტებოდა ტახტზე ვაჟკაცი. მას არ მოუვლიდა ცოლი, არც დედა და არც სხვა ვინმე.

— ახ, ან რაღა იყო ასეთი მზრუნველობა, რას ჩივის ვოლკოვი, მელაშას კარი დარჩება ღია თუ ფანჯრები? რა იცის მან მისი ჯანის, ან როგორ სძინავს და ან რა ამინდი დადგება ამეღამ? იქნებ სულაც მოკასკასებული ცა იყოს და ღრუბლები ზღვაში ჩაიხრჩონ, იქნებ სულაც დააქციოს აპრილის ღამეში წვიმამ და თქეშმა ქალაქი. რადა სწუხს ამას ვოლკოვი, მაღალი, ურალელი, ოთხმტკაველა ბეჭებით, რუსული ჩექმებით და ტყავის ქურთუკით?

მელაშა დიდხანს ვერ არჩევდა გარშემო საგნებს და მხოლოდ მაშინ შენიშნა ისინი, როდესაც ელექტრომ სინათლეს უმატა და ერთი დიდი ჩქერი გაათვისეს საყუდში მუშაობის გათავების გამო. და ამ ახალ და ვარვარა შუქზე ყველაფერს მნიშვნელობა ეძლეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და—სკამსაც, რომელზედაც იჯდა ვოლკოვი, დაბღაჭნილ ბლოკნოტის ფურცელს, მაგიდაზე დაგდებულს, ფანქრის მოტეხილ წვერსაც, მაგიდის მიშვებულში ჩარჭობილს.

ხის ტაბურეტი იყო მაგარი, შეკრული წებოთი და მაგარი ლურსმანჭდილებით.

მელაშამ სკამს ხმაც ვერ გამოაღებია. ბოლოს ჩამოჯდა ზედ და ჩაუკვირდა ქაღალდზე დაწერილ სიტყვებს და წინადადებებს, ოქმის შავად დაწერილ რამოდენიმე ფორმულას. იქ აზრს ვერ ამოაკლებდი ერთ სიტყვას, ერთ ასოს. იყო ნაწერი ტეხილად და დაწოლით, ასოს ყოველგვარ დამახასიათებელ ხრახნებით. ერთის შეხედვით ხელნაწერი გაურკვეველის შთაბეჭდილებას სტოვებდა, მაგრამ უცებ კი ამოიკითხავდი. მძიმეები თავის ადგილას იყო დასმული. წერტილები—ძრგვალები და დაჭერილები. სხვა ნიშნები ნაწერს არ სჭირდებოდა, გარდა ერთი ორწერტილისა, რომლის შემდეგ იხსნებოდა აზრი და გამოთვლილი იყო საგნები. აქ ამ ორ წერტილს შორის არავითარი განსხვავება არ იყო, ხოლო მათ შუა თითქოს აბრეშუმის ჭიის პირიდან ნერწყვად ნადენ ძაფის სიმსხოდ მქრალად მოჩანდა ოდნავი ხაზი, რომელიც ზედა წერტილიდან ქვედა წერტილამდე ეშვებოდა და არ სწვდებოდა.

რა იყო ეს ორი წერტილი, რა იყო ეს მიმქრალი ხაზი? რად იყო მაგარგრაფიტიანი ფანქრის წვერი წატეხილი? ჩვეულებრივ წერაში ხომ არ მოტყდებოდა?.. რად მოტყდა? რად იყო ფანქრის წვერი ჩაჩხირული მაგიდის ფიცრების მიშვებულ პირთ შორის? ხომ არ ღელავდა ვოლკოვი? რატომ ღელავდა, რა აღელვებდა მას? ის ხომ არა, რომ იქვე იჯდა მელაშა? მელაშა მიკროსკოპიულ წერტილსაც კი მისცემდა მნიშვნელობას, რომ მათი ხილვა შესაძლებელი ყოფილიყო. და გადაჰყლაპეს ის ამ წერტილებმა, მძიმეებმა, უნებურმა ხაზებმა, ასოების ხვეულებმა, ქაღალდზე ნაოფლარი თითების ანაბეჭდებმა ლაბირინტივით აბურდული ხვეულებით.

სულაც არ ფიქრობდა ის, რა ხაზებს იღებდა სახის კუნთები ასეთ დაფიქრების წუთებში და გამოარკვია დამლაგებელი ქალის ნელმა შემოსვლამ დარბაზში. დამლაგებელს ბევრჯერ უნახავს მელაშა მარტო და ქალებშიაც, მაგრამ ასე კი არასდროს. უკვირდა დამლაგებელს, რა ეწერა იმ ქაღალდში ისეთი, რაც ხანგრძლივ დაკვირვებას მოითხოვდა, რა ქმნიდა მელაშას სახეზე ასე ყურადღებად გადაქცეულ გამომეტყველებას და, ალბათ, აკვირებდა საერთოდ მელაშას ასე ნახვა. მელაშა იყო ქალების ბელადი აქ, და დამლაგებელიც ძალაუნებურად მისჩერებოდა. ყოველ შემთხვევისათვის დამლაგებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალი დაჩუმდა და მისცა მელაშას ღრმად ფიქრის და გატაცების საშუალება.

იგი გამოარკვია უფრო შემოსულის მიჟინებულმა მზერამ, ვიდრე ფეხის ხმამ. დაემშვიდობა ქალს და გამოვიდა ეზოში. ცაზე ბრწყინავდენ ვარსკვლავები. ღრუბლები არსად იყო ჰორიზონტზე და იდგა უხვად სასუნთქავი ნიავი. მელაშას ფიქრი ერთ წამსაც არ სცილდებოდა. ელნათურების სხივებზე ხრეშზე აქა-იქ მოჩანდა ჩექმის კვალი. მელაშა მათ ადგამდა ფეხს და მიდიოდა იქეთ, საიდანაც კვალის გეზი მიდიოდა. კიბეზე ავიდა, ცემენტის ყორის პირას იდგენ მაღალი შქერფოთოლა შაგნოლიები, საყუდში შიშინებდა ოთქლმავალი, ისრებზე წვალობდა ორთქლმავლის მეზღაპრე მეისრე. ქვევიდან მიდიოდა კიდევ ორიოდე დაგვიანებული მოსეირნე და ხმამაღლა ბოხი ხმით იციანოდენ. მათ მელაშას ჩაუარეს ახლოს. ხმა არ გასცეს. ბინა არ იყო შორს. უნდა გადაევლო მაგისტრალი. ქვევით, წყლის პირად, ორსართულიან სახლში ეჭირა მელაშას ორი პატარა ოთახი. ფანჯრები წყლისკენ გადიოდენ. მელაშამ შეაღო ოთახის კარი, საწვიმარი ჩამოჭკიდა კედელზე და ძთლად დააღო ფანჯრები. გასული სხივები ეფინებოდა მდინარეს და გამოჩნდა ბბორგავი მდინარე, მარგანეცის ნარეცხისაგან გაშავებული. ძას ერთოდა ძირულა, ანკარა მთის მდინარე, და შერთულში ადუღებულ კალოსავით ტრიალებდენ, ხვარხვარებდენ და ეზავებოდენ ერთი-მეორეს. ქვევით კი ძირულა მთლად შავდებოდა ჯებირის ვარდნილებში, და განაგრძობდა გზას ყვირილა ამაყი რიყის ჯახუნით.

მდინარის ნიავი უხვად შემოტრიალდა მელაშას ბინაში. ცოტა ხნის დასვენების შემდეგ მელაშამ გადაიცვა ღაძის ტანსაცმელი, შეასწორა ფიალაში ბლოძად ჩარჭობილი ყვავილები და უხებურად შემოტრიალდა ორიოდეჯერ სარკეში. დაკვირვებით გაისინჯა სახე და სხეული. შუბლზე არ ეკრა არცერთი ნაოჭი, არცერთი ჭორფლი და ზედმეტი ხაზი. ხშირი თმები კი ვაზებივით ეყარა ყურებსა და ბეჭებზე.

გაეხვა საბანში და ჩაიძინა.

---

— ეს კრება საინტერესო იყო.

ასეთი ფიქრით გამოვიდა დარბაზიდან ვოლკოვი. მიხრიშინებდა ხვინჭკაზე და აბოლებდა პაპიროსს. არ ჰქონდა გარეშე და თავის პირად ამბებზე ბევრი ფიქრის საშუალება. სათითოოდ სწონიდა კრებაზე გამოსულ ამხანაგებს და იმუშავებდა მათზე თავის შეხედულებას. ვოლკოვს არ აწუხებდა ვინ როგორი იყო დღევანდელ ამხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაგებში პირადად, ვინ როგორ გაიგო რევოლუცია. ყველანი ფიქრობდენ შენებაზე, რასაც საფუძვლად ედო გულსა და ტვინს იქით დამალული ბურუუას შიში, და ამ შიშის საბოლოოდ თავიდან ასაცილებლად ფიქრობდენ შენებაზე, თუმცა ფანტასტიურად. უნდოდათ აღმოეჩიხათ აღმოუჩენელი რამ, მაგრამ პრაქტიკულიც გამონახეს. სერგია ობოლაძეც კი ფიქრობდა შენებაზე და მთების განგრევაზე.

ქალები პირდაპირ აყენებდენ საკითხს, და ვოლკოვის ამოცანა იყო მხოლოდ ამ მხრიდან აეწოხა მუშები და შემთხვევის დროს ხელში ჰყოლოდა, როგორც შენებისათვის მზა ორგანიზაცია.

აიარა კიბე, გადავიდა ჩიხებში, მიდიოდა ნელა. ჩიხებს შუაგულში მაღალ სვეტებზე ეკიდა ხუთიათასსანთლიანი ელნათურა და პატარა მთვარესავით ანათებდა რკინით გადაკერილ მიდამოს.

შეუდგა გორაკს ბილიკით, ბალაშოვის ბინისკენ. სინათლე უნათებდა მარცხნიდან და აგდებდა ისე დიდ ჩრდილს, რომ ძლინარის გაღმა სწვდებოდა. დიდხანს იმზირებოდა ის გარშემო მოწმენდილ ღამეში. ახლდებოდა ნაცნობობა. გაღმა მთები, გორაკები, პატარა მინდვრები, მაღალი ალვის ხეები, ვეხახები, შარა-გზა და ღურღმელა ღელეები უდგებოდა ხსოვნაში და დიდ ცვლილებას ვერ ამჩნევდა. წინად იმ გორაკებზე იყო ტყეები, ჯაგვები, შემდეგ, ალბათ, გლეხებმა გაჩეხეს, დაღარეს ღვარ-ღელეებმა. გამოღმა კი რკინისგზის სადგური, თეთრი ქვით ხაშენი, ფართო და შავი სახურავით, ჩიხებს ზევით გადასასვლელი ხიდი, ბოძები და ცენტროისარის კოშკი, რომელიც წინად ეჯავრებოდათ მეისრეებს, რადგან ისინი თითქმის ყველანი დაითხოვეს სამსახურიდან. ტენტროისრები იდგენ ახლა საცოდავად და მეისრეებთან შერიგებულად. აღარავის არ აკვირვებდა ეხლა მათი სიდიდე, როგორც ეს იყო ოდესღაც. გორაკებზე აღარ იდგნენ ქალები „მაშინის“ დასანახავად, თითქის ყველამ იმგზავრა მატარებლებით და მობეზრდათ კიდევაც, ეხლა ისინი დასანახავადაც პატარანი იყვნენ და სამგზავროდაც.

— დაიქცით, გორაკებო!

წამოიძახა მან გაბოროტებით. მიჰყვებოდა ბილიკს და უფრო შორს მიძვრებოდა თვალებით ამ ვეებერთელა ტაფობში. შემდეგ კი ყველაფერი შეიცვალა ოცნებით: აქეთ-იქით მთებზე, შორს, სადაც თვალი მისწვდებოდა, დაასო უზარმაზარი ხიმინჯები და გადახურა რკინის სახურავით. შუბლში დაუნთო ერთი ვეებერთელა ათმილიონსანთლიანი ელნათურა და გახსნა ერთი უდიდესი სახელოსნო — მილიარდი ადამიანით, რკინისა და ტინობის შექმნილ დროით შეკავშირებულით. ქვეშ ამ უზარმაზარ ნაგებობას და მთებს უდგას

ოწინარი. ვოლკოვი დგას და ერთი ხელის აწევით ატრიალებს. ემორჩილებიან მას ნაგებობანი, უდიდესი დამბები, ხიდები, კოშკები, მატარებელთა და ტრანსპორტთა უზარმაზარი შედგენილობა, მექანიკური ამწეები, ბაღები, ვენახები, ხეები, კლდე-ლრანტოები და თოვლის მოსხლეტილი ზვავები.

ფიქრში ვოლკოვი მიუახლოვდა კარს, შეაღო. ტახტზე გაშოტილი იწვა კოლია ბალაშოვი. ახლა ის ნამთვრალევი აღარ იყო და მშვიდად ეძინა. ვოლკოვს გააკრკოლა. კოლია ბალაშოვი ამ წუთს ფორმალურად იყო მხოლოდ ცოცხალი. გაიღვიძებდა რამდენიმე საათს შემდეგ. ამ წუთში კი არაფერს გრძნობდა. არ ამჩნევდა ბინაში შემოსულ ვოლკოვს. იგი იყო სამოცდახუთის და მეტის წლისაც. იანგარიშა ლუკამ და ძილში გატარებული დრო ბალაშოვისა უდრიდა, სულ ცოტა, 20.000 საათს და ამავე ქვეყანაში იყო ის მკვდარი. ძნელია დაკარგულ საათებზე ფიქრი, შორს წაგვიყვანს. ამიტომ არჩია სახლში ყოფნა, ვიდრე ტყესა და უდაბნოში შერჩა და იქ დიდხანს ბორიალი. კედელზე კაკუნებდა ქანქანიანი საათი. ჩამოსწია ჯაჭვი, გამოაღო ფანჯარა და გაიხედა შორს, ქვევით, მაგისტრალის გასაღმა, მდინარეთა შესართავისაკენ. მოისმოდა შხუილი და შერეული ჭიდილი. მდინარის პირას სახლიდან გამოდიოდა სინათლე. ფანჯრები იქაც ღია იყო, და კამოდის თავზე დადგმული სარკე ირეკლავდა სხივებს, და ეს სხივები ადგებოდა ბალაშოვის ბინის ფოტოს და თითქმის ჩარჩოსაც.

საინტერესოა!

გულმა ადარ გაუძლო და მოუნდა შორეული ფანჯრის გასინჯვა. დაუკვირდა. შიგნით დაფუსფუსებდა ვილაც, ეტყობოდა ქალი იყო. სახე კი არ ჩანდა. უკეთ გაარჩევდა ვოლკოვი, მაგრამ სადგურზე მანქანებისაგან დაყენებული კორიანტელი და შენობების გვერდელა ჩრდილები და ხიმინჯების ანარეკლი უშლიდა.

ვოლკოვს მოუნდა იქ, იმ ფანჯრებს იქით ყოფნა, სადაც იყო კამოდი და მაგიდა თეთრი საფენით, შუშის ბრჭყვიალა ფიალები და ყვავილების ფოთოლი. ისინი, ალბად, განგებ იყენენ შერჩეული წითლები, ალისფერები, ლურჯები და ელნათურის შუქზე ცეცხლივით ენთენ. ბინაში მოფუსფუსე დიასახლისი ორჯერ მივიდა მათთან, ჩარგო სახე ყვავილებში, ალბათ შოუსხა წყალი, შეისუნთქა და ჩაწვა ლოგინში.

ნეტავ ვინ იქნება? მარტოა თუ... ვინმე კიდევ იმ ოთახში დახვრინავს კუთხეში. ან მოვა, შემოიღებს თავისუფლად კარს და უბოდიშოდ მიეა საწოლთან? იქნებ მახინჯია ის ქალი, იქნებ კიდევ რა... ფიქრობდა ის და ბაუტყდა ძილი. შემოჯდა ჩარჩოზე და მოუნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მღერა. აქაც მარცხი. მან არ იცოდა სიმღერა „ლირიკული“, უმღერია მხოლოდ ჯარში, მუშათა რიგებში და არასოდეს მარტო. ფიქრმა თავისი გაიტანა, და ამღერდა ვოლკოვი. მღეროდა დიდ მასიურ სიმღერას წყნარად.

ჩაიარეს საძარშრუტოებმა, ამოყარეს ორთქლის კიპები. იქ, იმ ფანჯრებს იქით, იმ ქალმა ჩაიძინა... სიოც ჩადგა და მიჩუმდა ქარიც. ბალების საზომი ფრთების გაბმული სტვენა. მყუდროებაში ისმოდა მხოლოდ წყალსაქაჩავის ხახუნი და ონკანის ჩქრიალი. ცემენტის ღობის ძირის ბალახებში დახტოდა ბაყაყი და კრუალებდა რაღაც მწერი. შორს, ძლიერ შორს, ისმოდა გაბმულობის ღმუილი და ცისტერნების ძუძგუნი.

ბალაშოვი კი ხვრინავდა, იბრუნა გვერდი. ოთახში ნავარდობდენ თაგვები და აგორებდენ გულგამოხრულ კაკალს. ვოლკოვმა შესწყვიტა ნელი სიმღერა. ჩაიდო პირში პაპიროსი და მოუკიდებლად სწუწნიდა.

თვითონაც არ იცოდა, რატომ გაუჯავრდა არავის. პაპიროსი გადააგდო. თავში არ მოდიოდა არაფერი პრაქტიკული და არც შეეძლო დალაგებულად ფიქრი. საჭირო შეიქნა თავიდან მოცილება ოცნების, რომლისაც ვოლკოვს რცხვეხოდა, თუმცა სიამოვნებით იყენებდა მას სწორედ ისეთ წუთებში, როდესაც სხვა რამის გაკეთება არ შეეძლო.

ბალაშოვი კი ხვრინავდა. მეზობლის ქალს დღეს მეტის გულმოდგინებით დაელაგებია ბინა და თითქმის აღარ იყო საქმე. მთელი აღმოჩენა იყო თაგვების ალაგმვა. მოუნდა სულ რამდენიმე საათი, საინტერესოც მოეჩვენა. თაგვები რა იყო და მათთან ბრძოლა რაღა იქნებოდა. მოუხდა კარნიზების გაზომვა, აგურის ნატეხების გათლა და მათი ხვრელებში ჩაწყობა. მონახა სადღაც გაჯი და ამოლესა საძრომები. მოგავა ნაცვენები და მათში მოჰყვა გულგამოხრული კაკლის ნაჭუჭიც. ამასობაში გამოეღვიძა ბალაშოვსაც და გაკვირვებულმა შეხედა მებუხრემ მოსაქმე ვოლკოვს.

— რას მიყურებ, მებუხრევ, არ მოგწონს?

— რატომაც არა, კარგი საქმეა ეგ. ყველაფერს მოგონება უნდა. მე ორი წელიწადია აქ ვცხოვრობ და ერთხელაც არ მომგონებია თაგვები.

— ჰო- და ეხლა აღარ შემოვლენ.

დაღლილი ვოლკოვი წამოწვა ტახტზე, ისმენდა ბალაშოვის არაკებს და ამბებს თაგვებზე და ვირთაგვებზე. სხვა რამეზე ფიქრს სჯობდა ეს საუბარი, მეტად გულუბრყვილო. აკვირვებდა კიდევაც ბალაშოვის ამბები, როდესაც ის უამბობდა, რომ ერთხელ მან, ყმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვილობისას, ააშენა ელევატორის ისეთი კედლები, რომ თაგვები შიგ ვერ შევიდოდენ და ყველაფერი ეს იყო საინტერესოც და აღმოჩენაც.

— შენ, მებუხრეე, ახლა გითქვამს და აწ აღარ დაივიწყოშენს აგებულ კედლებში თაგვი არ უნდა გაძვრეს, დაიხსომე კარგად. ჩვენ აქ ცოტა რამ შენებას ვაპირებთ?

ვოლკოვი ამ უბრალო საუბრიდანაც ახერხებდა რალაც შედეგის გამონახვას, და ბალაშოვს ყველაზე უფროც ეს აკვირვებდა.

— ვოლკოვ ლუკაშა, კარგი, ძმაო, მარჯვენა მომტყდეს, თუ ეგრე არ ავაგო.

* * *

[redacted]

— რამდენჯერ ჩამოსულან ეს კომისიები. ვაგონს მე ვხსნი, მე ვაბამ, ამხანაგო ვოლკოვო. ახლა რომ ჩამოვიდეს, ჰირდაპირ საპურმარილოდ გიახლენ. ხელში—პორტფელები, უბეში—დიპლომები, ჯიბეში—ფულები. მამამ კარგად დასტოვა.

ეუბნებოდა ვოლკოვს გულმოსული ობოლაძე და თანაც აკრიტიკებდა ინჟინრების ცოდნას.

— მაშ ეგენი ნიკოლაძესავით მცოდნეები არიან? არა? ნიკოლაძემ სულ იცოდა, თურმე, ფოთში რამდენი ქვიშა ეგდო და რამდენჯერ გადატრიალდებოდა მატარებლის თვალი ბათუმიდან ბაქომდე. მაგენი კი, უშვი ხელი, ძმაო. შპალის დაგებაში ჭუმბურიძე ოსტატი სჯობია და ორთქლმავლის შეკეთებაში კიდევ ლენტო.

ვოლკოვი ხარხარებდა არამკითხე კრიტიკოსის მსჯელობაზე. ერთობოდა კიდევაც ამით, და ობოლაძეს ეგონა, რომ მას დაუჯერა.

— მაშ როგორ დაგაჯერო, სერგია, რომ მაგ ინჟინრებმა მართლა ბევრი რამ იციან?

— რით და როდესაც ააშენებენ, მაშინ დავიჯერებ, თორემ რა ვიცი, რა ოხრობა უყრიათ მაგ პორტფელებში.

ვოლკოვი კი უფრო ხარხარებდა და ნაწილობრივ თანახმაც გაუხდა. მართლაც და როგორ დაიჯერებდა ობოლაძე მათ ცოდნას, ნახაზებიც რომ ეჩვენებიათ, ობოლაძე შიგ ვერაფერს გიგებდა.

— სერგია, წავიდეთ რევიშვილთან. ვნახოთ, რაც ბიჭები არიან ინჟინრები,—უთხრა ვოლკოვმა და შემოტრიალდა. სერგია კი გაიქცა სამორიგეო ოთახში, დაჰყარა სანიშნობლები და გამოუდგა ვოლკოვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტკომი არ იყო შორს, რაიკომის მდივანს რევიშვილს სხდომა ჰქონდა ძოწვეული. იქ ერთ საკითხად უჯრედის ოქმებიც იდგა, ინჟინრებიც იყვნენ. ზოგნი კი შემოდიოდენ, და სერგია ობოლაძე, რომელიც სულ რამ ენიმე წუთის წინად ნაგავში გადასაყრელად აფასებდა ინჟინრების ცოდნას, სათითაოდ სკამებს უცვლიდა მათ და ბოლოს თვით ფეხზე მოუხდა გაჩერება, ისიც კარებთან, და ყოველი ახალი ვინმეს შემოსვლაზე ხან აქეთ ექცეოდა კარებს და ხან იქით.

დღის წესრიგში კიდევ იდგა მოძრაობის და ქალაქის დაგეგმვის საკითხი. პარტკომის მდივანს მუშებიც მოეწვია სხდომაზე და ოქმებს წინასწარ არჩევდა.

რევიშვილი იჯდა სავარძელში. იდაყვი დაეყრდნო მაგიდის პირად და კითხულობდა ოქმის მუხლებს. მარჯვენა ხელით უსვამდა ხაზს საინტერესო ადგილებს. ორივე მხრით ელაგა ელსმენები. რეკავდენ, მაგრამ სასმენი მილები ძირს გადმოალაგა და უფრო ჩაუკვირდა.

პირდაპირ ისხდენ ინჟინრები და მელაშაც. რევიშვილმა ოქმი მელაშას გადაუდო და ჰკითხა:

— ეს აოის? ძალიან საინტერესო ოქმია. ასეთი ოქმი სულაც არაა ჩვენს ოქმებში. მე მაგ ვოლკოვის იმედი მუდამ მქონდა, რომ იქ საქმეს გააკეთებდა. გადაეცით დიუპრეს და, როდესაც ვოლკოვი მოვიდეს, მანიშნეთ. თქვენ, ალბათ, მეგობრებიც იქნებით, ამხანაგო მელაშა, ა...

მელაშას გაეღიმა.

— მეგობარი? რატომაც არა, ჩინებული ამხანაგია, სრულებით არაა სირცხვილი მისი მეგობრობა. თუ თქვენ ამას ქალისა და კაცის „მეგობრობის“ აზრით ამბობთ, ამხანაგო რევიშვილო?

მელაშამ მარჯვენა მკლავი გადააწვინა მაგიდაზე და თითები აათამაშა. თეთრ მაჯაზე ზუმბებივით დაწყობილი ძარღვები თამაშობდენ, და რევიშვილმა მარცხენა ხელი ჩაჰკიდა მაჯაში.

— მაშ... იცნობდე ამხანაგ ვოლკოვს,—სთქვა მელაშამ, წაავლო ვოლკოვს ხელი მკლავში და მიაწოდა იგი რევიშვილს.

ვოლკოვს ნაძალადევად ეჩვენა გაცნობა და სალამი, ხელები ერთიმეორეს მიეჩეჩენ. მოეჩვენა კიდევაც, რომ მელაშამ მათი ერთმანეთის დამეგობრებით და გაცნობით მოინდომა თავისათვის მესამე, მარტო სამოქმედო, პოზიციის შექმნა.

— ჩინებულია, ამხანაგო ვოლკოვ, თქვენი წინადადება. აზრი დროულია, პრაქტიკული და თანაც მეტად მომგებიანი. ოქმს დი-

უპრე ათვალიერებს. მერმე გვეტყის თავის აზრს და ჩვენც ჩვენსას ნუ დავიზარებთ.

— პირობები არსებობს. საკითხი გადაწყვეტილიც გვგონია, ამხანაგო რევიშვილო, წინად მუშებს ვილაპარაკებოდით ძირულასა და ყვირილაზე ელსადგურების აგებას, მაგრამ ყურსაც არ იბერტყავენ, არც სხვა რამეს უგდეს ყური. როდესაც ფეროზე დაიწყეს ლაპარაკი, მაშინ კი ყველამ დაიჯერა,— მიუგო მელაშამ.

ვოლკოვი ათვალიერებდა დიუპრეს. თვალწინ უდგებოდა ჭიათურა შავი კლდეებით, მაღაროებით, ხაპრალებით, ღრმა ღელეებით, ჩიხები, ესტოკადები და რელსის ბოძებზე მიკრული ფირფიტები წარწერით: „მარგანეცი დიუპრე და კო“. მაღალი, ლოყებშეწეული, ნიკაპჟართო ახალგაზრდა ინჟინერი. ცხენით შემოივლიდა საბადოებს და სადილობდა მუშებთან ერთად ჭუჭყიანსა, შავად გამურულსა და ბუზებით სავსე ჭიქაურის ღრუდოს დუქნებში. ერთს დროს ამისათვის დიუპრეს სოციალისტობაც კი დასწამეს და განრიხხებულმა ფირმამ იგი დაითხოვა სამსახურიდან.

ჭაღარა დიუპრე დასჩერებოდა ქაღალდს. ატრიალებდა და ადგილებს კალმით ინიშნავდა.

— ჭეშმარიტად საქმიანი წინადადებაა, იქამდეც კი მისულან, რომ ასაშენებელი ალაგიც აურჩევიათ. საჭიროა დროზე გამოირკვეს ყველაფერი, გეგმა შედგეს და სმუსს ეცნობოს; მე დღესვე ავწერ და ვაგზავნი „მემორანდუმს“ საგეგმო კომისიაში,—სთქვა დიუპრემ და გადასდო ქაღალდები. კრების მონაწილენი გაკვირვებიდან არ იყვნენ გამორკვეული დიუპრეს ხელად დათანხმებით, რომ კუთხიდან სქელი ლენტო ულვაშების სწორებით და ქსინვით ყელში ხაოდა.

— მემორანდუმი რა არის, ამხანაგებო, აქედან შემხვედრი პროექტი მივაყოლოთ და ის იქნება. უკადე ეხლა შენ მემორანდუმს! მემორანდუმი! რისი მემორანდუმი, ამბროსი კათოლიკოსი ხომ არა ხარ! დახაზე და გაგზავნე.

წამოიძახა კარებთან მდგომმა ობოლაძემ, ქუდი შუბლზე გადმოიწია, რომ კიბიროკს თვალები დაემალა და კრების მონაწილეებს არ ჰქონებოდათ საშუალება გაეგოთ—რამდენად უჭირდა ობოლაძეს ამ სიტყვების გაბედვა. იგი დამშვიდდა, როდესაც მოწონების კილოთი ჩაიცინა რევიშვილმა და თავიც კი ჩააქნია თანხმობის ნიშნად.

რევიშვილი მოელოდა დიუპრესაგან წინააღმდეგობას და ეს არ გამართლდა. ბევრჯერ დასვა რევიშვილმა პატარა მდინარეებზე ელსადგურების შენების საკითხი და ყოველთვის ხვდებოდა დიუპრეს დიდ წინააღმდეგობას: იგი მუდამ დიდი მდინარეებისაკენ იშვერდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელს, ურჩევდა პარტკომს ჰიდროცენტრალების კაბელების გამოყვანას და პრინციპულად წინააღმდეგი იყო საკუთარი ელსადგურების.

და რევიშვილი დაიჭვდა. ხომ არ იყო რამე მავნებლობით გატაცებული ეს ჭალარა ინჟინერი, „დიუპრე და კო"-ს ფირმის მსხვილი აქციონერი? ყოველ შემთხვევაში, რა ხეირს ნახავდა დიუპრე, თუ ადგილობრივ გადამუშავდებოდა მარგანეცი?

ყველაფერი ეს ვერ აეხსნა რევიშვილს და როდესაც ჰკითხა ვოლკოვს და მელაშას, აღმოჩნდა, რომ მათ ყველას ერთი და იგივე კითხვა აინტერესებდა, თუმცა სხვადასხვა მხრიდან.

სიჩუმე ჩამოვარდა.

უცდიდენ პასუხს და თანახმა იყვნენ კრების მონაწილენი კედლებსაც კი გაეღოთ ხმა და ენახათ სასწაული, ოლონდაც გაეგოთ დიუპრეს თავის ნადები და ნაფიქრი. ადამიანებიც და კედლებიც, დგამები და თავები ერთგვარად გამოუცნობები იყვნენ. მარტო თვალებში შეეძლო ადამიანს ამოეკითხა ნაწილი სიმართლის, და ხედავდა ვოლკოვი, როგორც არაფერს ფიქრობდა სერგია ობოლაძე და ერთი შემოძახება იყო მისთვის საჭირო, რომ უმიზეზოდ კრებიდან გარეთ გამხტარიყო. ლენტო მექანიკოსი თავისი „ბურჟუას" მუცლით ქსინავდა, აღარ აღებდა პირს, უჭირდა ბეჭებში მოხვრა, რომ უფრო კარგად ამოეკითხა მის წინ მდებარე რაღაც ქაღალდი, იკვნეტდა ულვაშებს და ხანდახან გახედავდა აქეთ დიუპრეს, იქით პრეზიდიუმს და შემდეგ აუდიტორიას.

— ლენტო, ჰა... ლენტო, რას იტყვი?

დაბალი ხმით გასაგონად ეუბნებოდა ვოლკოვი ლენტოს.

— რა მოგახსენოთ, ძალზე გამკვირვებია, სხვაფერ კი დიუპრე გაღლეტილი კაცი არ უნდა იყოს,—მიუგო ლენტომ და დაუმატა:

— ძნელია მაგათზე კაცმა რამე სთქვას. კუდი მაინც ძაღლის ბიაათ. რაც უხდა იყოს—„დიუპრე და კო"!

— მაშ რატომღა ლაპარაკობთ, ლენტო, ეგრე. ორჭოფობ? გარკვევით სთქვი!

არ ეშვებოდა ვოლკოვი, და კრების მონაწილე მუშები ხედავდენ, რომ მათ ძველ ლენტოს პარტკომი ეკითხებოდა თავის აზრს, მაგრამ არავის არ შეეძლო გაეგო—რამდენ ბრძოლას აწარმოებდენ ერთიმეორესთან პარტკომი და ლენტოს ორჭოფობა. ამ დღეებში ლენტოს პარტბილეთი უნდა მიეღო.

---

დიუპრე ვოლკოვს გააცნეს. მათ ორივეს აინტერესებდა ერთიშეორის ახლოს გაცნობა.

ვოლკოვმა წამოიწყო ფერო, ხოლო დიუპრე იყო საქმის სპეციალისტი და მოიწონა კიდევაც ეს—ეს არის წინადადება.

ალარ უცდიათ ერთიმეორეს დალაპარაკება, რადგანაც კრება უკვე გათავდა. დამსწრენი თითქოს დაღლილიყვნენ. ეს ჩანდა იქიდან, რომ არავინ არ ამთქნარებდა, მხიარული სახით და მხამაღალი კამათით იშლებოდენ ისინი დაბაში და ზოგჯერ, ლაპარაკში გართულები, ჩერდებოდენ შუა ქუჩაში და ვეღარ იგებდენ, რომ უხერხულად იდგენ და გარბოდენ, როდესაც მეეტლე ან მეურმე მიაძახებდა მათ.

— ჰოე, ჰოე!..

ყველაზე მეტ გასაჭირს პარტიულები გრძნობდენ, იწოდენ კანში.

— რა სთქვეს ეს?

— სადაა იმედი?

— სადაა საშუალება?

არც დიუპრე გრძნობდა თავს იმედიანად. იგი დაღვრემილი მიდიოდა სადგურისაკენ, სადაც იდგა ინჟინრების სამგზავრო ვაგონი და მოუთმენლად ელოდა წუთს, როდესაც ის თავისუფლად წამოწვებოდა თავის კუპეში. ფეხი გაუჩქარა და მისვლისთანავე ეწყობოდა წამოსაწოლად, რომ ვაგონის კიბეებს ვიღაც შემოახტა, და დიუპრე მიხვდა, რომ ეს შემოხტომა არ ჰგავდა არცერთი მის თანამგზავრის ტანის სიმკვირცხლეს. შემოსულმა კარი უნებართვოდ შემოაღო.

დიუპრე სხვას გაუჯავრდებოდა, ასეთ საქციელს მომაბეზრებლადაც ჩაუთვლიდა, მაგრამ შეძოსული ვოლკოვი იყო, და დიუპრეს ალღომ უკარნახა, რომ ვოლკოვს სრულებითაც არ სურდა მისი შეწუხება და, პირიქით, მოურიდებელი და თავისუფალი ვიზიტი საინტერესოც იქნებოდა.

ესეც არ ყოფილიყო, ის შეეჩვია ამ მხარეს და ამ ადამიანების საქმიანობას. წინად მას ისინი სძულდა, მაგრამ ახლა იმდენად სწყუროდა მათთან დაახლოება, რომ მზად იყო ყოველნაირ წვრილმანზე ელაპარაკნა ვოლკოვთან და ობოლაძესთანაც კი.

ვოლკოვის შემოსვლაში მოეჩვენა დიუპრეს, რომ ქარხნის შენება უბრძანეს მას, და იგი მოლბა.

— მოდით, მოდით, ამხ. ვოლკოვო, ჩამოუშვით სავარძელი და —როგორც თქვენს ბინაში...

დიუპრემ ჩამოუშვა ფარდა, აანთო სანთელი. სინათლე პირდაპირ ვოლკოვს უნათებდა სახეში და დიუპრეს განცვიფრება შიმად გარდაიქცა. შეაჟრჟოლა, მუხლები მოეკვეთა, ჩამოჯდა და გაირინდა, მაგრამ ჩქარა დაიწყო გონს მოსვლა. ქარხანა იყო ასაშენებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შეიძლება ვოლკოვი აპატიებდა კიდევაც, აღარ გაიხსენებდა წლების მიერ შთანთქულ ამბებს, იმიტომ, რომ ქარხანა იყო ასაშენებელი, ფერი...

სიჩუმე ვოლკოვმა დაარღვია.

— მოქალაქე დიუპრე, არ მოსტყუვდით. მე ვმუშაობდი ჭიქაურის საჰაერო გზაზე ოსტატად. გახსოვთ—გამმულობის გაპოხვიდან დავიწყე თორმეტი წლის ბიჭმა.

დიუპრემ იგი მართლა იცნო და რაღა საჭირო იყო თავის მოკატუნება; მაინც არაფერი გამოვიდოდა. ახლა კი შემთხვევა ჰქოხდა აეგო ქარხანა, რომ ყველაფერი დავიწყებას მისცემოდა, გაღმა შეტაკება არჩია.

— კეთილი ინებეთ და დამშვიდდით, ამხანაგო ვოლკოვო. თქვენ მაშინ ბავში იყავით. ჩამოსაშვებების კარგად გაპოხვაში მიიქციეთ ჩემი ყურადღება და ფირმა ამისათვის თქვენ დაწესებულ სასყიდელს გაძლევდათ.

პირადად მე მსურდა ჩემი თანამემამულეების საწარმოო სკოლა გაგევლოთ და მას შემდეგ კი ვიფიქრებდი... ხომ გახსოვთ ძმები დევარენსები? ისინი საფრანგეთიდან გატყაულები ჩამოვიდენ.

ვოლკოვმა გადაიხარხარა.

— და აქედან წავიდენ ბურჟუები?

დიუპრე შეწუხდა. ვერც კი მოიფიქრებდა, თუ ვოლკოვს არასოდეს არ უფიქრია ბურჟუად გახდომა და არც უნდოდა. ვერ მოეფიქრებია დიუპრეს, რაღა უნდა ხსომებოდა ვოლკოვს იმაზე უარესი, რომ მას ბურჟუად გახდომის საშუალებას არ აძლევდენ.

ისევ ვოლკოვმა დაიწყო:

— წარსული როდესაც საჭირო იქნეს, მაშინ გავიხსენოთ, დიუპრე. ახლა კი ასე გავათაოთ: თქვენი წარმომადგენლები ჩვენ ზედმეტს გვართმევდენ და იგებდენ, რაშიაც მაშინდელი რეჟიმი იყო დამნაშავე. პირადათ თქვენ იმაში იყავით დამნაშავე, რამდენადაც მათი წარმომადგენელი იყავით.

— თუ საქმე ჩემზე მოდგება, მე რევოლუციას არ დავხმარებიეარ, მაგრამ არც გამიცია იგი. არ მესმოდა რევოლუცია მხოლოდ იმისათვის, რომ კარგად ვიცოდი რა იყო იგი. ამასთანავე, როდესაც ძუშებმა ხელში ჩაიგდეს ყველაფერი, მე მათ არ გავქცევივარ და ვმუშაობ მათთან, რამდენადაც იტანს ჩემი გული და ძალასაც კი ვატან თავს?

— ძალასაც კი ატანთ თავს?

გაიმეორა გაკვირვებით ვოლკოვმა და გულში გაიფიქრა იმერული ანდაზა: პურით სანადიროდ გატყუებული ძაღლი ნადირს ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიჭერსო. დიუპრეს კი არა უთხრა რა და არჩია გამოეყენებია იგი ამთავით, რამდენადაც შესაძლებელი იყო.

არავინ იცოდა, რა იყო მომხდარი ამ ორ ადამიანს შორის წარსულში. არც ვოლკოვი, არც დიუპრე არ აპირებდენ გახსენებას. ეს ამჟამად ძნელიც იყო და უსარგებლოც. ვოლკოვმა მაინც სცადა გულში ეკბინა, რომ ნამდვილად გაეგო რა სწადდა დიუპრეს ამ საქმესთან დამოკიდებულებით და უთხრა:

— კარგია, ჩრდილი თუ მაინც არა ხართ, დიუპრე!

ინჟინერს თითქოს ბენზინი აუფეთქეს.

— თქვენ სცდებით, ამხანაგო ვოლკოვო! ჩემზე უარესნიც დადიან ამ ქვეყანაზე, მე კი სრულიადაც არ ვფიქრობ წარსულს ვსდიო, თუ შესაძლებლობა მაქვს მინდა მომავალს ხელი მოვავლო და გავყვე მას. ვღებულობ თვეში ორიათას მანეთამდე და, სიმართლე გითხრათ, ჩემთვის ეს თანხა ყველაფრად საკმაოა. ეგეც არ იყოს, მე თმა თეთრი მაქვს.

— მე ვცდები, ხშირად ვცდები ხოლმე, ამხანაგო დიუპრე, მაგრამ სიტყვა მიხდა მქონდეს ხელში, რომ ბოლოს არც ჩვენ ვინანოთ და არც თქვენ. იცით ეს, ამხანაგო დიუპრე?

— ვიცი, დიახ, და ძალიან შეურაცხყოფად მიმაჩნია ყოველივე დღეს აქ დაფქვილი, მაგრამ აქ შეურაცხყოფას ანუ ხოტბის შესხმას ადგილი აღარ აქვს. მე მხოლოდ ლოღიკას ვემორჩილები. თქვენ მართალი ხართ, ეგრე უნდა მოქცეულიყავით.

სხვანაირად, წაგების დროს, მარტო თქვენ აგებდით პასუხს, და თუ სასამართლოს გავექცეოდი, მე და თქვეხ მაინც გვექნებოდა ანგარიში გასასწორებელი.

ვოლკოვი თანხმობის ნიშნად თავს აქნევდა. დაბოლოს დაჯერებულად დაუმატა.

— დიუპრე, მაშ დავივიწყოთ ეს შეურაცხყოფა და, თუ გნებავთ, ამაზე შემდეგ.

— კარგი. თუმცა არ მენატრება ჩქარა დადგეს ის დრო, თქვენ რომ ამბობთ „შემდეგ“.

— თუ ეგრეა, მე აქვე ვჯდები.

ვოლკოვი ჩაჯდა რბილ სავარძელში და უცდიდა ლაპარაკის საბაბს. მოიშველა პაპიროსის ყუთი. ამოიღო პაპიროსი და დიდხანს არ აპირებდა მოწევას. გაჭირვებით მიიტანა პირამდე და გაუჭირდა ამის ძოსაზრება უფრო, ვიდრე ურალის გადაცურვა, როდესაც იმისი ნაწილი, თეთრებისგან დევნილი, წყალში გადაეშვა და გაღმით მხოლოდ ბედნიერები გავიდენ. მაშინ წყალში გადავარდნა იყო თავგანწირვა, ხოლო ახლა პაპიროს ს წვალება იყო დროს მოკვლა

ტაქტსა და საქმეს შორის, მოსაწყენი და თავმოყვარეობის შემლახველი. ვოლკოვმა იცის, რომ ადამიახს აწვრილმანებს წვრილმანი, საქმის ჭიდილში დათმობა, და ყველაფერი ეს მას აწუხებდა.

— მოქალაქე ვოლკოვო, თქვენი წამოწყება მომწონს, შესაძლებელი არის თუ არა,—აი რა მაფიქრებს.

მე ჩემს სიცოცხლეში ვერც კი მოვესწრები უკეთესი ქარხნის ავტორობას. მაგრამ საიდან უნდა ვიშოვოთ ეს თანხები? ხალხიდან ხომ ვერ ავიღებთ?

ვოლკოვი ყურს უგდებდა დიუპრეს კითხვებს და კილოსაც, ნაკლებად იყო დაინტერესებული, თუ რა ხდებოდა გარშემო. მოსულიყო წვიმა თქეშით და გუბეებით აივსო ჩიხები, ჭექავდა, ყვიროდენ. შემოსულმა წვიმამ დაუსველა ბეჭები, და დიუპრე ვერ ბედავდა რაღაც გამოუცნობი მოკრძალებით ვერც ფანჯრის აწევას და ვერც თხოვნას, რომ ვოლკოვი არ დასველებულიყო, თუმცა გულში სწუხდა, რომ სრულებითაც არ იყო საჭირო ტყუილ-უბრალოდ კაცის დასველება. პირიქით, დიუპრეს ეშინოდა კიდევაც მოსაუბრის მოფიქრების წყობის გაწყვეტის. ვოლკოვს უნდა გამოეყვანა ამოცანა „თანხები“.

ვოლკოვი შეიძრა, ფანჯარას მიუბრუნდა პირით და ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ამბობდა:

— დიუპრე! დაანებეთ თავი მაგნაირ სიბრძნეს. ეს ქვეყანა მჭეარი ყვავილების ფოთლებით არ არის მოფენილი, რომ სიკოროფემაც ფეხი არ მოგტეხოს. ხალხი უნდა წაიყვანო იქით, საითაც იმავე ხალხისათვის უკეთესია, მხოლოდ მათი იდეოლოგიით, ვინც თავიანთი ხელით ქმნის მოსახმარ ნივთებს და საარსებო საშუალებებს. სხვა ხალხს არა უნდა რა. გასაკვირიც იქნებოდა, რომ მათ სხვა რამეზე დაეთანხმონ და თავის ნებაზე გაუშვან. ერთიმეორეს შესჭამენ, მღვრიე წყალში ყველა ერთიმეორეზე მეტი თევზის დაჭერას მოინდომებს და ის იქნება ბატონი, ვინც საერთო მდინარეებში მეტს ორაგულს დაიჭერს. თქვენი წყობილება და მეურნეობა სწორედ ასეთი იყო, ამხანაგო დიუპრე, და სწორედ ამიტომ უწოდეს მას ყაჩაღური და ანარქიული წყობილება. მდინარე კი ჩვენია და უნდა ვასწავლოთ ხალხს თევზის ჭერა და სათანადო ალოზე მოშენებაც. ვარდები, ყვავილები გაზაფხულზე ყვავიან—მაშინ უდგებათ ალო. იანვარში თოვლის ქვეშ მარწყვის დამწიფება არავის უხახავს. ყველაფერს თავისი დრო აქვს. რა ვიცი ახლა მე, იქნებ მშვენიერი ვარდების და ყვავილების სუნი ვინმეს ფილტვებს სწყენს, მე კი მგონია, რომ არავის სწყენს, და მოკვდეს, ვისაც აწყენს. არც სოციალიზმის შენებაა ბამბით მოფენილ მინდორზე გორაობა. იგი რკი-

ნის ჭედვაზე და ქვის კოდვაზე უარესია, მაგრამ რა გაეწყობა, უნდა გაკეთდეს.

დიუპრე უფრო ჩაფიქრდა. ვოლკოვის თქმა სიმართლედ მოეჩვენა, ხოლო აღარ ესმოდა რა იყო—აუტანელი გადასახადების შეწერა ვაჭრებზე, დაბაში სამიკიტნოების დახურვა და ათასი სხვა...

ვოლკოვი კი დააბიჯებდა ვიწრო კუპეში და ყველაფერი რაც დიუპრეს უსინდისობად მიაჩნდა, მისთვის იყო სინდისიანობა და ცხოვრებაში გასატარებელი.

— ყოველ შეხვევაში, მე მოხარული ვიქნებოდი როდისმე გამეგო თქვენი ნამუსის საიდუმლოების გასაღები. მე იგი სულ სხვანაირად მესმოდა: მცოდნე ვარ და მოვაწყობ ცხოვრებას, როგორც მინდა. ხალხი ჩემთვის მასალაა, მუშა კიდევ—საშუალება. რასაკვირველია, ჩემთან ერთად არავის ვუკრძალავ ბედნიერ ცხოვრებას, თუ კი ვინმე მოეწყობა. იქნება მეც შემჭამოს. ცხოვრება ბრძოლაა.

დიუპრეს უნებურმა გულახდილობამ ვოლკოვი მხოლოდ გულიანად და თანაც გესლიანად გააცინა. ვოლკოვი მიხვდა, რომ დიუპრეს აჩერებდა რაღაც ადმინისტრატიული ძალა და შიში. ისე კი ის იყო როგორც თავისი სულით, აგრეთვე გულით და იდეოლოგიით პირწავარდნილი ბურჟუა, და ასეთს კაცს არ შეიძლებოდა დანა ჩექმის ყელში არ ჰქონებოდა.

უკანასკნელად მოუწოდა სიფრთხილისაკენ.

— დიუპრე! გახსოვდეთ, რომ გაიმეორეთ ის, რაზედაც უარი სთქვით.

და ვოლკოვი გამოვიდა, რადგან არ ეშინოდა დიუპრესი. იგი უკვე იცნობდა ორიოდ ტექნიკოსს და დღეს ამხანაგებმა უთხრეს, რომ ფეროს საქმის მცოდნე უკვე ჩამოსული იყო რურიდან ახალგაზრდა გამომდნობი ძეგველი. ახლოდ საჭირო იყო მისი ქერჩიდან გადმოთრევა და, თუმცა ეს იქნებოდა დანაშაული, გადმოტყუებაც.

(გაგრძელება იქნება)

არჩილ ჩაჩიბაია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ენტუზიასტები*)

**იმის შესახებ თუ, როგორ იხსნება ხვეული მეორე.**

## დღეს ახალი საამქრო ამუშავდება

გზა აგურისფერ კედლებს შორის მიიმართება.

პირდაპირ ქარხკომის ორსართულიანი შენობაა ამართული.

მარჯვნივ: შენობები.

მარცხნივ: ისევ შენობები—სარდაფებით, კორპუსებით, საამქროებით...

გარეთ ეზოში: ყრია რელსები, ძელები, ბორბლები, მანქანების ნაწილები...

საზეინკლო საამქროს წინ დგას უზარმაზარი ამწევი მანქანა...

მანქანა განზეა გადაწოლილი. (იტყობა შეკეთებას საჭიროებს).

იქვე ორთქლის ქვაბები, პატარა რონოდები და კედლებს შორის გაკლაკნილი ვიწრო რელსები, რომელზედაც წივილით ძიაქროლებენ ნახშირით, რკინით, ფოლადით, თუჯით დატვირთულ რონოდებს.

თითქოს ყველაფერი გამოცვლილა.

თითქოს ყველაფერს სხვანაირი იერი დაჰკრავს...

გადასხვაფერებულია, მხოლოდ უკეთ, ვინემ იყო.

კარგია! ძლიერ კარგი!

მიყვება გზას გობროს ხეთაგური და გულში სიხარულის ტალღები ღელავენ.

ათასი თვალები ელავენ აღტაცებით...

ათასი სახე იღიმება, მხიარულობს...

ათასი გული თრთის მეგობრული სიყვარულით ხეთაგურის შეხედვაზე.

საამქროები, კორპუსები, ათასი მეგობრები, დამკვრელები, ენტუზიასტები, ელოდენ ხეთაგურის დაბრუნებას ქარხანაში და აი: დაბრუნდა გობრონი დღეს და ყველაფერი რატომღაც სხვანაირად ეჩვენება.

---

*) გაგრძელება. იხ. ჟურ. „პროლეტ. მწერლობა“ № 4-5, № 6-7, № 8-9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოს გადასხვაფერდა.

თითქოს რაღაც მომატებია.

ხედავს საწყობი სავსეა მანქანების ნაწილებით და გობრონის აღტაცებას საზღვარი არ აქვს.

— ჩვენ გავიმარჯვებთ! ჩვენ გავიმარჯვებთ!—ფიქრობს თავისთვის.

ქარხკომის ორსართულიან შენობაზე ამართულია რადიო ანძები და ანძებზე ალისფერი დროშა ფრიალებს...

ქვევით რკინის სახურავების ქვეშ გუგუნებენ საამქროები, კორპუსები...

ქარხკომის კარებთან გობრონ ხეთაგურს ქარხნის დირექტორი ამხანაგი თომა გულაშვილი და მთავარი ინჟენერი ტისოვი შემოხვდა.

— ოჰო, გობრონ! ძალიან გამიხარდა შენი დაბრუნება!—მხიარულად მიმართა თომამ და ხელები მაგრად ჩამოართვა.

— სწორედ ახლა გვჭირდები გობრონ!—დაუმატა ტისოვმა—უკვე დადგა გადამწყვეტი დღეები... თვრამეტი პროცენტი კიდევ და გეგმა შესრულებული იქნება.—მე მგონია გეგმაზე მეტ პროდუქციას დავამზადებთ! საჭიროა მარჯვედ ვიყვეთ!

გობრონი სიხარულისაგან აენთო.

აღტაცება ცეცხლად მოედვა ტანზე და რიხიანად უპასუხა.

— ამხანაგო ტისოვ! ისევ თქვენი დახმარებით თუ დავსძლევთ სიძნელეებს!

— მთელი გულით და სულით მე თქვენთან ვარ! მე თვითონ გამოვალ, მე თვითონ ვიმუშავებ დაზგაზე თუ ეს საჭირო იქნა!

ხეთაგურმა მეორეჯერ მისდაუნებურად უფრო მაგრად ჩამოართვა ხელი ტისოვს და თვალებში სიხარული ნაპერწკლებად აენთო.

— მჯერა... ყველაფერი მჯერა...—ამბობდა გობრონი.

— აბა, ჩემო გობრონ!

დირექტორმა მხრებზე დაჭკრა ხელი და ისე უთხრა...

— უნდა დავსცხოთ ყველა ჯურის გამცდენებს, ოპორტუნისტებს, წამგლეჯებს და ქარხანა დამკვრელად უნდა გავიდეს დამკვრელთა შორის...

— რა თქმა უნდა... არაფერს არ დავზოგავთ!

— დიახ, მართლა!—თითქოს რაღაც გაახსენდაო ამხანაგ ტისოვს და ნაუცაბედავად წამოიძახა:

— საოცარია პირდაპირ ბართლომე ხარაბაძე... რომ იცოდეთ, როგორ გამოკეთდა... ძალზე ნიჭიერი პიროვნება ყოფილა... მან გამოიგონა ახალი სახრახნავი ძანქანა, რომელიც გაცილებით სჯობია დღემდე არსებულ ყველა სისტემის მანქანებს. ნახაზები მომიტანა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლიერ მომეწონა. ახლა მოდელს აკეთებს და მალე საქვეყნოდ გაიმარჯვებს...

— მაშ! ბართლომე ხარაბაძე ამ უკანასკნელ ხანებში გამომგონებელიც არა?!—იკითხა ხეთაგურმა.

— სწორედ! სწორედ!

შენიშნა ტისოვმა და დასძინა

— იცი რას გეტყვი გეთაყვა, შემოქმედებითი უნარი, ხალისი, სიცოცხლე ყველაზე უფრო მუშათა მასებშია... აი, ასეთ უშუალოდ დაზგებიდან გამოსულთა ხელში უნდა მოექცეს თანამედროვე მეცნიერება და ტექნიკა... მერწმუნეთ, ისინი ჩვენზე უფრო უკეთ გამოიყენებენ მას... მერწმუნეთ შემოქმედებითი უნარი უფრო მეტად იფეთქებს და ტექნიკაც უფრო მალე წავა წინ.

ტისოვის ლაპარაკში გობრონ ხეთაგური გრძნობდა გულწრფელობას.

ინჟენერი ტისოვი არც ერთ დღეს ისე არ გაუშვებდა, რომ დაზგები თვითეულად არ ენახა, არ გაესინჯა, არ დახმარებოდა ვინმეს, არ ესწავლებინა ვინმესთვის.

დადიოდა საამქროებში.

თავისუფალ საათებში საუბრობდა დამკვრელებთან და მიტომაც უყვართ ის ეგზომ მეგობრულად ქარხნის მუშებს.

მუშები იშვიათად მოტყუვდებიან, იშვიათად სცდებიან.

ერთის შეხედვით, წარბების შეფრთხიალებით შეგამჩნევენ თუ რა გულით ხარ მასთან მისული, რას ფიქრობ!

ტისოვი მათთვის საყვარელი ინჟენერი იყო.

გობრონი მათთვის საყვარელი ამხანაგი.

იცოდა ეს ყველამ და ყველა პატივს სცემდა მათ.

უყურებდა გობრონ ხეთაგური ინჟენერ ტისოვს და მოცინარ თვალებს არ აშორებდა.

— აი, დღეს ახალი საამქრო უნდა ავამუშაოთ—ეუბნება ტისოვი.—თვრამეტ პროცენტს სულ მალე დავფარავთ... ჯერ კიდევ დრო დიდი გვაქვს და მე მგონია სასახელოდ მოვიპოვებთ გამარჯვებას!

— ახალი საამქრო დღეს ამუშავდება?!

— რასაკვირველია,—პასუხობს გულამშვილი,—აწი უფრო მეტად, უფრო მაგრად ვიმუშაოთ... თუგინდ დავსცხოთ ისე, როგორც ეს შენ გიყვარს ხეთაგურო!

— კარგია!.. თუ საჭირო იქნება დავსცხებთ კიდევაც.

ტისოვმა მხრებზე დაჰკრა ხელი ხეთაგურს.

— წავიდეთ ახალ საამქროში! დროა!

— წავიდეთ! ერთი ისე ავაგუგუნოთ, რომ მთელი ქარხანა აზანზაროს თავისი ძლევამოსილებით!

წაილაპარაკა გობრონმა და ინჟენერ ტისოვთან და თომა გულაშვილთან ერთად ახალ საამქროსკენ გაემართა.

## ფიქრები ისევ

— კი, მაგრამ მაგდა, რატომ არ ჩანს?! ის ხომ ყოველთვის ადრე მოდიოდა?! რა დაემართა?!

ფიქრობს გობრონ ხეთაგური.

იხედება აქეთ-იქით.

წუხანდელი ამბავის გამო გობრონი აღელვებას განიცდის, მიტომ, რომ მერე არ უნახავს და არც იცის, თუ რას ფიქრობს მასზე.

ელის იმას, თუ როგორ შეხვდება.

ელის, არ მოდის.

ელის, არ ჩანს.

შეხედავს საამქროში მიმავალ ქალებს. მათში არ არის.

შეხედავს ისევ.

აი ის: ნაცრისფერ კაბით, კოხტად თავწაკრული მიდის საამქროსაკენ. მიდის პირდაპირ.

გობრონს გული უფართხალებს. უნდა დაუძახოს, მაგრამ ვერ ახერხებს. ვერ ახერხებს მიტომ, რომ არ იცის რას ეტყვის.

უნდა მივიდეს და წინანდებურად გაეხუმროს, თვალები აუხვიოს ან მკლავებში მაგრად მოკიდოს ხელი, მაგრამ ვერ ბედავს. ეს მიტომ, რომ შეიძლება ეს ხუმრობა სულაც არ მიიღოს.

არა და რა ქნას?! როგორ მოიქცეს?!

გული ვერ ითმენს. გრძნობამ გონება თითქმის დასძლია.

— საოცარია პირდაპირ!

გობრონი ვერ ითმენს. უნდა დაუძახოს.

— გულს მოხვდა! გულში რაღაც ტკივილი იგრძნო!

გადაწყვიტა დაძახება, რომ მანაც მოიხედა, მაგრამ... მაგრამ ის მაგდა არ აღმოჩნდა და ხეთაგურში ამან მისდაუნებურად წყენა გამოიწვია.

მიდიან ქარხნის ნაცრისფერ კედლებ შორის.

კედლები აჭრელებულია სურათებით: ლილისფერ ყდაზე თეთრ ხაზებათ ამოყვანილია მავხებლები დაწეწილი თმებით.

თვალებ გადმოქაჩული და ხელებზე არწივის ბრჭყალებით. იქვე დამკვრელი და სახარატო დაზგა, ქარხნები, ფაბრიკები.

მიდიან წინ.

ჩხრიალებს მაჯის სისხო ჯაჭვი ამწევი მანქანის და მიათრევს უზარმაზარ ბორბლებს, ორთქლის ქვაბებს.

მისრიალებენ რონოდები ვიწრო რელსებზე და მიაქვთ თუჯი, ფოლადი, რკინა.

გვარგვალებს ჩამომსხმელ ცეხში ღუმელი.

იწვის კოქსი.

ღუდღუნებს ღუმელი და ღარიდან მზისფერ ნიაღვარივით მოდის გამდნარი თუჯი.

მუშაობენ დაზგები.

გუგუნებენ მოტორები.

კაკანებენ პნევმატიური იარაღები და ცივად წივიან მკვეთარები.

ყველაფერი ეს საამქროდან უზარმაზარ გუგუნით გამოდის და გუგუნი იზრდება უფრო და უფრო.

## საამქრო მაინც იმუშავებს

ინჟენერ ტისოვთან გაფითრებული მოვარდა საამქროს გამგე და მოუთმენლად დაიწყო:

— ამხანაგო ინჟენერო, წუხელ ვიღაცას რემენი გადაუჭრია და მანქანა ურემენოდ დგას!

როგორც ცივი ლოდი ისე დაერტყა ხეთაგურს ეს სიტყვები.

— განა მარტო ხეთაგურს?! ტისოვს, გულაშვილს! განა მარტო ტისოვს?! განა მარტო გულაშვილს?! არა, ყველას, ყველა დამკვრელებს! ყველას მთელ ქარხანაში!

— მაშ, ვიღაც ხელს ურევს! ვიღაც ხელს გვიშლის! ვიღაც მაინც მამაძაღლობს!

აღჭრიალებდა კბილებს გობრონი და დაჭრილ ვეფხვივით უკანასკნელ ღონეს იკრებდა ტახში.

ჩაყურებდა ყველას თვალებში.

თითქოს თვალებიდან უნდოდა ამოეკითხა, თუ ვინ იყო დამნაშავე, თუ ვისზე ჰქოხდათ ეჭვი.

— უნდა გაისრისოს! კბილებით უნდა დაგლიჯოს ის, ვინც ეხლა ხელს გვიშლის! თვრამეტი პროცენტი დარჩა... ეს მანქანა უქმად ხომ არ გაჩერდება?! ერთი საათიც კი ერთ დღეს უდრის ახლა! —ბრაზით გულგამსკდარი ამბობდა დირექტორი გულაშვილი.

ტისოვი ამ აბავზა ძალზე ბეაშფოთა.

მის თვალწინ წამოიშალა მავნებლები, რომელთაც მეთაურობდა ჰატარა კაცი (რომელიც ერთხელ ხახა და რომლის არც სახელი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც გვარი არ იცოდა) და დაბნეულ თვალებით იხედებოდა აქეთ-იქით.

— ჩემზე ხომ არაფერი ეჭვები გაქვთ?!—თითქოს გაიფიქრებდა თავისთვის და პასუხის მოლოდინში თავს ძირს დაღუნავდა. არც უნდოდა ამისი პასუხი მოესმინა.

ხეთაგურმა რამოდენიმე ნაბიჯი გადასდგა და კუთხეში ხარაბაძე შეამჩნია.

ის იდგა ჩუმად.

ხმას არ იღებდა.

დაფიქრებული მიწას ჩასცქეროდა და მარჯვენა ხელით რატომღაც გვერდით დამდგარ, გობრონისათვის უცნობ დაზგაზე უსობდა ხელებს.

ხეთაგური წამსვე გაექანა მისკენ და მხრებზე დაჰკრა ხელი.

— ბართლომე! ეს რა ამბავია?! ქარხანაში ქურდობა?! საოცარია პირდაპირ!

ბართლომე ხმას არ იღებს.

დგას გაშეშებული, უტყვი, უძრავი.

— ბართლომე სთქვი რამე?! რას გაჩუმებულხარ?!

— რა ვსთქვა?! თვითონაც ხედავ რა ამბავია! ეს დაზგა მე გამოვიგონე; ახალი სახრახნავი დაზგაა, მხოლოდ ჰაერით იმუშავებს, ესეც მისი მოდელი!

— მერე?!

— ბერკეტები მოუპარავთ! მთავარი ღერძი, როგორც ხედავ, გადატეხილია!

ამ სიტყვებზე ინჟენერ ტისოვი მიიჭრა ხეთაგურთან და აღშფოთებით წამოიძახა

— როგორ?! აქაც?! ხარაბაძის წინააღმდეგ?!

— ასე კია და!..

ნელა წაილუღლუღა ხარაბაძემ და ეს ისეთი ტონით, რომ გულს დაგწყვეტდა.

წუთით ყველანი გაჩუმდნენ.

წუთით სიჩუმე ჩამოვარდა.

მხოლოდ თვალებით შეჰყურებდენ ერთმანეთს და ესაუბრებოდენ...

ამ დროს სრულიად მოულოდნელად საიდღანაც გამოცოცდა ციხისელი.

შეხედა გობრონს და გაუღიმა, თუმცა აქ ახლა არავის ეღიმებოდა.

ყველა იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ მოხდა ეს და ვინ იყო მისი ჩამდენი.

— აი ენტუზიაზმი!

ნელა, დაცინვით წაიბუტბუტა ციხისელმა.

ხეთაგური ჯერჯერობით გაჩუმდა.

მხოლოდ გულში დედა შეაგინა.

— მე არ დამიჯერეთ! ოპორტუნისტიც მიწოდეთ, მაგრამ აი ხომ ხედავთ!..

გობრონ ხეთაგური სიბრაზისაგან აენთო.

არა მარტო გობრონი, არამედ მთელი საამქრო, ყველა ის, ვინც ციხისელის ამ სიტყვებს ისმენდა.

— ხმა ჩაიწყვიტე, შე მამასულძაღლო!

ეს ისეთი მძლავრი ხმით დაუყვირა გობრონმა ციხისელს, რომ ის შიშისაგან აკანკალდა და დაბნეული თვალებით მიმოიხედა.

თვალები გზას ეძებდა გასაქცევად, მაგრამ ირგვლივ მუშათა ტალღა ერტყა და ადგილიდან ვერ იძროდა.

გობრონი კი ჯიუტად მიაცქერდა ციხისელს და მან ვერ გაუძლო ამ მძაფრ გამოხედვას. ნელ-ნელა უკან დაიხია, გაცუცქდა, გაიპარა.

— გობრონ! ცდა ზედმეტია... მივიღოთ სასწრაფო ზომები საამქროს ასამუშავებლად,—შესძახა ხეთაგურს ხაჩატუროვმა.

— მერე და რა საშუალებებს გამონახავთ?! მერე და ასე უცებ ხომ ვერ შევსძლებთ!—გააწყვეტინა ხაჩატუროვს პირხმელმა მუშამ.

— სად არის ახალი რემენი?! სად იშოვით ამ წუთში?!

— არის! არის!—მიმართა მათ ხეთაგურმა—ვიშოვით! საამქროს ჩვენ ავაგუგუნებთ და გამარჯვებასაც მივაღწევთ, მიუხედავათ დაბრკოლებებისა! ჩვენ ხელს გვიშლიან... ნიღაბაფარებული მტერი მოხერხებულად მოქმედობს... ჩვენ დამნაშავეებს აღმოვაჩენთ და რკინის ხელებით გაუსწორდებით! ჩვენ არც ერთი წუთით არ გავაჩერებთ დაზგებს უქმად!.. ჩვენ არც ერთი წუთით არ გავაჩერებთ მანქანებს, არ შევანელებთ მაღალ ტემპებს...

ტიბორ ბარტალოში გაშეშებული იდგა და გულდასმით ისმენდა გობრონის სიტყვებს.

ის შეხაროდა დღევანდელ დღეს ისე, როგორც სხვები შეხაროდენ.

შეხაროდენ მიტომ, რომ ახალი საამქრო უნდა აგუგუნებულიყო და მისი გუგუნი დღეს უნდა ეზეიმათ, როგორც მთავარი პირობა ქარხნის საბოლოო გამარჯვებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ამ მოულოდნელმა ამბავმა როგორც სხვები, ისე ტიბორის გულში შუშის ნამსხვრევებივით გაიარა და გაკაწრა.

თითქოს ერთბაშად ჩაჭქრა იმედის ნაპერწკალი.

თითქოს გაუოკვეულობის ბურუსი ჩამოწვა ირგვლივ.

თვითონ თოძა გულაშვილიც ორეფოფულ აზრებში გაეხვია.

ეს ამბავი იმდენად მოულოდნელი იყო, რომ თითეული მათგანი ერთბაშად შებოჭა და აზრთა სხვადასხვაობაში გადააგდო.

...მაგრამ...

— ტიბორ, წამოდი ჩემთან!

დაუძახა თოძამ ტიბორ ბარტალოშს, რომელიც მის წინ იდგა და თვალებს არ აშორებდა.

ტიბორი უმალ მივიდა თომასთან და ელოდა რას ეტყოდა.

— წამოდი ჩემთან!—მიმართა თომამ.

— მზად ვარ! წავიდეთ!—უპასუხა ტიბორიმ.

თომა სწრაფად მობრუნდა და მერე ტიბორიც თომასთან ერთად გარედ გაიჭრა.

გობრონმა წუთით ყველას სახეზე თვალი გადააავლო.

თითეულ მათგანის სახეზე ბრაზი და გაოცება გამოსჭვივოდა.

კუთხეში ხაჩატუროვის ირგვლივ მუშები შეეკუჩულიყვნენ და გაოცებულ სახეებით ერთმანეთს შესცქეროდენ...

— მე მაგისი დედა ვატირე—ამბობდა ხაჩატუროვი—რა დროს შეგვიშალა ხელი... სამკეცად უნდა ააძრო ტყავი მაგ ვერან ტიალს, მაგას...

— დამნაშავეს ჩვენ თვითონ გაუსწორდებით!

— დამნაშავეს ჩვენ თვითონ დავსდებთ ბრალს!

გაისმოდა აქა-იქ და გობრონი ამას რომ ისმენდა, გულში ცეცხლის ალი პრიალებდა.

— ამხანაგებო!

დაიწყო გობრონმა და მის ხმაზე ყველანი სმენად იქცენ...

— ეს ფაქტი ძალზე აღმაშფოთებელია... აქ ჩვენ მოწინააღმდეგის გეგმასთან გვაქვს საქმე და საჭიროა თითეული ჩვენთაგანი ფხიზლად იდგეს სადარაჯოზე... ჩვენ ავაშენეთ ახალი საამქრო და ეს უდიდესი გამარჯვებაა. ჩვენ ავაშენეთ ახალი საამქრო 45 დღის ნაცვლად 30 დღეში... დღეიდან უფრო მეტად, უფრო მაგრად უნდა დავარტყაათ სიძველეებს და გეგმა შევასრულოთ...

ხეთაგური ამ სიტყვებს რომ ამბობდა, ცეხის მარცხენა მხარიდან გაისმა:

— გზა! გზა მოგვეცით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ნიაღვარი შუაზე გაიპო და გამოჩნდენ თომა და ტიბორი, რომელნიც ახალ რემენს მოათრევდენ.

მუშებში ტაშის ქარტეხილმა გადაიარა და სიხარულისგან აღტაცებულებმა რემენი სწრაფად აიტანეს მანქანაზე...

— ახალმა საამქრომ უნდა იგუგუნოს! მანქანები ერთი წუთითაც არ უნდა გაცდეს!

იძახდა ტისოვი და ბორბლებზე მუშებთან ერთად ღვედს აკეთებდა, ასწორებდა.

გავიდა დრო.

აგუგუნდა, აშრიალდა ღვედები.

გუგუნი წავიდა შორს საამქროში და ზღვა მუშების გულიც სიხარულისაგან გუგუნებდენ ასევე...

## წინააღმდეგობის რკალში

ვერ ისვენებდა გობრონ ხეთაგური.

ფიქრობდა იმაზე, თუ ვინ იყო, რომელიც ასე უშლიდა ყოველივეს ხელს.

— დავარტყამთ, დავსცხებთ!—ბრაზობდა თავისთვის.

აი მანქანები, აი საამქროები, დაზგები, დამკვრელები...

ყველაფერი ერთად, სიცილი, სიხარული, გუგუნი, ხმაური...

ადამიანები, მებრძოლნი ტემპებისათვის, მაგარკუნთებიანი, ხალისიანი...

აი, ყველაფერი ეს არის და იქნება. ქუხს და გუგუნებს.

მუშაობს გობრონ ხეთაგური და ჟამჟამად შეხედავს მომუშავეებს.

ყველაფერი რიგზეა.

ყველაფერი ისეა, როგორც საჭიროა.

გუგუნებენ მოტორები.

ტრანსფორმატორების იქით წივიან საორთქლე მილები და კიდევ იქით წუნდადებულ ჩამოსხმულ თუჯების ნაჭრების გვერდით ვიწრო, ვერცხლისფრად გაკლაკნილ ლიანდაგებზე მისრიალებენ პატარა რონოდები.

გუგუნებს, ხმაურობს მთელი ქარხანა.

— ვინ არის ის?!

აეკვიატა ეს კითხვა გობრონს და მოსვენებას არ აძლევს.

— პეტრე შჩუკინის ბრიგადა ცრუ დამკვრელი გამოდგა! თვითონ შჩუკინიც ანტისაბჭოთა ელემენტი, რაც შეეხება კირიონ ქემოკლიძეს, ისიც არასანდო პიროვნებაა!

ახსენდება მაგდას სიტყვები გობრონს და სწუხს, ჯავრობს მაგდა ახლა აქ რომ არ არის და არ იცის ახალი საამქროს ბედი.

დასვენებისას გობრონ ხეთაგურმა ქარხკომში შეიარა.

მაგდა არ იყო წინანდებურად მხიარული, მოცინარი.

იღლიაში ქაღალდები ამოუჩრია და სადღაც მიიჩქაროდა.

ხეთაგურმა ხელები მაგრად მოკიდა ხელებში და შეაჩერა.

— მაგდა?!!

— რა იყო?!

— რას ნიშნავს ეს! ჩუმად გინდა ჩამიარო?!

— მეჩქარება!

გობრონს ფიქრები, ეჭვები აეშალა.

— მაგდა!—აუთრთოლდა ხმა ხეთაგურს.

—რა იყო?!

ისევ ისე გაიკვირა მაგდამ და ეს სიტყვები რატომღაც ცივად ეჩვენება გობრონს.

თვითონ მაგდაც რატომღაც სულ სხვანაირადაა განწყობილი.

გობრონის დანახვაზე წარბიც არ შეუთრთოლებია და, ალბათ, გულიც უჩვეულოდ არ აძგერებულა. აი თუ გინდ ისე, როგორც ადამიანს ადამიანის ნახვა უხარია და სიხარულისაგან ღიმილი რომ იშლება სახეზე.

— მაგდა. რატომ ხარ ასე უხალისოდ?!

— მეჩქარება გობრონ! შემდეგ შეგხვდები და ყველაფერს გეტყვი!

უპასუხა მაგდამ.

გაუსხლტდა ხელებიდან და კიბის საფეხურები საჩქაროდ ჩაირბინა. წავიდა.

გობრონი რამოდენიმე წუთს იდგა უაზროდ. ნამსხვრევებივით სჭრიდა, კაწრავდა ფიქრები.

— რატომ ყოველივე ეს?! ისეთი რა შეემთხვა, რომ სულ გამოცვლილა?!

რამოდენიმე ხანს იდგა გობრონ ხეთაგური ასე უხმოდ, ფიქრებში გართული.

— ისეთი რა მოხდა, ასე უხალისოდ რამ გახადა?! იქნებ ცუდი რამ შეემთხვა, მაგრამ... მაგრამ...

გობრონს მაინც ვერ გამოერკვია თუ რაში იყო საქმე.

— შემდეგ გეტყვი!

ასე უთხრა მაგდამ და ამან კი გობრონს ათასი ეჭვები აუშალა.

იდგა, ფიქრობდა.

— გობრონ?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოესმა ძახილი ხეთაგურს ვიწრო ბნელ დერეფნიდან და ძახილზე უცებ შემოტრიალდა.

— ამოდი ერთი წუთით!

ეძახდა ქარხნის დირექტორი ამხანაგი თომა გულაშვილი.

გობრონმა სიჩქარით აირბინა კიბე და შევიდა კაბინეტში.

მარჯვნივ კუთხეში იჯდა ინჟენერი ტისოვი და უჯრედის მდივანი ამხანაგი უშანგი გაბრიაძე.

განიერი, ვარვარა მცხუნვარე მზე ბრჭყვიალებდა ფანჯრის ფერად მინებზე და ათასგვარი ფერები იშლებოდა ოთახში შემოწოლილ უფერო ბინდებში.

არც ტისოვს, არც უშანგ გაბრიაძეს ხმა არ ამოუღია გობრონის შემოსვლაზე.

იჯდენ ჩუმად და ელოდენ იმას, თუ როგორ დაიწყებდა თომა გულაშვილი, რას შეეკითხებოდა გობრონს.

გობრონს ძალიან უკვირდა მათი საქციელი.

აკი ყოველ შეხვედვაზე კმაყოფილების ღიმილი იშლებოდა მათ სახეზე და სიხარული ცეცხლის ნაპერწკლებად ენთო თვალებში.

აკი ყოველ შეხვედრაზე მეგობრული სიყვარულით წაიმასხარებდენ და მხიარულად იცინოდენ.

და აი, ახლა კი რატომღაც სულ სხვანაირად იქცევიან.

თავიც არ აუწევიათ მაღლა.

პირდაპირ თვალებშიც არ შეუხედნიათ.

არც ერთი სიტყვაც არ უთქვამთ.

მზე ისევ ანათებდა ფანჯარასთან და ჟამჟამად ქარხნის მილებიდან ამობუთქული შავი, გრუზა კვამლი შემურავდა ოქროსფერ სხივებს და წუთით ოთახში თითქოს უფერო ბინდები შემოფორთხავდენ.

— გობრონ!

დაარღვია სიჩუმე გულაშვილმა.

ხეთაგური გაშტერებით მიაჩერდა გულაშვილს.

— შენ მაგდას იცნობ?!

შეეკითხა თომა დამშვიდებული კილოთი.

— ძალიან კარგათ!

— რა აზრისა ხარ მასზე?

ნელა შეეკითხა თომა და მშვიდი თვალებით გადახედა უშანგ გაბრიაძეს.

— რაშია საქმე?! რატომ პირდაპირ არ ლაპარაკობთ რაც გინდათ!

გაიკვირვა გობრონმა და თითეულად შეხედა მათ.

— არა!—დამშვიდებით მიმართა დირექტორმა,—მე მაინტერესებს თქვენი აზრი მაგდაზე!

ბობრონ ხეთაგური ვერ მიმხვდარიყო თუ რა უნდოდა ამით დირექტორს.

— რა აზრისა უნდა ვიყო! მე მგონია ჩვენ შორის მაგდაზე ორი აზრი არ იქნება!

— ესე იგი, მაინც როგორი?! როგორ გავიგოთ ეს სიტყვები?!

— მე მგონია ის ერთად-ერთი დაულალავი მუშაკია ქარხანაში. რაც ის დაწინაურეს, ქარხანას ბევრი რამ შემატა. საკუთარი ინიციატივით დაარსა წითელი კუთხე მშვენიერი დარბაზით, ცოწყო რადიო-გადაცემა, დაარსა ნაბეჭდი საქარხნო გაზეთი და სხვა მრავალი. მე, ამხანაგო დირექტორო, მაკვირვებს ძალიან, თუ რატომ დაისვა საკითხი მაგდას პიროვნების შესახებ! მე მაინტერესებს ის, თუ რამ აგიძულათ ასე შეხებოდით თქვენ მას. მე, ამხანაგო დირექტორო, პირდაპირ გაოცებული ვარ თქვენი ასეთი საქციელით და არ ვიცი რა ვიფიქრო!

დირექტორი ისევ მშვიდათ გამოიყურებოდა.

ხოლო ინჟენერი ტისოვი თვალს არ აშორებდა ხეთაგურის ყოველ მოძრაობას და ისე გამოიყურებოდა, თითქოს ამ კაცს რაღაც აოცებს.

— თუ ამას თქვენ გულწრფელათ ამბობთ, ამხანაგო ხეთაგურო, მუშებში რათ ავრცელებდით სრულიად საწინააღმდეგოს: ის დაწინაურების ღირსი არ იყოო და სხვა...

ამ სიტყვებზე გობრონ ხეთაგური აიმღვრა, აცეცხლდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა წამოიძახა.

— რას ამბობთ?! ეს რა სთქვით, ამხანაგო თომა! მე, გობრონ ხეთაგური, ხმებს ვავრცელებდი მუშებში თითქოს ის დაწინაურების ღირსი არ ყოფილიყო, ტყუილია! სიცრუეა, ამხანაგო დირექტორო!

გობრონს თვალწინ წარმოუდგა მაგდას გამწყრალი უკმაყოფილო სახე.

მიხვდა ახლა, თუ რატომ იყო ის ასე უსიამოვნო, თუ რატომ იყო ასე უხალისო და დირექტორს მოუთმენლად შეეკითხა.

— მითხარით ვინ გითხრათ?! მითხარით რაშია საქმე? მე ამას ვერ მოვითმენ, ამხანაგო დირექტორო! ვერ მოვითმენ, ამხანაგო უშანგი, თუ გინდ მიტომ, რომ ეს არის ცდა დაწინაურებულს ჩირქი რომ მოეცხოს. აქ ბნელი ხელი ტრიალებს, აქ რაღაც შავი საქმე კეთდება!

დირექტორმა უჯრიდან წერილი ამოიღო.

— აი, გობრონ! შემოსულია უსახელო წერილი, სადაც ნათქვამია თითქოს შენ ავრცელებდე ხმებს მაგდას შესახებ, რომ ის არ იყო დაწინაურების ღირსი... ბოლოს წერილის დამწერი მოითხოვს საჩქაროთ გაჩხრეკილ იქნას მაგდას სახლი!

— ყველაფერი ჭორია! პროვოკაციაა!

წამოახრიალა ისევ ხეთაგურმა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მაგრად დაარტყა ხელი ძაგიდას.

— ტყუილია! ცილისწამებაა! მე კრინტიც არ დამიძრავს მაგდას შესახებ და ის სულაც არ არის ასეთი! ამხანაგო დირექტორო! აქ ქარხანაში ვიღაც ხელს გვირევს, ბნელ საქმეებს აწყობს და ახლავე ძირშივე უნდა წავაჭრათ ის ხელი.

დირექტორი წუთით გაჩუმდა.

შეჰყურებდა გობრონს და გრძნობდა, თუ როგორ იტანჯებოდა, თუ როგორ ღელავდა ხეთაგური ამ ამბის გამო.

— თვითონ მაგდამ ხომ არაფერი იცის ამის გამო?

— ყველაფერი იცის!

— მერე?! რა სთქვა თვითონ?!

— რა უნდა ეთქვა, ფაქტია ის, რომ რემენი მის ოთახში იქნა ნახული! ფაქტი კი ჯიუტია და დღეიდან ისე უნდა მოვიქცეთ, როგორც ეს საჭიროა!

ხეთაგური თითქოს დაიბნა.

— კარგი, ძლიერ კარგი, ამხანაგო დირექტორო! თუ მართლა ეს ფაქტი დადასტურდა, პირადათ მე გაუსწორდები მას... თქვენ კი იმოქმედეთ ისე, როგორც ქურდის წინააღმდეგ...

უთხრა ბოლოს ძალზე აღშფოთებულმა გობრონმა და ფიქრებში გართული ფანჯარას მიადგა.

დირექტორმა კი აიღო ქაღალდი და წითელი მელნით დააწერა:

— გასარჩევად საწარმოო ტრიბუნალს.

# ნაწილი მეორე

## ისევ თეძამთან

მზე უკვე ჩადიოდა და ხეობებში დაისის მუქლურჯი ბინდები ჩამოწვნენ.

ცა სიმაღლეში ნაცრისფერი იყო, მაგრამ ალაგ-ალაგ ნისლისფერი ღრუბლები ნაგლეჯებად შერჩენოდა, თანდათან სიშავე ეპარებოდა და ქრებოდა მზის შუქი, დღის სინათლე.

ბალახით მოფენილ არე-მარეზე სახლების ზემოთ აბურცულ გორაკებზე—ათასგვარი ყვავილებით რომ ფშვინავს სულშესახუთ სიცხეებისას—შრიალით ეფინება თბილი ნიავი.

ქარს მოაქვს ნედლი თივის სუნი და ყვავილების ნოყიერი სურნელება.

ხეების ჩრდილში ჩქარა მიაბიჯებს კირიონ ქემოკლიძე და გიორგი აბდუშელაშვილი.

მშვენიერი საღამოა.

მუშები მიდიან ამხანაგ სტალინის სახელობის საზაფხულო კლუბში.

მიდიან ცოლშვილით, ნაცნობ-მეგობრებით.

მრავალ ნაცნობს გაუვლია კირიონის გვერდით, მაგრამ კირიონმა წუთშივე თვალები ძირს დახარა, თვალი აარიდა.

იქვე ახლოს, ამ ნაცრისფერ შენობების იქით გრიალებს სასულე ორკესტრი. მიდის კინო, კონცერტი, მუშაობს ესტრადა.

აგურისფერ მოედნის იქით, მარცხნივ ხეივანი რომ მიიმართება, ხეივნის ბოლოს სცენს შადრევანი.

გრიალებს სასულე ორკესტრი და ტანში გრძნობ მოჭარბებულ ენერგიას და სისხლის მოწოლას.

მაგრამ ყოველივე ეს კირიონის გულთან დაუკავშირებელი და უინტერესოა.

უინტერესოა მიტომ, რომ ის უკვე აშკარად შესდგა უფსკრულის პირზე და ყოველი წუთი განადგურებით ემუქრებოდა.

საჭირო იყო სხვა ხერხის გამონახვა.

საჭირო იყო ახალი გზის მოძებნა.

მისმა ბნელმა ზღრახვებმა უკვე ნათლად იჩინა თავი და ახლა მთელი თავისი ენერგიით, მთელი თავისი გონებით, დაძაბულობით ცდილობს დაფაროს თავისთავი.

ამბავი იმის შესახებ, რომ მაგდა საწარმოო ტრიბუნალს გადასცეს, განუსაზღვრელ სიხარულს იწვევდა მასში, მაგრამ მას ნებისყოფა იმდენად ყოფნიდა, რომ ეს მდგომარეობა არავისთვის არ გაუმჟღავნებია.

არ გაუმჟღავნებია თვით გიორგი აბდუშელაშვილისთვინაც-კი.

ეს ფიქრები სისხლთან ერთად შემოაწვა გონებას და საფეთქელთან რაღაც აფარფატდა. თვალს ბურუსი შეეპარა და გონებას გაურკვევლობა.

გიორგი ძალაუნებურად ჩავარდა ამ საქმეში.

მიხვდა, რომ კირიონსა და მის შორის შეიკრა კავშირი მისდაუნებურად და ეს ძალზე აღელვებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აი, ახლა, მუსიკის ტკბილ ვუგუნს რომ ისმენს, უნდა იქ იყვეს, მაგრამ ისიც უფსკრულის პირზე დგას.

ბნელი ხლართები გააბეს ქარხანაში და ძნელია ამ ხლართებიდან თავის დახწევა.

იცის ეს გიორგიმ.

იცის ეს კირიონმა.

გარდა ამისა გიორგის გულში სულ სხვა გრძნობებმა გაიღვიძეს, სულ სხვა გრძნობები დაბუდდა და ჟამჟამად მწარე ტკივილივით დაუვლის ტანში.

თვალწინ წარმოუდგება მაგდას შეშფოთებული სახე და ტკივილი უფრო და უფრო იზრდება, სივდება.

და აი, ამ რუხ ქუჩაზე ელნათურების ციმციმში სიცოცხლით სავსე ქალები რომ კისკისებენ—აგონებს მაგდას უდარდელ სიცილს, მიმზიდველ ღიმილს, რომელიც ჩაუქრობლად ენთო მის სახეზე და თვალებში ცეცხლის ნაპერწკლებად გაჰკრავდა.

აგონდება ყოველივე ეს და ნელი ბუტბუტით ეუბნება კირიონს

— კირიონ! ახლა ხომ ყოველგვარი ავტორიტეტი დაეკარგება მაგდას! ახლა ამ ქურდობის შემდეგ ხომ არავითარი ნდობა არ ექნება მუშებში?!

— მერე, მერე რა?!

— საწარმოო ტრიბუნალის გასამართლების შემდეგ მას აქ, ამ საწარმოში ხომ არ მოუხდება მუშაობა?!

— ასე ვფიქრობ!

— მაშ, ამ ჩვეულ მხარეს, ენტუზიასტებს დასტოვებს?!

— რასაკვირველია!

— მთელ მის ცხოვრების მანძილზე ეს ამბავი შავი ღრუბელივით ხომ მუდამ დაჩრდილავს?!

— რა თქმა უნდა!

— ხო და, არ მინდა, რომ ამას ვამბობდე, მაგრამ მაინც ვიტყვი; მე მინდა ეს ასე არ იყოს! მე არ მინდა, რომ ასე დაიტანჯოს მაგდა! მას ბევრი კარგი საქმე გაუკეთებია ჩემთვის!

კირიონი შეეჭვდა.

ჩახედა მრისხანედ.

სიბრაზისაგან თვალები გადმოკაკლა და ჰკითხა:

— რას ბოდავ?

— მაგდა არ იყო ასეთების ღირსი! ის დღეიდან ყველაზე უფრო საცოდავია! მე ვერ ვითმენ მის სულიერ ტანჯვას!

კირიონმა ხელები მაგრად მოუჭირა და კბილების ღრჭიალით უთხრა.

— შენ ხომ იცი ვერსად გამექცევი! არ გაგიწყრეს ღმერთი და ასეთები კიდევ არ წამოაყრანტალო, თორემ არ დაგზოგავ... რაც შენი საქმე არ არის, იმაზე ფიქრიც ზედმეტია...

იარე ჩემთან... მომყე...

გიორგი გაჩუმდა და ხმის ამოუღებლივ გაჰყვა.

ცაში აკიაფდენ ალისფერი ვარსკვლავები მზის ნატეხებივით რომაა ალაგ-ალაგ ერთად მიყრილი და ცაც ოდნავ მოერთო...

რუხი ბინდები იკვამლებიან და მაღლა მთებზე ჩამოწვა ბოლისფერი ნისლი.

უფრო და უფრო სცილდებიან მუსიკის გუგუნს.

უფრო და უფრო შორდებიან ქალაქის მოხმაურე ქუჩებს...

მაგდას სახე, მაგდას ღიმილი, ძაგდას მოქცევა ყოველ ნაბიჯზე უფრო და უფრო ატოკებს გიორგის გულს და ხვევს ფიქრებში.

კირიონის მიმავალ ზურგს რომ შეხედავს—აღშფოთების სიმწვავე აშმაშურდება სადღაც შიგნით და სახეზე წითლად შემოაწვება.

— გამოიარე! გამოიარე!

მიმართა კირიონმა გიორგის.

გიორგი ფიქრებიდან გამოერკვა და დაბალი ხმით ჰკითხა:

— კი, მაგრამ რად არ მეუბნები სად მივდივართ?!...

— ნახავ! გაიგებ!

მკვახედ უპასუხა კირიონმა.

— ყოველთვის უნდა გითხრას კაცმა, სად უნდა მივდიოდეთ თუ არა თეძამისას?!

— კი, მაგრამ აქეთ ხომ არ ცხოვრობს?! ჩვენ ხომ სულ სხვა ადგილას ვიყავით მაშინ?!

— გადავიდა! ყოველთვის ერთ ადგილას მისი ცხოვრება ხომ არ შეიძლება?! ყველაფერი კი არ უნდა გითხრას კაცმა, არამედ შენ თვითონ უნდა მიხვდე!

გიორგის ჩვეულებრივად სიტყვა არ შეუბრუნებია.

## ბავაკეთებ ერთის პიროგით

ფანჯრები დაკეტილია და ფარდებ ჩამოფარებული.

დერეფანში თაგვის და დამპალი წყლის სუნი დგას.

გვერდით იატაკი ჩამპალა და ღარებში ნარეცხი წყალი მოდივა.

ქვევიდან, ღრმა სიბნელიდან გარკვევით მოისმის ჟესტის ფურცლებზე წყლის წვეთების დაცემის ხმა და ყარს იქაურობა.

ნელა აყვნენ კიბის საფეხურებს კირიონი და გიორგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ ფეხქვეშ ჭრაჭუნობს კიბის საფეხურები და ისინიც სიფრთხილით ძიემართებიან უფრო ზემოთ.

გაიარეს დერეფანი.

ყველას სძინავს.

ჩაბნელებული, ჩაღამებულია ოთახები.

სიბნელეში კირიონმა ფეხი წაჰკრა პირსაბან ტაშტს.

კუთხიდან დამფრთხალი ცინდალი გამოვარდა და კნავილით გაიქცა დერეფნის ბოლოსკენ.

— ჰაიტ, შე უპატრონო! დაგექცეს ოჯახი!—წაიდუდუნა კირიონმა.

კნავილი წავიდა შორს და შეწყდა.

დერეფნის ბოლოს ვიღაცამ უკანასკნელი ელნათური ჩააქრო და გაბრუებულმა კირიონმა გაჯავრებით წაიბურტყუნა:

— ჩაგიქრა თვალის სინათლე! ჩაგიბნელდა სიცოცხლის დღეები!

გიორგი ჩუმად მიდიოდა.

კირიონის წამოძახილს, გინებას ყურადღებასაც არ აქცევდა.

არც უნდოდა, რომ გაეგონა.

არც უნდოდა მიტომ, რომ მის გულში ეჭვები ცეცხლივით მძვინვარებდა და სწვავდა მით უფრო, როცა იმას აკეთებს, რასაც თვითონ ყოველთვის გაურბოდა და რაც დაღუპვისაკენ ექაჩებოდა.

და აი: ის გამოსავალს ეძებს.

— დავღუპავ ერთად! დავღუპავ ისე, რომ მისი ხსენებაც მოიშალოს სრულიად!

გაიფიქრებდა კირიონ ქემოკლიძეზე, მაგრამ უმალ სხვა აზრი გადაეხიდებოდა და ძიდიოდა ასე ფიქრებში გართული.

კირიონძა სწრაფად შეაღო ოთახის კარები.

ელექტრო შუქმა ერთბაშად მოჭრა თვალი, მაგრამ შემდეგ გარკვევით შეამჩნია ლოგინიდან როგორ სისწრაფით ახტა ტანალეწილი ქალი.

მას კაბა აჩეჩვოდა და შიშველი მუხლები უჩანდა.

საყელო შეეხსნა და გულმკერდს სხვადასხვა ფერებით მოქსოვილი, პაპიროსის ქაღალდივით თხელი მატერია ფარავდა.

ის იყო ინჟენერი ტისოვის მეუღლე სალიტა.

კირიონმა და გიორგიმ ძალზე გაიოცეს ეს მდგომარეობა და ბიჯი არ გადაუდგამთ.

გაშტერებული თვალებით შესცქეროდენ ხან თეძამის ეშმაკურად მოღიმარ სახეს და ხან სალიტას, რომელმაც სიჩქარით საყელო შეიბნია და კაბა შეისწორა.

— ზრდილობა მოითხოვს კარები დააკაკუნოთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკვახეთ მიმართა სალიტამ კირიონ ქემოკლიძეს, რომელიც ერთი წუთითაც არ აცილებდა თვალებს.

— უკაცრავად ქალბატონო!

შეაწყვეტინა კირიონმა.

— არ მეგონა... თორემ... ხელს არ შეგიშლიდით!..

ამ სიტყვაზე სალიტა გაბრაზდა და თეძამს მიმართა:

— თეძამ, რა ჟზრდელი მეგობრები გყოლია!

თეძამიმ თვალი აარიდა.

შარვალის დაჭმუჭვნილი მუხლები გაისწორა და ეშმაკურმა ღიმილმა გაიელვა სახეზე.

სალიტა ცოტა ხნით შეჩერდა.

სახე წითლად აელანძა.

ახლა თითქოს ერთბაშად იგრძნო სირცხვილი, სახეზე შავი გაროზი ჩამოიფარა, მოტრიალდა და კიბე სიჩქარით ჩაირბინა.

კირიონმა ნელა გააყოლა თვალები მიმავალ სალიტას და მერე ხითხითით უთხრა თეძამს:

— დასაღუპავი ხარ თეძამ, დასაღუპავი, მედაჩემმა ღმერთმა!

როცა კირიონმა სალიტაზე საუბარს მორჩა, მიუჯდა თეძამს და დაბალი ხმით უთხრა

— მაგდა საწარმოო ტრიბუნალს გადასცეს და რას იტყვი? როგორ მოვიქცეთ?!

თეძამისათვის ეს ამბავი არ იყო მოულოდნელი.

თვითონ მეთაურობდა ამ ბნელ საქმეებს და როცა კირიონისაგან ეს ამბავი მოისმინა, ტოცახნით ჩაფიქრდა, თითქოს სიძნელეები თვალწინ წარმოუდგა და უნდა გაზომოს როგორ აჯობებს.

— როგორ უნდა მოიქცე და როგორც აქამდე იქცეოდით! რაც შეეხება ტისოვს მას ტერორ ქვეშ დააყენებს თვითონ მისი მეუღლე ქალბატონი სალიტა... სინანდვილე, რომ არ გამოირკვეს, საჭიროა ვაჟიასათვის თვალყურის დევნება!

— ის უკვე მთელი ღამობით სარდაფში გდია და, სხვათაშორის, ყველას უკვირს თუ საიდან იშოვა ასე საქეიფო ფული... ამიტომ მე მგონია მას ვინმე გამოკითხავს და ისიც ეტყვის...

თეძამიმ შუბლი შეიკრა.

მუხლებზე ხელი დაირტყა და წამოახრიალა.

— დღესვე მოჰკალით! თუ ამ ამბების კვანძი გაიხსნა, იცოდეთ პირველი მიზეზი ის იქნება!

ამ სიტყვებზე მოტრიალდა გიორგი აბდუშელაშვილი, რომელიც კედელზე ჩამოკიდებულ სურათს უცქეროდა, და საშინლად გაოცებულმა წამოიძახა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს რა სთქვი თეძამ! მაგდას რომ ღუპავთ ის არ გეყოფათ?! ახლა მეორეც უნდა დაღუპოთ?! უნდა მოგვაკვლევინო ჩვენივე ამხანაგი?! თეძამ, მე თქვენი მეშინია! მე თქვენთან მუშაობა არ მინდა, თავი გამანებეთ!

თეძამი ჩოხჩხივით წამოდგა.

ღრმად ჩავარდნილ თვალებში თითქოს სიკვდილი ჩაბუდებულა (ასე ეჩვენებოდა გიორგი აბდუშელაშვილს) და ოდნავ შეკრულ წარბებიდან მხოლოდ რისხვა მოჰქრის.

ნელა მიუახლოვდა გიორგის.

მიაშტერდა თვალებში და მრისხანედ მიმართა

— ფეხს ვერსად ვერ გადადგამ, სანამ ჩვენ არ გეტყვით! შენ სულელი ხარ! საქმე როცა მოითხოვს თავიც უხდა შესწირო, გესმის?!

— მე... მე მაინც ვერ გამომირკვევია, თუ რა საქმე მოითხოვს ყოველივე ამას!

— რა საქმე?!

დაცინვით გაიმეორა თეძამიმ.

— ჯერ თვალი არ აგიხელია თუ?!

— თავი დამანებეთ! მე გამიშვით ჩემთვის... არაფერი არ მინდა... ეხედავ უფსკრულის წინაშე ვიმყოფები... მე ცხოვრება მინდა, მე სიცოცხლე მინდა!

— რას ბოდავ! რას როშავ, შე ჩერჩეტო?!

წამოხტა ბოზძორეული კირიონი და თვალებიდან თითქოს ნაპერწკლები წამოცვივდა.

— ეს მეორეჯერაა, რასაც შენ იმეორებ და გიუბნები, ეს იყოს უკანასკნელი, თორემ ჩვენ სხვა რამეს მივმართავთ... შენ ახლა გვლალატობ, როცა საქმე უკვე თავდება და ჩვენ გამარჯვება უნდა ვიზეიმოთ! სირცხვილია ეს!

— მე, სინიდისი მაწუხებს! გესმით, სინიდისი მოსვენებას არ მაძლევს!

— სინიდისმა მხოლოდ მაშინ შეგაწუხოს, როცა ბოროტებას უმიზნოდ ჩადიხარ!..

კბილების ღრჭიალით ნაწყვეტ-ნაწყვეტად უთხრა თეძამიმ.

— ბოროტება, რომელიც შენს მიზანს ამართლებს, სინიდისის სიმძიმეს ამსუბუქებს!

— ასეა მაშ! — დაუმატა კირიონმა. — ერთხელ და სამუდამოთ უნდა შეიგნო ეს! შენი ბოდიშის თავი არ გვაქვს ჩვენ! რაღაც გეშინია, კანკალებ! შეხედულება სულ სხვას მეუბნება და ისე კი ლაჩარი ყოფილხარ!

— თავი გაანებე ასეთ სიტყვების ხმარებას—გააფრთხილა თეძამიმ კირიონი,—არ ვარგა, კინკლაობთ და დროს კარგავთ! წადით ახლავე, მონახეთ ვაჟია, სადაც არ უნდა იყოს, და მოელაპარაკეთ! მე მგონია ამ საქმეს თვითონ გიორგი იკისრებს!

ცბიერად დაუმატა თეძამიმ და კირიონს თვალები დაუჭაჭუნა.

გიორგიმ პირდაპირ შეხედა თეძამის.

— მხოლოდ იმ პირობით, რომ მაგდას საბოლოოდ მაინც არ დავღუპავთ! მხოლოდ იმ პირობით, რომ საწარძოო ტრიბუხალის სხდომაზე თუ მოხერხდება მისი უდანაშაულოდ გამოყვანა.

— უდანაშაულოდ?!—გადაიხარხარა კირიონმა.—მერე და დანაშაულს ვის დაადებენ?! სხვა ვინმეს?! მე, ეს არ მინდა...

— და შენ გინდა მაგდა ჩავარდეს?!

— რასაკვირველია! დამნაშავეა და უნდა დაისაჯოს!

თეძამიმ შეამჩნია გიორგი თუ როგორ ღელავდა და კირიონს ცბიერად შეხედა.

— ამის პირობას მე თვითონ ვაძლევ! მაგდას არაფერი არ მოუვა! ახლა კი დროს ნუ კარგავ, წადი!

გიორგიზე ამ სიტყვამ რაღაც განსაკუთრებულად იმოქმედა. თითქოს ერთბაშად შეიცვალა მოღუშული სახე და თამამად ჰკითხა

— მართალს ამბობ, თეძამ?!

— ვაძლევ პატიოსან სიტყვას!

— მართალს ამბობ? ვეკითხები მეორეჯერ!

— თუ ნდობა არ გაქვს ჩემი, თვალებშიც ნუ შემომხედავ!

— კარგი, კარგი! დღეიდან მე ისე ვიმოქმედებ, როგორც შენ გინდა, მივდივარ!

უთხრა საბოლოოდ გიორგიმ და გარეთ გავიდა.

მაშინ კირიონი მიეჭრა თეძამთან და გაოცებულმა ჰკითხა:

— თეძამ, ეს რას ნიშნავს?! მაგდაზე რა პირობას აძლევ?!

თეძამიმ გაიღიმა.

— ნუ სულელობ! ამისი თქმა საჭიროა, რომ გიორგი ისე მოვიხმაროთ, როგორც ეს ჩვენ გვინდა! განა მართალი ვგონია, რაც ვუთხარი?! წადი, მიყევ კვალ და კვალ!

— მივხვდი! ვიცი ყველაფერი! მივდივარ!—უთხრა ეს და კირიონი გიორგის ჩქარი ნაბიჯეთით დაედევნა.

**ასე ცდილობენ ბოროტების კვალის დაფარვას.**

## ისევ ერთად

ცაზე ჰკიდია მთვარე ფერწასული და კრიალა ვარსკვლავები.

ღრმა ხევებში ჩაყრილან სქელი ჩრდილები და ჩრდილებ ქვეშ მიდუდუნებს მტკვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაპირ-ნაპირ ანთებულ ელნათურებიდან სხივები ტალღებში ოქროს სვეტებივით ანთია და თვით ნაპირები შავ ნახგრევებივით ჩაყრილა.

მიდის გიორგი ვიწრო ქუჩებით და ქვაფენილებზე დაცემულ ჩრდილებს აყოლებს თვალებს.

ირგვლივ თითქოს ყველაფერი გამოცვლილი და განსაკუთრებულია.

ყველაფერი სხვანაირად ეჩვენება და მოწოლილ აზრებში გულს რაღაც მძიმედ აწვება.

— ხეთაგური მაინც ავათაა... მაგდას გული კი გადასხვაფერებულია... მაგდა ძალზე საბრალოა... მე შემიძლია მისი გული მოვიგო!.. მხოლოდ საჭიროა ფრთხილად ვიმოქმედო...

ფიქრობს გიორგი.

ფიქრობს და ჯერა ეს.

ჯერა და უხარია.

უხარია მიტომ, რომ დარწმუნებულია ეს ასე მოხდება.

მაგრამ...

— მაგრამ მაგდა?! ის რას იტყვის?!

— არაფერია... ყველაფერი მოეწყობა... ყველაფერი იქნება!

აიმედებს თავის თავს და ნაბიჯს უმატებს.

მიდის ჩქარა, მაგრამ სად?!—თვითონაც არ იცის.

ღაჟღაჟებენ ვიტრინები თვალის მომჭრელად და განიერი მინები ანთია ოქროსფრად.

გაიჟრიალებენ ავტოები...

გაიწკარუხებენ ტრამვაები...

თქარათქურით გაირბენენ ცხენოსნები...

გაიჯაგჯაგებენ დროგები და ყველაფერი ეს გამზირზე, პატარა ქუჩაზე, უზარმაზარ ხმაურათ აგდია.

თითქოს ქუჩა გუგუნებს.

თითქოს ქუჩა გრიალებს.

— მაგრამ ჯანდაბას იქით ყოველივე ეს... ამ ოხერ გულში რა დარდათ ჩავარდა თეძამის სიტყვები: „ეაჟა უნდა მოჭკლათ“...

გაიფიქრა გიორგიმ და თავისთავს შეეკითხა:

— იქნებ მან ჩემზედაც ასე სთქვას, მაშინ?! იქნებ ჩემზედაც სთქვას: „გიორგი მოჭკალით“-ო... იქნებ ასე უთხრას კირიონს!

აქ გიორგი შიშმა აიტანა.

თავში თითქოს ქვა დაჰკრესო, თავზე ხელი იტაცა.

შუბლქვემოთ რაღაცამ საშინლად დაიზრიალა და უცებ შეჩერდა.

უკან მომავალი მოქალაქე მისდაუნებურად დაეჯახა გიორგის.

— უკაცრავად! ბოდიში!

წაიჩურჩულა გიორგიმ და გზა დაუთმო.

მოქალაქემ შეუბღვირა და გზა განაგრძო.

— ჩემზედაც ასე რომ სთქვას?!

გაიფიქრა ისევ და ამ აზრის საშინლად შეეშინდა.

წუთით მაღლა აიხედა და მთვარეს მიაჩერდა.

— გზა ამხანაგო!

ჩაასვირა გამვლელმა.

გიორგიმ ახლაც ბოდიში მოიხადა.

— რა გამოშტერებული მიჩერებიხარ, შე ჩემმნალა!

დაუმატა გამვლელმა.

გიორგის ბოლმა შემოაწვა.

თვითონ არ იცოდა, თუ რატომ იდგა იქ და რას უცდიდა.

როცა გამვლელმა შეაგინა, უცებ გამოერკვა და დაბალი ხმით მიაძახა:

— წადი, წადი, ბიძია, თუ ზურგი არ გგქავება!

გამვლელს ეს სიტყვები არ გაუგონია.

წავიდა.

გიორგიმ გზა განაგრძო.

მას თვალწინ ხან მაგდა ეხატებოდა...

ხან თეძამის მოღუშული სახე...

ხან მოკლული ვაჟია და ათასი სხვა რამეები...

მაგრამ მაინც...

მაგდას სახე, მხიარული საალერსო გამოხედვა ცეცხლის ალივით ენთო გულში და შრიალებდა.

მას ახსოვს...

როცა პირველად გააკრეს შავ დაფაზე, მასთან მოვიდა მაგდა.

— გიორგი!—უთხრა მან,—ახალგაზრდა კაცი ხარ! ჯანი გაქვს და ღონე! შეძლებით ბევრ რამეს შესძლებ! ბევრ შენს ტოლს სჯობნი და რა მოგდის?! რატომ ზარმაცობ, რატომ გაურბი სამუშაოს?!

გიორგი იდგა თვალებდაშვებული და ხმას არ იღებდა.

— განა ეს შეგშვენის?! ყველა ერთმანეთს ეჯიბრება, დადგა გადამწყვეტი მომენტი და შენ ახლა დეზერტირობ?! ამაზე სულ სხვანაირ პასუხს მოგთხოვენ შენივე ამხანაგები, მაგრამ ჯერ შენ გიცდიან. გიცდიან მიტომ, რომ შენგან მეტს მოელიან!

— მე... მე, მაგდა, თქვენი დიდი ხათრი მაქვს, მაგრამ გული გამიტყდა, როცა შემოსასვლელ კარებთან შავ დაფაზე ჩემი სახელი და გვარი ამოვიკითხე! მე მაშინ ვიგრძენ ჩემი დამცირება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს არაფერია! იმუშავე კარგათ და იქიდან მოიშლები! თუ კიდევ ასე დაიწყებ, მაშინ ნურასუკაცრავად თუ სხვანაირად მოგეპყრობიან, მაგრამ შენ კარგი ბიჭი ხარ და ბოლომდე კარგათ დარჩები... მე ამისი იმედი მაქვს!

ასე უთხრა მაგდამ და ეს სიტყვები იმდენად მნიშვნელოვანი, მგრძნობიარე და სასიყვარულო იყო გიორგისათვის, რომ ამის შემდეგ მას უნდოდა მაგდა ხშირად ენახა.

შორიდან მოჰკრავდა თვალებს და დიდხანს შესცქეროდა მასთან საუბარს მოწყურებული...

ახლოს მისვლას რატომღაც ვერ ბედავდა.

— სხვანაირად იფიქრებს!

ასე ამბობდა გიორგი და მუდამ განზე იდგა, თუმცა სულაც არ უნდოდა ეს ასე ყოფილიყო.

მაგრამ...

მაგრამ ეს კირიონმა დროზე შენიშნა და ჩასჩურჩულა:

— მის ნათქვამს მისდევ შე გლახა, შენა! რომ იმუშავო, ენერგია ხარჯო, რა სარგებლობა მოგივა! ეს ქარხანა კი დარჩება და შენს ჯანმრთელობას კი გამოეთხოვე! სულელი ყოფილხარ, სულელი! როდის იყო, რომ ქალი კაცს ჭკუას ასწავლიდა... იმის ჩურჩუტს უგდებ ყურს?!

ახსოვს ეს გიორგის.

ეხლაც გრძნობს თუ რამდენად მწარე იყო მაშინ კირიონის ეს სიტყვები და ბრაზიანი ნელა მიყვება ქუჩას.

გაიარა მთავარი ქუჩა.

შეუხვია მარცხნივ, სადაც მწვანეებიდან ანათებდენ ელნათურები და ქვაფენილები ჩრდილებს გადაეშავებინათ.

— რას გარბიხარ კაცო?!

მხრებში ხელი დაჰკრა ვიღაცამ და მოატრიალა.

— რა მიგარბენინებს, ძლივს დაგეწიე!

გიორგიმ შეხედა სახეზე.

იცნო კირიონი.

— რა გინდა ჩემგან?!

— საით მიდიხარ?!

— თვითონაც არ ვიცი! ალბათ შინ!

კირიონი გაჩუმდა.

მერე ჩახედა და გაიღიმა...

— გიხდა ცოტა გადავკრათ?! მიმართა ბოლოს.

— რატომაც არა!

— მაშ, წამოდი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ფული, რომ არ მაქვს?!
— ვიშოვით!
— სად უნდა იშოვო?
— შენ არხეინად იყავი, ფულზე ნურაფერს იფიქრებ!
— უფულოდ მე არ წამოვალ!
— წამოდი კაცო! სადაც მე ვარ ფულიც იქ არის!
რა საჭიროა ამდენი ლაპარაკი...
კირიონმა მაგრად ჩაავლო ხელი.
გიორგიც გაყვა.

## ᲡᲐᲠᲓᲐᲤᲨᲘ

ნელა ჩაყვნენ სარდაფის კიბეს.
სარდაფი ძალზე განიერია.
კედლები ჩამოჭვარტლული, ჩამოშავებული.
მარცხენა მხარეზე—ზემოთ დატანებული აქვს ორი სარკმელი (ისიც ფიცრებით აჭედილი).
ქვემოთ, დახლში ზის თავგადატვლეპილი, ჩასუქებული საქუა.
ერთი შეხედვით კი არ ზის, არამედ მორგვივით აგდია.
თვალები, სადღაც შორს ჩაჭყეტილან და ოდნავ ელავენ.
— მობრძანდით, ჩემი თავი შენ გენაცვალოს!
ამ სიტყვებით მიმართავს მუშტარს.
იცინის.
თავისებურად ხიხინებს, მხიარულობს და ზოგჯერ მოცინარი დაქვარქვალობს დახლში.
დახლის გასწვრივ ღვინით სავსე უზარმაზარი ბოჭკები აწყვია.
შუა ადგილას ლამფა საცოდავად ბჟუტავს.
ხშირად ყოფილა შემთხვევა, ამტყდარა ჩხუბი.
ლამფა ჩაუქვრიათ.
ყველაფერი მიულეწიათ, მაგრამ საქუა მაინც მხიარულად ყოფილა.
— ასე უნდა მოიქცე, თორემ რაც გერგება იმასაც დაკარგავ!— იტყოდა საქუა.
ამიტომ მუდამ ეშინოდა კირიონს ამ სარდაფში ჩასვლისას და ასე ეგონა, რომ ყოველი კუთხიდან სიკვდილი მოწყიოდა.
სარდაფი, როგორც ყოველთვის, ახლაც სავსე იყო ხალხით.
იდგა თუთუნის ბოლი, ღვინის, ღორის ხორცის და ცხელი საჭმლის სუნი.
იცლებოდა კვარტები.
სადღეგრძელოები სადღეგრძელოებზე გადადიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვათაშორის, ამ სარდაფში ყოველთვის ძალზე საეჭვო პირები დადიოდენ.

იცოდა ეს გიორგიმ და ფრთხილად იხედებოდა აქეთ-იქით.

ერთ-ერთ კუთხეში მეარღნე არღანს ახრიალებდა.

მეორე ადგილას გარმონი ჭყიპინებდა.

იქით კიდევ დოლი, ზურნა და ყველაფერი ერთმანეთში იყო არეული.

— აი სიცოცხლე! აი, ცხოვრება!

წაილაპარაკა თავისთვის კირიონმა.

გიორგი და კირიონი დახლის წინ დაჯდენ.

სარდაფში ისევ მხიარულებაა.

შეწყდა გარმონის ჭყიპინი და იქიდან მხიარული მოძახილი გაისმა.

„ჰარი ჰარალე ხარებსა
მუცლის ტკივილი ქალებსა“...

სუფრა ხარხარებს.

უცებ ამ სიტყვებს მეორე სცვლის.

„დაგლევ და ღვინო შენ მომკალ,
არა და შენმა სურვილმა ჰე...“

— დაიცა გიორგი! ნაცნობი ხმაა!

გააფრთხილა კირიონმა გიორგი.

— ჩვენებიც ჩამოსულან, ხედავ?!

კირიონი წამოდგა.

გადახედა ყველას.

ნაცნობი ვერ შეამჩნია.

გაიარა რამოდენიმე ხანმა და კუთხიდან ჩოჩქოლი ატყდა.

აიშალა სუფრა.

აყაყანდენ.

აღრიალდენ.

— ბუღლამისტებო, სიჩუმე!

გაისმა იქიდან.

კირიონი გაიტრუნა.

— ბუღლამისტებო!

ეს სიტყვა ხომ ვაჟიამ იცოდა.

მუდამ კირიონთან ერთად ამ სარდაფში ისინი ბუღლამას შეეჭცეოდენ და ვაჟიამ მიტომაც მათ „ბუღლამისტები“ უწოდა.

— ის უთუოდ ვაჟიაა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიფიქრა კირიონმა და გაიხედა იქითკენ, საიდანაც ეს ხმები მოდიოდა. მაგრამ ვერაფერი ვერ გაარჩია, რადგან ლამფა საცოდავად ბუუტავდა.

— გიორგი, ის თუ ვაჟიაა, აქედან ახლავე უნდა წავიყვანოთ, გესმის?!

— სად უნდა წავიყვანოთ?! რას ამბობ?!

— სადაც საჭიროა! ეს მე ვიცი, მაგრამ ახლა ახლოს ჭაიარე იმ სუფრასთან და გაიგე ის არის თუ არა!

გიორგი ყოყმანებდა.

რატომღაც გულში სხვა აზრი უტრიალებდა.

— აქ რომ ჩხუბი ასტეხონ და ხანჯლებით ერთმანეთს თავი რომ გაუჩეხონ სად წავიდე?!—ფიქრობდა ის.

მაგრამ კირიონს გიორგის გაგზავნა არ დასჭირებია.

იმავე წუთში ადგა იმ სუფრიდან ვიღაც და დაიძახა:

— ბატონებო, სიჩუმე... ალავერდი თქვენთან, დიმიტრ ბეი! ესვამ ყანწით!

ამ სიტყვებთან ერთად ასწია ყანწი.

ერთხელ თვალები ზედ მიაპყრო და დასალევად მოიმარჯვა.

მერე ნელ-ნელა ჩაიცინა და წაილაპარაკა:

— ახლა კი მშვიდობით ჩემო სიფხიზლევ!

და... გადაჰკრა.

გადაჰკრა და თვალის დახამხამებაში ის ბოჭკაზე ახტა.

აჭყიპინდა გარმონი.

გაისმა ტაში და ისიც მოყვა ცეკვას...

კირიონს ბოლმა შემოაწვა...

— ის უკვე ძალზე მთვრალია... მას ახლა ჭკუა არ ეკითხება!

კირიონი გარმონის ხმაზე უჯლაქუნებს ფეხებს და თავს ძლივს იმაგრებს.

— ხომ მცოდნია ცეკვა, შე ძველო! ა?! იძახდა ვაჟია.

— კაცო, ბოჭკა არ ჩატეხო, ფული ღირს!—შესძახა ვაჟიას ვილამაც.

— რაო?! ფული?!

— დიახ! ფული მიმიცია შენ ჯენაცვალოს ჩემი თავი!—გაისმა საქუას ხმა.

საქოს სიტყვებში თითქოს და ხუმრობა ჩანდა, მაგრამ ამ ხუმრობაში რაღაც განსაკუთრებული თავდაჭერილობა.

— ფული რამდენიც გინდა წაიღე, შე სახეძაღლო!—ამოახრიალა ვაჟიამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნამდვილი წვრილი ბურჟუაზია ხარ, შე პირძაღლო... ოტ, შენი ქოქი გაწყდა, შენი! აჰა, ფულები! თქვენ გგონიათ მე ფული არ მაქვს?! შერცხვეს ვაჟია თუ ჯიბეში ასი თუმანი არ ჰქონდეს!..

ამ სიტყვებთან ერთად ვაჟიამ დასტა-დასტად ამოიღო ფული ჯიბიდან და ყველას დასანახავად მაღლა აქვაჩა.

— ვის მოპარე ბიჭო?!

— ვინ მოგცა კაცო?!

— სად იშოვე ვაჟია, ჩემო! —მიაძახეს ერთბაშად.

— სად და ეს იცის თვითონ ვაჟიამ! ამის შოვნისათვის ბიძია იცი მე რა საქმე გავაკეთე?! იცით თქვენ რა საქმე მოვაწყვე?! დიდი საქმე, ბევრ ფულს იძლევა ბრძია! ასეა მაშ!

ამ სიტყვების გაგონებაზე კირიონი აინთო.

კბილები გააღრჭიალა.

მივიდეს და ვაჟია ჩამოაგდოს, ეს არ შეიძლება.

არ შეიძლება მიტომ, რომ იქნებ მაშინ ყველაფერი სთქვას.

დაუძახოს, არც ეს უნდა, რადგან ყველა ნახავს, რომ ქეკოკლიძეს კავშირი ჰქონია ვიაჟიასთან.

არა და ვაჟია მთვრალია და აი, საცაა ყველაფერს იტყვის.

უცებ კირიონი მოტრიალდა.

აიღო ღვინით სავსე ჭიქა და ესროლა ლამფას.

შუშა გატყდა.

ჩამობნელდა.

აიშალა სუფრა.

იგინებიან.

ყვირიან.

ხრიალებენ.

— ვინ ქნა, მე მაგისი დედაც...

ზოგი სკამს წაებორძიკა და დაეცა.

ზოგი მაგიდას...

მაგიდა გადაბრუნდა და ბოთლებს, თეფშებს ლაწალუწი გააქვს.

სიბნელეში ყვირის საქო.

— ადამიანებო! მოითმინეთ... ადამიანებო... საით?!

— წადი, შენი ცოცხალმკვდარი...

— საით შე კაი კაცო... ფული მოიტაეთ და მერე წადით!

— აი ფული... გზა გვიტიე!..

და საქოს მუცელში მუშტი ჰკრეს.

— ვაიმე!.. ამოაცრიალა საქომ და ჩაიკეცა...

სარდაფიდან ნელ-ნელა ამოდიან.

მიიპარებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კირიონი და გიორგიც ამოსულიყვენ და კუთხესთან დაუცადეს ვაჟიას.

ვაჟია არ ჩანდა.

ვინც სარდაფიდან ამოვიდოდა, უმალ გარბოდა დაჭერის შიშით.

ბოლოს ვაჟიაც ამოვიდა.

კირიონმა თითქოს პირველად ნახაო, ისე მივიდა ვაჟიასთან და გამოელაპარაკა...

— კაცო! რამდენი ხანია გეძებ და ვერ გნახე!

— ვერ მნახე?! რატომ ვერ მნახე ახლა მე შენ?! ა?! რატომ და-იმიტომ, რომ ვერ მნახე... არა?!. მართალია... შენ კარგი ბიჭი ხარ, მაგრამ კაი ბიჭობაში არც მე ჩამოგრჩები...

ვაჟია რაღაცას უაზროდ მიედმოედებოდა და ფეხზე ძლივს დგებოდა.

— იცი რა გითხრა, ვაჟია, ცოტა ფული მაქვს და ჩავასხათ! გიორგიც აქ არის და წავიდეთ!

— შენ გენაცვალოს ჩემი თავი! რატომ არა! ბიჭო, იცი შენ, მე მთვრალი ვარ... შენ განდობ ჩემ თავს... მე არ ვიცი ახლა სადაა კაი რესტორანი, მაგრამ შენ წამიყვანე... აქ აურია ვიღამაც, მე მა-გისი დედაც...

— კარგი! წამომყევ! ისეთ ადგილას წაგიყვანო, რომ არც კი გინდოდეს იქიდან დაბრუნება! ოღონდ ახლავე გეუბნები ცოტა შორსაა!

— არა უშავს! წავიდეთ!

— რკინისგზის გაღმაა!

— წავიდეთ! თუ გინდ ასი ვერსი იყვეს! წავიდეთ, შენთან რისი მეშინია.

გიორგი იდგა გაშეშებული და სიტყვას არ იღებდა.

— გიორგი, შენც წამოდი... ძმები არა ვართ... მე თქვენ გან-დობთ ჩემს თავს... მთვრალი ვარ ბიჭებო... მთვრალი... მე ახლა სახლში უნდა ვიწვე, მაგრამ თქვენი ხათრის, თქვენი სიყვარულის გამო მივდივარ, ძმაო!..

— მაშ წავიდეთ! წავიდეთ!

კირიონმა მკლავში გაუყარა ხელი და სამივენი ერთად გა-ყვნენ ვიწრო ქუჩას, რომელიც პირდაპირ რკინისგზაზე გადადიოდა.

## ბორბლებ ქვეშ

კირიონი ათასგვარ ფიქრებში გაეხვია.

— ლაჩარი ხარ! უბრალო სიტყვის შეეშინდა, არა?!

თითქოს ჩასძახის ვიღაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულში ბოლმა ვერ ეტევა და თანაც შიში უფრო და უფრო ეუფლება.

შიში მიტომ, რომ ცდილობს შავი განზრახვის სისრულეში მოყვანას.

არ იცის როგორ მოიქცეს.

არ იცის როგორ მოაწყოს.

მიყავს რკინისგზის გადალმა, მაგრამ იქ როგორ მოახერხოს, იქნებ ხიფათს გადაეკიდა.

ვაჟია უფრო და უფრო ეკვრის კირიონს.

დრო და დრო ჰკოცნის კიდეც.

— ბიჭო! შე მამაძაღლო, ძმები არ ვართ?! მითხარი, ძმები არ ვართ?!

კირიონი ბუზღუნებს რაღაცას.

გიორგი ნელა მიყვება მათ.

იცის, რომ კირიონი კარგ რამეს არ დამართებს ვაჟიას და მას არ უნდა ამისი მოწმე გახდეს...

ცდილობს შეუმჩნევლად წავიდეს.

აი, შეუხვია კიდევაც ჩიხისკენ, მაგრამ კირიონის თვალს ეს არ გამოპარვია და დაუძახა.

— საით?!

— ახლავე დაგეწევი! რა იყო!

— გამოიარე, ნუ რჩები უკან! შენ გგონია ბევრს დავლევთ!

— შენ ხომ ჩემი ძმა ხარ!—მიმართა ვაჟიამ გიორგის—წამოდი, ნუ მიიპარები, არ გრცხვენია?!

დამთავრდა მთავარი ქუჩა და უკან დარჩა ავტოების გუგუნი, ტრამვაის ხმაური და ელექტრონის ღაჟღაჟი.

სრულიად უცნობი გზით მიდის კირიონი.

მიხვეულ-მოხვეული ჩიხები, პატარა ჩამოფერდილი თიხისფერი სახლები, ნახევრად ჩამონგრეული აგურის ღობეებით შემორაგვული, თითქმის უშენი სივრცე გიორგისთვის უფრო და უფრო საშიში ხდებოდა.

დასტოვეს ჩიხიც.

ნანგრევებზე გადაალაჯეს ფეხი და ლიანდაგიც გამოჩნდა.

გაყვენ ლიანდაგს.

ორივე მხრით ამართულია გორაკები და გორაკზე ჩამოწოლილია ღამე.

კაცი არ ჩანს.

— საით მივდივართ კირიონ?!—შეეკითხა ვაჟია.

— ასეთი ახალი სარდაფია გახსნილი!

— ძმები არ ვართ?! ალბათ ვიქნებით... თუ არ ვიქნებით მე მაგისი დედაც ვატირე...—ლუღლუღებდა ვაჟია.

შორიდან, გორაკის იქით ორთქლმავალის ბღავილი გაისმა.

კირიონმა ვაჟია შეაჩერა.

— დაიცა! მატარებელმა გაიაროს! რა გაჩქარებს!

გუგუნებდა მიწა.

გუგუნებდა ის სივრცე და გუგუნებდენ რელსები.

უფრო და უფრო ახლოვდებოდა ორთქლმავლის თუხთუხი და კივილი.

დალმართზე შურდულივით მიჰქრიან ცისტერნები და ხმაური გრიალად მიიშლება ხეობებში.

გიორგი ჟრუანტელმა აიტანა.

რამოდენიმე წუთში თვალწინ გაიჟრიალა ორთქლმავალმა.

მიყვნენ ცისტერნები და კირიონის გონებაში ყველაფერი აირია.

მოიკრიფა ძალღონე და გაქანებულ ცისტერნებში შეაგდო ვაჟია.

რელსებმა მომეტებულად დაიგუგუნეს.

გუგუნს აყვა ვაჟიას ყვირილი...

— უ... უ... უ...

ახრიალდა ვაჟია, მაგრამ უკანასკნელი ბგერები ცისტერნების ხმაურმა დაფარა.

გიორგი შიშის გამო აძაგძაგდა და თითქოს მუხლები მოეჭრა.

— გამოეთრიე, შე მამაძაღლის ერთო!

დაუყვირა კირიონმა გიორგის.

— რო გაშტერებულსარ, გინდა დაგიჭირონ! წამოეთრიე!

გიორგი გამოერკვა და უმალ წელში მოიხარა.

რამოდენიმე ხნის შემდეგ გიორგი და კირიონი სიჩქარით არბოდენ ჩამობნელებულ გორაკს...

გუგუნი კი თანდათან მისწყდა.

(გაგრძელება იქნება)

იაკინთე ლისაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვარდნილი

I

დახრილი სხივები უეცრად ჩამოწყდა ქალაქის მახლობელ მწვერვალებს, და მზე ჩაიძირა.

ქალაქში ტრამვაის, ავტოების, და მიმოსვლის სხვა საშვალებათა შერეული ხმები საერთო გუგუნად იდგა.

გაზაფხულის მშვენიერი საღამოა. და გულში გიხარია, რომ ზამთრის სუსხს გადაურჩი.

ახლა თავისუფალ ქვეყანაში, მაღალ და მოწმენდილ ცის ქვეშ შეგიძლია მთელი მკერდით ამოისუნთქო, დღის შოუმისაგან დაღლილი სხეული ან გონება მოასვენო და ძალა მოიკრიბო.

ღამდება.

ტფილისი, რომელიც მთებს შორის მძიმედ ჩამჯდარა, მოლოდინის თვალით იყურება.

ტფილისი ელის ზაჰესის ცეცხლს, რამაც თვალის დახამხამებაში ანთებულ ჩირაღდანად უნდა აქციოს ის.

და აჰ, ის უკვე მოვიდა, სისწრაფით გაირბენს ქუჩის მაღალ ბოძებზე, შავ სახლებში და ქალაქის ყოველ კუთხეში რევოლუციის დარაჯივით ჩადგება.

ქუჩები უფრო აივსო ხალხით. ბევრი ძალზე იჩქარის და თითქმის გარბის. ბევრნიც წყლიდან ამოვარდნილ თევზებივით პირს აღებენ და ზანტად ბოაბიჯებენ.

თეატრებთან და მუშათა კლუბებთან აუარებელი ხალხია. ისმის ხმაური, ჟრიამული.

ზოგჯერ შეგროვილი ხალხიდან ამოვარდება ახალგაზრდა ქალებისა და ვაჟების სიცილ-ხარხარი და უშვერი სიტყვების კორიანტელიც.

ერთი მაღალი სახლის სართულში მაჯარი ელექტრო-შუქი თოფის წამალივით იფეთქებს და შიკ გამოჩნდება რამდენიმე კაცის ფიგურა.

აქ არის საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო.

ერთი მათგანი ფართედ გაშლილ საწერ მაგიდას ნელი ნაბიჯით უახლოვდება, მას მიჰყვებიან სხვებიც და ყველანი მაგიდას შემოუსხდებიან.

ჯერ სიჩუმეა.

ირგვლივ რამოდენიმე თვალი სანათურებივით მისჩერებია მაღალ, შავგვრემან ჭაბუკს, იმას, ვინც მაგიდას პირველად მიუახლოვდა და სხვებიც გაიყოლა.

ეს არის დინჯი, მაგარძვლებიანი და მხრებში ოდნავ მოხრილი ლეო ქვაკირელი. ის ჯერ არაფერს აძბობს. მაგიდაზე დალაგებულ ქაღალდებში ამოარჩევს ერთს, გადაშლის და დიდრონ შავი თვალებით დააცქერდება.

თვალები მიჰყვება ნახაზების ბილიკებს, აირბენს ზევით, შემდეგ ისევ ქვევით ან გვერდზე და თვალები თანდათან ფართოვდება და სხივოსნდება.

ბოლოს ორივე ხელს ფართედ გაშლილ ქაღალდზე დაალაგებს და მის პირდაპირ მჯდარ საშუალო ტანის სერგო ხიაგარელს მიაჩერდება.

— სერგო,—იწყებს ქვაკირელი,—შენი პროექტის გამარჯვება, ჩემის აზრით, შემთხვევითი არ არის. მას უეჭველად დიდი უპირატესობა აქვს პროფესორ შავაძის პროექტთან. მე არ მიყვარს პირში შექება, მაგრამ მიყვარს ფაქტის აღიარება. ამას მოითხოვს საქმეც.

— გმადლობთ, ამხანაგო ლეო, მაგრამ ჩემი პროექტის საბოლოო გამარჯვება მაშინ იქნება, როცა ის მიზანს მიაღწევს და საქართველოს ერთ კურთხეში სულს ამოითქვამს ასეული ათასი ცხენის ძალიანი ჰიდროელსადგური, ეხლა კი მე მწყურია მოვშორდე ქაღალდებს და ორივე ფეხით დავდგე იმ მიწაზე, სადაც სადგურის მშენებლობა უნდა დაიწყოს.

— უსათუოდ, უსათუოდ. სავსებით სწორია თქვენი სიტყვა,— ჩაერია ლაპარაკში ჰიდროელსადგურის საალმშენებლო კომიტეტის გამგის—ლეო ქვაკირელის თანაშემწე, ინჟინერი პეტრე კაკანაძე,— საალმშენებლო კომიტეტმა ერთი წუთიც არ უნდა დაჰკარგოს, საშუშაოთა დამთავრების ვადაც ძალზე მცირეა. სამ წელში ამოდენა სადგურის აგება პირდაპირ სასწაული იქნება. ამ შემთხვევაში ჩვენი მშენებლობის ტემპი ამერიკასაც უსათუოდ გაუსწრებს,—მზაკრულად დაუმატა და მის გვერდში მდგომ მოგრძოცხვირიან და ძეფისტოფელის მსგავს ინჟინერ სევა გალაძეს დამცინავი ღიმილით გადაჰხედა.

ინჟინერი გალაძეც თანხმობის ნიშნად თვალებიდან გადმოვარდნილ ოდნავ, მაგრამ ბევრის მეტყველ ღიმილს მაგიდაზე დაუშვებს და ცალ მხარს ოდნავ ზევით ასწევს.

— არა, ამხანაგო პეტრე!—თითქოს ნაწყენი კილოთი ამბობს ქვაკირელი,—ამერიკას ჩვენ ამით ვერ გავუსწრებთ, მაგრამ შეიძლება ესეც მოხდეს თავის დროზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ კიდევ ვნახოთ, ახლა კი ჩვენ არაფერი გვიჭირს, ამერიკიდან ბევრი რამ ვისწავლეთ. თუ ოთხ-ხუთ დღეში ამერიკიდან ჩამოვა მდინარე ვარდნილზე სწორედ იმ ჰიდროელსადგურის მშენებლობის მთავარი ინჟინერი, რომლის შესახებაც ჩვენ ამჟამად აქ შევკრებილვართ, ეს თავის თავად ამბობს იმას, რომ ჩვენ ამერიკიდან ვსწავლობთ და შეგვიძლია ვისწავლოთ კიდეც.

— მე უნდა მოგახსენოთ, რომ ეს უდიდესი შეცდომა იქნება. რა საჭირო იყო ამერიკიდან ინჟინრების გამოწერა, როცა ჩვეხ არა ნაკლები თეორიული ცოდნა-გამოცდილება გვაქვს, რამდენადმე გვაქვს პრაქტიკაც, მაგრამ არა სრული, რომლის შევსება მუშაობის პროცესში ადვილად შესაძლებელია. ეს არის საკუთარი თავის, საკუთარი ძალების უნდობლობა და ქართველი ინტელიგენციის, მეტი რომ არა ვთქვათ, დაუფასებლობა,—ამბობს გულნატკენი, საკმაოდ აღელვებული ტონით ინჟინერი კაკანაძე და ფეხზე წამოდგება.—მე ისიც გავიგე, რომ მას თან მოყვება ორი ინჟინერი-კონსულტანტი, რომლებსაც ჩვენი ინჟინრების ნამუშევარს უნდა გადახედონ და ხელი ჩაიქნიონ. რატომ ვხარჯავთ ფულს, რათ გვინდა ეს ზედმეტი ხალხი, ეს ჩემთვის სრულიად გაუგებარია. ჩემი წინადადებაა: უკანვე გავაბრუნოთ ისინი და რამდენიმე ათასი მანეთი წყალში გადაყრისაგან ვიხსნათ. აქავე დროს კი ჩვენ ვიხსნით ქართველი ინჟინრების თავმოყვარეობას და ამით ორნაირად მოვიგებთ.

კაკანაძე თავის სიტყვას ამით-ასრულებს, ჯდება და ოფლს იწწმენდს.

მცირე გამონაკლისს გარდა, სხდომაზე მყოფთ შორის არავინ ელოდა იჰჟინერ კაკანაძის ასეთ მკვეთრ გამოსვლას ამერიკელი ინჟინრების წინააღმდეგ და ისეთი არასაიმედო არგუმენტების საბუთად გამოყენებას, რომელიც მან თავის სიტყვაში იხმარა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

ყველა ქვაკირელს მისჩერებია და მისგან მოელიან საპასუხო სიტყვას, მაგრამ ქვაკირელი თითქოს განგებ სდუმს და არაფერს ამბობს.

რამ გაამწარა კაკანაძე? რატომ, ილაშქრებს ასე სასტიკად ამერიკელი ინჟინრების წინააღმდეგ?

ეს ბევრისათვის გაუგებარია, მაგრამ ამის ნაძდვილი მიზეზი შეიძლება თვით ინჟინერმა კაკანაძემ და მისმა მახლობელმა მეგობრებმა იცოდენ.

ბოლოს სიჩუმეს ინჟინერი სერგო ნიაგარელი არღვევს. ის წამოდგა, მაგიდაზე ორივე ხელის თითები მაგრად დააჭირა და საკმაო აღელვებით დაიწყო:

— მე ვწუხვარ, ამხანაგებო, რომ ზოგიერთი მეტად პატივცემული ინჟინერიც კი ზოგჯერ ცდება და ისეთ რამეს აძბობს, რაც ჩვენს საერთო საქმეს ზიანის მეტს არაფერს მოუტანს. ჩემთვის, და შეიძლება ბევრი სხვებისთვისაც, მეტად სამწუხაროა საკუთარი ძალების ასეთი გადაფასება, რომ ჩვენ ამხანად მაინც არ შეგვიძლია შევიდარნოთ ამერიკის ტექნიკურ მიღწევებს. ეს, მე ვფიქრობ, ყოველმა ბავშვაც კი იცის. ცხადია, ჩვენ შეგვიძლია ვისარგებლოთ ამ მიღწევებით და ვისწავლით კიდეც. მე არ ვიცი, ეს რატომ უნდა იყოს ქართველი ინჟინერის დამცირება და შეურაცყოფა. თუ ჩვენ ასე ვიმსჯელებთ, მაშინ ყოველგვარი სწავლა, თუ ეს უცხოეთიდან მოდის, დაუშვებლად უნდა გამოვაცხადოთ. ჩვენ ვაშენოთ, და ვინც ამ მშენებლობაში დახმარებას გაგვიწევს, ისინი ყველანი ჩვენი მეგობრები იქნებიან.

— დიახ, ამხანაგო პეტრე,—თავშეკავებით ამბობს ლევან ქვაკირელი,—ჩვენ შეიძლება ბევრი რამ ვიცოდეთ, მაგრამ ჩვენი ქვეყანა ამერიკა მაინც არ არის. სერგო სავსებით მართალია. მისი სიტყვები საქმის სიყვარულიდან მოდის. ნუ გეწყინებათ, მაგრამ თუ ჩვენ ასეთ ზღაპრებს და ყოყოჩობას ხელებს ჩავსჭიდებთ, თავიდან არ მოვიშორებთ, ერთ ნაბიჯსაც ვერ გადავდგამთ წინ. ჩვენ კი გვსურს ვიაროთ წინ და არა უკან.

ინჟინერი კაკანაძე ამ სიტყვების შემდეგ თავს უხერხულად გრძნობს და ცდილობს გამოსავლის ნახვას. მის სახეზე წუთის განმავლობაში რამდენიმე ფერი გადაივლის, ზოგჯერ შექმნილი გაბწყობილების შესანელებლად ნაძალადევად იღიმება, ლევან ქვაკირელის სიტყვებს თითქოს დიდი პატივით იღებს და ანგარიშს უწევს.

კაკანაძეს გულის სირცმეში მეტად აწუხებს ახლა ის, რომ არაფერს ამბობს მისი უახლოესი მეგობარი ინჟინერი გალაძე, რომელსაც, შესაძლოა, ქვაკირელის და ნიაგარელის სიტყვების შემდეგ გამოსვლის მადა დაეკარგა, მაგრამ მას ხომ მაინც თავისი უნდა ექნა, ქვაკირელის და ნიაგარელის პირში მარტო კაკანაძე არ ჩაეგდო. არა, ეს სრულიადაც არ არის ნამდვილი მეგობრობა, ეს ღალატია გასაჭირის დროს.

ასე აფასებდა ინჟინერი კაკანაძე გალაძის დუმილს და სწუხდა, რომ თავის სიტყვების უკან წაღება და გამოსავლის პოვნა არც თუ ისე ადვილი საქმეა. რაღა საჭირო იყო ასეთი სიტყვით გამოსვლა, თუ ეს სიტყვა მიზანს მაინც ვერ მიაღწევდა და მის დაცვას ვერ იკისრებდა კაკანაძის ისეთი უახლოესი მეგობარიც კი, როგორიც არის ინჟინერი გალაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ნამდვილი მარცხია, ეს ნამდვილი ჩავარდნაა, რომლის გაქარწყლება მეტად ძნელია.

მაგრამ კაკანაძე იმედს მაინც არ ჰკარგავს და ეძებს გამოსავალს. ის ქვაკირელს სიტყვას სთხოვს და თითქოს მეტად გაოცებული იწყებს:

— მე, ამხანაგებო, პირადაპირ ვერაფერი გამიგია, მე რა ვთქვი ისეთი, რომ ზოგიერთ ამხანაგში ასეთი უკმაყოფილება გამოეწვია. მე მინდოდა მეთქვა ის, რაც უნდა თქვას ყოველმა საბჭოთა მუშაკმა, თუ კი ეს თქმა აუმჯობესებს საქმეს, თუ კი ეს ხელს უწყობს ჩვენს საქმეს, თუ კი ეს ამარტივებს მუშაობას, ამცირებს ზედმეტ ხარჯებს და სხვა.

კაკანაძე აქ ორივე ხელს შლის, რამდენიმე ხანს ამ მდგომარეობაში რჩება და შემდეგ ისევ გაგრძობს:

— კარგი, დიდის კმაყოფილებით. მეც თქვენ დაგიჭერთ მხარს, რაკი თქვენ გწამთ, რომ ამერიკელი ინჟინრების მოწვევას ჩვენთვის სარგებლის მოტანა შეუძლია. მე მეტს არაფერს ვიტყვი.

ერთი წუთით სიჩუმე გაიქროლებს ოთახში.

ანთებული ელექტროძალები მოწმეა იმ გასაჭირის, რომელიც ინჟინერ კაკანაძემ განიცადა თავისი უადგილო გამოსვლის გამო.

მართალია, მან უკვე თითქოს გამოასწორა თავისი შეცდომა და სხვა მიმართულებით გაჭენებული ცხენი უცბად უკანვე შემოატრიალა, მაგრამ ცხენმა თავისი კვალი განვლილ გზას მაინც დააჩნია, რის სავსებით ამოშლა-გასწორება ძნელი საქმეა.

სწორედ ეს არის მიზეზი, რომ კაკანაძე უფრო შეაწუხა ერთი წუთის დუმილმა და იმ აზრმა, რომ მან თავისი პირველი გამოსვლის კვალი სავსებით ვერ ამოშალა მეორედ გამოსვლის დროს და რომ არ იცის, თუ რამდენად დაარწმუნა მან ქვაკირელი და სხვები თავის გულწრფელობაში.

მაგრამ არა!

კაკანაძის გულში ისევ შემოტრიალდა იმედის ნიავი, როცა დარწმუნდა, რომ ქვაკირელი და სხვები არც ისე გაჯავრებული არიან და რომ ისინი ნდობის თვალით უყურებენ მას.

— ძალიან სასიამოვნოა, პატივცემულო პეტრე, თუ თქვენც ჩვენთან ხართ და პირველად წარმოთქმული სიტყვა უკან მიგაქვთ. სწორედ ეს ადასტურებს იმას, რომ თქვენ იქნებით იმ მიზნებისა და ამოცანების ცხოვრებაში საუკეთესოდ გამტარებელი, რომელსაც ჩვენ ამჟამად ვისახავთ—სრულიად სერიოზულად და გულწრფელად უპასუხებს ქვაკირელი შეწუხებულ ინჟინერს, შემდეგ მაგიდაზე დალაგებულ ქაღალდებში ამოარჩევს ერთს და დააჩერდება.

— ამხანაგებო! თქვენ იცით, სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ უკვე შეადგინა საალმშენებლო კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედ მე გამომყო, ხოლო მოადგილედ—ჩვენი პატივცემული ინჟინერი პეტრე ნიკოლოზის-ძე კაკანაძე. გარდა ამისა მთავარ ინჟინრად დანიშნულია ამერიკელი დიკსონი, მის პირველ მოადგილედ ჰიდროელსადგურის პროექტის ავტორი, შედარებით ახალგაზრდა, მაგრამ ნიჭიერი ინჟინერი—ჩვენი სერგო დავითის-ძე ნიაგარელი, მეორე მოადგილედ დაინიშნა სევა პაპუას-ძე გალაძე. ამის გარდა მოწვეულ იქნებიან მთელი რიგი სხვა ინჟინრები და ტექნიკოსები. ამჟამად მუშაობის დაწყებისათვის საკმაო თანხები უკვე გადადებულია და 20 დღეში მუშაობას უნდა შევუდგეთ.

ამით ასრულებს ლევან ქვაკირელი თავის სიტყვას. მისი შავგვრემანი სახე, შრომითი ენტუზიაზმის ცეცხლით განათებული, ბევრი იქ დამსწრის გულში სიამოვნებისა და აღტაცების ნიავს არხევს, მაგრამ ზოგის გულში კი...

ხომ შეიძლება დედამიწის ზედაპირზე დადიოდენ ადამიანები, რომლებიც ვერ გაიხარებენ სხვების სიხარულით, რომელთათვის ამ სხვების სიხარული და აღტაცება მათ გულში გახურებული შანთების ჩაჰხვლეტა იქნება; ხომ შეიძლება დედამიწას უვლიდენ და მთიდან მოვარდნილი სუფთა ჰაერით ტკბებოდენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ქვეწარმავლებისაგან არაფრით განსხვავდებიან!

ასეთი ადამიანები აუცილებლად არსებობენ.

საქმეა მხოლოდ ის, თუ რამდენად იძარჯვებენ ან რა ზიანს გვაყენებენ ისინი, რამდენად აღწევენ ისინი თავიანთ შავ ზრახვებს.

— ჩვენ მთელი გულით და მთელის არსებით შენთან ვართ, ამხანაგო ლევან,—გულწრფელად და უდიდესი აღგზნებით მოკლედ ამბობს ინჟინერი ნიაგარელი ლევანის საპასუხოდ.—ჩვენი გამარჯვება მშრომელთა უდიდესი დღესასწაული იქნება, ეს კი ყველაფერზე დიდია.

— ჩვენც, ამხანაგო ლევან, ჩვენც მთელი ჩვენი არსებით ვიბრძოლებთ თქვენთან, მშრომელი ხალხის საკეთილდეოდ ჩვენს ძალას და ენერგიას არ დავზოგავთ და უსათუოდ გავიმარჯვებთ,—ჩაურთავს თავის მოქნილ, მაგრამ მეტად ცივ სიტყვას ინჟინერი სევა გალაძეც და წელში ოდნავ სწორდება, თვალებს ერთ წერტილში უაზროდ მიაშტერებს და ასე დაასრულებს:—საჭიროა მხოლოდ ურთიერთ პატივისცემა-ნდობა, და საქმეს ბოლომდე მივიყვანთ.

ნდობა?

რათ დასჭირდა პატივცემულ ინჟინერ გალაძეს ამაზე ლაპარაკი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატომ ხმარობს ის ასე უადგილოდ ამ სიტყვას?

ეს არავინ იცის, მაგრამ, ალბათ, ამის ბრალია, რომ მისი სიტყვები აღფრთოვანებისა და სიხარულის მოტანის ნაცვლად ზევიდან ჩამოვარდნილ ყინულივით დაიმტვრა და ოთახში სიცივე შემოიტანა.

კიდევ ილაპარაკა რამდენიმე კაცმა.

ღამის 12 საათი შეიქნა.

სხდომა თავდება.

ოთახიდან ნელი ნაბიჯებით გამოდიან.

სულ ბოლოს მოდის ლევან ქვაკირელი, რომელსაც საღამშენებლო კომიტეტის წევრი ნინა კურაშვილი მოჰყვება და რაღაცაზე დინჯად, მაგრამ საქმიანად ეკამათება.

ოთახში ელექტროჭაღები ქრება, და უკვე ყველანი ქუჩაში არიან.

— ამხანაგო ლევან!—ეუბნება ნინა კურაშვილი ქვაკირელს,— შენ ყოველთვის გქონდა ერთი ნაკლი: ეს არის ყველაზე მეტის-ძეტი დანდობა.

— ვისზე ლაპარაკობთ, ამხანაგო ნინა?

— მე არ მომწონს ინჟინერი კაკანაძე და არც გალაძე. შეიძლება ასეთები სხვებიც გამოჩნდენ, მაგრამ ეს შემდეგის საქმე იქნება.

— არ ვარგა ასე, ამხანაგო ნინა,—გულახდილად უსაყვედურებს მას ლევან ქვაკირელი,—ზოგჯერ უნდობლობას დიდი ზიანის მოტანა შეუძლია.

— მე მეტს არაფერს გეტყვი. ვთქვი და გათავდა. მხოლოდ ფრთხილად იყავ. შენ, ალბათ, გაგონდება ჩემი სიტყვები რევოლუციამდე, ჩვენი ცხენში მოქცევის წინ. მე არ მინდა მსგავსი რამ განმეორდეს დღეს სხვანაირ ფორმებში.

მოკლედ მოსჭრის ნინა კურაშვილი და თავის ძველ მეგობარს და თანამშრომელს ხელს გაუწვდის,—მშვიდობით, ამხანაგო ლევან! შენ კიდევ გაქვს დრო იფიქრო ამ საკითხზე.

ქალაქში ახლა მხოლოდ ხანგამოშვებით ისმის ტრამვაის ვაგონების ხმაური.

საკმაოდ ცივა.

ქუჩაზე მიმავალი თითო-ოროლა ადამიანის ნაბიჯები მწყობრად მოქნეული ჩაქუჩის კაკუნივით გაისმის, შემდეგ ნელდება და ბოლოს სრულიად იკარგება.

ლევანი თავისი სახლისაკენ მიდის და გულში ფიქრობს:

„ყველაფერი კარგი. საქმე იწყება. ამერიკელები ჩამოვლენ. ვნჩები?.. უსათუოდ გულწრფელია ნიაგარელი და სხვები. მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინა სიფრთხილეში მე ყოველთვის მჯობნიდა. არ მჯერა ეს! ჩვენი საქმე იმდენად დიდია და წარმტაცი, რომ ჩვენთან ცუდს არვინ ჩაიდენს. არ მჯერა ეს... ასე!"

ასე დააჯერა საკუთარი თავი ლევან ქვაკირელმა, კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადასდგა და თავის ბინის კარზე ნელა დააკაკუნა.

ჯერ კარს არვინ აღებს და არც არაფერი ისმის შიგნიდან. კიდევ დააკაკუნა უფრო ძლიერ და უფრო ხმიანად.

ეტყობა, ვიღაც მოდის.

კარი იღება და ლევანის თვალებს ხვდება ახალგაზრდა ქალის ლურჯი თვალები, ბრაზისაგან დარგვალებული.

— მეფეს ვახლავართ!—მიახლის ის და საჩქაროდ უკანვე შეტრიალდება.

ლევანი ნელის ნაბიჯით შედის და ცდილობს ცოლის დამშვიდებას.

— მართალია, დავაგვიანე, ქეთო. მაგრამ მე არა ვარ დამნაშავე.

— არა, არა! კმარა! ჩემთვის სულ ერთია ვინც არის დამნაშავე!

ბრაზობდა და არ ისვენებდა ქეთო მაშინაც კი, როცა ლევანი ჩაწვა.

ლევანს ძილშიაც კი დიდხანს ესმოდა ამხედრებული ცოლის გულშემზარავი საყვედურები...

## II

ტფილისში საღამოს გრილი ნიავი შემოიჭრა.

ქალაქის ბაღში ახლად გაშლილმა ფოთლებმა დაასრულეს მზისაგან გაჟღენთილი ჰაერით სუნთქვა და ახლა მთებიდან მოვარდნილი ნიავის ფრთებზე ნაზად შრიალებდენ...

გრილია საღამო, გრილი და სიამოვნების მომგვრელია ეს ნიავი, საამოა ფოთლების შრიალი, რომელიც რაღაც გამოუთქმელ მშვენიერების გრძნობით ავსებს ადამიანის გულს... რა იქნებოდა, რომ ამ მიუწდომელ და ოკეანეს მსგავს გრძნობათა ტალღების შესუნთქვა შესძლებოდა ამ პატარა კალამს, შესძლებოდა მისი დაუვიწყარ სტრიქონებში ჩანთხევა! არის დრო, არის წამი, როცა მოზღვავებულ გრძნობათა სიმაღლეები გულს მდინარეში ჩავარდნილ ბურთივით მიაქროლებს. მაშინ სიტყვა სავსებით დავიწყებულია, ის თითქოს აღარ არსებობს, ის ჩაძირულია გულთან ერთად და მიჰყვება გრძნობათა შხეფების შრიალს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალის პირდაპირ, ცოტათი ზემოთ, გამოჩნდება თეთრი და გრძელი თითები, რომელიც ჩამოშვებულ ფარდას ნელა გადასწევს.

ეს არის ინჟინერ პეტრე კაკანაძის ცოლი ელენე, უდარდელი და ყოველთვის მხიარული, ოცდაათი წლის ქალი.

ის ცხოვრობს თავისუფლად და გაურჯელად. ან და რა უნდა აწუხებდეს მას. ჯერ ინჟინერ კაკანაძის ჯიბეში არ გამოლეულა ის საკენკი, რომელზედაც ელენეს შეუძლია თავის შექცევა! არა, ინჟინერი კაკანაძე ისე მაინც არ მოკვდება, რომ თავისი მშვენიერი ელენე ვერარ არჩინოს. ის ყველაფერს გაჭყიდის და ტყავს გაიძრობს ცოლისათვის, ის უკიდურეს დამცირებამდე მივა ამისთვის. და აი, თეთრი და მხიარული ელენე, რომელმაც ეს არის დაასრულა სადილის შემდეგ ძილი და ფარდა გადასწია, ნელა, ეშმაკური ქცევით უახლოვდება ქმრის საწოლს და მძიმედ ჩაძინებულ ინჟინერს ორივე ხელს ყელში წაუჭერს.

ინჟინერი მძიმედ ამოიოხრებს, თითქოს გულში ფენებად ჩაწყობილი დარდები ერთად ამოანთხიაო და ოდნავ ჩაწითლებულ თვალებს გაახელს.

— მე ვარ! უნდა დაგახრჩო!—შესძახებს ვნებისაგან გახელებული ცოლი და თავის გრძელ თითებს ყელში უჭერს ძილისაგან გაბრუებულ ქმარს.

ინჟინერი კაკანაძე ოდნავ გონს მოდის და როცა შენიშნავს ვნებააშლილ ცოლის გაფრენამდე მისულ თვალებს, უაზროდ ახრიალდება.

— ხი, ხი, ხი, ხა, ხა, ხა! შენა ხარ, შენა ხარ! ხი, ხი, ხა, ხა!

— კარგი, გეყოფა!—ახლა უკვე ოდნავ ბოძანების კილოთი უპასუხებს ელენე თავისი ქმრის უაზრო და უთავბოლო ხითხითს და შემდეგ ისევ უკან გატრიალდება.

— ადექი, მე ოპერაში უნდა წავიდე, შენც წაგიყვან, უარს არ გეტყვი. დღეს მოგცემ ამის უფლებას. ხომ იცი, მე გასტროლებს არ დავაკლდები.

კაკანაძე წამოდგა, სახე ორივე ხელით შეისრისა, თითქოს პირს იბანსო, და ისევ ცოლს მიუბრუნდა.

— იფრინე, ჩემო პეპელავ. ბოდიშს ვიხდი, რომ დღეს შენთან ვერ წამოვალ.

— რატომ, როცა მე გეტყვი, მაშინ ვერ წამოხვალ, არა?

— არა, ჩემო მშვენიერო. ახლა სადაცაა ჩემთან მოვლენ, კარგი ჰქენი, რომ გამაღვიძე.

— მოვლენ? ვინ მოვა?—დაინტერესდა ელენე,—საინტერესო ხომ არავინ იქნება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხა, ხა... საინტერესო არა, მოვლენ ინჟინრები გალაძე და...

— მომბეზრდა ეს ხალხი. ფუ, რა საინტერესოა მათთან დარჩენა!—შეაწყვეტინებს ელენე, შეტრიალდება და მეორე ოთახისკენ მიდის.

ოთახში მარტოდ დარჩენილი კაკანაძე შეიშმუშნა, შემდეგ ხელი ჩაიქნია, წავიდა პირსაბანისკენ და სველი ხელი სახეზე ჩამოისვა.

ის უკვე მზად არის, ზის თავის სავარძელში და თამბაქოს ბოლს მადიანად ჰყლაპავს.

მეორე ოთახიდან კი ისევ გრძელდება ელენეს შეუწყვეტელი სიმღერა და აჩქარებული ნაბიჯების განუწყვეტელი ბაკა-ბუკი. ეტყობა, ის გულმოდგინედ ემზადება ოპერაში წასასვლელად და „გამშვენიერების“ საქმიანობაშია გართული.

ბოლოს ის პეტრესთან შემოვარდა და უკან მოუხედავად გაიქცა.

— მშვიდობით, პეტრუხა!—ბურთივით გადაუგდო სავარძელში მძიმედ ჩაშვებულ ქმარს, გასავალთან ერთხელ კიდევ შემოტრიალდა და კარს მიეფარა.

პეტრე, ეტყობა, მეტად სერიოზულ საკითხზე შეუდგა ფიქრს და ახლა ორ თითში მაგრად გამომწყვდეულ პაპიროსს თითქოს სჭამს.

ზარი.

კაკანაძე შეშინებული შეხტა.

ის თითქო ძილში იყო და ვიღამაც ხელი ჰკრა, რომ ლოგინიდან ძირს გადაეგდო.

ოთახში უეცრად შემოვარდა კაკანაძის მოსამსახურე, 18 წლის პოლია უგაროვა, რომელიც მხოლოდ რამდენიმე თვეა საბჭოთა რუსეთის ერთ-ერთი სოფლიდან ტფილისში სამუშაოს საშოვრად ნაცნობმა ქალმა ჩამოიყვანა და ინჟინერ კაკანაძესთან დააყენა.

— თქვენ გკითხულობენ.

— ვინ არის? შემოუშვი ჩემს კაბინეტში.

და ის საჩქაროდ თავის კაბინეტში შედის. მოსამსახურე გატრიალდა, და კაკანაძის კაბინეტში ნელი ნაბიჯით შემოდიან ინჟინერი გალაძე და ხანში შესული ყოფილი იურისტი რევაზ ფახელი, რომელიც მიწსახკომის აპარატში ერთ-ერთ განყოფილებას განაგებს.

კაკანაძე შემოსულ სტუმრებს ხალისიანად ხვდება, ოთახის რბილ სავარძელზე მიუთითებს და სთხოვს დაბრძანდენ. სტუმრები სავარძელში უხმოდ ჩასხდენ და ორივემ ძაშინვე პაპიროსი ააბოლა.

— პროფესორი შავაძის შესახებ რას მეტყვით, მეგობრებო,— დაიწყო კაკანაძემ.

— ძალიან სურდა აქ მოსვლა, მაგრამ შესაძლოა ეს საქმისათვის საზიანო ყოფილიყო. მას იმედი აქვს, რომ ჩვენ ყველა-

ფერს კარგად მოვაწყობთ,—ანუგეშა რევაზ ფახელმა ინჟინერ კაკანაძე და პირში ჩავარდნილი თამბაქოს ნამცეცი გამოიღო.

— მართალია,—დაუმატა გალაძემ—მის აქ მოსვლას შეიძლება საქმე გაეფუჭებია.

— ეს შესაძლოა ასედაც იყოს,—უპასუხებს ინჟინერი კაკანაძე, —მაგრამ მე ვფიქრობ, ზოგიერთი ჩვენგანი თავის საკუთარ ტყავს უფრო მეტად უფრთხილდება, ვიდრე საქმეს.

— ეჭვი ხომ არ გეპარებათ?—უკმაყოფილოდ მიუგებს გალაძე. —შეიძლება ჩვენც არ ვიყოთ საიმედო.

— არა, თქვენ ვერ გამიგეთ. ჩვენ ყველანი ერთი აზრის ვართ, მაგრამ აქ ტყავის საკითხია დასმული. ამ სიტყვებზე კაკანაძე სავარძლიდან წამოდგება და თვალგაშტერებით მიიწევს სტუმრებისაკენ. ბევრი შეიძლება ფიქრობდეს, რომ აქ მხოლოდ ცხელი ფაფაა საჭმელი და სხვა არაფერი. ეს ტყუილია! ვინც ასე ფიქრობს, სასტიკად ცდება!

— რ ვფიქრობ, საამისო საბაბი ჯერ მაინც არავის მოუცია. თქვენ, შეიძლება, თვით ცდებოდეთ აქ,—საკმაო აღელვებითვე მიმართავს ინჟინერი გალაძე კაკანაძეს და თავის მეფისტოფელის სახეს, მოგრძე და ბასრი ცხვირით, თითქოს კაკანაძის შუბლში ჩაასობს.

კაკანაძე უცბად მოლბება, თავის სავარძლისაკენ უკან დაიხევს და ისევ ჩაჯდება.

— მაპატიეთ, თქვენ შეურაცხყოფათ არ უნდა მიიღოთ ჩემი აღელვება. ჩემი აღელვება და გულისტკივილი იმ შურისძიების გრძნობიდან ამოდის, რომელიც ახლა ჩემს გულს წისქვილის ქვებივით აბრუნებს. ჩვენ უსათუოდ დავიღუპებით, ჩვენი მატარებელი პირდაპირ უფსკრულისაკენ მიექანება. დროა ვიფიქროთ და ვეძიოთ გამოსავალი, სხვა გზა არ არის.

— მაგადითად, ინჟინერ ნიაგარელისათვის და ბევრი სხვებისათვის მატარებელი უფსკრულისაკენ კი არ მიექანება, არამედ მწვერვალებისკენ, სადაც ასვლა მათ სწადიათ,—ჩაურთავს ინჟინერი გალაძე,—და შესაძლოა კიდევაც ავიდენ.

— ეს მართალია, მაგრამ ჩვენ სხვა მატარებელში ვზივართ და ახლა ძნელია უკან დაბრუნება, ან სხვაში გადაჯდომა. ჩვენ მივდივართ პირდაპირ და ეხლა სხვა გამოსავლის ძიება სისულელეა! ესეც, რომ არ იყოს, ვენ შეგვიძლია და შეგვწევს თუ არა ძალა წავიდეთ იმ მიმართულებით, საითკენაც ინჟინერი ნიაგარელი მიექანება? ა! მე თქვენ გეკითხებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლავ ამაღლებული ტონით ასრულებს ინჟინერი კაკანაძე და კითხვის ნიშნად იქცევა.

— მე ვფიქრობ, საკითხი სწორედ ახლა დაისვა პირდაპირ,— სერიოზული გამომეტყველებით ამბობს რევაზ ფახელი და თავის მსუქან ლოყებს ისე აბარტყუნებს, თითქოს რაიმეს სცოხნიდეს. საქმე სწორედ ესაა: ჩვენ გვსურს, შეგვიძლია, გვაგვალებს თუ არა ისტორია, რომ ნიაგარელის გზით წავიდეთ?—არა! არ შეგვიძლია წავიდეთ ისეთი თავაღებული ხალხის გზით! ჩვენ გვაქვს წარსული, ჩვენ საკუთარი თავმოყვარეობის შესახებ კიდევ ყველაფერი არ დაგვიწყებია. ეს ხალხი სხვაა—ჩვენ კი სხვა ვართ! თქვენ და ჩვენ მარტო ინჟინრები და იურისტები კი არ ვიყავით, ჩვენ გვაბღლებდა გვარიშვილობა და მთელი ხალხის პატივის თვალით ცქერა, ჩვენ სულს გვიდგამდა და გვაცოცხლებდა ჩვენი მაღალი მდგომარეობა. ახლა კი ვინა ვართ ჩვენ! ყოველივე პატარა ბიჭი და ქუჩის მაწანწალა ჩვენი ბატონია, ეს ბიჭები და მაწანწალები სახელმწიფოს სათავეში დგანან და ჩვენზე ბატონობენ, სამშობლო გაისვარ ბიჭებისა და მაწანწალების ლორწოში!

შეწყდა ფახელის გესლით და შურით აღსავსე სიტყვები, მაგრამ ის ჯერ კიდევ მოუსვენრობას გრძნობს და პირით ითქოს კიდევ რაღაცას ღეჭავს, თითქოს კიდევ სურს გულში ზღვად ჩამდგარი გესლი და შური ახლა უსიტყვოდ, მაგრამ მეტის ძალთ გადმოანთხიოს.

ფახელი სავსებით მართალია, მსჯელობა მას არ შეუძლია სხვანაირი. მისთვის ახლა რაიმე ახალი საქმე, ქვეყნის აღორძინებისა და აყვავებისათვის ზრუნა ახალი დაღუპვისა და უბედურებს მომასწავებელია.

მისთვის ყოველი მუშა და ყოველი მშრომელი ქეჩის ბიჭია და მაწანწალა. როგორ შეუძლია მას შეურიგდეს ბედს, მ „ბიჭებისა“ და „მაწანწალების“ ჭკუაზე იაროს!

ოთახში სანათურების პატარა ფირფიტები ელექტროს შუქზე ათასნაირად კრთიან და ციმციმებენ. კედელზე მხოლოდ ოთხი დიდი სურათია ჩამოკიდებული. ორში, რომელიც ერთად არს მოთავსებული, კაკანაძე და მისი ცოლი ერთი-მეორეს გაღიმებული სახით მისჩერებია, ხოლო დანარჩენ ორში მოჩანან სხვადასხვა პოზაში მდგარი მხატვრულად შესრულებული შიშველი ქალები.

სწორედ ამ შიშველი ქალების სურათს თვალს არ აცილებდა რევაზ ფახელი და მისი სიტყვებიც თითქოს ამ შიშველი ქალებისადმი იყო მიმართული. შეიძლება, ამ შიშველი ქალების სურათის ცქერამ მისცა ხანში შესულ ფახელს გამბედაობა, რომლითაც მან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსჯელობის ინიციატივა ხელში ჩაიგდო და საქმის მდგომარეობის ცენტრში მოექცა. აქ გასაკვირია მხოლოდ ის, რომ ფახელს ე. წ. „სამშობლოზე“ ლაპარაკი კიდევ არ დავიწყნია და ამ სიტყვების ხმარებით სურს თავი გაიმართლოს სწორედ ამ „სამშობლოს“ წინაშე და თავისი „საქმეები სამშობლოსადმი მოვალეობის“ შარავანდედით შემოსოს.

— ვაშა, რევაზ გიორგის ძევ!—აღტაცებით წამოიძახებს ინჟინერი კაკანაძე ფახელის სიტყვის დასრულების შემდეგ,—ვაშა! სწორედ მოხდენილად გამოსახეთ ის, რაც ჩვენ გვამართლებს და რაც გვაძლევს მოქმედების ძალას.

— ჩემის აზრით, პატივცემულ რევაზის სიტყვებში ბევრია სადაო, მაგრამ საერთოდ მეც შემიძლია მას დავეთანხმო, —უმატებს ინჟინერი გალაძე, და ყველა გრძნობს, რომ „საქმეზე“ გადასვლაა საჭირო. ამ „საქმეზე“ მოხსენების გაკეთებას კი იკისრებს ინჟინერი კაკანაძე, რომელსაც თავისი სიტყვები ზოგჯერ უდიდესი პათოსის მწვერვალზე აჰყავს, ზოგჯერ თითქოს სავსებით დაკნინდება. ადგება, დაჯდება და საერთოდ დიდ მოძრაობაშია. ბოლოს, საკმაოდ დაღლილი და ღონემიხდილი, ხმას შეარბილებს, შუბლზე ოფლს გადაიწმენდს და თავის სიტყვებს ასე დაასრულებს:

— მეტი გზა არ არის, ჩვენი უახლოესი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ინჟინერ ნიაგარელის პროექტი ამერიკელების მიერ უარყოფილ იქნეს. ეს საქმეს დიდი ხნით შეაფერხებს, შემდეგ უნდა დაიწყოს ამერიკელებისადმი უნდობლობის თვალით ცქერა ხელისუფლების მიერ, რასაც შედეგად უნდა მოჰყვეს ამერიკელების აქედან გაძევება. თუ ეს არ მოხდება, სულ ერთია, ჩვენ ცოცხლები ვიქნებით და შემდეგ კიდევ ვნახოთ. ჩვენ შორის არის განხეთქილება, ბევრი ინჟინერი და ტექნიკოსი ჩვენს საწინააღმდეგო ბანაკშია, ზოგნი კი შუა გზაზე უსულგულო ტომრებივით ყრიან. ჩვენ ძალიან მცირე ვართ, მაგრამ მიზანს მაინც მივაღწევთ, თუ ჩვენს შორისაც არ მოხდება განხეთქილება. დრო დიდი აღარ დარჩენილა, ორ თუ სამ დღეში ამერიკელები საქართველოში იქნებიან. ისინი საქმის ხალხია და მათი დაძლევა ძნელი იქნება, მაგრამ ყველა სიძნელე უნდა გადავლახოთ. ადვილი შესაძლებელია, რომ ამერიკელების დასაფრთხობად საჭირო გახდეს უფრო უხეში ზომების გამოყენებაც და ჩვენ ესეც უნდა ვქნათ. ამ ბრძოლაში ჩვენი მთავარი მტრები სხვებთან ერთად იქნებიან როგორც, ნიაგარელი, ისე სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მთავარი ინჟინერი ბატონი გურგენ ბარელი. მას უნდა წუჩვენოთ ჩვენი ძალა. ის არის მთავარი ძაღლი, რომელმაც ულალა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლოს და მტრებთან მუშაობს. ამერიკელების მოწვევაც მისი მოგონილი საქმეა. ბრძოლა ამ ხალხთან, ბრძოლა ბოლომდე!

უკანასკნელი სიტყვები უფრო პათეთიურად წარმოსთქვა ინჟინერმა კაკანაძემ და ორ უახლოეს მეგობარს, ოდნავ წელში დახრილი, კინაღამ თვალებში ჩაუვარდა.

ფახელი, რომელიც მზად არის გაფრინდეს, ტანში სიამოვნების გრძნობით შეიშმუშნა და ორივე მხარეს ისე გადახედა, თითქოს სურ გაიგოს—შესძლებს თუ არა ეს მხრები ფრთების მაგიერობას, რომ მსუქანი ფახელი ცაში ააფრინოს და ყელზე ლოდივით ჩამოკიდებული სიმძიმე მან თან აიტანოს.

კაკანაძის სიტყვებმა არა ნაკლებ აღაფრთოვანა ინჟინერი გალაძეც, მაგრამ ის მაინც მეტ თავდაჭერილობას იჩენს და, როგორც ჩანს, კაკანაძის სიტყვები არასაკმაოდ დასაბუთებულად მიაჩნია. მისი აზრით, ამ სიტყვებს კიდევ აკლია რაღაც, ურომლისოდ შესაძლოა, მან ვერავითარი კვალი ვერ დასტოვოს და იქცეს მხოლოდ მოგონებად კაკანაძის კარგი პათოსის შესახებ.

კაკანაძე მეტად დაღლილია და ზარს რეკს.

შემოდის პოლია.

კაკანაძეს არ მოსწონს პოლიას სიარული და უკმაყოფილოდ შეუბღვერს.

— როგორ განზე დაიარები, ჩქარა!

— მოვდივარ,—გაბედულად მიუგებს პოლია და კაკანაძის წინ ჩერდება.

— რა გნებავთ?

— მეკამათება! საძაგელი! ჩაი!

პოლია უკანვე გადის, და რჩება პირდაღებული კაკანაძე, რომელიც კარგა ხნის შემდეგ სტუმრებს მიუბრუნდება.

— სად ვცხოვრობთ, რომელ ქვეყანაში ვართ, ნეტავ ვიცოდე! ყოველი „კუხარკა“ და ჯიბგირი შენი ბატონია. თუ გსურთ აიყვანოთ მოსამსახურე, უსათუოდ წინასწარ უნდა იცოდეთ, რომ მოსამსახურე კი არა, ბატონი შემოგყავსთ ოჯახში, რომელსაც ერთგულად უნდა ემსახუროთ: რვა საათის სამუშაო დღე, დასვენების დღე და „სპეცტანსაცმელი“ მზად უნდა იყოს. აგრეთვე წავა სადმე და თუ რომელიმე წითელარმიელს ან სხვა ოხერს გადაეყარა, აკვანი და მისი ძოწყობილობა ხელში უნდა გეჭიროს რამდენიმე თვის შვებულებით და ხელფასის შენახვით.

ოთახში საერთო ხარხარია.

გასაკუთრებით გულმოდგინედ იცინის რევაზ ფახელი, რომელსაც ეს სიცილი ყელში უჭერს და თვალებიდან ცრემლებს აყრევი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებს.—მახლას, მახლას!—იმეორებს ის და საკარძელში კვახივით გორავს.

— ახლა გავიგე, რომ ამ ჩვენს პოლიას სრული გაბედნიერებაც მოუსწრია და უკვე კომკავშირის და პროფკავშირის წევრად გამხდარა. მოდი და ედავე ახლა. მძიმე არტილერია და კავალერია სულ მის განკარგულებაშია და თუ გამოიყვანა, ვაი შენი ბრალი! არ შინდა ოჯახში მყავდეს მტერი, მაგრამ გაშვებისათვის, ვიცი, უარესი დღე დამადგება.

ინჟინერ კაკანაძეს თავში ერთხელაც არ მოსვლია აზრად, თუ რით იყო მოსამსახურე პოლია მის ელენეზე უარესი, რომელიც ახლა ოპერაში ბრძანდებოდა, და რა დააშავა მან ისეთი, რომ ადამიანური ცხოვრების უფლება არ ჰქონდეს. კაკანაძეს აქვს მოთხოვნილებები და იცის, რომ ამ მოთხოვნილებებს „დაბალი“ ხალხი (კაკანაძის გაგებით) უსიტყვოდ და მორჩილად უნდა ასრულებდეს, რომლისთვის ის ორ გროშს არ დაიშურებს. კაკანაძისთვის გაუგებარია ის, რომ პოლია მშრომელ საზოგადოების სრულუფლებიანი წევრია და შეძლებისდაგვარად ასრულებს იმ საქმეს, რისი გაკეთებაც მას ძალუძს, მაგრამ რისთვისაც მისი დამცირების უფლება არავის აქვს.

კაკანაძეს უკვე სულმობრუნებული რევაზ ფახელი მიეშველა, რომელსაც სურს ანუგეშოს მეგობარი და მისცეს მეტი მოთმინების ძალა.

— ნუ გეშინია, ჩემო პეტრე, მაგ გოგოს საცაა დააწინაურებენ და შენც ამ მწუხარებისაგან განთავისუფლდები.

— დააწინაურებენ?!—თითქოს შეშინებულმა, მაგრამ ირონიის გესლის ჩანთხევით იკითხა კაკანაძემ.—ვაი თუ ეს უფრო უარესი გაძოვიდეს და ეს ჩემი გოგო ჩემი „ნაჩალნიკი“ გახადონ.

ოთახში ისევ ისმის ახალი ხარხარის ხმები.

პოლიას უკვე შემოაქვს ჩაი და მაშინვე უსიტყვოდ უკანვე ბრუნდება. კაკანაძე და მისი სტუმრები კარგახანს მიირთმევენ ჩაის და ისევ „საქმიან“ ბაასზე გადადიან.

ფახელი კაკანაძეს კარგად გამოჰკითხავს ყველაფერს, თუ როგორ და რა საშვალების გამოყენებით უნდა იმოქმედონ მომავალში. მას სჭირდება აგრეთვე ისეთი წვრილმანის გაგებაც კი, როგორიცაა ქვაკირელის ოჯახური მდგომარეობა, და ბოლოს ურჩევს კაკანაძეს, რომ მან სერიოზული ყურადღება მიაქციოს ქვაკირელის ცოლს, რომ შესაძლოა ეს მომავალში საქმისათვის საჭირო დარჩეს.

— ქვაკირელის ცოლი არც ისე ულამაზო ქალია, რომ მასთან ჯ. წ. სიყვარულის შესახებ ლაპარაკი არ ღირდეს, მით უფრო მაშინ, თუ ამას საქმეც მოიხთოვს.

შემპარავად ღეჭავს ფახელი თავის ბოლო სიტყვებს და კაკანაძეს ღიმილით გადახედავს.

— პეტრე ნიკოლოზის ძევ! ნუ გაგვიწყრებით, თუ ამ მეტად სიმპატიურ საქმეს თქვენ დაგაკისრებთ.

— მე?!—გაკვირვებით ამბობს კაკანაძე, შემდეგ ოდნავ იშმუშნება, დგება და წელში სწორდება, რომ გასინჯოს საკუთარი თავი, თუ რამდენად შეუძლია შეასრულოს ეს „სიმპატიური“ საქმე და მით სამშობლოს წინაშე მოიხადოს თავისი მოვალეობა.

— თქვენ ხუმრობთ, ალბათ. მე...

— არა, ბატონო პეტრე! თქვენ აუცილებლად უნდა გახდეთ ქვაკირელის ახალგაზრდა ცოლის გულის მესაიდუმლე. ეს, როგორც მე ვიცი, არც ისე ძნელი საქმე იქნება. ქვაკირელი უკვე 40 წლის კაცია, მისი ცოლი კი მხოლოდ 20 წლის თუ არის. ქვაკირელის ცოლი კამოსულია მდიდარი გლეხის ოჯახიდან, გაუნათლებელია, მისი ბუნება კერძო საკუთრების და განდიდების სურვილებზე უფროა დაყრდნობილი, ვიდრე კომუნისტურ იდეებზე. ჩვენ კი ამ ქალის სწორედ ამ სუსტ მხარეს უნდა ჩავჭიდოთ ორივე ხელი და ჩვენსკენ დავითრიოთ. თქვენ ამავე დროს ინჟინერი ხართ და ქვაკირელზე ახალგაზრდა. ესეც ხომ საქმეა.

— კკკი, მაგრამ...—კაკანაძეს თითქოს ენა დაება.

ის მეტად განიცდის ამ წუთებს. მას ჰყავს ცოლი—მშვენიერი ელენე, ქალი, რომელიც საუცხოოდ იცინის და ქმარსაც აცინებს. ამავე დროს კი მას, პატივცემულ ინჟინერს, ავალებენ ხელი მოჰკიდოს ასეთ ბნელ, თუმცა თავისთავად „სიმპატიურ“ საქმეს. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ თუ ეს გაიგო მშვენიერმა ელენემ, მაშინ რა უნდა მოხდეს?

— ფიქრი არ არის! ვიცი, რაც უნდა გეთქვა,—ისევ აჩერებს ფახელი პირდაღებულ კაკანაძეს.—სინამდვილეში თქვენ ცოლს ხომ არ ღალატობთ, ის ხომ მაინც თქვენი ცოლი რჩება და თქვენც მისი ერთგული ქმარი.

— ნუთუ ჩვენ აქამდე უნდა დავქვეითდეთ!—უკმაყოფილოდ წამოიძახებს ინჟინერი გალაძე.—თუ ამაზე მეტ საიმედო და სერიოზულ გამოსავალს არ ვხედავთ, მაშინ სჯობს ყველაფერს ახლავე დავანებოთ თავი. ეს პირდაპირ...

— ზღაპრებია!—უკვე საკმაოდ გულმოსული წამოიძახებს ფახელი.—თუ თქვენ სერიოზული ბრძოლა გსურთ, უკიდურეს დამცირებამდეც კი უნდა მიდიოდეთ.

— თუ ეს აუცილებელია...

— დიახ, აუცილებელია!—ისევ ხმამაღლა დაიჩხავლებს ფახელი.

ოდნავ სიჩუმე ჩამოვარდება.

თავჩაქინდრული კაკანაძე ოთახში დაბნეულ ბატივით დაიარება. თორმეტი საათი დაჰკრავს.

როგორც ჩანს, კაკანაძის დუმილი თანხმობას უფრო გამოსახავს, ვიდრე უარს ფახელის მიერ მიცემულ წინადადებაზე. ის რაღაც უხერხულობას გრძნობს, მაგრამ ამავე დროს სულის სირღმეში რაღაც სასიამოვნოდ ეღიტინებებს და ამიტომ არ იცის რა სთქვას... რაღა საკითხავია, რომ კაკანაძე ამ მეტად „სიმპატიურ“ საქმეს ხელს ჰკიდებს არა თავისი პირადი სიამოვნებისათვის, არა იმისათვის, რომ თავის საყვარელ ელენეს უღალატოს, არამედ იმისათვის, რომ ის ამით სამშობლოს გადაარჩენს, სამშობლოს, რომელიც აუცილებლად დაიღუპება, თუ ააგეს ელექტროსადგურები, ახალი ქარხნები და თუ ქვეყანა სიბნელიდან გამოიყვანეს.

ამ დროს გარედან ხმაური და ქალის სიცილი ოთახში შემოატანს. ჩანს, ოპერიდან დაბრუნდა ელენე, და ამ გრძნობამ ოთახში შიში შემოიტანა. ელენე კი ჯერ ოთახში არ შემოსულა და გარეთ, შემოსავალ კართან ვიღაც უცნობ ახალგაზრდა ვაჟს, რომელიც ეტლში ზის და უკან ბრუნდება, სიცილთან ერთად ჰაეროვან კოცნას გულუხვად ესვრის.

ეტლი მიდის, და ელენე ოთახში ისე შემოიჭრება, თითქოს სურდეს გააგებინოს ყველას, რომ მან აღმოაჩინა მეორე, ახალი ამერიკა.

შეშინებული სტუმრები დგებიან და დამნაშავე ბავშებივით ელენეს შესცქერიან.

ელენე თამამად და სწრაფად მიირბენს მათთან და ხელს გაუწვდის.

— სალაძი, სალამი ძვირფას სტუმრებს! უკაცრავად, დიდად უკაცრავად, რომ შინ ვერ დაგხვდით,—უცბად მრაყრის ის და, როცა გაწვდილ ხელზე ორ ამბორს მიიღებს, ისევ გატრიალდება და მეორე ოთახში შეირბენს.

ამის შემდეგ ფეხზე დამდგარ სტუმრებს აღარ სურთ ისევ მაგიდას მოუსხდენ და წასასვლელად ემზადებიან.

— მაშ ასე, ჩემო პეტრე. ჩვენ მივდივართ და იმედი მაქვს, ყველაფერი ისე იქნება, როგორც შევთანხმდით.

ყოველ საკითხში შეთანხმების მიღწევის შესახებ ფახელი უკვე გადაწყვეტილად ლაპარაკობდა, ვინაიდან დარწმუნდა, რომ მათ შორის სერიოზულ უთანხმოებას ადგილი არ ექნებოდა.

— მე კი საელჩოში მალე შევივლი და ყველაფერს გადმოგცემთ.

— კარგი, ჩუმად!—შეშინებული წამოიძახებს კაკანაძე და ფახელს პირზე ხელს ააფარებს.—ამაზე შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალაძემ საელჩოს შესახებ აქამდე არაფერი იცოდა და ეხლა მეტად განცვიფრებული და თავნაც შემკრთალი მიუბრუნდა ფახელს.

— როგორ?!

კაკანაძე უხმოდ და პირზე ხელის აფარებით გალაძესაც აჩუმებს, და ორი სტუმარი გასავალი კარისაკენ ერთმანეთს ყურჩამოყრილი ცხვრებივით მიჰყვება.

კაკანაძე ოთახის შუაგულში სვეტივით ესობა და რამდენიმე წუთს ასე რჩება. შემდეგ ნელი ნაბიჯით, თითქოს ოთახის ფართობს ზომავსო, საწერ მაგიდას უახლოვდება და რბილ სავარძელში მუთაქასავით ვარდება. მეორე ოთახიდან, როგორც სხვა დროს, ისმის ელენეს სიმღერა და რაღაც ხმაური, მაგრამ კაკანაძეს ახლა ეს სრულიადაც არ ესმის, მისი გონება რაღაც სხვა ჯურღმულებშია გადავარდნილი.

...„ეს ყველაფერი კარგი,—ფიქრობს ის, ლოღიკა ასეთია: ჩვენ არ მოგვწონს საბჭოები, და გათავდა! აქედან ყველაფერი გამოდის. აქედან უცხოეთის საელჩოსთან დამეგობრებაც ხომ გამოდის?

გალაძეს არ მოეწონა ეს. ის სულელია და სხვა არაფერი. ჩვენ გვენდობიან და ბევრს გავაკეთებთ. ქვაკირელი არ არის ცუდი კაცი. ის გატაცებულია ახალი მშენებლობით და მე გულწრფელად მენდობა. ამ ხალხს მართლაც სურს რამე ააშენოს და კიდეც ააშენებს, მაგრამ, არა! ჩვენი გზა მაინც სხვა არის, შერიგება შეუძლებელია!“.

ის უცბად ზეზე წამოდგა და მოწყვეტილი მუშტი მაგიდას ძლიერად დაჰკრა.

ამ ხმაზე ელენე თავის სიმღერას უეცრად სწყვეტს და ქმართან შეშინებული შემოიჭრება.

— რა მოხდა, პეტრე?!—შესძახებს ელენე მაგიდასთან გაშტერებით მდგარ ქმარს და ოთახში შეშიხებული თვალების ხედვას რგოლივით მოხაზავს.

— ისინი წასულან. შენ რაღა მოგდის?

— არაფერი, ჩემო ძვირფასო!—უპასუხებს გონზე მოსული პეტრე საყვარელ ცოლს, მიდის მასთან, ორივე ხელს მხრებზე მაგრად მოხვევს და შუბლში აკოცებს.

ელენეს პატარა ხანს გაურკვევლობა ემჩნევა, მაგრამ შემდეგ ყველაფერს თავს ანებებს, მადაატეხილი გულაჩუყებულ ქმარს ყელზე ჩამოეკიდება და ლეკურს ათამაშებს. ბოლოს ოდნავ წყნარდება და დაღლილობისაგან ენა გადმოვარდნილ ქმარს სავარძელში ჩასვამს.

— მადროვე ცოტა, ჩემო ძვირფასო, მოვკვდი, დავიღალე!

— კარგი, მეტს აღარ შეგაწუხებ. მხოლოდ მითხარი, რატომ იყვნენ აქ შენი სტუმრები?

— ისე, სამსახურის საქმეებზე, ჩემო კარგო.

— ფახელი ხომ თქვენთან არ მსახურობს, მას რაღა უნდოდა?

— ის ისე, შემოჰყვა გალაძეს, კარგი კაცია, კარგი მეგობარია, ჩემო მშვენიერო.

— კარგი, ჩემო პეტრუხა, მაგრამ ახლა ის მითხარი, რატომ ნიაგარელის პროექტი მიიღეს და არა შენი? შენც ხომ შეგეძლო შეგედგინა პროექტი. შენზე მე ხშირად მსმენია—ნიჭიერი კაცია და დიდი მცოდნეო.

— ხა, ხა, ხა,—ნაძალადევად და გესლიანად გადიხარხარა კაკანაძემ და თითქოს რაღამაც გულში მწვავედ უკბინა. შემდეგ ის ძალას იკრებს, აშვებულ ხარხარს უეცრად სწყვეტს და ელენეს სერიოზული გამომეტყველებით თვალებში ჩახედავს.—შენ ნიჭის შესახებ ლაპარაკობ, ელენე, მაგრამ მითხარი: შეიძლება თუ არა ადამიანმა, რომელიც თავდაცობილ და უჰაერო ქვაბში ზის, ნიჭი გაშალოს?

— აა, მესმის, მესმის, ჩემო პეტრუხა. შენ ქვაბში ზიხარ, არა? უბრალოდ უპასუხებს ელენე თავის ქმარს.—მესმის, ჩემო კარგო, გასაგებია. ქვაბში ჩამჯდარი კაცი ნიჭს ვერ გაშლის.

— ქვაბში!—უფრო ხმამაღლა წამოიძახებს კაკანაძე.—ქვაბში, რომელშიაც იხარშება მთელი საქართველო და ყოველი ჩვენგანი.

ელენე ქმარს გაკვირვებული აშტერდება.

— როგორ, ყოველი ჩვენგანი? მე სრულიადაც არ ვგრძნობ ქვაბში თავს და მით უფრო ისეთში, რომელიც თურმე უჰაეროა, თავდაცობილი და ქვევიდან ცეცხლს უნთებენ. შენ ნამეტანი დაღლილი უნდა იყო, ჩემო პეტრუხა, თორემ ასეთ სისულელეებს მე არ მეტყოდი. კარგი ახლა, გეყოფა, დაისვენე!

ასე ამშვიდებს ელენე გონებადაფანტულ ქმარს და საწოლი ოთახისაკენ მიეშურება.

ინჟინერი კაკანაძე კიდევ დიდხანს რჩება მდივანზე მარტოკა მიგდებული და ცდილობს დაიწყნაროს აშლილი ნერვები.

გარეთ, ტფილისის ცაზე კრთოდენ და ციმციმებდენ შორეული ვარსკვლავები, რომელთაც არც ესმოდათ და არც აწუხებდათ კაკანაძის მწუხარება და გულის ტკივილები.

ქალაქის ბოლოში კი ისევ იორეოდენ და ისევ შრიალებდენ ახლად გაშლილი მაღალი ხეების ლურჯი ფოთლები.

## III

მტრედისფერ ცის ქვეშ მძიმედ ირხეოდა უდაბური ზღვა.

შორს, ცისა და ზღვის შესაერთთან კრთის ოდნავი, ძლივს შესამჩნევი სინათლე, სადაც ხანჯლით დაჩეხილ ღრუბლების პატარა ნაფლეთები მკლავებგაშლილნი ცისაკენ მიიწევენ. ღელვა არ არის და ზღვა, მაღალი ცის ქვეშ პირაღმა გაწოლილი, დინჯად ისვენებს...

მოჩანს მხოლოდ დაუსრულებელ ტყესავით ათასეულებად ამაღლებული ზვირთები, რომლებიც შორეული ქვეყნების ან მიუვალი კუნძულების ნაპირებისაკენ შეუჩერებლივ გარბიან.

მხოლოდ ერთ ადგილას, როგორც ამოქმედებული ვულკანი, ამოდის შავი და სქელი კვამლი, რომელიც ღრუბლებად ზღვაზე ეშვება.

გრძელი და მაღალი ხომალდი, რომელსაც შუბლში წითელი ვარსკვლავი მიუკრავს, გააფთრებული მიარღვევს ზღვას და წყალი ადუღებულ რძესავით ირგვლივ ეხვევა მოქნეულ ხომალდს.

ბაქანზე დგას მხოლოდ ერთი მეზღვაური და მახვილი ხედვით სჭრის უშორეს სივრცეებს.

მან კარგად იცის საიდან მოდის და სად მიდის, იცის რატომ დგას აქ განთიადის მოახლოებისას.

ის საბჭოთა ქვეყნის დარაჯია და გულში უღრმეს ზიზღს უცხადებს იმ წყობილებას, რომელიც მან უკან მოიტოვა. ამიტომ ის კარგად გრძნობს, თუ როგორ იზრდება და მოახლოებულ განთიადივით მაღლდება გულში სიხარული საბჭოების ქვეყანასთან მიახლოების გამო.

„გასწი, გაარღვიე ზღვა და ოკეანე, ჩემო ხომალდო,—ფიქრობს ის.—გასწი, რომ სიხარულით ამაღლებული გული მიუახლოვო მთელი ქვეყნის მშრომელთა სამშობლოს“.

და ის კვლავ დინჯად და მტკიცეთ დგას. ქვევით კი გამუდმებით და იმედიანად გუგუნებენ დაუღალავი მანქანები, რომელთაც მოვარდნილ სტიქიასთან მედგარ ბრძოლაში გუშინ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს.

ხომალდის ერთ კაიუტაში ზის ორმოცი წლის ვილიამს დიკსონი, რომელიც იმედიანი თვალებით მისჩერებია თავის ერთგულ მეგობარს და თანამგზავრს, მძინარ ვიოლას.

ვიოლას ჯერ კიდევ არ გაჰღვიძებია, თუმცა დიკსონი კარგახანია ზეზე წამოდგა და წარსულზე თუ მომავალზე ფიქრებში მკვიდრად ჩააქსოვა მძინარე ვიოლას სახე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიკსონს აღარ შეუძლია მეტის მოთმენა. ის დგება, ვიოლას უახლოვდება და ცხელ ამბორს შუბლზე დააკრავს.

ვიოლა შეირხა, ოდნავი კვნესა გულიდან ამოუვარდა და თვალები გაახილა.

მას ჯერ ვერ გაურკვევია სად არის და ვისთან, მაგრამ როცა იქვე შენიშნავს გაღიძებულ დიკსონს, სახე უეცრად უბრწყინდება, წამოიწევს და დიკსონის მხრ ბს მიეყრდნობა.

— ჩემო ვილიამ, შენ აქა ხარ?

— აქა ვარ, ჩემო კარგო,—უპასუხებს დიკსონი და ვიოლას თავს მკერდისკენ მიიზიდავს.

— სადა ვართ, ვილიამ?—კითხულობს ვიოლა.

— ვუახლოვდებით. ალბათ, საცაა ნაპირი გამოჩნდება.

— რა დროა, ვილიამ?

— თენდება, ვიოლა, თენდება და, ალბათ, ჩქარა მივალთ საქართველოში.

— მართლა?—სიხარულით წამოიძახებს ვიოლა, საწოლიდან გადმოდის და ტანს საჩქაროდ იცვამს...

ისინი უკვე ამომავალი მზისკენ იცქირებიან და გამთბარი გრძნობებით შორს მიდიან.

— ვილიამ,—ამბობს აღტაცებული ვიოლა,—მზე თითქოს ზღვიდან ამოდის, ხედავ?.. როგორი წყნარი და ლამაზია ზღვა!

— გუშინ კი ჯოჯოხეთურ გუგუნში ვიძირებოდით...

— ახლა ხომ ამოვიდა მზე, ახლა ხომ მშვიდი და ლამაზია ზღვა,—მიუგებს ვიოლა სიამოვნების გრძნობებით განათებულ ვილიამს და ისარივით მოვარდნილ სხივებს სახეს დაახვედრებს.

ვიოლას მოღიმარ სახეზე თითქოს სხივებიც იღიმებიან და ისე ანათებენ, როგორც ამჟამად განათებულია დიკსონის, როგორც მეცნიერის, გონება.

— ლამაზია და მშვენიერი ყველაფერი ეს, მაგრამ უშენოდ ჯერ ვიგრძნობდი ასე ძლიერ ბუნების სილამაზეს. შენ ჩემთან ხარ და ჩემი გულიც მთელია ამიტომ.

— ვილიამ, შენ შეგიძლია გაემგზავრო შორეულ პლანეტებზე და წინასწარ იცოდე, რომ მე შენთან უსათუოდ წამოვალ... შეიძლება ჩავიძიროთ და ჩავიფერფლოთ სადმე, მაგრამ ჩვენი გული ორი არ არის, ის ერთია და ერთად დარჩება...

— მე ეს მაძლევს უდიდეს გამბედაობას და მიმატებს სიცოცხლის სიხალისეს...

და ის ვიოლას დიდრონ და მგრძნობიარე თვალებში ღრმად ჩაიხედავს.

— ვილიამ, მე კიდევ ვფიქრობ, ვინ იცის, როგორი ქვეყანაა საქართველო, ან რა ხალხია ბოლშევიკები.—ცოტა ხნის დუმილის შემდეგ დაიწყებს ვიოლა:—შენ ენდე ამ ხალხს, ძიდიხარ მათი მიწვევით და მე მგონია, რომ ისინი არც თუ ისეთი მხეცები იქნებიან.

— მართალი ხარ, ვიოლა. ჩემი აზრი შენც იცი. მე მგონია, რომ ისინი მხეცები არ არიან და მათთან ძუშაობა შეიძლება. მე მეძახიან ისინი, და მეც ვალდებული ვარ დავეხმარო მათ, ძხოლოდ იმიტომ, რომ ისინი აშეხებენ... ხალხი, რომელიც ეძახის მეცნიერების მუშაკებს, არ შეიძლება ძხეცი იყოს. ძხეცები და ველურები ყოველთვის გაურბოდენ მეცნიერებას და ყოველგვარ კულტურას. ამერიკასა და ევროპაში ბოლშევიკებს მხეცებს ეძახიან, მაგრამ ამ „მხეცებს“ დღეს უფრო სჭირდებათ მეცხიერება, ვიდრე თვით ამერიკასა და ევროპას, აქედან კი რაიმე დასკვნა უნდა გამოვიდეს...

— შენი დასკვნები უფრო შორს მიდის, ვილიამ!—მოულოდნელი აღტაცებით წაძოიძახებს ვიოლა.—შენი დასკვნებიდან ვხედავ, რომ ამ „ველურებს“ შეიძლება უფრო დიდი მომავალი ექნეთ, ვიდრე თვით ამერიკასა და ევროპას.

— ვიოლა!—აღფრთოვანებით შესძახებს დიკსონი ფანჯარაზე მიყრდნობილ ვიოლას,—შენი მსჯელობა გასაოცრად ლოგიკურია, შენ სრულიად არ სცდები, ვიოლა. ისტორიას ხშირად ახასიათებს ერთის ჩამორჩენა, მეორის გასწრება და პირიქით... ამას გვიჩვენებს ინგლისის, გერმანიის, ამერიკის და სხვა ქვეყნების განვითარების ისტორია. მე არ ვამბობ გადაწყვეტით, მაგრამ ხომ შეიძლება ისტორიამ „იხუმროს“ და საბჭოთა ქვეყნები კაცობრიობის განვითარების მწვერვალზე მოექცეს.

— ვილიამ,—სრულიად დამშვიდებით მიუგებს ვიოლა,—შენ კი ერთ-ერთი ნაპერწკალთაგანი იქნები, რომელიც ააფეთქებს სიბნელეს და საბჭოთა ქვეყნებს კულტურის მწვერვალებზე აიყვანს. წვეთებიდან შედგება ზღვა, ნაპერწკლებიდან კი შეიძლება დაუძლეველი კოცონი აენთოს... შენ, ვილიამ, ამით შეგიძლია მხოლოდ იამაყო. გაივლის დრო და შეწყდება „მხეცებზე“ ლაპარაკი. მოვა დრო და გამარჯვებული ხალხი პატივით მოგიგონებს...

ვიოლა! შენ უფრო შორს მიდიხარ და მეტს ამბობ, ვიდრე მე მიფიქრია აქამდე...

დიკსონი ჩაჯდება, ხოლო ვიოლას სახე მოშვერილ სხივებს აძოკლებს და ამომავალი მზისკენ მიექანება.

არის დუმილი, რომელიც ზოგჯერ ყოველგვარ ჰარმონიაზე უფრო ტკბილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვერდით, მეორე კაიუტაში, ორი ამერიკელი ინჟინერი ერთიმეორეს მისჩერებია. ისინი საუბრობენ მომავალი მუშაობის და იმ ქვეყნის შესახებ, სადაც ახლა მიდიან.

ერთი მათგანი, უფრო სქელი და უფრო მოხუცი, რომელიც ამჟამად მაგრად სწუწნის ყალიონს და დახვეულ ბოლს, გულის სიღრმიდან ამოსროლილს, პატარა კაიუტაში ნისლივით აყენებს, ზედმეტ „სიფრთხილეს“ იჩენს. მას ნაკლებად სწამს ბოლშევიკების მიერ აშენებული ინდუსტრია, თუმცა ის არ არის ამის წინააღმდეგი და, მისივე განცხადებით, მზად არის ამ საქმეს მოახმაროს თავისი ცოდნა, გამოცდილება და უნარი.

მისთვის ბოლშევიკების საქმიანობა—ააგონ სოციალისტური ინდუსტრია—არის „ბედის ცდა“ და სხვა არაფერი, რასაც საიმედო პირი არ უჩანს, მაგრამ რაიც რაღაც სასწაულებით შესაძლოა კიდევაც განხორციელდეს. მეორე, რომელიც პირველთან შედარებით ახალგაზრდაა, საკითხს უფრო იმედიანად უყურებს და მისი აზრი საბჭოთა ქვეყნისა და ბოლშევიკების შესახებ თითქმის არაფრად განსხვავდება დიკსონის აზრისაგან.

მიუხედავად ამისა, მეგობართან საუბრის დროს ის გადაჭრით არაფერს ამბობს და ჯერ კიდევ ამჯობინებს თავის დაჭერას ბევრ საკითხში.

— ვნახოთ,—ამბობს ის შედარებით პესიმისტურად განწყობილ ლინდერის საპასუხოდ და ზეზე წამოდგება.—ჩვენ იქ მივდივართ და ცხოვრება სინამდვილის უფრო კარგი მაჩვენებელი იქნება.

შემდეგ ის თავისი კაიუტიდან გარეთ გამოვიდა და დიკსონის კაიუტაში გაღიმებულ სახეს შეიტანს.

— ცოცხლები ხართ? გათენდა, მზე ამოვიდა და ზღვა მრავალფეროვან სარკედ იქცა.

— დორიან, თქვენც ცოცხლობთ, თქვენც აქა ხართ?—გრძნობათა სიმძიმიდან გამოსული დიკსონი უპასუხებს თავის მეგობარს და თვალები სიხარულის სხივებით ევსება.—კინაღამ ჩავყევით გუშინდელ გუგუნს.

— თქვენ მართალი სთქვით: მზე ამოვიდა და ზვირთები ფერად, მაგრამ დამტვრეულ სარკეებს მაგონებს,—თავის მხრივ დორიანის საპასუხოდ წარმოსთქვა ვიოლამ, როცა სტუმრისაკენ შებრუნებულ სახეზე მზემ ცისარტყელის მკრთალი ზოლი გადაავლო.

— შეიძლება გსურთ სუფთა ჰაერზე გასვლა და ზღვის უდაბნოს ზევიდან დახედვა?—იკითხა დორიანმა.

ვიოლა!—კითხვის ნიშნით წარმოსთქვა დიკსონმა და ვიოლას შეხედა.

— სიამოვნებით.—ამბობს ვიოლა, და ისინი პალუბაზე გადიანძირს რჩება და თავის საწოლში მძიმედ წვება 60 წლის ლინ. დერი, რომელიც დორიანთან კამათის დროს საკმაოდ დაიღალა.

პალუბაზე უკვე რამდენიმე მგზავრი გამოსულა, რომლებიც პატარა ჯგუფებად დგანან, ერთიმეორეს გაცხოველებით ეკამათებიან და ზოგიერთი მათგანი შორს უთითებს.

დიკსონი, ვიოლა და დორიანი ცალკე დგანან და ყველანი ერთი მიმართულებით მისჩერებიან.

შორს, ზღვაზე ფრთხილად ჩამოეშვება თეთრი და თხელი ნისლი.

მზის სხივები ოქროს ძაფებივით ეხვევა პალუბაზე მდგართა სხეულებს და ადამიანები ხარბად სუნთქავენ ზღვის ზედაპირზე დაწოლილ გრილ და სუფთა ჰაერს.

ვიოლა აცქერდება ზღვის სილრმეს და უცბად შიშის გრძნობა შეიპყრობს.

— უფსკრულები!—როგორი ღრმაა ეს ზღვა, მის ფსკერზე, ვინ იცის, რამდენი ადამიანის ძვლები აწყვია.

— ზღვებისა და ოკეანეების სტიქიას, ვინ იცის, რამდენი სიცოცხლე ჩაუტანია, მაგრამ ადამიანი საუკუნოებით ებრძვის ამ სტიქიას და ის ნაწილობრივ კიდევაც იმარჯვებს,—ვიოლას დასამშვიდებლად ამბობს დიკსონი და შემდეგ დორიანს შეხედავს.

— შესაძლოა თუ არა სრული გამარჯვება?—იკითხა დორიანმა.

— სრული გამარჯვება ბუნების სტიქიაზე მეტად ძნელია, მაგრამ ადამიანს მაინც ბევრი შეუძლია გააკეთოს ამ მხრივ,—უპასუხებს დიკსონი, და ოდნავ სიჩუმე ჩამოვარდება.

ისინი ისევ გასცქერიან იმ მიმართულებით, საითკენაც ხომალდი მიექანება.

ქვევით ხომალდის მანქანები ისევ თავგამეტებით გუგუნებენ და ბასრი კბილებით ღრღნიან ზღვის გულს.

თეთრი ღრუბლები ოდნავ დაიწია და ვიოლას თვალები ჰორიზონტის სიშორემ უეცრად დასწურა.

— თქვენ, ალბათ, ჰხედავთ: თოვლი! იქ, ალბათ, მწვერვალებია. მივდივართ, ვუახლოვდებით!—აღტაცებით წამოიძახა ვიოლამ.—ვილიამ, ხედავ? დორიან, თქვენც დაინახეთ?

— ვხედავ, მართალია! ჩვენ სულ მალე უნდა მივიდეთ,—დინჯად ამბობს დიკსონი.

— ვიოლა, თქვენი თვალები უფრო ბასრი ყოფილა. სად არის მოხუცი ლინდერი, რომ ნახოს ახალი ქვეყანა!—აღფრთოვანებით უმატებს დორიანი და ბუმბულივით თეთრ მწვერვალს აჩერდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ დიდხანს იდგენ ისინი პალუბაზე და უცქეროდეს, თუ როგორ იწევდა და ზღვიდან როგორ ამოდიოდა ვეებერთელა მთები, შემდეგ ველებიც.

ისინი უკვე კარგად დაიღალენ და ახლა ქვევით ჩადიან, სადაც ლინდერი წევს და მძიმედ ხვრინავს.

ჩაძინებული ლინდერის თვალებს მათ გაღიმებული სახეებით გადახედეს, შემდეგ დასხდენ, ისაუზმეს და თვითონაც ჩაიძინეს.

ხომალდი უკვე რათომის ნაპირებს მიუახლოვდა და აჭარისტანის მთებმა მედიდურად დახედეს მოწმენდილ ზღვას.

ხძელეთთან მოახლოებით გათამამებული ხომალდის მანქანები თითქოს უფრო ძლიერ ახმაურდენ და თვით ხომალდმაც მძიმედ დაიგრიალა...

მოჩანს ბათომის ნავთსადგური, სადაც წითელი დროშის ქვეშ აუარება ხალხი ზღვაში შესულ მდინარესავით ტრიალებს.

ხომალდის ორი მეზობელი კაიუტის კართან რამდენიმე ხმა ერთიმეორეს გაცხოველებით ეძახის:

— ვიოლა!

— ვილიამს!

— ლინდერ!

— დორიან!

**და ისინი ახალ ხმელეთზე გადმოსასვლელად ემზადებიან.**

## IV

**დილის რვა საათი იქნება.**

ტფილისის ერთი საუკეთესო სასტუმროს ოთახის კარებთან დგანან ინჟინერი კაკანაძე და რევაზ ფახელი.

ისინი მოლოდინის თვალებით იცქირებიან და თავი ძირს ჩამოუშვიათ.

შიგნიდან კარი იღება და გამოდის სასტუმროს მრსამსახურე, რომელიც კაკანაძეს და ფახელს გვერდზე გაუდგება და ხელით ანიშნებს.

— შემობრძანდით, ამერიკელი უკვე ზეზეა. თქვენს მიღებაზე თანხმობა განაცხადა.

კაკანაძე და ფახელი ოთახში უხმოდ, დამნაშავეებივით შედიან, მაგრამ ამერიკელი აქ არ არის, რაზედაც კაკანაძე სასტუმროს მოხელეს კითხვის ნიშნით შეხედავს.

სასტუმროს მოსამსახურემ გაუგო კაკანაძეს თუ რა უნდა ეკითხა და მანვე დაასწრო:

— დაბრძანდით, ის მეორე ოთახშია. ახლავე გამოვა.

კაკანაძე ისევ უსიტყვოდ თანხმობის ნიშნად თავს ოდნავ ზევით ასწევს, შემდეგ ფახელს შეხედავს და მაგიდასთან ორივენი რბილ სავარძლებში ჩასხდებიან.

სასტუმროს მოსამსახურე გადის.

— ჰოო,—მძიმედ ამოისუნთქავს ფახელი, თავის განიერ და თანაც წინ გამოსულ ქვედა ღაწვებში ზედა ნაწილს მაგრად ჩარგავს და ოდნავ თავს გადააქნევს.—აი, ეს ცხოვრებაა! ქართველებს ვინ მისცა ამის შნო!..—დაღეჭავს და ჭერს შეხედავს.

კაკანაძეს უფრო სხვა აწუხებს, ვიდრე ეს საკითხი. მისი გონება მთლიანად ჩამჯდარია იმის გარკვევაში, თუ როგორ უნდა შეხვდეს, როგორ უნდა დაიწყოს და რა უნდა უთხრას ამერიკელს. ძას აწვალებს მხოლოდ ერთი შესაძლებლობა და ეს შესაძლებლობა ხშირად ტრიალდება მის თავში. მას არ სურს მივიდეს ამ დასკვნამდე და სხვა კიდურებიდან დაიწყებს ფიქრს, თუმცა ეს წყეული: „ვაი, თუ“... მაინც არ სცილდება და ფიქრების ყოველ ვარიანტს წინ ეღობება. ამიტომაა, რომ კაკანაძე ყურებამდე გაწითლებულია და მისი ტვინი არასასიამოვნო დუღილს განიცდის.

„ან და რა იქნება უართან ერთად ჩვენც გამოგვიცნოს და შეუბრალებლად...—ადუღებულ ტვინში ლურსმნის ჩხვლეტასავით გაურბინა კაკანაძეს და მას მოეჩვიხა, თითქოს ზევიდან თავზე ვილაც დააწვა, ყელში ორივე ხელი მუხრუჭებივით შემოუჭირა და უნდა დაახრჩოს. მაგრამ მას არ სურს დახრჩობა, ის შეწუხებული წამოიჭრება ზეზე, ოთახში გამწარებული დადის და კედლებს ისეთი თვალებით შესცქერის, თითქოს ყველაფერი მათი ბრალი იყოს. „მოხდეს, რაც მოხდება“...—გაიფიქრა; ბოლოს ცოტათი ძალა მოიკრიბა და ისევ იმავე სავარძელში ჩაეშვა.

მეორე ოთახიდან ინგლისურ ენაზე ლაპარაკის ხმა მოისმა და კაკანაძის გული რეზინის ბურთივით შეხტა...

— მოდის!—შეწუხებული ძლივს ჩაილაპარაკებს თავისთვის და მეორე ოთახში გასავლელ კარს ისე მიაჩერდება, თითქოს ამ კარიდან ეს არის უნდა გამოვიდეს ისეთი საშინელი მხეცი, რომლის დაძლევა და დამორჩილება კაკანაძისა და მისი მსუქანი მეგობრისათვისაც ძეტად ძნელია.

მართლაც, მეორე ოთახში გასასვლელი კარი იღება და შემოდის საშუალო ტანის, წითური და კარგად მოსული კაცი. ეს არის ინჟინერი ვილიამს დიკსონი, რომელიც სტუმრებს თავაზიან და გაღიმებულ ხედვას ესვრის. კაკანაძე და ფახელი იმავე წუთს ფეხზე დგებიან და ფახელი წინ წადგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სალამი ძვირფას ამერიკელ სტუმარს, ვილიამს დიკსონს!— ინგლისურ ენაზე მოხერხებულად მიესალმება ფახელი. დიკსონის გამოწვდილ ხელს ხელითვე მიეგებება და მაგრად ჩამოართმევს.

— სალამი, სალამი ჩემს სტუმრებს!—საპასუხოდ ამბობს დიკსონი, შემდეგ კაკანაძისაკენ გაიწევს და მასაც ხელს ართმევს.— დაბრძანდით, დაბრძანდით, თავაზიანად მიმართავს დიკსონი ქართველ სტუმრებს და თვითონაც თავის სამუშაო მაგიდას მიუჯდება.

— გადაეცი,—მიმართავს კაკანაძე ფახელს,—განიხილა თუ არა მან ნიაგარელის პროექტი.

ფახელი ძალას იკრებს, ჩაახველებს, თვალებს მაგიდის ერთ წერტილში მიაშტერებს და იწყებს სიტყვების ღეჭვას.

— პატივცემულ ამერიკელ ინჟინერს ეკითხება ქართველი ინჟინერი კაკანაძე, რომელსაც თქვენ უკვე იცნობთ: განიხილეთ თუ არა ნიაგარელის პროექტი?

და ფახელი ინჟინერ დიკსონის პასუხს ელის იმავე წერტილში თვალების მიშტერებით.

— დიახ, დიახ, უკვე განვიხილე,—სრულიად დამშვიდებით ამბობს დიკსონი.—გავსინჯე ყოველი დეტალი ელსადგურის მშენებლობის ადგილმდებარეობის დათვალიერების შემდეგ და მოხარული ვარ, რომ ქართველებს ასეთი ნიჭიერი და მცოდნე ინჟინრები გყავთ.

— როგორ!—გაგრძელებული ხმით და საკმაო აღშფოთებით, რომელსაც ის არ იმჩნევს, წამოიძახებს ფახელი.

— პროექტი მთლიანად საუცხოოდ არის მოფიქრებული,— განაგრძობს ინჟინერი დიკსონი იმავე მშვიდი და ერთნაირი ტონით, —და ვამბობ პირდაპირ, ამას არ მოველოდი.

— როგორ!—იმავე ხმით წამოიძახებს ფახელი და მის სახეზე დაბნეულობის ხაზები აღიბეჭდება. ამას თავის მარით შენიშნავს კაკანაძეც და ტანში უსიამოვნო ჟრუანტელი ელექტროდენივით დაუვლის.

— მართალია,—ამბობს ინჟინერი დიკსონი,—მე მაქვს ზოგიერთი უმნიშვნელო შენიშვნა, რომელიც პროექტის ავტორთან შეთანხმებით შესაძლებელია გამოსწორდეს. ეს შენიშვნები ეხება ზოგიერთ დეტალს და არა პროექტის ჩოხჩხს. ამიტომ მათი გამოსწორება, ვიმეორებ, სრულიად უმნიშვნელო საქმეა.

ფახელი კაკანაძის დაბნეული თვალებითვე გადახედავს. კაკანაძე თუმცა საერთოდ მიმხვდარია, რომ ამერიკელს არაფერი „საიმედო“ არ უთქვამს, მაინც ცდილობს მტკიცედ განაგრძოს თავისი საქმე და მოახლოებულ კატასტროფამდე უკან არ დაიხიოს.

— პროექტი სწორია, ასე ამბობს ამერიკელი. აქვს მხოლოდ უმნიშვნელო შეხიშვნები, რომელსაც ავტორთან შეთანხმებით გამოასწორებს. ჩვენ, ქართველებს, ძალიან გვაქვს, რადგან ნიჭიერი და მცოდნე ხალხი ვყოფილვართ...—აქ ფახელი ოდნავ შეჩერდა და კაკანაძეს შეეკითხა: შენ რას იტყვი?

— გადაეცი ჩვენი აზრი პროექტის შესახებ,—გამწარებით, მაგრამ მეტად თავდაჭერილი გამომეტყველებით მიუგებს კაკანაძე.—გადაეცი, რომ პროექტის ხელახალი შედგენა აუცილებელია და ის უნდა შეადგინოს თვითონ მან, პატივცემულმა დიკსონმა.

-ფახელი ისევ მიბრუნდება დიკსონისაკენ, გადმოყრილ თვალებს უეცრად გადაატრიალებს, სულს უფრო ღრმად ამოითქვამს და შემდეგ საკუთარ ხელს დახედავს.—თქვენ ამერიკელი ხართ, ჩვენ კი ქართველები.—უფრო შორიდან იწყებს ფახელი.—ჩვენ ამერიკელ სტუმრებს პატივს ვსცემთ. ამერიკელი სტუმრებიც, იმედი გვაქვს, ასევე მოიქცევიან. ჩვენი საუკეთესო ინჟინრების აზრია, რომ პროექტი ხელახლად უნდა იქნეს თქვენს მიერ შედგენილი. მათი აზრით, ნიაგარელის პროექტით მუშაობის დაწყება სახიფათო იქნება და ამიტომ ისინი თანახმა არიან შეუდგენ ძუშაობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროექტი თქვენი იქნება. საქართველოს ჰყავს ნიაგარელზე შეუდარებლად ნიჭიერი და მცოდნე ინჟინრები, მაგრამ ისინი იმ აზრის არიან, რომ საიმედო პროექტის შედგენას მხოლოდ თქვენ, ამერიკელები, შესძლებთ.

დიკსონი, რომელიც ფახელის ლაპარაკში ძალიან ბევრ ულოლიკობას ხედავდა, ხოლო ძის სიტყვას მაინც ყურადღებით ისმენდა, ახლა მეტად გაკვირვებული, მაგრამ უბრალო გამომეტყველებითვე გადახედავს ფახელს.

— თქვენ მართალი ხართ,—ამბობს დიკსონი,—ქართველებს ჩვენ ახგარიში უნდა გაუწიოთ, მაგრამ მე მაინტერესებს ვიცოდე: ვინ ამბობს ყველაფერ ამას. მე მაინტერესებს კონკრეტულად მათი გვარები და ის ადგილი, რომელიც მათ სადგურის მშენებლობის საქმეში უჭირავთ.

ფახელი აქ მეტად იბნევა და საკმაოდ შეშინებული კაკანაძეს თავმიუბრუნებლად გადახედავს.

— ეს ითხოვს გვარებს და სხვა არაფერს,—ბურტყუნით შესძახებს ის კაკანაძეს და ცხვირს ჩამოუშვებს.

— უთხარი საერთოდ!—საჩქაროდ უპასუხებს კაკანაძე, რომელიც ფახელზე გაცილებით მეტად აღელვებულია, მაგრამ ითმენს და მთელ ცეცხლს საკუთარი კანიდან გარეთ არ უშვებს.

ფახელი კაკანაძის განმარტებით არ არის კმაყოფილი, მაგრამ აქ მასთან კამათის დრო არ არის და ამიტომ ის იძულებული ხდება მიიღოს კაკანაძის ეს მოკლე დირექტივა, რა გინდ ცუდი და უიმედო იყოს ის, რაკი სხვა გამოსავალი არ არის.

— გვარებისა და თანამდებობის შესახებ თქვენ ყოველთვის შეგიძლიათ გაიგოთ,—ისევ დაიწყებს ფახელი.—ჩვენ კი გვაინტერესებს მთავარი და ეს მთავარი კი მდგომარეობს იმაში, რომ გვინდა გავიგოთ, თუ როგორ უყურებთ თქვენ ქართველი ინჟინრების შეხედულებას.

დიკსონის სახეზე ოდნავი უკმაყოფილება აღიბეჭდება, თავს გვერდზე გადასწევს და შემდეგ ისევ ფახელს მიუბრუნდება.

— მე ძალიან მინდა თქვენ გასიამოვნოთ,—ამბობს დიკსონი,—მაგრამ ვერაფერი გამიგია. გკითხეთ ქართველი ინჟინრების გვარები მხოლოდ იმიტომ, რომ მსურდა გამეგო მათი აზრი, თუ რატომ იწუნებენ პროექტს. თქვენ ლაპარაკობთ იმის შესახებ, რომ ამერიკელებმა ანგარიში უნდა გაუწიონ ქართველების აზრს. მე არ ვიცი, რას ნიშნავს ანგარიშის გაწევა. თქვენდა საამაყოდ ახალგაზრდა ქართველმა ინჟინერმა შეადგინა ისეთი პროექტი, რომლის შედგენა ჩვენში ზოგჯერ გამოცდილ ინჟინრებსაც გაუძნელდებოდათ. ამიტომ ჩვენ, ამერიკელებმა, ამ ნიჭს პატივი ვეცით და შესაფერად დავაფასეთ პროექტი რომ მოვიწონეთ, თქვენ კი გინდათ დაგვიმტკიცოთ, რომ პროექტი არ ვარგა და ამიტომ მოითხოვთ ამერიკელებმა პატივი სცენ ქართველებს და ახალი პროექტი შეადგინონ. თუ ჩვენ ვსცანით, რომ პროექტი კარგია და სხვა პროექტის შედგენა საჭირო აღარ არის, მაშინ ეს იმას ამბობს, რომ ჩვენ სხვანაირ პროექტს არ შევადგენთ. ამის შემდეგ გაუგებარია, რაში მდგომარეობს თქვენი თხოვნის აზრი, რა უნდა გამოვიდეს აქედან.

კაკანაძემ ინგლისური ენა არ იცის, მაგრამ მან ინჟინერ დიკსონს ლაპარაკის ტონზე შეატყო, თუ რას ამბობდა ის და, როცა დიკსონმა თავისი სიტყვა დაასრულა, მაშინ კაკანაძემ აღარ დაუცადა ფახელის განმარტებებს, მას მოთმინება დაეკარგა და სავარძლიდან ნაკბენივით წამოიჭრა.

— უთხარი მაგას!— დაუყვირა მან ფახელს,—რომ ქართველ ინჟინრებს ასე სურთ და, მას თუ უნდა ქართველებს ანგარიში გაუწიოს, ჩვენ უნდა დაგვიჯეროს.

კაკანაძის გაცხარებულმა ტონმა ინჟინერი დიკსონი კიდევ უფრო გააკვირა და ის ფახელს თვალებში მიაჩერდება იმის მოლოდინით, რომ ფახელი გადაუთარგმნის მას კაკანაძის მიერ აღელვებით

წარმოთქმულ სიტყვებს. ფახელი კაკანაძის აფეთქებით თვითონაც გათამამდა და უფრო რიხიანად დაიწყო.

— პატივცემულო ამერიკელო ინჟინერო! ინჟინერი კაკანაძე ამბობს და მეც ვამბობ (ის უკვე თავის თავსაც ჩაურთავს), რომ თქვენ ახგარიში უნდა გაუწიოთ ქართველი ინჟინრების თხოვნას და კატეგორიულ მოთხოვნასაც კი, თუ გინდათ ქართველებთან შეთანხმებული მუშაობა და ყურადღება არ მიაქციოთ იმ თამაშს, რომელიც ნიაგარელმა გასწია თავის ბავშურ პროექტის შედგენაზე, სხვა რომ არა იყოს რა ჩვენ, ქართველები, მარტო პროექტით არ ვცოცხლობთ, ჩვენი თავმოყვარეობა და მიზნები უფრო დიდია.

აქ ინჟინერი ვილიამს დიკსონი საკითხს სხვანაირად ჩაუფიქრდება, მან ამ ხალხის სიტყვებში დაინახა არა ნიაგარელის პროექტის უვარგისობა, არამედ სწორედ ის „სხვა", რაც კაკანაძის „დირექტივების" გარეშე თავის მხრივ ფახელმა დაუმატა, ხოლო ვინაიდან მას ეს „სხვა" ნაკლებად აინტერესებს და არც უნდა იცოდეს ამის შესახებ, რომ მას, ინჟინერ დიკსონს, სწამს მხოლოდ თავისი საქმე, რომელიც დაკავშირებულია ელსადგურის აგებასთან, ამიტომ ის საკმაოდ აღელვებული ადგა და მისი ისედაც წითური სახე სისხლივით გადაიქცა.

— მე ბოდიშს ვიხდი!—აღელვებით ამბობს ინჟინერი დიკსონი,—ახლა გეყოფათ ჩემი შეურაცყოფა. მე ვფიქრობდი თქვენ ჩემთან საქმეზე იყავით მოსული და არ მეგონა, თუ მხოლოდ შეურაცყოფის მოყენება გსურდათ. თქვენ, როგორც ირკვევა, გაინტერესებთ არა პროექტის უვარგისობის ან ვარგისობის საკითხი, არამედ რაღაც „სხვა" საქმეები, რომელიც მე არ მესმის. შეიძლება ეს იმიტომ, რომ მე ამერიკელი ვარ და თქვენ ქართველები, მაგრამ ჩემი მოვალეობის წინაშე მე მაინც ისე მოვიქცევი, როგორც წესია, და არავის არაფერს დავუთმობ, სანამ აქ ვარ.

კაკანაძემ დიკსონის სიტყვებში თითქოს შეხიშნა, რომ ფახელს ამერიკელისათვის რაღაც მეტი უნდა ეთქვას, ვიდრე ეს საჭირო იყო და ამიტომ ფახელს გაბრაზებით მიუბრუნდა.

— შენ ამერიკელს უსათუოდ მეტი უთხარი იმაზე, რაც მე ვოქვი,—ბრაზით მიახლის კაკანაძე თავის მეგობარს.—უშველე ჩქარა, შემოაბრუნე, თორემ ყველაფერი დაიღუპა. პროექტის საკითხს უნდა მოვეშვათ და შერიგებაზე უნდა გადავიდეთ.

ფახელიც, როცა ის აღელვებული ამერიკელის სახეს შესცქერის, თვითონაც რწმუნდება, რომ უკვე საჭიროა ამერიკელთან შერიგება, რომ ყველაფერი წყალში არ ჩაცვივდეს. ამიტომ ისიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხზე დგება და დიკსონს თითქოს დიდად გაკვირვებულ თვალებს მიაშტერებს.

— ჩვენ ბოდიშს ვიხდით, ძვირფასო სტუმარო,—ფარისევლურად იწყებს ფახელი.—რაკი თქვენ ავტორიტეტულად არ სთვლით ქართველი ინჟინრების აზრს პროექტის შესახებ, ამ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია დავეყაროთ თქვენს ავტორიტეტ და ყველაფერი ისე გავაკეთოთ, როგორც თქვენ გესიამოვნებათ. ჩვენ, ქართველები, დიდი სტუმართმოყვარე ხალხი ვართ.

აქ ფახელი შეჩერდა და თვალები უფრო დაქაჩა, რომ ამით დიკსონის წინაშე გაძოხატოს უდიდესი გაკვირვება.

დიკსონის სახეც უფრო მშვიდი და სათნოიანი ხდება. ის ფახელის სახეზე ნასროლ ხედვას მაგიდაზე დაუშვებს და შემდეგ თავის სავარძელში ჯდება.

— ვიცი, ვიცი, ქართველები ცუდი ხალხი არ არის,—ამბობს დიკსონი.—საქართველოში მე ვნახე ის, რასაც არ მოველოდი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მუ ამისათვის ვინმე დავამცირო და კარგად გაკეთებული საქმე დავიწუნო. ეს თქვენთვის სიამაყე უნდა იყოს, მაგრამ თქვენ მაინც სხვანაირად დაიწყეთ. ამიერიდან კი ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმის შესახებ, თუ როგორ განხორციელდეს პროექტი და რა ღონისძიებებია ამისათვის ახლა საჭირო,—სრულიად დამშვიდებულად ამთავრებს დიკსონი და ფახელს სულ სხვა თვალებით შეხედავს.

— დიახ, დიახ!—წამოიძახებს ფახელი და შემდეგ კაკანაძეს მიუბრუნდება.—ეს სრულიად დაჭამშვიდე და ახლა პროექტის განხორციელებაზე მომთხოვა მსჯელობა,—ოდნავი დამშვიდებით და ირონიულად დაასკვნის ფახელი.

— გადაეცი, რომ ყველაფერზე თანახმა ვარ და პროექტის განხორციელებისათვის თავს დავდებთქო,—ამბობს კაკანაძეც, სახეს გვერდზე ძიიბრუნებს და კედელს მსინჯავი თვალებით შეხედავს.

— ინჟინერი კაკანაძე, მისტერ დიკსონ, გპირდებათ ქართველი ინჟინრების სახელით, რომ ისინი მზად იქნებიან ყოველგვარი ზომა მიიღონ თქვენი კეთილი დანიშნულების შესასრულებლად და ამავე დროს დიდ მადლობას გწირავთ იმისათვის, რომ გენიალურად აღმოაჩინეთ ახალგაზრდა ინჟინერ ნიაგარელის დღემდე ჩვენში დაუფასებელი ნიჭი.

— დიახ, დიახ, ნიაგარელი უნიჭიერესი ინჟინერია და მე ამით პირდაპირ აღტაცებაში მოვდივარ,—კმაყოფილებით ამბობს ინჟინერი დიკსონი. ჩიბუხს იღებს და შიგ თამბაქოს ჩასტენის.

ვინაიდან ინჟინერ კაკანაძეს და ფახელს მეტი სალაპარაკო აღარაფერი დარჩენოდათ, ორივენი ერთიმეორეს გადახედავენ, უცბად ზეზე წამოდგებიან და წასასვლელად ემზადებიან. დიკსონიც, რაკი შენიშნავს, რომ სტუმრები წასვლას აპირებენ, თამბაქოთი გატენილ ჩიბუხს გვერდზე გადადებს და თვითონაც დგება.

— მშვიდობით, პატივცემულო ამერიკელო სტუმარო, მისტერ დიკსონ!—გაბერილი ტონით წარმოსთქვამს ფახელი და თავის დათვისებურ თათებს დიკსონს გაუწოდებს.—ჩვენ კიდევ გვექნება დროა შეეხვდეთ ერთმანეთს და სავრთო საქმეზე კონკრეტულად ვიმსჯელოთ.

— მშვიდობით, მშვიდობით!—საპასუხოდ ამბობს დიკსონი და ხელს ჩამოართმევს.—მართალია, ბევრი საკითხი კონკრეტულად მოითხოვს შესწავლას.

და ისინი უკვე ოთახიდან გამოდიან, როცა თავის მაგიდასთან ფეხზე დამდგარ დიკსონის სახეს ფანჯარიდან ახლად გაშლილ ფოთლებში გამომკრთალი სხივები ოქროს წყაროსავით ეცემა.

ქუჩაში გასული ინჟინერი კაკანაძე და ფახელი ერთმანეთს დაბღვერილი სახით უცქერიან და დიკსონთან შეხვედრის დროს ნახულ დამარცხებას ერთიმეორეს აბრალებენ.

— შენ ჩემი სიტყვები სწორედ ვერ გადაეცი და შენი საკუთარი სისულელეები მეტი უამბე.

— სტყუი!—გაბრაზებითვე მიუგებს ფახელი.—შენ ლაპარაკობდი ეგრეთწოდებული „ქართველი ინჟინრების სახელით“, მაგრამ ამიხსენი, ვინ არის შენთან! დარჩა ერთი გალაძე და ისიც მერყევი, მეორე კი ბრძანდებით თქვენ და სხვა არავინ!

მართლაც ისინი თავიანთ სიტყვებში ერთმანეთს სწორად შენიშნავდენ. მართალი იყო ის, რომ ფახელმა მეტი ილაპარაკა ისეთ რამეებზე, რომლის შესახებ კაკანაძეს მისთვის არ დაუვალებია, ხოლო თავის მხრით ფახელიც მართალი იყო, როცა ის კაკანაძეს უსაყვედურებდა ისეთი ტყუილების შესახებ, როგორიც არის „ქართველი ინჟინრების“ სახელით ლაპარაკი, მაგრამ ამ უკანასკნელ ტყუილში ფახელსაც ბრალი ედო და სწორედ ამიტომ მისი დანაშაული კაკანაძისას საკმაოდ სჭარბობდა.

ისინი, როგორც ახლა, ხშირად ჩხუბობდენ, განსაკუთრებით მაშინ, თუ რაიმე მარცხი გამოუვიდოდათ, მაგრამ ერთიმეორეს თავს მაინც არ ანებებდენ და აღრენილ ძალღებივით დროს ხშირად ერთად ატარებდენ. ამ ჩვეულებას ისინი არც ამ შემთხვევაში ღალატობენ და როცა კაკანაძე ქუჩის მეორე მხრის ტროტუარზე გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიდა, მას უკან დაედევნა საკმაოდ ბეცი, მაგრამ მაინც ერთგული მეგობარი ფახელი.

იმავე დღეს, საღამოს 9 საათზე სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ერთ-ერთ ოთახში ფართე მაგიდას გარს შემომსხდარი რამდენიმე კაცი რაღაცაზე გაცხოველებით მსჯელობდა.

ელექტროშუქი ჩვეულებრივად, როგორც სხვა დროს, მაგიდის ირგვლივ შემომსხდარ რამდენიმე კაცს ზევიდან დაჰყურებს და ოთახიდან გაქცეულ სიბნელეს შორის მიერეკება.

აქ არის ვარდნილის საღმშენებლო კომიტეტის თავმჯდომარე ლეო ქვაკირელი თავისი ჭაღარაშერეული თმებით და ფაკი მსხვილი თვალებით, რომელშიაც ამჟამად მოსჩანს არა მარტო სიხარული იმის გამო, რომ ამერიკელ ინჟინრებმა ახალგაზრდა ინჟინერ ნიაგარელის პროექტი მოიწონეს, არამედ—სიძნელეებიც და მათი აუცილებელი დაძლევის საჭიროებაც, რომლებიც სადგურის მშენებლობის დროს აუცილებლად წინ შეხვდებოდათ.

აქ არის ვილიამს დიკსონი, აქვეა ქვაკირელის მარჯვენა ხელი ნინა კურაშვილი, რომელიც მეფის დროს ბაქოს პოლიტექნიკურ სასწავლებელში მეორე კურსზე ყოფნის დროს რევოლუციონური მუშაობის გამო ქვაკირელთან და სხვებთან ერთად დაიჭირეს და მაგრად ჩაჰკეტეს (ქვაკირელი ამ დროს ბაქოს ნავთის სარეწაოებში იყო უბრალო მუშად). აქვეა ინჟინრები: ნიაგარელი, გალაძე, ორიც ამერიკელი ინჟინერი და სხვა.

ინჟინერ ვილიამს დიკსონმა სხდომას გააცნო თავისი შეხედულება ინჟინერ ნიაგარელის პროექტის შესახებ და კმაყოფილებით აღნიშნა, რომ პროექტი, ზოგიერთი წვრილმანი შესწორებით, რომელიც ავტორთან შეთანხმებით პროექტში უკვე შეტანილია, სავსებით მისაღებია.

დიკსონის სიტყვებმა სიხარულით აავსო ინჟინერ ნიაგარელის გული, მაგრამ ის მაინც თავდაჭერილობას იჩენს და მთელ მის ტანს სიხარულთან ერთად სწვავს ფიქრები იმის შესახებ, თუ მისი პროექტი როგორ შეისხამს ხორცს, მის განხორციელებას გადაეღობება თუ არა წინ რაიმე დაუძლეველი და მეტად სერიოზული სიძნელეები. მაგრამ ნიაგარელის ეს წვა იყო არა სასოწარკვეთილებისა და უიმედობის, არამედ—უდიდესი პასუხისმგებლობისა და იმ მომავალი გამარჯვების შესაძლებლობისა, რომელიც არც თუ ისე შორს არის.

კაკანაძე, რომელიც თავის სავარძელში გაუნძრევლად ზის და დიკსონის თუ სხვების სიტყვები გულში შანთივით ხვდება, არაფერს იმჩნევს და თითქოს მეტის-მეტი აღფრთოვანებით ხშირად იძახის: „დიახ, დიახ, საუცხოვოა, მშვენიერია“ და სხვა, ხოლო ინჟინერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალაძე, დატენილ ტომარივით ერთ კუთხეში მიყუდებული, არაფერს ამბობს.

ღამე ღრმავდება, მაგრამ ელნათურები იმავე სიძლიერით აშუქებენ ოთახს და სხდომის მონაწილეთათვის სრულიად მოულოდნელად კიდლის საათძა ერთხელ დარეკა.

საკითხი უკვე ამოწურულია.

ისინი ოთახიდან ნელი ხაბიჯებით გამოდიან, ერთმანეთს ემშვიდობებიან და შემდეგ ქალაქის ყველა მიმართულებით იფანტებიან.

ელნათურები ქალაქის ქუჩებს ისევ დარაჯობენ, მათ არ სურთ დახოჭონ თვალები, სანამ არ მოვა მათი შემცვლელი მზე და ქვეყანას თავისი ძლიერი, დაუშრეტელი სხივებით არ გაანათებს.

V

მდინარე ვარდნილის მიდამოებში მისწყდა საგანთიადო ჩიტების ჯალობა და მზე, მწვერვალთან მოსული, თვალებს ახელს.

ახლა უკვე შაშვები, ჩხართვები და ბეღურებიც ხმას იმაღლებენ და ნამით მორწყულ ტყიდან მზეს მშვენიერი სიმღერებით ეგებებიან.

ახლად გაშლილ ფოთლებზე, როგორც ვერცხლის პატარა მძივები, მწკრივად დალაგებულია ნამის პატარა წვეთები, რომელნიც ახლა შორიდან მოსული სხივების შეხედვაზე ფოთლებს ბრილიანტის თვლებივით სწყდებიან, ტყის მცენარეებზე ეცემიან ან ჰაერში ნისლის თხელ ფარდებად იშლებიან.

ვარდნილის მიდამოების მკერდზე, როგორც პირაღმა დაწოლილი ახალგაზრდა ქალის ძუძუები, მოსჩანს ორი პატარა, ნაძვით და ფიჭვის ხეებით შემოსილი, გორაკი.

იქ, სადაც ტყეები თავდება და იწყება მწვანე მინდვრები, მოსჩანს მდინარე ვარდნილის ნაპირებთან რამდენიმე მწკრივად გაშლილი სოფელი, საიდანაც ახლა ისძის ძროხების ბღავილი, ძაღლების ყეფა, მამლების ყივილი და ქორივით ჩამჯდარი სახლების თეთრი სახურავებიდან ამოდის თხელი და გრძელი ბოლი.

ამ სოფლების ყველა კუთხიდან ერთი წერტილისაკენ მოიწევს რამდენიმე წითელი დროშა, როგორც სისხლით განბანილი არწივები.

ეს დროშები თავს იყრის ერთ მოედანზე და დროშების ტყეში უკვე მოსჩანს რგოლივით დახვეული მშრომელი გლეხობის მრავალი გუნდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ არის სიდარას რაიონული ცენტრი, სადაც ჯგუფად შეყრილი რამდენიმე პატარა სახლი ერთიმეორეს თვალებში ჩასქერის.

პირველი დროშა წინ გამოვიდა და პატარა რგოლები, ერთად შედუღებულები, ერთ მთლიან ჯაჭვად შეკრული, დაეხვია პლატფორმა ზედანისაკენ მიმავალ ვიწრო შარას და წამოვიდა სიმღერების ძლიერი ტალღები.

აღმოსავლეთით, საიდანაც მწვერვალზე ამაღლებულ მზეს ოქროს თმები დედამიწამდე ჩამოუშვია, გამოჩნდა ხის შტოებიდან ამოვარდნილი სქელი ბოლი, რომელიც სიჩქარით ახლოვდება...

ტყე უკვე გახვლო და პლატფორმა ზედანთან ორთქლმავალის გუგუნი ისმის.

აქ სოფლიდან გამოსული გლეხობა, დროშებით ხელში, ჩამწკრივებული უცდის ტფილისიდან მომავალ მატარებელს, რომელმაც პლატფორმა ზედანს დღეს არაჩვეულებრივი სიხარული უნდა მოუტანოს.

მატარებელი უკვე ჩერდება და ძირს ჩამოდის აუარებელი ხალხი, რომელთაც დამხვდური გლეხობა აღტაცებით ეგებება.

აქ არიან სახალხო ნეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარე ხორელი, მისი მოადგილე გურგენ ბარელი, ქვაკირელი, კაკანაძე, ამერიკელი ინჟინერები, მრავალი სხვა ინჟინერი, ტექნიკოსები და აგრეთვე მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ყველა ისინი დამხვდურ გლეხობასთან ერთად ქვეითად მიდიან იმ ადგილისაკენ, სადაც უნდა დაიწყოს ელსადგურის მშენებლობა მდინარე ვარდნილზე.

პლატფორმაზე დარჩენილი რამდენიმე კაცი კი უკვე შეუდგა მატარებლის უკანა ვაგონების გადმოტვირთვას, სადაც აწყვია ელსადგურის მშენებელი მუშებისათვის კარვები და სხვა მოწყობილობა.

ათი კილომეტრი გაიარეს, და ვარდნილის ნაპირებს ზევიდან გადმოადგა აუარებელი ადამიანის ფიგურა.

აქ სასწრაფოდ ეწყობა მიტინგი, რომელსაც ხსნის ს.მ.უ.ს. თავმჯდომარე ხორელი.

— ამხანაგებო!—იწყებს ის—ახლა ვდგავართ სწორეთ იმ ადგილას, სადაც უნდა შეჩერდეს დაუდეგარი ვარდნილის ძველი მიმართულებით დენა და წავიდეს იმ გზით, საიდანაც მისი ტალღები ელექტროსხივებად ჩამოიქცევა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყოველი ჩვენთაგანი მედგრად და ერთგულად იბრძოლებს ამისათვის. მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მშრომელი გლეხობა, რომლებიც რაიმე მონაწილეობას კი მიიღებენ ვარდნილის ჰიდროელსადგურის მშენებლობაში, შესძლებენ იამაყონ უდიდესი გამარჯვე-

ბით მხოლოდ მაშინ, როცა ვარდნილის ტალღებიდან, როგორც დედამიწის მეორე მზე, ამოვარდება ასეული ათასი კილოვუატ-საათი ელექტროენერგია და დაუშრეტელ ძალად ჩადგება ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო კუნთებში.

შემდეგ ის ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ რა ძალებით და რა საშუალებებით იწყება ჰიდროელსადგურის მშენებლობა და აღნიშნავს იმ სიძნელეებსაც, რომელიც შეიძლება მშენებლობის დროს საქმეს წინ გადაეღობოს, მაგრამ მისი გაგებით, თუ ყოველი ცალკე მუშაკი მიდგრად შეებრძოლება ამ სიძნელეებს, მაშინ მათი დაძლევა ადვილად შეიძლება...

ამის შემდეგ გამოდიან სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავჯდომარის მოადგილე—გურგენ ბარელი, ქვაკირელი, ნინა კურაშვილი, ნიაგარელი, ინჟინერ დიკსონი, კაკანაძე და მთელი რიგი ორგანიზაციების და ადგილობრივი გლეხობის წარმომადგენელნი.

მოხუცი გლეხი, სიკო თენიაშვილი, რომელიც მსხვილი, მოგრეხილი ჯოხით ადის ტრიბუნაზე და ამავე ჯოხითვე თავს იმაგრებს, გულწრფელად და მოხუცებულობის ცივი ცრემლებით ამბობს მოკლე, მაგრამ მეტად საინტერესო სიტყვას.

— თქვენ,—დაიწყებს ის,—მოხვედით ახლა. ჩვენი მიწა და მდინარე ვარდნილი ქვეყნისთვის სასაოგებლო ყოფილა. ეს მართალია. მე დავიბადე და მოვხუცდი ვარდნილის ნაპირებზე. მახსოვს, როცა გული მეტად გაცხელდებოდა გაჭირვებისა და წვალებისაგან, მაშინ მხოლოდ ვარდნილის ტალღები მიგრილებდა ამ გულს. თქვენ ახალგაზრდები ხართ და გიხარიათ: მდინარე ვარდნილიდან ამოვა სხვანაირი ცხოვრების გამჩაღებელი მზეო. ამ მზის ამოსვლამდე ჩემი ცხოვრების დღეები, ალბათ, სამუდამოდ ჩავა. მაგრამ არა, ამხანაგებო! თქვენ ნუ იფიქრებთ, რომ მე ეს შემშურდეს, პირიქით! მე წავალ და თან წავიღებ იმედს, რომ მშრომელი ხალხი გაიხარებს. მე გულით წავიღებ სიხარულს, რადგან მეცოდინება, რომ ღარიბებმა გაიმარჯვეს.

აქ მოხუცი უფრო აცრემლდება, გული აუჩუყდება და სიტყვები ყელში გადირაზება,—მე წავალ და...

მას მეტი აღარ შეუძლია, ის ნიაგარელს და ნინა კურაშვილს ხელით ჩამოჰყავთ ტრიბუნიდან და ამშვიდებენ.

ამერიკელი ინჟინრებიც, რომლებიც უცქერდენ ამ სურათს, თუმცა მათ მოხუცი, ღარიბი გლეხის სიტყვები არ ესმოდათ, გრძნობდენ, თუ რამდენი გულწრფელობა და განცდილი გაჭირვება გამოსჭვიოდა ამ მოხუცის სიტყვაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანში შესული ლინდერიც კი, რომელიც თავს ყოველთვის შედარებით თავისუფლად გრძნობდა ყოველგვარი სანჯიმენტალობისაგან, ახლა შეუმჩნეველად იცრემლება. როცა ეს მან გაიგო, უხერხულობა იგრძნო, თავი გვერდზე მიიბრუნა.

მიტინგის მონაწილეთა ზღვა ხალხში დგას მახლობელი სოფლიდან ცხენით ჩამოსული თემურ ბახელი, რომელიც თავის ორ მეგობარს ზოგჯერ ნაძალადევი ღიმილით გადახედავს და ორიოდე სიტყვას, როგორც მოშიებულ ძაღლს ლუკმას, გადაუგდებს.

— რა ენაღვლებათ, ჩემი მამულის გაოხრებას ფიქრობენ,— გადაუგდო თემურ ბახელმა თავის მეგობრებს და გაცოფებული ხარის თვალები ირგვლივ შემოატრიალა.—მოითმინეთ!—დაუმატა ბოლოს და ხმა გაკმინდა.

ბახელის სიტყვებს მისი მეგობრები თავის ქნევით თანხმობას უცხადებდენ, მაგრამ აქ არაფერს ამბობდენ.

ერთი მათგანი იყო მახლობელი სოფლის ვაჭარი, ენაბორკილი ხარვეზ კარპაძე, ხოლო მეორე—ცალი თვალით ბრმა, საკმაოდ მოხუცი და თავწახრილი ყოფილი დიაკვანი—პავლე სახარაძე.

თემურ ბახელი განსაკუთრებულად გააბრაზა და გაახელა მოხუცი კოსტა თენიაშვილის სიტყვებმა, მან ეს სიტყვები ველარ მოითელა და მეგობრებისაკენ მგელივით მთელი ტანით შეტრიალდა.

— გლახაკი!—ისე ხმამაღლა და თავდავიწყებით წამოიძახა ბახელმა, რომ მის ახლო მდგომი ხალხის თვალები უეცრად მისკენ ზიზღით აღსავსე მიტრიალდა და ბახელმა მხოლოდ მაშინ იგრძნო, თუ სად არის და როგორი შეცდომა დაუშვა.

ბახელს გაკვირვებით მიაშტერდენ აგრეთვე მისი მეგობრები და კარგა ხნის შემდეგ ენაბორკილი ხარვეზ კარპაძე ბახელის ახალუხს ოდნავ მოსწევს და ჩუმად ეტყვის:

— ასე არ შეიძლება... სსაადა ხარ... თთუუ იცი...

ბახელის უადგილო წამოძახილს იქვე ახლო მდგარმა კაკანაძემაც კი მიაქცია ყურადღება, იკითხა თუ ვინ იყო ის, და როცა გაიგო, რომ ეს თემურ ბახელია, რომლის მამულში ნიაგარელის პროექტის მიხედვით ელსადგურის არხი უნდა გაეყვანათ, მაშინ ამ გარემოებით მეტად დაინტერესდა და ამის შემდეგ მიტინგის დასრულებამდე ბახელისათვის თვალი არ მოუშორებია. ბახელმა ახლა უკვე დაიწყო შეწუხებული ბრუნვა და ბოლოს ყოფილ დიაკვან პავლე სახარაძეს ჩამოართვა რამდენჯერმე დაკეცილი ქაღალდი, რომელიც სახარაძემ უბის ჯიბიდან ამოიღო.

კაკანაძეს არც ეს გამოეპარა და მაშინვე მიხვდა, რომ ეს ქაღალდი ბახელის განცხადება უნდა ყოფილიყო თავის მამულის შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახებ და სწორედ ამიტომ, როცა მიტინგი დასრულდა და ხალხი უნდა დაშლილიყო, კაკანაძე ბახელსა და მის მეგობრებს მიუახლოვდა, იქვე დადგა, მათ ზურგი შეაქცია, რომ ბოროტმა ენამ მასზე ცუდი არ სთქვას.

ბახელმაც თითქოს შორიდან იცნო კაკანაძის გული. მიტინგის დასრულებისას მას მიუახლოვდა, ქაღალდი დაანახვა და ნაძალადევად გაიღიმა.

— ბატონო, თხოვნაა, თქვენ... —დაღრეჯით ამბობს ბახელი და კაკანაძის მობრუნებულ სახეს თვალს მიაშტერებს.

— თხოვნა? რა დროს ეგაა! —თითქოს გაბრაზებით ამბობს კაკანაძე და შემდეგ უფრო რბილად და ხმადაბლა დააყოლებს:— საღამოს 8 საათზე ჩემთან შემოდით და თხოვნას მივიღებ.

მიტინგის დასრულებამდე უკვე რამდენიმე კარავი მოაწყვეს და დანარჩენსაც აწყობდენ, როცა დასავლეთიდან დაჰბერა ძლიერმა ქარმა და წამოვიდა კოკისპირული წვიმა... ცაზე გრიალებდა ჭექა-ქუხილი და ხეები ერთიმეორეს შეყვარებულებივით ეხვეოდენ.

გლეხები უეცრად დაირაზმენ, დროშები ზევით ასწიეს და ისევე მწყობრად გაემართენ თავიანთ სოფლებისაკენ.

ქარი ღმუოდა და გზაზე ჰყრიდა ფოთლებით შემოსილ დამტვრეულ ტოტებს, მაგრამ გლეხობას ეს არ აშინებდა და მათი სიმღერები მოქნეულ ქარს მიჰქონდა იმათივე სოფლებისაკენ...

ქალაქიდან ჩამოსულების ერთი ნაწილი წვიმის გამო უკვე მოწყობილ კარავებში შეცვივდა, ხოლო დანარჩენები ეხმარებიან მუშებს ახალი კარავების გამართვაში.

უკვე ყველა კარავი მოაწყვეს, და წვიმაც ჩერდება. ტფილისიდან წამოსული მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლები და ზოგიერთი ინჟინერ-ტექნიკოსებიც მიდიან ზედანისაკენ ტფილისშივე გასამგზავრებლად, ხოლო დანარჩენი ინჟინრები, ტექნიკოსები და მუშები რჩებიან იმავე კარვებში. აქ რჩება ინჟინერი კაკანაძეც, რომელიც ტფილისში წამსვლელებს თავისი კარავის წინ დამდგარი გამომშვიდობების ნიშნად ხელს უქნევს. რჩებიან ამერიკელი ინჟინრებიც.

კაკანაძე დღეს ძალიან ნასიამოვნებია ჯერ ერთი იმით, რომ მან სწორედ დღეს მოახერხა ქვაკირელის ცოლის—ქეთოს გაცნობა, რომელმაც კაკანაძეს გაცნობისას გაღიმებული თვალებით გადახედა და იმავე მოღიმარი სახით გამოემშვიდობა ტფილისში თავის ქმართან ერთად გამგზავრების დროს.

და კაკანაძე, რომელიც ჯერ კიდევ თავის კარავში არ შემძვრალა და გაჰყურებს ზედანისაკენ ბიმავალ ხალხს, თვითონაც იღიმება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე დღის სინათლემ თვალები დახუჭა და სიბნელე ნელი ნაბიჯით იპყრობს ვარდნილის მიდამოებს. კაკანაძეს კი ჯერ არ სურს შევიდეს თავის კარავში, რომელშიაც მისი დროებითი კანცელარიაც არის და დასაძინებელი ადგილიც. მას თითქოს სურს ბლომად ისუნთქოს წვიმის შემდეგ დაწმენდილი, სუფთა და გრილი ჰაერი, თუმცა ამაზე ფიქრს ის ძალიან ნაკლებ დროს ანდომებს და ახლა ფიქრობს მხოლოდ იმაზე, თუ სად არის და როდის მოვა ბახელი თავისი ვეებერთელა თხოვნით.

კაკანაძე ახლა ცოტაოი შეწუხდა მით, რომ რვა საათი უკვე ჯარგახანია, რაც გავიდა, ხოლო მასთან არავის არავითარი თხოვნა არ მიაქვს. ის საკმაოდ მოღუშული სახით შედის თავის კარავში, იღებს ყუთიდან კარტოფილის სანთელს, აანთებს, მომაღლო ბოთლში ამაგრებს და ლოგინზე ჩამოჯდება.

კაკანაძემ ამის შემდეგ ვერც კი მოასწრო რაიმეს მოსაზრება, რომ გარედან მოესმა ფეხის ხმა, რომელიც თანდათან ახლოვდება.

ეს არის თემურ ბახელი, რომელიც მახლობელ ბუჩქებიდან მთელი ამ დროის განმავლობაში თავის ცხენით უცდიდა 8 საათს და კარგად ხედავდა კაკანაძესაც, რომელიც დიდხანს ტრიალებდა თავის კარავის ირგვლივ. მაგრამ ბახელი არ გამოჩნდა მანამდე, სანამ კაკანაძე თავის კარავში არ შევიდა, ვინაიდან არ იცოდა, თუ კაკანაძე საბოლოოდ რომელ კარავში შევიდოდა; მეორეც ის, რომ მას არ სურდა სხვებს ენახათ ის კაკანაძესთან ასეთ დროს მისული, რაიც შესაძლოა კაკანაძის გარეთ ყოფნის დროს ვერ მოხერხებულიყო. ახლა კი, როდესაც შენიშნა, რომ კაკანაძე უკვე შევიდა თავის კარავში და სანთელიც აანთო, ბახელმა თავის ცხენი იქვე ბუჩქზე მიაბა, შემდეგ ბუჩქის პირას მივიდა, ოდნავ შეჩერდა, ირგვლივ მიმოიხედა და, რადგან გარეთ ვერავინ შენიშნა, კაკანაძეს კარავთან ისედაც მძიმე, ხოლო ახლა წვიმისაგან კიდევ უფრო დამძიმებული ტანით, ჩქარი ნაბიჯით მივიდა და კარავში ბურთივით რგვალი თავი შეჰყო.

კაკანაძემ შეხედა ამ თავს, რომელზედაც ორი მსხვილი, ძალზე გაწითლებული თვალი იჯდა. ის უეცრად შეკრთა. ხოლო შემდეგ, როცა დარწმუნდა, რომ ეს თემურ ბახელია, მოკლედ და ხმადაბლა მიიპატიჟა სტუმარი.

— მობრძანდით. აი, დაბრძანდით — მიუთითებს მაგიდასთან მიდგმულ საკეც სკამზე. ბახელი წყლით გაჟღენთილ ჩოხა-ახალუხს ორივე ხელი იქით-აქეთ გადასწევს, სკამზე ჩამოჯდება და უბიდან ამოიღებს ნაცნობ ქაღალდს, რომელსაც ხელში რუქასავით გაშლის და კაკანაძეს გაუწვდის.

— აი, ბატონო, ჩემი თხოვნა,—ამბობს ის და კაკანაძის გაკვირვებულ თვალებს მიაჩერდება.

— ეს რა ამბავია, ეს სულ ერთი თხოვნაა?—იკითხავს კაკანაძე, როცა ის ერთმეტრიან რამდენიმე ფურცელ ქაღალდს შეხედავს.

— დიახ, ბატონო!—გულიანად უპასუხებს ბახელი.—ესეც ცოტაა იმისათვის, რომ ჩემი უბედურება ჩაიტიოს.

კაკანაძე თხოვნას ართმევს, უგულოდ გადაფურცლავს და შემდეგ მაგიდაზე მიაგდებს.

— სისულელეა!—თავი დაანებეთ ასეთ ზღაპრებს!—ხმამაღლა წამოიძახებს ის და თავს დახრის.

ბახელს ვერაფერი გაუგია, თუ რას ნიშნავს კაკანაძის ასეთი საქციელი. ეს კაცი მისი პირველი შეხედვით „პატიოსანი“ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ახლა ის თითქოს სრულიად გამოიცვალა და სხვა გახდა.

— ბატონო, მე თქვენ სინიდისიერ კაცად გიცნობთ...

— დიახ!—შეაწყვეტინებს კაკანაძე,—სწორედ ამიტომ გეუბნებით, რომ ყველაფერი ეს სისულელეა!—ნუ თუ გგონიათ თქვენ, რომ ყველაფერი ჩემზეა დამყარებული? არა! ჩემზე დამყარებული არაფერი არ არის და ყველაფერი სხვების ხელშია. გესმით თუ არა თქვენ, ხალხნო, რომ ყველაფერი სხვების ხელშია!—გულნატკენი დაასრულებს კაკანაძე და ცალ ხელს თავზე შემოიდგამს.

— კარგი, მაგრამ...

— ძესმის!—კვლავ შეაწყვეტინებს კაკანაძე გაკვირვებულ ბახელს, რომელსაც ჯერ კიდევ ვერაფერი გაუგია, თუ რაშია საქმე.—მე შეგპირდით თხოვნის მიღებას არა იმისათვის, რომ აქედან რაიმე გამოვა, არა. ეს ტყუილია! მე მინდოდა ამით თქვენთან მხოლოდ შეხვედრა და სხვა არაფერი.

— ეს კი ჩემთვის ცოტაა, ბატონო ინჟინერო!—მიუგებს ბახელი და უკმაყოფილოდ გვერდზე მიიხედავს.

— დიახ, შეხვედრა თავისთავად ცოტაა, მაგრამ მისი შედეგი შეიძლება ძალიან დიდი გამოვიდეს—ამბობს კაკანაძე და ბახელის თვალებს უფრო პირდაპირ მიაჩერდება.—აი, დამიგდეთ ყური და ყველაფერს გეტყვით: თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ჩვენი ბატონები ჩვენი მტრებია და რომ მტერი უბრძოლველად არაფერს დაგვითმობს. მტერთან საჭიროა არა თხოვნების მიტანა, არამედ მის წინააღმდეგ ბრძოლა და გამარჯვების მოპოება! გასაგებია?—შეეკითხა კაკანაძე თავის ძვირფას სტუმარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გასაგებია,—მიუგებს ბახელიც და ისევ სმენად გადაიქცევა.

— მაშ ასე. თქვენ ახლა უკვე ყველაფერი იცით. თქვენს მამულში არხი გაყავთ და თქვენც ჩქარა გადაგასახლებენ, მასთან მთელ ქონებასაც ჩამოგართმევენ. ასე დაემართება ყველას, ვისაც უშრომია და რაიმე გაუკეთებია. აქედან დასკვნაა საჭირო, და ეს დასკვნა კი არის ბრძოლა შეერთებულის ძალით და გამარჯვების მოპოება.

— გასაგებია, ბატონო ინჟინერო, მაგრამ აქედანაც არაფერი გამოვა, – გულგატეხილი მიუგებს ბახელი და ისევ დაჩუმდება.

— არ არის მართალი! ბრძოლა არსებობს აშკარა და ფარული. აშკარა ბრძოლაში ჩვენ ამჟამად უსათუოდ დავმარცხდებით, ხოლო ფარული ბრძოლით კი მტრების აუცილებელ დამარცხებას დავაჩქარებთ. აქ მხოლოდ დროს საკითხი დგას: ადრე თუ გვიან, გასაგებია?—კიდევ შეეკითხება კაკანაძე თავის მოწაფეს და კვლავ პასუხს დაუცდის.

— გასაგებია,—ახლა უკვე საკმაოდ აზარტში შესული წამოიძახებს ბახელი და დათვის თათებივით ხელებს ერთიმეორეს ისე მაგრად ჩაუჭერს და იფშვნეტს, თითქოს ეს არის ყველა თავისი მტრები ხელების ერთიმეორეზე წასმით უკვე მოსრისა და თვით გახდა ქვეყნის ბატონ-პატრონი...

— ახლა კი კონკრეტულად: საჭიროა საქმეზე პირდაპირ გადასვლა. ვინ და რამდენი ხართ თქვენ, რომ დახმარება აღმოგვიჩინოთ?

— მე მყავს შვილები. არა, მე მყავს შვილი, ვინაიდან ერთი უკვე ჩემი ძტერია და ჩვენ გვებრძვის. ჩვენ ცოტანი ვართ. ჩვენ სოფელში არის ყოფილი მღვდელ-დიაკვანი, რამდენიმე ვაჭარი, სამოდე ჩემისთანა გლეხი... და კიდევ მოიძებნება,—დაბნეულად ამბობს ბახელი.

— დიახ, დიახ,—მოიძებნება,—დაუმატებს კაკანაძე.—თქვენ უნდა შექმნათ პატარა წრე და მდინარე ვარდნილი თავის კალაპოტს არ გასცილდება. ეს წრე უნდა მუშაობდეს ჩემი მითითებით. ყველაფერი ჩაიშლება და შენი მამულიც მთელი დაგრჩება. მხოლოდ გახსოვდეს: ერიდეთ ჩემთან სიარულს და გააკეთეთ მხოლოდ ის, რასაც მე გაკნობებთ. გასაგებია?—ერთხელ კიდევ შეეკითხა კაკანაძე და თვალები დაწურა.

— გასაგებია,—უფრო მეტის აღფრთოვანებით წამოიძახებს ბახელი და ფეხზე უეცრად წამოიჭრება.—ყველაფერში იმედი გქონდეთ, ბატონო ინჟინერო!

ამის შემდეგ ბახელს ინჟინერ კაკანაძე ურჩევს სიფრთხილეს და უბრძანებს აქ ბევრს ნულარ დააყოვნებს და ჩქარა წავიდეს.

ბახელი, რომელიც ამ კარავში თავს სტუმრად აღარ გრძნობს და, როგორც შინაური, კაკანაძის ბინოკლს ხელში ატრიალებს, კაკანაძის წინაშე დაიხრება, მარცხენა ხელით ბინოკლს მაგიდაზე გააგდებს, ხოლო მარჯვენას ახლათ გაცნობილ მხსნელს გაუწვდის და მაგრად ჩამოართმევს.

ახლა უკვე კაკანაძეც წამოდგება, რომელიც ბახელის მხრებს თავს ძლივ გაუთანასწორებს და სტუმარს კარამდე მიჰყვება.

— შენი თხოვნა აქვე დასტოვე. ასე სჯობია.—კაკანაძე თხოვნას ჯიბეში იდებს.

— მშვიდობით!—წამოიძახებს ბახელი, კაკანაძის სამაგიერო პასუხს აღარ დაუცდის და დახრილ თავს სიბნელეში გაუყრის.

ღამის 11 საათი იქნება.

ახლა ვარდნილის მიდამოებში ყველაფერი ჩაძინებულია, მხოლოდ არ სძინავს თვით მდინარე ვარდნილს, რომლის ხრიალი წვიმის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა და გამძაფრდა.

ბახელი უკვე შედის ბუჩქებში, მიაგნებს სიცივისაგან აკანკალებულ ცხენს, რომელსაც იმავე წუთში ახსნის და ზურგზე მაჯლაჯუნასავით მოაჯდება.

მიჰქრის ბახელი მდინარე ვარდნილის საწინააღმდეგო მიმართულებით და ახარებს „ბრწყინვალე“ მომავალი, რომელიც მის სულში ამ საღამოს კაკანაძემ ჩანერგა.

მძიმე და შავი ღრუბლების ნაფლეთებში, რომლებიც ახლა სადღაც მიჰქრიან, ზოგჯერ ჩნდება წერტილებივით პატარა ვარსკვლავები, რომლებიც უეცრად დედამიწას თვალს შეავლებენ და ისევ საჩქაროდ ქრებიან.

კაკანაძე თავის კარავში ბახელის წასვლის შემდეგ კარგა ხანს რჩება ფეხზე ქანდაკებასავით გაშეშებული და მისჩერებია კარტოფილის სანთელს, რომელიც სიყვარულზე გულგატეხილი ქალწულივით უხმოდ იცრემლება და შეუმჩნევლად დნება. შემდეგ ის მიუჯდება პატარა მაგიდას, აიღებს ქიმიურ ფანქარს, ბახელის თხოვნას ახლოს მოსწევს და ზევიდან გარკვეულად დააწერს: „ეარი ეთქვას. პ. კაკანაძე“.

— ასე სჯობია,—თავისთვის ხმამაღლა ჩაილაპარაკებს, წამოდგება, საწოლს გაშლის და მხოლოდ მაშინ მოაგონდება, რომ მის გარდა ახლა სხვა კარავში ყველას სძინავს და რომ ამ ღამეში ის ნამდვილი უფლებამოსილი კაცია, კაცი, რომელსაც შეუძლია სრულიად დაუკითხავად და ვინმესთან შეუთანხმებლად გასცეს სხვადა-

სხვა მისთვის მოსაწონი ბრძანებები, რის უფლებას დღის სინათლეზე მას არავინ მისცემს. „მაგრამ რა საჭიროა ეს. რად ღირს ისეთი ბრძანება, რომელსაც ვერავინ გაიგებს და არ მიიღებს გარდა ბახელის მსგავსი ხალხისა“— გაიფიქრა მან ბოლოს და საწოლში მოჭრილ ხესავით ჩავარდა. ახლა კაკანაძეს ჰგონია, რომ გარედან შემოსული ვარდნილის და ფოთლების შრიალის ხმები აფრთხილებენ მას და ურჩევენ სხვა გზით სიარულს, მაგრამ ის მაინც ჯიუტობს და არ სურს იაროს სხვების მიერ ნაჩვენები გზით; მას აქვს თავის საკუთარი გზა, რომელზედაც ის მოწინავე რიგებში მედგრად მიაბიჯებს, მაგრამ არ ფიქრობს იმაზე, თუ ვინ მიდის მის უკან, მას ავიწყდება, რომ მის ზურგში და გვერდში მხოლოდ თუხარელისა და ბახელის მსგავსი თითო-ოროლა უიარაღონი საცოდავად მიჩანჩალებენ, რომელთაც თან სახეირო არაფერი მიაქვთ.

## VI

სიდარას აყვავებული მიდამოები თითქოს სადღაც ჩაიძირა და უკვე დაბნელდა, მაგრამ სურნელებით გაჟღენთილი ჰაერი სულის ყოველ ამოთქმაზე მაცოცხლებელ ნაკადულებათ შედის სხეულის ყველა კუნთებში და ძალა გემატება...

ახლა აქა-იქ თითქოს მიწიდან თავს ამოყოფენ წვეთივით მცირე ჭრაქები და მკრთალი შუქი მოზღვავებულ სიბნელებს პატარა ნემსებივით გულში ჩაესობა...

მას ძალიან უნდა დარჩეს, მაგრამ არ შეუძლია და, კარებზე ცალი მხრით მიყრდნობილი, ცალი თვალით დაბრმავებულ ყოფილ დიაკვან პავლე სახარაძეს სხვადასხვა დარიგებებს აძლევს.

პავლეც მორჩილების თვალით მისჩერებია თავის ყოფილ მღვდელს—ივანე ხადაძეს, რომელიც კარგა ხანია გაიკრიჭა და ანაფორაც გაიხადა (უფრო იმიტომ, რომ ამ სოფელში ეკლესია ერთ მშვენიერ დღეს კლუბად გადაიქცა და ზარებიც სიდარას პლატფორმისაკენ დარეკვენილად გაეძგზავრა). მაგრამ მის გულში დარჩა ნამდვილი მოშხამული და ტიპიური მღვდელი; სწორეთ ამიტომ იყო, რომ მაღალ და ახოვან მღვდელს (რომელსაც ბოლო დროს მუცელი დაუპატარავდა) გაპარსვამ სრულიადაც არ უშველა და, განსაკუთრებით, იმ სოფლის ახალგაზრდობა მას მოსვენებას არ აძლევდა.

დიახ, გაკრეჭამაც არ უშველა.

— თავი წაეკრიჭა უფრო მოიგებდა,—სიცილ-ხარხარით ამბობდენ ახალგაზრდები ხშირად თვით ყოფილ მღვდელ ხადაძის გასაგონადაც კი. მაგრამ ხადაძეს, რომელსაც ესმოდა ახალგაზრდობის ეს დაცინვა, თითქო არაფერი გაუგონია, თავს იყრუებდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზას პირდაპირი ხაზით განაგრძობდა. ვინ იცის რამდენი ცეცხლი და შურის ქარიშხალი ტრიალებს მაშინ მის გულში, მაგრამ რა უნდა ქნას, როგორ უნდა დასაჯოს მან ამოდენა, მთელი სოფლის ახალგაზრდობა.

სჯობს საკუთარმა გულის ცეცხლმა საკუთარი სხეული დასწვას, თუ სხვა გამოსავალი არ არის და თუ მხოლოდ ამ გზით მოთმინებასა და გამძლეობიდან რაიმეს—ცოტათი საიმედოს მაინც კი მოელი.

და სწორეთ ამიტომ ერთხელ ახოვანმა, ხოლო ახლა ფარგასავით გათხელებულმა ყოფილმა მლვდელმა ეს უკანასკნელი გზა აირჩია და ქვის კენჭებივით კბილით ამტვრევდა და დიდის განსაცდელით ყლაპავდა ყოველგვარ შეურაცყოფას და დამცირებას.

— ასე, ჩემო პავლე! მოთმინებითა შენითა და სიფრთხილილითა... სხვა გზა არ არის. სანამ ცა დედამიწაზე ჩამოვარდება და მკვდრები აღსდგებიან, ჩვენი ძვლები დედამიწასა ზედა აღარ იქნებიან; ჩვენ კი გვინდა ცხოვრება და ღმერთისადმი დაუღალავი სამსახურის გაწევა. ვიბრძოლოთ, ვიცოდვილოთ და ღმერთიც მოგვხედავს.

ამ სიტყვების შემდეგ ის წელში ოდნავ წაიხრება და ფერდებზე მიწეპებულ მუცელზე ორივე ხელშემოდებული ჯარებში გაძვრება. ყოფილი დიაკვანი პავლე ოთახში,—რომელიც, ირგვლივ ხატებით არის გამოჭედილი,—დაბნეული, წელში წახრილი დაფარფატებს და რაღაცაზე თავისთვის ჩიფჩიფებს. ბოლოს მიდის ღია ფანჯარასთან, ორივე ხელს ზურგზე დაილაგებს და შავ ფარდასავით ჩამოშვებულ სიბნელეს ცალი თვალით ღრძად მიაჩერდება. სოფელში აქა-იქ ისმის გლეხების გამოძახილის ხმები და ზოგჯერ ძაღლების აჩოჩქოლება. სოფელი, სოფელი!—ფიქრობს მოხუცი პავლე. ყველანი გადაგვემტერა. ყველანი აგვიხირდა. ცხოვრება გაძნელდა. კოლექტივი, კომუნიზმი. ჰუჰ... ახლა ხმაურია—ალბად „საკოლექტივოდ“ ემზადებიან. წახდა, წაიპილწა ქვეყანა... ჰუჰ! ის ფანჯარაზე გარედან მომდგარ სიბნელეში ცალ თვალს კიდევ უფრო, ლურსმანივით ჩაასობს და შეამჩნევს, რომ წერტილებივით პატარა ჭრაქები, რომელნიც სადღაც მიდიან, ადამიანის სხეულებზე თუ ფოთლებზე ჩამოფარების გამო ხშირად ქრებიან და ისევ ინთებიან. პავლეს მოეჩვენა, რომ ეს ანთებული ჭრაქები სადღაც ახალ ქვეყანაში მიდიან, ხოლო ცალთვალა და წელში წახრილ მოხუც ნადიაკვანს აქ დაბალ და მიყრუებულ ოთახში მარტოდ სტოვებენ. მის გულში ადგა რაღაც არა სასიამოვნო, ზევით ამოიწია და ყელში მოკუმულ მუშტივით ქვევიდან მოაწვა. სხვადასხვა კუთხეებიდან მომავალმა ჭრაქებმა

დასერა სოფელზე ზევიდან გულით გაწოლილი შავი წყვდიადი და ბოლოს ერთად ხშირ ვარსკვლავებივით დაირაზმა. „ეს არის, ეს არის“—თავისთვის წამოიძახებს პავლე, გვერდზე ძლივს მიბრუნდება, ორ ნაბიჯს ჩოჩვით გადასდგამს და იქვე ძელის დაბალ ლოგინზე მძიმედ დაეშვება. გარედან კარებს ვიღაც აკაკუნებს და პავლე შემკრთალი ზეზე წამოდგება, ოდნავ შიდგება და ბოლოს აჩქარებული ნაბიჯის თრევით კარებისაკენ გაეშურება. კარი იღება და შით უხმოდ შემოდის თემურ ბახელი, ხარვეზ კარპაძე და ერთიც ახალგაზრდა—24 წლის წითური და ახოვანი ტანის ყმაწვილი გაბო ბახელი (თემურ ბახელის უფროსი შვილი).

თემურ ბახელი იმავე წუთს ფანჯარასთან გაშმაგებული მივარდება და სიბნელეში საჩვენებელ თითს გაუყრის.

— ხედავთ, ხედავთ!?—გაშმაგებითვე წამოიძახებს ის—მიდიან, აი, მიდიან სანათურებით და ჯოხებით ხელში. აა... წამხდრებო! არაფერია, ჩქარა ჩაიძირებით და წყვდიადი ჩაგიტანთ.

აღშფოთებული თემურ ბახელი ძლივს დააწყნარეს და დიდი ხვეწნის შემდეგ, როგორც იყო, დასვეს იმავე ნოხგადაფარებულ ძელის დაბალ ლოგინზე და სრული სიჩუმე ჩამოვარდა.

— თემურ!—წამოიძახებს ისევ დაბალი ტანის საკმაოდ ჩასუქებული ხარვეზ კარპაძე, რომლის თავი და ყელი მხრებში ჩაშვებულა და წითური მოგრძო ცხვირი ნისკარტივით მომართულა.—მისმინეთ! იმათ იარონ, წავიდენ სადაც უნდათ, მხოლოდ ჩვენ სულით ნუ დავეცემით და გვერდიდან ოვლით გადაუჭრათ გზა! იარონ, იარონ!

— მაშ წადი, გაიქეცი და ნუ გაუშვებ, უკანვე შეაბრუნე—დაცინვით შესძახებს იმედდაკარგული თემურ ბახელი კარპაძეს. —არა, არა. ჩვენი საქმე წასულია, წასულია ჩვენი საქმე. ნუ თუ არ გჯერათ თქვენ ესა, ხალხნო!—მეტად აღელდა თემურ ბახელი.—მე მეტის ატანა აღარ შემიძლია, აღარ შემიძლია მეტის ატანა. აი ახლა, სწორედ ახლა, როცა მოვდიოდი, დავკალი მეწველი ძროხა, ღვინით სავსე ქვევრებში ჩაუშვი ნავთი და ოჯახი დავანგრიე. გესმით თუ არა თქვენ ეს, ხალხნო, იცით თუ არა ეს თქვენ, ხალხნო!.. აჰ!?

თემურ ბახელი გაიბზარა, ხელებში რაღაც ჩვეულებისამებრ დასწურა და აცრემლდა. სიჩუმე.

ოთახში თითქოს მიცვალებული ასვენია და თავებდაშვებულები იატაკს მისჩერებიან.

— თქვენ რა გინდათ, თქვენ ლაჩრები ხართ, თქვენ... კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა თემურის შვილს გაბოს, მაგამ ბრაზისაგან ენა დაება და ოთახში მოგრძო ნაბიჯებით დაიწყო ტრიალი.

— ნუ, ნუ ღელავ ახალგაზრდავ, ნუ ღელავ შვილო. შენ ჯერ კიდევ გამოუცდელი ხარ, შენ ჯერ კიდევ უვიცი ხარ.—ისევ თავ-ჩაკიდებულმა ხადიაკენარმა დაუწყო დამშვიდება თემურ ბახელის ვაჟს.

— თემურ!—ბოლოს მიუბრუნდა ის ბახელს.—კმარა. გვეყოფა. საჭიროა საქმეს შეუდგეთ და ჩვენი დადაღული გულები მით მოვიშუშოთ. გვითხარი რაში. რა გაიგე ახალი და საქმე როგორ მიდის. ივანეს იმედი აქვს, რომ თქვენ კარგათ იმუშავებთ და საქმეს კარგათ წაუძღვებით წინ.

— ნახუცარო!—გაბრაზებით დაიჩხავლებს თემურ ბახელი,—მას უნდა გაძვრეს და ჩვენ ცეცხლში დაგვტოვოს. არა. კომუნისტები მირთალია: მღვდელი იყო მატყუარა და იგივე დარჩება. ტყუილია. მას არავითარი გაპარსვა არ უშველის. მისმინეთ, შემომხედეთ! კაკანაძისაგან ცნობა მივიღე. ის გვთხოვს: გაუგზავნოთ რამდენიმე ჩვენი კაცი, რომელთაც სამუშაოს მისცემს და საქმეს გააკეთებს. ის გვთხოვს მოვაწყოთ თავდასხმა ქვაკირელზე, რომელიც ამჟამად სოფელშია და მთელი ხალხი კოლექტივებში შეჰყავს. თქვენ დაინახეთ ფარნები. თქვენ იცით, რომ ამ ფარნებს ქვაკირელი წინ მიუძღოდა სახალხო სახლისაკენ. ის აქ არის, ის აქედან ვეღარც უნდა წავიდეს. ნახონ, მოაწყონ კოლექტივები. ჩვენც ვიღუპებით, მაგრამ ისინიც დაიღუპებიან. საქმე უნდა მოხდეს სწრაფად და შეუმჩნევლად.

— ღმერთო, დიდებულო!—შეშინებული დაბალი ხმით ჩაილაპარაკებს ნადიაკენარი პავლე—ეს ხომ სისხლის...

— ხმა ჩაიწყვიტე!—უცბად იჩხავლებს და შეაწყვეტინებს თემურ ბახელი მოხუცს.—იცის თუ არა ღმერთმა ახლა ჩვენი ტანჯვისა და შავი დღის შესახებ. რა სთქვა ღმერთმა ამის შესახებ. დახოცა, მოსპო თუ არა მან კომუნისტები ამისათვის. როგორია ღმერთისაგან მიღებული საპასუხო დეპეშა ამის შესახებ. აჰ.. აჰ... აბა მითხარით, თუ კარგი ვაჟკაცები ხართ. შეიძლება ივანე ნახუცარმა გვითხრას ამის პასუხი.

ამის შემდეგ პავლე სახარაძეს დიდხანს ხმა აღარ ამოუღია და ის ქორისაკენ შეშინებულ წიწილივით გაინაბა. ხოლო სამაგიეროთ ახლა მეტად გამოცოცხლდა ხარვეზ კარპაძე და დიდი ინტერესით დაიწყო მსჯელობა იმის შესახებ, თუ რას მოუტანდა მათ ქვაკირელზე თავდასხმა და სხვა.

— დდიახ, დდიახ,—ბოლოს დაასკვნა მან.—ეს აუცილებლად საჭიროა. შეშინება აუცილებელია, შემდეგ სსოფლად ვვერავინ ჩჩა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვა და გლეხობაც დაიშლება. კიდევ რრას გვვითვლის კაკანაძე, გვაბო, შენზე ხომ აარაფერი იჭვი არ მიუტანიათ.

— არა მგონია. მე თავი ნამდვილ კომუნისტად მომაქვს, თუმცა ეს ჩემს ყოფილ ძმას არ სჯერა და, როცა შემხვდება, იჭვის თვალით მიცქერის. მე ვამბობ ძმობლებთან ყოველგვარი კავშირი გავწყვიტე და არ მომწონს ისინი-თქო.

— აასე, დდიახ, ასსე სჯობია, დდიახ.

— შენი ძმისწული რათ არ მოვიდა, რამდენხანს უნდა ვუცადოთ აქ—ბოლოს თემურ ბახელი ბრძანების კილოთი შეეკითხება ნადიაკვნარ პავლეს და თვალებს დაქაჩავს.

— არ ვიცი, უნდა მოსულიყო, მოვა, ალბათ, მოვა—საცოდავად უპასუხებს მოხუცი პავლე და თავს ისევ დახრის.

— აასე არ შშეიძლება. აამელამ გადამწყვეტი ღამმეა, ის აქქამდე უნდა მოსსულიყო. ის...

კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა კარპაძეს, მაგრამ ველარ მოასწრო, რადგან ვიღამაც გარედან კარზე დააკაკუნა.

— ვინ არის მანდა?—საცოდავად შეეკითხა პავლე და კარს გაპარული ნაბიჯებით მიუახლოვდა.

— მე ვარ, სიმონა!—უპასუხებს მომსვლელი. ამ ხმაზე თითქოს ყველას გულიდან რაღაც სიმძიმე ჩამოხსნესო, სულს შვებით ამოითქვამენ და დამშვიდდებიან.

ოთახში შემოდის დაბალი, ფართემხარბეჭიანი, დოქივით დადგმული ახალგაზრდა, რომელიც თითქოს მიწაში რაღაცას ეძებს. ის მოკლედ მიესალმა ყველას და ოთახის შუაგულში ბიჯგივით დაესო.

— რას გვეტყვით, სიმონ, რატომ დაიგვიანე, შვილო?—კარგახნის დუმილის შემდეგ შეეკითხება ნადიაკვნარი პავლე თავის ერთგულ ძმისშვილს, რომელიც ეს ორი დღეა, რაც ქალაქიდან ჩამოვიდა და თან ჩამოიტანა ქვაკირელის ცოლის—ქეთოს წერილი კაკანაძისადმი.

ქეთო ამ წერილში სთხოვდა ინჟენერ კაკანაძეს, რამენაირად, თუ გინდ უბრალო შავ სამუშაოზე მოეწყო მისი ბიძაშვილი (დედით) სიმონა სახარაძე, რომელსაც სოფელ ხედიდან გადაუსახლეს მამა მთლიანი კოლექტივიზაციის გატარების გამო და ახლა ძამა და შვილი ორივენი უსაქმოდ ქალაქში დაეხეტებიან. ამავე დროს ქეთო აცნობებდა კაკანაძეს, რომ სიმონს უმუშავნია კიდეც თავის სოფელში არხის გაყვანაზე და ამ მხრივ ცოტაოდენი გამოცდილებაც აქვს. ქეთო აგრეთვე სთხოვდა კაკანაძეს, რომ ამის შესახებ ლევა-

ნისათვის, ქეთოს ქმრისათვის, არაფერი გაემხილა და ეს საქმე ისე გაეკეთებინა.

სწორედ ამიტომ მოხდა, რომ ამ ბხარეში ჩამოსვლისთანავე სიმონამ მონახა თავისი ბიძა, ნადიაკვნარი პავლე, რომელიც მას თავის სიცოცხლეში ორჯერ თუ ენახა (რადგან ისინი ერთი-მეორესთან დაშორებით ცხოვრობდენ) და უცბად მოახერხა ბიძის ახლო მეგობრების გაცნობა, რომლებთანაც ახლა ის თავს „შინაურ“ კაცად გრძნობდა.

— მიხარია, გული ფართოვდება — დაიწყო სიმონამ. — მშვენიერი კაცი ყოფილა კაკანაძე. წერილი წაიკითხა და თვალები გაუნათლდა. შემდეგ ხელი მაგრად ჩამომართვა და დარიგება მომცა. ის მირჩევს დავიწყო მუშაობა უბრალო, შავ სამუშაოზე და შევეცადო პარტიაში შესვლას. მისი აზრით, ეს საჭიროა, მხოლოდ იმ პირობით, თუ მე არ დავივიწყებ კაკანაძეს. მე მივხვდი, თუ ამით რა უნდა ეთქვა მას, და პირობა მივეცი. ხვალიდან მუშაობას დავიწყებ და პირობის შესრულებაც ამავე დღიდან დაიწყება.

— დდიახ, ის მშვენიერი კაცია, სსაუცხოვო ადდამიანია.

— კმარა! — თითქმის დაიყვირა თემურ ბახელმა. — ეს ყველაფერი კარგი და მშვენიერი, მაგრამ ის ჭრაქები საქმეებს აკეთებენ და ჩვენ არ შეგვიძლია გულდამშვიდებით ვუცქიროთ შორიდან, კმარა! ბატონო პავლე, ქვაკირელი თქვენი ძმის შვილის ქმარიც კი ბრძანებულა. მაგრამ ის აქედან მთელი ვერ წავა.

თემურ ბახელმა უკანასკნელი სიტყვები ფეხზე წამომდგარმა დაასრულა და ოთახში ისე მოტრიალდა, თითქოს ბუქნას უვლისო.

— დდიახ, იქ კრება ჩქარა დდაიწყება, მმაგრამ მმარტო ნნიკოია რრას იზამს. — თავდახრით წარმოსთქვა კარპაძემ, ნახევრად მოტრიალდა და იქვე ჩაჯდა.

— იქ გაბო წავა, — ბრძანების კილოთი წარმოსთქვა თემურ ბახელმა, — სიმონი კი ჩემთან წამოვა და ხიდთან ჩაჯდება. — წავიდეთ!

ერთ კუთხეში ჩამჯდარ კარპაძესა და პავლე სახარაძეს თემურ ბახელი დამცირების ტონით მიახლის, შემდეგ ორ ახალგაზრდას მიმართავს და კარებში მგელივით გავარდება. მას ჯარისკაცებივით უხმოდ გაჰყვებიან თემურ ბახელი და სიმონა ხვედელი.

ოთახში სრული სიჩუმე ჩამოვარდება. კარპაძე და ნადიაკვნარი პავლე ერთიმეორეს ზოგჯერ თითქოს დარცხვენილი გამომეტყველებით შეხედავენ და ისევ დუმილს განაგრძობენ.

ბოლოს პავლე საკოდავი ჩოჩვით წამოდგება, ფანჯარასთან მიფორთხდება და ისევ გარედან მომდგარ ღამეს ცალ თვალს მიაშტერებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა ჭრაქები აღარსად ჩანს, მხოლოდ ისმის ძაღლების კანტიკუნტი ყეფა და ფოთლების ნელი შრიალი.

— როგორ დამშვიდდა და დაწყნარდა ეს ღამე... ნეტავი ჩვენი ცხოვრებაც ასეთი მშვიდი და დაწყნარებული იყოს,—წარმოსთქვა პავლემ და კარპაძეს ცალი თვალი დაუმიზნა.

— დდიახ, დდიახ, ჩემო პავლე, ჩვენი ცხოვრება დდანის წწვერზეა ჩჩამოცმული ددد... ეხ, არ ღირს ამაზე ლაპარაკი! წწავალ, ددავიძინებ და ცოლშვილს დავაწყნარებ.

კარპაძე ამ სიტყვების შემდეგ ოთახიდან გაძვრება, და რჩება წელში წახრილი ცალთვალა პავლე, რომელიც ახლა ისევ თავის საყვარელ, ნოხწაგებულ ტახტს უახლოვდება და ზედ წაწვება.

პავლეს სურს ასე დაიძინოს, რადგან მას ეჩვენება, რომ ტანზე გახდის დრო არა აქვს, რომ ის მეტად დიდ საქმეებშია გართული და ამიტომ საჭიროა მუდამ მზად ყოფნა. თვალები ნაძალადევად დახუჭა, სულის თქმაც მძინარი კაცის სუნთქვას დაამსგავსა, მაგრამ ძილი მაინც არ არის. ამაში თვით პავლეც კარგად არის დარწმუნებული, მაგრამ მას სურს სინამდვილეს გაექცეს და მდგომარეობა მიზანს დაუმორჩილოს, თუმცა ეს მეტად ძნელი და ზოგჯერ მიუწვდომელიც არის. პავლეს უკვე თვალწინ წარმოუდგა თავისი სოფლის ეკლესია, სადაც აუარებელი ხალხი შეგროვილა. საკურთხეველში კი თავგამოდებით გალობს მღვდელ ივანე ხადაძის მამა, ხოლო შემდეგ კი მისი შვილი ივანე და თვით ცალთვალა პეტრე მშვენიერად ამბობს „მრავალ ჟამიერ, მრავალ ჟამიერ-ს“. ამით კი მღვდელს, როგორც აღრენილ ძაღლს, პავლე კუდმოგრეხილ კატასავით კვერს უკრავს და ჭყავილით გვერდს უვლის. აჰა! უკვე გათავდა წირვა, ხალხი გარეთ გამოეფინა. ყველა თავისი მკვდრის სასაფლაოს უახლოვდება, საკურთხებს აღაგებს. პავლე კი მიდის იქ და პირგადახსნილი მოხრდილ ტომრით ჭკრებს ნადავლს. ბევრი ფულსაც აძლევს მას და ყოველივე ამით მეტად ნასიამოვნებია მისი მღვდელი და თვით პავლესაც არ შეუძლია არ უხაროდეს ეს. შემდეგ? ჰო, ყველაფერი ჩამოინგრა, ეკლესიას საძირკვლები გამოეშალა და ჯვარი, ძირს ჩამოვარდნილი, ხუთად გადატყდა. ზარები კი გაფრინდა, ალბად, გაჰყვა თავისაევ ხმას სადმე სივრცეებში და შთაინთქა.

— ჰუჰ! რა უბედურებაა, რათ ვერ მოვისვენე,—ბოლოს ხმამაღლა ეტყვის პავლე საკუთარ თავს და მეორე გვერდზე გამწარებული გადაბრუნდება. ახლა კედლის ყველა კუნჭულში ჩასაფრული ზოგი დიდი და ზოგიც პატარა ხატი პავლეს თითქოს დაცინვით უცქერის და პავლესაც მოგონდა, რომ აქ, ამ მიყრუებულ ოთახში, ის მარტო არ არის და რომ მას ირგვლივ მრავალი ათეული ხატის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალები შემოსევია.—მაგრამ რატომ არის, რომ ესენი ამ საღამოს დამცინიან და გულს მიბზარავენ?—ისევ შეეკითხა პავლე საკუთარ თავს.—ჰუჰ!..

გარეთ გრილმა ნიავმა გადასწმინდა აქა-იქ მარტოდ მიტოვებული ღრუბლების პატარა ნაფლეთები და უფრო გარკვევით გამოჩნდა საკმაოდ ამაღლებული ხომლის კაშკაშა ვარსკვლავები.

სიდარას ახლად აგებული სახალხო სახლის შენობა არაჩვეულებრივად არის განათებული და კარის ყოველ გაღებაზე საგუბარგადახეთქილ მდინარესავით გამოვარდება გაურკვეველი ხმაური ან ტაშის ცემის ძლიერი ტალღები.

უკვე კარგახანია, რაც კრება გახსნეს, და ფარნებით, ჩიბუხებით და ჯოხებით შეიარაღებულმა გლეხებმა მოისმინეს ქვაკირელის მოხსენება კოლექტივიზაციის საკითხზე.

ქვაკირელის აუღელვებელია, თითქმის ერთტონიანმა, მაგრამ ლარივით სწორმა და მტკიცე სიტყვებმა ბევრი მშრომელი გლეხის გულში ჯერ არნახული ქვეყნიდან მომავალი, უჩვეულო მერცხალი ააფრინა და მათი გული თითქოს ვიღაცამ მაგარ ძაფებით შეაერთა.

ქვაკირელმა თავის მოხსენება ძალიან მარტივად და ძალიან უბრალოდ დაასრულა.

— მშრომელი გლეხობის ერთად-ერთი ხსნა და ერთადერთი გამოსავალი არის გზა კოლმეურნეობებისაკენ. კოლექტივებს ბევრი მტერი ჰყავს. ისინი ყოველმხრივ შეეცდებიან თქვენს დაშლას, თქვენ გექნებათ სხვა სიძნელეებიც. მაგრამ მშრომელს, რომელიც დარწმუნებულია თავის სიმართლეში, მომავლის გამარჯვებაში, ვერაფერი შეაჩერებს და ის მიზანს აუცილებლად მიაღწევს. საჭიროა ერთსულოვნება, შრომის სიყვარული, მეტი სიმტკიცე, მეტი სიყვარული საერთო საქმისა და თქვენ ქალაქის მუშებთან ერთად აუცილებლად გაიმარჯვებთ.

ქვაკირელი ამ სიტყვების შემდეგ შეუმჩნევლად ჩაჯდა. ირგვლივ პატარა კოცონებად ანთებული თვალები უეცრად შეირხა და იგრიალა ხანგრძლივმა, მხურვალე ტაშმა.

ერთ კუთხეში ქურდივით ატუზული ნიკოია მოხსენებისა და ტაშის გრიალის მიწყნარების შემდეგ უსიამოვნოდ შეირხა და მის გვერდში ჯირკივით აყუდებულ გაბო ბახელს ეშმაკურად გადახედა.

ნიკოიას სრულიად არ გაჰკვირვებია და მისთვის გასაგები იყო გაბო ბახელის ტაშის ცემის აზრი სხვა გლეხებთან ერთად, მაგრამ მას ამ გადახედვით უნდოდა დაენახა „მოკავშირე“, რომელიც მშრომელი გლეხობის ასეთი ძლიერი აღფრთოვანების შემდეგ ნიკოიას მისცემდა გამბედაობას, ძალას, რათა დისონანსი შეეტანა ამ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღესასწაულო განწყობილებაში და „აჩქარებული ხალხისათვის ჰეშმარიტება დაენახვებინა“, როგორც ამას ხშირად იტყოდა ხოლმე ნიკოია.

ნიკოიას გაბოსათვის თვალები არ მოუშორებია მანამდე, სანამ გაბოს მეშვეობით არ მოიგონა თემურ ბახელის და ზოგიერთი სხვა მეგობრების დარიგებები, სანამ მეხსიერებაში არ აღადგინა სურათი მათი საგანგებო შეხვედრისა და იქ მიღებული დაკვეთებისა. შემდეგ მან ჯოხით გაღიზიანებულ ძაღლივით კრების პრეზიდიუმისაკენ მიიხედა და სიტყვა ითხოვა.

კრების თავმჯდომარე, ყოფილი მოჯამაგირე, ხოლო ახლა თემსაბჭოს თავმჯდომარე გედევან ხეველი ნიკოია ფაშაძეს სხვებთან ერთად შეეტანს სიაში, ხოლო ამავე დროს ცდილობს ყურადღებიდან არ გაუშვას ქვაკირელის პასუხი ყველა იმ შეკითხვაზე, რომელიც გლეხებმა ბლომად მიაყარეს მას.

ამ შეკითხვებში იყო ბევრი ისეთი „წვრილმანი“, რომლებზედაც შესაფერი პასუხის გაცემა ქვაკირელის მიერ მეტად ძნელი აღმოჩნდა, მაგრამ რომელ „წვრილმანებსაც“ გლეხობისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ქვაკირელიც გრძნობდა ამას და მის წინაშე დაისახა ბევრი ისეთი საკითხი, რომელზედაც მას უწინ არც კი უფიქრია, ხოლო როცა დაინახა, რომ კრებაზე ბევრი ახალი გაურკვეველი საკითხი წამოიჭრა, მაშინ შეეცადა, რათა თავისი გულწრფელობა ბოლომდე განეგრძო და რაც მისთვის ჯერ კიდევ კარგად გარკვეული არ იყო, ამაზე ეთქვა პირდაპირ, აშკარად და დაუფარავად ეთქვა, რომ ამაში ჯერ ისიც კარგად არ არის გარკვეული, მაგრამ ამ საკითხების გადაწყვეტა მოხდება თანდათან, მუშაობის პროცესში, რის შესახებაც მთავრობა სისტემატიურ მითითებებს მოგვცემსო.

მართლაც ასეთი გაგებით დაიწყო მან პასუხის გაცემა მიცემულ შეკითხვებზე, მაგრამ მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა დაინახა, რომ ზოგი ეს „წვრილმანი“ საკითხი, უმთავრეს ძირითად საკითხების გაშუქების შემდეგ, თავისთავად გარკვეული დარჩა. ბოლოს მას ხელში შერჩა ორი ისეთი „წვრილმანი“ ხასიათის შეკითხვა, რომელზედაც მან გულწრფელად აღიარა, რომ ამის შესახებ ახლა ვერაფერს იტყვის, ხოლო პასუხს გასცემს პრესაში ანდა სხვა საშუალებით, ამ საკითხებში კარგად გარკვევის შემდეგ.

ქვაკირელის ასეთი გულწრფელი პასუხი გლეხობას კიდევ უფრო მოეწონა, კმაყოფილების ნიშნად თავს აქნევდენ და ბევრი მათგანი იძახოდა: „მართალია, მართალია“.

ქვაკირელი სკამზე ნელა დაეშვა და გულში გაიფიქრა: „ყველაფერზე უფრო მჭრელი და საიმედო იარაღია სიმართლე მშრომელთა წინაშე“.

ქვაკირელის ნახევრად ჭაღარაშერეული თმა მაგიდაზე დახრილ თავზე სანათურების შუქის ქვეშ მრავალ ფერად კრთოდა და კიაფობდა. მისი დაღარული სახე კრებაზე დამსწრეთა დიდ უმრავლესობას შორის მართალი და სინიდისიერი კაცის შთაბეჭდილებას სტოვებდა, რომლის სიტყვას შეიძლება გულით მიენდო. მაგრამ ყველა დამსწრისათვის ეს ასე არ იყო და მათ შორის გამოირჩეოდენ თითო-ოროლა ისეთები, რომელთაც არც კი უნდოდათ ეფიქრათ იმაზე, თუ რამდენად მართალია ქვაკირელი და რამდენად სწორია გლეხობის უმრავლესობისათვის ის გზა, რომელზედაც ქვაკირელი მიუთითებდა.

ამ ხალხმა იცოდა მხოლოდ ერთი, და სახელდობ ის, რომ ყველაფერი, რაც არკვებს ღარიბ და საშუალო გლეხს, ან ძოჯამაგირეს, ის მათთვის დამღუპველია და მიუღებელი.

ამიტომ ბევრი ფიქრი და თავის შეწუხება ვისიმე სიმართლის გამორკვევაზე რაღა საჭიროა, რა საჭიროა ეს მით უმეტეს მაშინ, თუ ამ სიმართლის აზრი მათთვის წინასწარ გამორკვეული და გასაგებია.

და მართლაც ამ კრებაზედაც იყვნენ ასეთები, თუმცა ძალიან მცირე რაოდენობით, რომლებიც ქვაკირელის სახით ხედავდენ კაცს, რომელსაც თავისი „სიმართლით“ ან, შესაძლოა, გულწრფელობითაც კი მოაქვს „ბმეეხიერი“ დაღუპვა და განადგურება.

კრებაზე იყო აგრეთვე გლეხობის ისეთი ნაწილიც, რომელნიც სიხარულით და დიდის აღფრთოვანებით შეეგებენ ქვაკირელის სიტყვებს, მაგრამ არ ჰყოფნიდათ გამბედაობა, ყოველივე ეს საკმარისად მიეჩნიათ იმისათვის, რომ დაეგმოთ ძველი გზა და გადაწყვეტით დახდგომოდენ ახალს, საიმკენაც მათ ქვაკირელი მიუთითებდა. ისინი მერყეობდენ და ამ მერყეობაში სურდათ ჩაემარხათ არა სიძულვილი კოლექტივიზაციის საქმისადმი, არამედ ერთნაირი სიყვარულიც კი, რაზედაც შერიგება და მისი შეთვისება შესაძლოა ადვილად მოსახერხებელი გახდეს ახლო მომავალში, მაგრამ რომლის ახლავე მიღება ძათთვის მეტად ძნელი იყო.

ქვაკირელის ბიერ ნაჩვენები გზა საკვებით მისაღებად და საკურველად დაესახა კრების დანარჩენ დიდ უმრავლესობას, რომელთა შორის უმთავრესად ღარიბი და საშუალო გლეხობა იყო.

უმთავრესად ახალგაზრდობა ღრმად იყო დარწმუნებული იმ ძველი ცხოვრების მიუღებლობაში, რომელიც მათ მამებიდან და პა-

პებიდან მექანიკურად გადმოეცათ. მათი სული გატაცებული იყო ახლის ძიებითა და უკეთესი ცხოვრების შექმნით, ხოლო თუ ვინმე (ამ შემთხვევაში ქვაკირელის მსგავსად) შესძლებდა ახალი ცხოვრებისაკენ მიმავალ გზის აღმოჩენას და მით უფრო ამ გზაზე წარმატებით სვლისათვის საჭირო ცოდნის მიწოდებას, ამაზე მეტი ბედნიერება მათთვის საჭირო აღარ იყო. ამიტომ ისინი ამ საქმის გამარჯვებისათვის ამჯობინებდენ თავის გაწირვას, არაადამიანური თავდადების გამოჩენას.

კამათში გამოვიდა რამდენიმე კაცი, რომელთაც სარკესავით გამოამჟღავნეს კოლექტივიზაციის სასარგებლო განწყობილებები, მცირე გამონაკლისის გარდა. ამ გამონაკლისს შეადგენდა ნიკოია ფაშაძის, ილიკო ბადაძისა და გაბო ბახელის გამოსვლა, რომლებიც ლაპარაკობდენ არა იმას, რასაც ნამდვილად გრძნობდენ, არამედ იმას, რისი თქმა გლეხთა საერთო კრებაზე ამჟამად, მათის აზრით, საჭირო იყო.

— კარგი და მშვენიერი,—დაასრულებს ნიკოია ფაშაძე.—კოლექტივი მოვაწყვეთ, ამხანაგობა გამოვაცხადეთ და ერთობა დავამყარეთ, მაგრამ როგორ გინდათ მოვაგვაროთ უფროსობის საკითხი. ჩემს ოჯახში ვერ მომიხერხებია უფროს-უმცროსობის საქმე მოძეგვარებინა და წესრიგი დამემყარებინა, და როგორ ფიქრობთ ეს მოაგვაროთ ამოდენა ხალხში. მშვენიერი და საუკეთესო სურვილია, ძმებო, მაგრამ, ჩემის აზრით, მთელი უბედურება იმაშია, რომ აქედან არაფერი გამოვა, ჩვენ ტყუილ-უბრალოდ ავირევ-დავირევით და ზარალის მეტს ვერაფერს მივიღებთ. აი, შეხედეთ, თქვენც კარგათ ხედავთ რომ ჩვენს შორის ზოგი მაღალია, ზოგი დაბალი, ზოგი სუსტი, ზოგი ღონიერი, ყველა კი სხვადასხვანაირად ფიქრობს და ყველას თავისი აზრი აქვს. მოდით ახლა თქვენ, აიღეთ ეს ხალხი და შეაერთეთ—გაათანასწორეთ. ეს ხომ ნამდვილი დომხალი გამოვა. არა, ძმებო, პატივცემულ ქვაკირელს მადლობა ვუთხრათ შეწუხებისათვის, რომ არ დაიზარა, ამ უკუნეთ ღამეში ჩვენთან ჩამოვიდა და კეთილი სურვილები გამოამჟღავნა, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია, ჩვენ დავიღუპებით, ძმებო.

დაახლოებით ასეთივე შინაარსის იყო და ასეთივე ტონი მისცა თავის სიტყვას ილია ბადაძემ, რომელიც სიდარაში შეძლებულ გლეხად ითვლებოდა. მაგრამ ფაშაძის და ბადაძის სიტყვისაგან ფორმალურად მაინც დიდად განსხვავდებოდა გაბო ბახელის სიტყვა.

გაბო ბახელმა, უპირველეს ყოვლისა, დაიწყო კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების შექებით, შემდეგ გადავიდა

კოლექტივიზაციის საკითხზე და გამოსთქვა ის აზრი, რომ, თუ მართლაც შესაძლებელი გახდა კოლექტივიზაციის გზით სვლა, ამას არაფერი აღარ აჯობებს და ამაზე დიდი ბედნიერება გლეხობისათვის არ შეიძლება გამონახულ იქნეს.

— მე არაფერი ვიცი, ჩემთვის სულ ერთია, მოსწონს თუ არა მამაჩემს კოლექტივი, მირჩევს თუ არა ის კოლექტივში შესვლას, მე მაინც ჩემსას ვიზამ და კოლექტივში აუცილებლად ჩავეწერები, თუმცა არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს ნიკოიას და ზოგიერთი სხვა ამხანაგების შიშს ამ ახალი საქმისადმი.

შემდეგ ის შებრუნდა, ორი ფეხი გადადგა და მეტის-მეტი მართალი კაცის გამომეტყველებით ჩაჯდა.

ნიკოიას, ილიას და გაბოს სიტყვების ნამდვილი შინაარსი გამოამჟღავნა კამათში გამოსულმა რამდენიმე გლეხმა, მაგრამ განსაკუთრებით მწვავე და მამხილებელი იყო კომკავშირელ სავლე ბახელის სიტყვა, რომელმაც უმთავრესი იერიში თავის ძმის — გაბო ბახელის წინააღმდეგ მიიტანა.

სავლე კარგა ხანია მამამ გააგდო თავის ოჯახიდან, ვინაიდან მუდამ კომკავშირლების ქებაში იყო. შემდეგ პატარა სავლეს დახმარება აღმოუჩინა კომკავშირის ადგილობრივმა ორგანიზაციამ და ის მოაწყვეს ადგილობრივ კოოპერატივში ნოქრად, შემდეგ კომკავშირშიც მიიღეს და რამდენიმე წლის შემდეგ სავლე უკვე ნამდვილი საიმედო კომკავშირელი გახდა, რომელიც არ ფიქრობდა მოსვენებაზე და მუდამ საზოგადოებრივ მუშაობაში სურდა მთლიანად ჩაძირულიყო. ყოველივე ამან მას ხელი შეუწყო გამხდარიყო კომკავშირის რაიონული ორგანიზაციის პ/მგ. მდივანი, ხოლო შემდეგ ვარდნილის მშენებლობაში მონაწილე კომკავშირელთა კომიტეტის მდივანი.

დღეს ის ქვაკირელთან ერთად ჩამოვიდა თავის სოფელში და დიდის ინტერესით ადევნებდა თვალყურს თავისი სოფლის ყოველი გლეხის გამოსვლას, რომელთაც ის კარგად იცნობდა.

— ყოველი მშრომელი გლეხისთვის გასაგები უნდა იყოს, ამხანაგებო, ნიკოია ფაშაძის, ილია ბადაძის და სხვების გამოსვლა, მაგრამ განსაკუთრებით ღირსშესანიშნავია გაბო ბახელის გამოსვლა. ის აქეზებდა მამაჩემს, რათა მე სახლიდან რაც შეიძლება ჩქარა გავეგდე. ის ასეთივე შეურიგებელი და სასტიკი მტერია ახლაც საბჭოთა წესწყობილების და ყოველივე იმის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, მაგრამ ამ ბოლო დროს მას სურს თავი ისე მოგვაჩვენოს, თითქოს ის ჩვენი მომხრეა და მამის მტერი. თქვენთვის ეს გასაგები უნდა იყოს, ამხანაგებო. ალბათ ეს აზრი გაბოს საკუთარი აზრი არ არის და ეს უკარნახეს მას, რათა ამ გზით ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო ადვილი გახდეს. არა, ამხანაგებო, ასეთი ხალხის მოტანილი „სიკეთე“ ყოველგვარი მტრის შხამზე უფრო ძნელი მოსანელებელი იქნება. სჯობს ასეთები ჩამოვიშოროთ და საკუთარი საქმე საკუთარი ხელით ვაკეთოთ.

დაასრულა სავლემ, რომლის თვალებში და ყოველ მოძრაობაში სჩანდა, რომ ეს ახალგაზრდა ლაპარაკობს იმას, რაც მას ნამდვილად სწამს და რისთვისაც მას შეუძლია თავის დადება.

შემდეგ გამოვიდა თვით ქვაკირელი საბოლოო სიტყვით, რომელმაც მოხერხებულად, აუჩქარებლად და დინჯად ამოსწურა თითქმის ყველა გაუგებარი საკითხი და გამოამჟღავნა ზოგიერთების ძავნე გამოსვლების აზრი და სოციალური ფესვები.

როცა ნიკოია, ილია, გაბო და ორიოდე სხვა მათი მსგავსი ხალხი ლევან ქვაკირელის სიტყვებს ისმენდენ, მათ გაკვირვებას საზღვარი აღარ ჰქონდა—ისინი პირდაპირ გაოცებული იყვნენ და მათ უკვე ეგონათ, რომ ქვაკირელი ყურს უგდებდა არა მათ სიტყვებს, არამედ მათ ფიქრებს. სწორედ ეს იყო მიზეზი ნიკოიას თავში აღმოცენებული აზრისა, როცა მან გაიფიქრა: „ეს ოჯახდაქცეული კომუნისტი კი არა, ნამდვილი მარჩიელი ყოფილა“.

ნიკოიას ამის შემდეგ მოსვენება სავსებით დაეკარგა და იმედის წყარო ძალზე მიეწურა. მას ეჭვები შეეპარა თავისი ზრახვების გამარჯვებაში, ვინაიდან ვინ მოატყუებს ან ვინ დაემალება ისეთ ხალხს, რომელმაც ყველაფერი კარგად იცის, თუ ვინ რას ფიქრობს და ვინ რას აკეთებს; ვის შეუძლია დასძლიოს ისეთი ხალხი, რომელსაც აქვს ასეთი მჭრელი აზრი და ჰყავს ამოდენა მხარის დამჭერი. ნუთუ შესაძლოა მოხდეს ისეთი სასწაული, რომლითაც ყველა ეს უპირატესობა განადგურებულ იქნეს და მდგომარეობის მწვერვალზე ნიკოია მოექცეს?

„სასწაულები ხდებოდა ძველად, ბევრი ზღაპარი მომისმენია სასწაულების შესახებ და ვინ იცის, იქნებ ასეთი ზღაპრები გაცოცხლდეს დღეს და სინამდვილედ იქცეს, რაკი მე და თემურ ბახელს ასე გვსურს“—თავის თავს დაცინვით უთხრა გულგატეხილმა ნიკოიამ და შეაჟრჟოლა. ცალი თვალი ლურსმანივით კრების პრეზიდიუმის მაგიდაზე მიაჭედა და გულჩათხრობილი ქანდაკებასავით გადაიქცა.

კრება ახლა კოლექტივიზაციის პრაქტიკულად განხორციელების საკითხზე გადავიდა და დაიწყეს მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბებულიყო კოლექტივი, შესაძლებელი იყო მთლიანი კოლექტივიზაციის გამოცხადება თუ ნაწილობრივი.

პირველად მშრომელი გლეხობის დიდი უმრავლესობა მოითხოვდა მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელებას და სოფლიდან

ბობოლების განდევნას, მაგრამ ვინაიდან სიდარას სოფლებში არსებული მუშახელის ნახევარზე მეტი უკვე ვარდნილის ჰიდროელსადგურის მშენებლობაში იყო ჩაბმული და აგრეთვე ნაწილი (თუმცა მეტად მცირე) მშრომელი გლეხობისა მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელების საქმეში არასაკმაო სიმტკიცეს და გამბედაობას იჩენდა, ამიტომ ბოლოს მივიდენ იმ დასკვნამდე, რომ ჯერ-ჯერობით ცალკე სოფლებში ჩამოყალიბებულიყო რამდენიმე არტელი.

ეს აუცილებელი გახდა მით უფრო იმიტომ, რომ იმავე კრებაზე ბევრმა ვარდნილის ელსადგურის მშენებლობაში მოქცეულმა მუშამ განაცხადა: თუ გამოცხადდება მთლიანი კოლექტივიზაცია, ელსადგურის მშენებლობას თავს დავანებებთ და კოლექტივში დავიწყებთ მუშაობასო.

ეს მდგომარეობა კი მეტის-მეტად სერიოზულ საფრთხეს უმზადებდა ვარდნილის მშენებლობას მუშახელის სიმცირის გამო. მართალია, მუშახელი თავისი წევრებიდან შეეძლოთ გამოეყოთ მთლიანი კოლექტივიზაციის სოფლებს და თემებს, მაგრამ, სანამ ეს მოხდებოდა, ვარდნილის მშენებლობის საქმე პირველ ხანებში მაინც ძალზე შეფერხდებოდა. ამიტომ მათ არჩიეს მთლიანი კოლექტივიზაციის საქმე ცოტათი გადაეწიათ.

სანამ მსჯელობა მთლიანი კოლექტივიზაციის სასარგებლოდ იბრეგოდა, გაბოს, ილიას და აგრეთვე ნიკოიას ტანში საშინელი ციებ-ცხელების ქარები დარბოდენ, მაგრამ როცა კრების უმეტესი ნაწილი და მასთან თვით ქვაკირელი, თემალმასკომის თავმჯდომარე გედეონ ხეველი და თემკომის პასუხისმგებელი მდივანი სერგო სადაძე მიემხრნენ იმ აზრს, რათა ჯერ-ჯერობით მთლიანი კოლექტივიზაციის საქმე გადადებულიყო, განსაკუთრებული პირობების გამო, მაშინ მათ გულში ოდნავი იმედის ბინდმა გაირბინა, ნიკოიამ შუბლზე კაკლებივით დამჯდარი ცივი ოფლი სახელოთი მოიწმინდა და სული ღრმად ამოითქვა.

კრება უფრო ახმაურდა და დაიწყო მსურველთა სიების ზედგენა ცალკე სოფლებიდან.

ყველაფერი თავდება.

დარბაზში ავარდნილი ხმები ერთიმეორეს ხვდება და იმტვრევა.

გლეხები ისევ ანთებენ თავიანთ ფარნებს და სიდარას ცენტრიდან ყოველი მიმართულებით იფანტება იმ ცეცხლის ნაპერწკლები, რომელიც დღეს სახალხო სახლის შენობაში ენთო.

ხმაური თანდათან ილევა და იკარგება. ილევა და იკარგება ბევრი ფარნის ბატარა ციცინათელასავით მოღიმარე შუქი.

ქვაკირელი, სერგო სადაძე, გედეონ ხეველი, სავლე ბახელი და ორიოდე სხვა ამხანაგი სახალხო სახლის შენობიდან ყველაზე უკანასკნელად გამოვიდენ.

ქვაკირელის სახე, ოდნავ მოღიმარე, ნდობის და პატივისცემის თვალით მისჩერებია ხან ერთ და ხან მეორე ამხანაგს, რომლებიც მას რაღაცაზე გაცხოველებით ეკამათებიან.

ისინი ნელა მიაბიჯებენ, და შარაგზაზე დაწოლილ სიბნელეს მახვილი ისარივით მიარღვევს ფარნის პატარა შუქი.

უკვე ღამის პირველი საათი იქნება, და სოფლად აქა-იქ ხანგამოშვებით ისმის ძაღლების ყეფა სხვადასხვა მხრიდან.

მიუხედავად იმისა, რომ კოლექტივიზაციის საქმეს სიდარას სოფლებში წინ ეღობებოდა საკმაოდ ბევრი სიძნელე, ქვაკირელი მაინც გრძნობდა იმ უდიდეს გამარჯვებას, რაც დღეს მოპოებულ იქნა.

— რაკი მშრომელ გლეხთა დიდი უმრავლესობა კოლექტივიზაციის მომხრეა და აქვს საამისო სურვილი, ამის შემდეგ სიკოიეგის და სხვა მავნე ელემენტების წინააღმდეგობის დაძლევა არც ისე დიდი საქმეა. საჭიროა სწორი ხელმძღვანელობა და მეტი სიფრთხილე, საჭიროა ყველაფერი ის, რაც წინ წაიყვანს კოლექტივიზაციის საქმეს. ჩვენ კიდევ მოვალთ და ყოველმხრივ დაგეხმარებით.

ასეთი სიტყვებით მიმართა ბოლოს ქვაკირელმა ამხანაგებს გამოთხოვებისას და ისინი გზაჯვარედინზე შეჩერდენ.

სავლე ბახელი სიდარას კომკავშირის ორგანიზაციის ახალი პ/მგ. მდივანს კარლო კობაძეს გვერდზე გაიყვანს და რამდენიმე სიტყვას გადასცემს, ხოლო კარლო თავის ქნევით ეთანხმება მას.

ბოლოს ქვაკირელი და სავლე ამხანაგებს გამოეთხოვებიან და უფრო ჩქარის ნაბიჯით გზას გაუდგებიან ჰიდროელსადგურის მშენებლობის მიმართულებით.

ბნელი, მაგრამ გაზაფხულის მშვენიერი საღამოა. გრილი, ყვავილების სურნელებით ავსებული ჰაერი სულის ყოველ ამოთქმაზე შედის ფილტვების ყველა უჯრედში და მთელს სხეულში სასიამოვნო ჟრუანტელი გაივლის.

სუფთა და ძვირფასია ჰაერი, სუფთა და წარმტაცია პატარა მდინარის ჩხრიალი, რომელსაც ისინი უახლოვდებიან.

ცოტა კიდევ, და აი, ხიდიც სახელურებით.

ისინი ახლა არაფრის შესახებ აღარ ლაპარაკობენ, რადგან ორივენი გრძნობენ, რომ ახლა ასე სჯობია, რომ ახლა ერთიმეორის ხელის შეშლა საჭირო არ არის და რომ ასეთი დუმილით გაცილებით მეტია მიღება შეიძლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა საჭიროა დაირღვეს ეს შშვენიერი დუმილი, მით უფრო მაშინ, როცა აზრთა უდიდესი შეხლა-შემოხლის შემდეგ გონება მეტ თავისუფლებას და მოსვენებას მოითხოვს.

და ისინი მიდიან.

აი, გადიან კიდევ ხიდზე, წინ მიდის ქვაკირელი და... გავარდა...

ხიდის ზემოთ ბუჩქებიდან ამოვარდა მახვილი ცეცხლი და ისევ უცბად ჩაქრა, ქვაკირელმა ოდნავ წაიბორძიკა, შემდეგ ხიდის მეორე გვერდით დაეშვა და ცალი ხელით სასწრაფოდ რევოლვერი იძრო. სავლე პირველად ოდნავ დაიბნა, მაგრამ შემდეგ ქვაკირელის გვერდით დაეშვა და იმანაც რევოლვერი მოიმარჯვა. ქვაკირელმა უკვე გაისროლა რევოლვერი, მაგრამ მტერმა აღარ უპასუხა, და ცოტათი მოშორებით, წყალს გაღმა ძლივს შესაჩნევად გამოჩნდა ორი გაქცეული აჩრდილი, რომელიც ტყისკენ მიიჩქაროდა.

— გავიქცეთ, დავედევნოთ,—წამოიძახა სავლემ, რამოდენიმე ნაბიჯი წინ გადასდგა, მაგრამ მის ყურს მოხვდა გულშემზარავი სიტყვები:

— მოიცა, სავლე, მე დაჭრილი ვარ.

ამის გაგონებისთანავე სავლე ლევან ქვაკირელთან გაშფოთებული მივარდება და არ იცის რა ჰქნას, როგორ უშველოს მას.

— არაფერია მეგობარო, ცოტა მომეხმარე, აი ჩემი ცხვირსახოცი, აი ჩემი პერანგიც, გახიე რამოდენიმედ და სისხლი შევაჩეროთ. გულში, პირდაპირ გულში უნდა მომხვედროდა, ალბათ, გამსროლის ანგარიშით, და მარცხენა მხარი ჩამომიგდო. შენ ნუ გეშინია, მეგობარო, ეს არაფერია. სულ ჩქარა, სულ ჩქარა გაივლის.

სავლე, რომელიც პირველად საკმაო დაბნეულობას იჩენდა, ქვაკირელის ასეთი იმედიანი სიტყვების შემდეგ თითონაც გამაგრდა და ქვაკირელის სიტყვებს სასწრაფოდ ასრულებდა.

მხარი უკვე შეხვეულია, ისინი გზაზე ამოდიან და ცოტა ხნით შესდგებიან.

— რა ვქნათ ახლა, ამხანაგო ლევან, საით წავიდეთ, როგორ...

— იმ გზით, ამხანაგო სავლე, საითაც მივდიოდით,—დინჯათ მიუგო ქვაკირელმა და ისინი ახლა უფრო ნელის ნაბიჯით წავიდენ ისევ ვარდნილის მშენებლობის ადგილისაკენ.

თოფის ხმაზე სოფელი თითქოს ოდნავ შეიძრა. აშაღლდა რამოდენიმე კაცის ხმა და მაძლებმაც ყივილს უჩქარეს.

შორს, მდინარე ვარდნილის გაღმა სოფლებისკენ დაბურულ ხეებიდან რამოდენიმეჯერმე კიდევ ამოვარდა შუქის პატარა წინწკლები და ისიც ჩაქრა.

ამ დროს ქვაკირელის და სავლე ბახელის ზურგს მიუახლოვდა გამოქცეული ადამიანების ფეხის ხმაური. ისინი შეჩერდებიან.

— ალბათ ამხანაგებია, ჩვენსკენ გამორბიან,—წარმოსთქვა სავლემ და ლევანს თვალებში ჩახედა.

— სავლე, წადი, გაიქეცი და უთხარი, რომ ყველანი ახლავე უკანვე დაბრუნდენ, საჭირო არ არის.

სავლე იმავე წუთს უკანვე გაიქცა, გამოქცეული ამხანაგები შეაჩერა, რამდენიმე სიტყვა მოკლედ გადასცა და ისევ სასწრაფოდ ქვაკირელისაკენ გამოიქცა.

სოფლიდან გამოქცეულმა რამდენიმე ამხანაგმა, როცა ქვაკირელის დაჭრის შესახებ გაიგეს, პირველად მხრები თითქოს მიწაზე დაჰყარეს, ხოლო შემდეგ მუშტები მაგრად დასწურეს, შეწუხებულები უკანვე შეტრიალდენ და მძიმე ნაბიჯებით ჯაზას გაუდგენ.

ამავე დროს კი თემურ ბახელი და სიმონა ხვედელი ნადიაკვნარ პავლე სახარაძის ბინას უახლოვდებოდენ და გულში მეტად უხაროდათ, რომ მიზანს მიაღწიეს და ქვაკირელზე ჟინი იყარეს.

— ხი, ხი, ხი,—ფრთხილად და დაბალი ხმით დაიხრიალა სიმონა ხვედელმა,—იქავე უსულოდ დაეცა. შენი ტყვია მჭრელი ყოფილა თემურ, შენი ტყვია...

— ხმა,—გაბრაზებით მიაძახა თემურ ბახელმა და მადააშლილ ახალგაზრდა სიმონა ხვედელს საკუთარი სიტყვა იმავე წუთში უკანვე ჩააყლაპვინა.

ქვაკირელისა და სავლეს სავალი გზა თითქოს განგებ გაგრძელდა.

ისინი ხედავენ სახელდახელოდ მოწყობილ ელსადგურის პატარა ლამფების შუქს და მისკენ მიდიან, მაგრამ ქვაკირელი მეტად შეწუხდა, ახლა ტკივილებიც უფრო მწვავედ იგრძნო და მის მხარში შემდგარი სავლე მეტად დაიღალა.

— ჩემი ბრალი არ არის, ამხანაგო სავლე, რომ შენც დაგტანჯე,—სიყვარულით უთხრა ლევანმა ახალგაზრდა ამხანაგს. ძალა კიდევ უფრო მოიკრიბა და ნაბიჯები უფრო მაგრად გადასდგა.

— ამხანაგო ლევან,—ნაწყენი კილოთი მიუგო სავლემ,—მე მგონია, თქვენ საკმაოდ მიცნობთ და იცით, თუ როგორ შემაწუხებს ჩემს ტანჯვაზე ლაპარაკი მაშინ, როცა თქვენ გაცილებით მეტად იტანჯებით.

რამდენიმე ნაბიჯი კიდევ, რამდენიმე ნაბიჯი კიდევ, და ჰა, ახლოა, სულ ახლოა—მრავლდებიან და ახლოვდებიან ელექტრო ლამფების ოქროს ნემსებივით გამოშვერილი სხივები...

(გაგრძელება იქნება)

მიხ. ჩიქოვანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთი მრავალთაგანი

მიდიხარ ფაბრიკაში და კითხულობ: ვინაა თქვენთან მოწინავე მუშა და დამკვრელი, ვინაა შეჯიბრებაში გამარჯვებული და ფაბრიკის გულშემატკივარი?" რადგან თქვენ ამაზე პასუხი გაინტერესებთ, გინდათ გაიგოთ კონკრეტულად თუ ვის შეეფერება ეს კითხვები, ვინაა ის ადამიანი, ნახოთ და გაიცნოთ მისი სახე. ამისათვის გიპასუხებენ:—ნიკოლოზ კიკვაძე.

რომ ეს გმირი კარგად გაიცნოთ, თქვენ დაგჭირდებათ შეისწავლოთ თავიდან აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის ისტორია: დაარსება და განვითარება. ეს იმისათვის, რომ ჩვენი დროის მოწინავე ადამიანის ყოფა-ცხოვრება მჭიდროდაა გადასკვნილი ფაბრიკასთან.

ნიკოლოზი საქსოვი მანქანის ოსტატია. მქსოველები მას იცნობენ, როგორც დაზგის კარგ ამწყობს და უნაკლოდ გამმართავს. ასეთი ოსტატები თითებზე ჩამოსათვლელი არიან. მქსოველებმა, სპეციალობის მიხედვით, მანქანის მოწყობის არაფერი იციან. უმრავლესობამ იცის მანქანა როგორ გაუშვას, აამოქმედოს საქსოვი სავარცხელი, დგიმები და მაქოს ხელი მიუწიოს. მექანიკის არაფერი ესმის, ამიტომ მანქანის შეფერხება მოხდება თუ არა, მაშინვე ოსტატთან გარბიან. ფეიქარი უძახის ოსტატს, მოიშველიებს მას, შემდეგ ელოდება „ავადმყოფის" მორჩენას. მაგრამ ფაბრიკაში ნახავთ ისეთ ხელოსანს, რომელიც ზურგზე ხელებდაწყობილი მოდის ცეხის ტალანში. ჩამოუარს მანქანებს. ზოზინით დაეყუდება რომელიღაც ჭახჭიკ ამოვარდნილ საქსოვს. ნელა, დუნეთ მოჭიდებს ხელს. ბორბალს სინჯვას დაუწყებს. მაშინ უნდა ნახოთ მოწყენილი, წამწამებ ჩამოშვებული მქსოველი ქალი, უხეირო ხელოსნის ხელგარჯილობას რომ მიჩერებია და ელოდება მანქანის ამუშავებას. უქმად დგომას მიუჩვეველი ხან მაქოს დაუწყებს სწორებას, ხან „ოსტატის" შემყურე მასრებს დიდხახს ალაგებს რიგზე, ან სხვას ეხმარება დახლართული ქსელის ამოწყობაში. მისი დაზგა კი ისევ დგას, დადუმებულია. „ოსტატი" აუჩქარებლად ხან ერთ ღერძს გადააბრუნებს და ხან მეორეს...

ამგვარ შემთხვევაში ნიკოლოზი ხომ მისწრებაა! საჩქაროთ მიიჭრება დაზგასთან. ააყოლებს თვალს მანქანის მეტად რთულ მოწყობილობას. საქსოვი მანქანის სირთულე იქიდანაც ჩანს, რომ მას შვიდასამდე დიდი და პატარა, შესამჩნევი და ნაკლებ შესამჩნევი

ნაწილი აქვს. დამკვრელი გადასწევს მთავარ ღერძს დიდი ბორბლის საშუალებით. როგორც თვითონაც იტყვის—აქედან გამოჩნდება მანქანის ყველა ნაწილი და ის მტკივანი ადგილიც, რომელიც ქსოვას ხელს უშლის. რაკი ჭრილობის ადგილს მიაგნებს, შემდეგ ექიმობა უფრო ადვილ, საჩქარო საქმეთ მიაჩნია. მერე უნდა დაუკვირდეთ ამ შაგვრემან კაცს, როგორი მზრუნველობით შეხედავს მანქანას, როცა ამუშავდება. აქამდე უქმად მდგომი დაზგა მისით იწყებს ქსოვას. ოსტატზე არა ნაკლებ გახარებულია მქსოველი. ის ქსელს პირდაპირ უდგას, დაჩერებია თორმეტ ათასზე მეტ ჯვარედინად გაბმულ ძაფს და მასზე მისაქსელავის ღობვას.

— საქსოვის აწყობა ბევრს უჭირს, მეკი რა მოგახსენოთ, დიდიდის მცოდნე არა ვარ, მაგრამ—გეტყვის ნიკო ხმადაბლა, შერბილებული ტონით—ამასაც თავისი ხერხი უნდა; თუ მტკივან ადგილს მიაგენით, მერე ნუღა გენაღვლებათ, მაგრამ მიგნება არც ისე უბრალო ამბავია. ჩვენი საქსოვი შვიდას ნაწილამდე შეიცავს. აბა, მიდით და ეძებეთ სად რომელი ჭანჭიკი, ხრახნილი და ნემსი გამოძვრა ან გატყდა.

— მანქანის კომისია მოდის!

იტყვიან ცეხში, როცა ნიკოლოზს დაინახავენ მომავალს.

ოსტატი მოღუშული მიემართება მანქანათა შორის და თვალყურს ადევნებს მუშაობის ტემპს. ხშირად სმენით მიხვდება რა გაჭირვება ადგია აბა თუ იმ საქსოვს—მაშინვე გააჩერებს, მოძებნის დასუსტებულ, გაცვეთილ ნაწილს და შეაკეთებს. ამ თვისებით ის სრულიად განსხვავდება ძველი მქსოველი ოსტატებისაგან, რომლებიც მქსოველებიც იყვნენ ლა ხელოსნებიც. ქსოვდენ, ართავდენ, დაზიანებულ მანქანას თვითონვე აკეთებდენ. მაშინ ისინი მანქანების შეკეთებას ყურადღებას არ აქცევდენ.

„იბრუნოს, იმუშაოს სანამ არ გაჩერდება“—ასე ფიქრობდენ. მაგრამ როცა გატეხილი დაზგა გაჩერდებოდა, მისი შეკეთება უფრო ძვირად უჯდებოდათ, ვინემ გაცვეთილი ნაწილის დროზე გამოცვლა. გახეხილი ღერძი ქანაობს, ზანზარებს მთელი სადგამი. ამ დროს ფიქრობენ: „ეს ჯერ კიდევ იმუშავებს, არა უშავს“. აქანებული მანქანა კი იმსხვრევა... ახლა მარტო ღერძი არაა გატეხილი. მას მიემატა ჩარხი და მრავალი სხვა. ამგვარ მოსაზრებას თავიდანვე წინ აღუდგა ახალი ოსტატი. დაგმო. გაჰკიცხა. უარყო. ძველი ფეიქრები, რომლებიც კუსტარულად ეწეოდენ საფეიქრო საქმეს, ამ ფაბრიკაშიც არიან—ერთდაიმავე დროს ყველაფრის გამკეთებელნი, ყველაფრის მცოდნენი სინამდვილეში!.. ამგვარ ხელოსნებს არ მოსწონთ ნიკოლოზის საქმე. ყოველი მისი ახალი წესი, გაუმჯობესება მეტი-

ჩრობათ შიაჩნიათ, წინ გასწრებათ და თავგამოჩინებათ. ამიტომ გმირზე ცუდსაც ამბობენ. მაგრამ...

— რა არის ეს მანქანის კომისია?

არა ერთხელ უკითხავთ ფაბრიკაში ახლად მოსულ მუშებს, რომელთათვის წარმოება უცხო ხილი იყო და არ იცნობდენ დაახლოებით მის თავისებურებას, არ ქონდათ გაგონილი, გამოცდილი თვითეული ოსტატის საქმიანობა, უნარი და ინტერესი ახალი ცხოვრების შექმნაში. „მართლაც რა უნდა იყოს მანქანის კომისია?“

ამის შესახებ თვით კიკვაძეს უსმინოთ.

— მანქანა, საქსოვი, თავისი ნაწილების მუშაობით, მთელი ფაბრიკის აპარატს მოგვაგონებს. უკეთ, ის მთელი ორგანიზაციაა თავისი ნაწილებით.—შედარებას ასეთს აკეთებს ოსტატი:— დაუშვათ, რომ ფაბრიკაში ბოროტმოქმედება იქნა აღმოჩენილი. გაფუჭდა რაიმე და საჭიროა გამოძებნა დამნაშავის. მაშინვე კომისიას გამოყოფენ. ისინიც მოვლენ. პირველად წარმოების ხელმძღვანელს მიაკითხავენ, გამოიძახებენ. შემდეგ კი დაყვებიან ძირა აპარატებს და მთელი ფაბრიკის ნაწილებს დაწვრილებით შეისწავლიან. ასეა საქსოვი დაზგაც. გაჩერებული დაზგის ის ნაწილი უნდა გამოიძახოთ პირველად, რომელიც გიჩვენებს ყველა დანარჩენ, მასზე დამოკიდებულ ნაწილებს. ამის შემდეგ ყველაფერი ნათელი იქნება. თუ მკლავი და გონება გივარგა, აამოქმედე მანქანა ისე, რომ არც ერთი ნაწილი, ჭანჭიკი ცუდად არ მუშაობდეს. გამართე ისე, რომ ხელმეორედ გაკეთება არ დასჭირდეს მეორე დღეს.

დიდი ხანია დაწვრილებით სწავლობდა შრომის გმირი სოციალისტურ მშენებლობის ფერხულში ჩაბმულ დაზგებს: საქსოვ მანქანებს, სარეცხ მორგვებს და საღებავ ბაკებს, რითაც ხამათ ნაქსოვი აბრეშუმი სუფთავდება, იჩითება, ბოლოს დაუთოებული მიდის საწყობისაკენ ნაირ-ნაირი ხარისხის და ზომის. ამისთვის დამკვრელ ოსტატს ცეხში „მანქანის კომისია“ დაარქვეს მეტ სახელად, მანაც ეს სახელი სამართლიანად მიითვისა. მართლა და რომელი კომისია ან კომიტეტი გამოირკვევს უკეთ ცეხის ჭირვარამს, როგორც ეს გმირი!.. ან რომელი ეკვეთება იმავ მომენტში დაზგას, გაჩერებისთანავე, როგორც ის!—არავინ. სწორეთ ამაშია წარმოების სიყვარული.

მაგრამ მარტო ამით არ თავდება ნიკოლოზის შრომის გმირობა. ის ერთი იმ მრავალთაგანია, რომელნიც დაუღალავი შრომითი შემოქმედებით და ბოლშევიკის ხელოვნებით აშენებენ კომუნიზმის დიად შენობას. არა მარტო ხელმარჯვეა ნიკოლოზი და დაუზარებელი, არამედ ის შემოქმედიცაა, მოაზროვნე, შორსმჭვრეტელი. აქვს შეფასების უნარი, ალღო და წინდახედულობა. ბოლშევი-

კია პირველ რიგში და ბოლშევიკურად უყვარს დარტყმა. ამით აშკარავდება მისი მეორე უპირატესობა — შემოქმედებითი ენტუზიაზმი. იგი ტექნიკის ზრდაში პირველთაგანია, რომ ახალ წესებს მიაღწიოთ, ახალ რელსებზე გადაიყვანოთ წარმოება, აღმოაჩინოთ, გამოიგონოთ ის, რაც სხვას არ აქვს ჯერ და არავის მიუღწევია.

კოლია არც ამით დაკმაყოფილდება. ის გიჩვენებთ სამ ოთხ მოდელს, თვითეული — მორიგი გამარჯვებაა ოსტატის.

— ამით საქსოვი მანქანის ამორტიზაციის გამარტივება ხდება ისე, რომ ნედლი მასალის ხარჯვა მცირდება. დიდ ეკონომიას იძლევა!

— აი, ის ქვის ჩუქურთმების სათლელია!..

ჩამოგითვლის გმირი თავის შემოქმედებითი მინაღწევებს და გიკვირთ, რომ ახალგაზრდა ოსტატმა, ოცდა ორი წლის კაცმა, ამდენი შესძლო. თავისუფლად ერკვევა მექანიკის ძირითად კანონებში, თუმცა არც ერთი საშუალო ან უმაღლესი სასწავლებელი არ დაუმთავრებია. თქვენ ისიც გიხარიათ, რომ ხუთწლედის ეს გმირი არამც თუ ასუსტებს თავის ენერგიულ მუშაობას, შემოქმედებითი ენტუზიაზმს, არამედ უფრო აძლიერებს მას, ზრდის და ამტკიცებს უფრო დიდ გამარჯვებათა მისაღწევად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარლო ქალაძე

# ერთი ეპიზოდი პოემიდან

I.

მიდამოები ხან გაშლილია,—
ხან ამართულან ცამდე;
ველზე,
მთებში და
მდინარეებზე
საურმე გზები სჩანდენ.

გზა დაბნეულა ხან სოფელშივე,
ხან ქალაქამდე
მივა;
მიდიმოდიან გზებზე ამბები,
სიმინდი, ღვინო, ხეტყე და თივა.

ხან ჩაძირულა ოხერტიალი
მდინარეებში და ვერ ნახულა...
გზა ხეობაში მოხეტიალე
ადიდებულმა წყალმა დახურა!

როცა მზე ჩავა,—მარტოთმარტო ძევს
და ცხენოსანმა დაძლიოს უნდა.
აგერ გაივლის მალე სოფელზე
და მხიარულად შედგება გულდა...

მაგრამ ტრიალით მთებში დაკარგულს
სოფელი ახლო არ ეგულება,—
და ქალაქიდან მოდის გულდაგულ,
მოაქვს გმირული განკარგულება!

გამოაჩინა მისი ხმა ქარმა,
თან მოსძახოდენ შრიალით ხენი!—
ხეს შეატეხა შოლტი მხედარმა
და გულმოსულად აჩქარდა ცხენი...

II.

დანარჩენები შარისპირადვე
შეგროვებულან ხესთან,
გზა შორიდანვე დააყურადენ,—
მოელიან და სხედან.

ჯერ საღამოა,
ჯერ კიდევ მაღლა
ცაში ტრიალებს ორბი...

გულდა ბედაურს ესაუბრება
და ბედაური ხალისით მორბის!

მან დაიმონა მანძილი მარდათ,
გაითამაშა გზაში ელვები.—
რომ, უცებ კაცი წამოიმართა
და აისროლა ცაში ხელები:

— ჰეი!
დაიბნა ძახილზე ცხენი
და ალაგმული ჰაერში დგება.

უჩარდიონი მხედარს უცქერის,
დგას ტანვეება,—და ეუბნება:

— გულზე მაჩნია შენი კბენანი,
მან დამიჩლუნგა მარტო ენა მან!
აბა, გაბედე, დასძარ მერანი,—
გადაგარჩინოს მისმა რბენამა...

გინდა მამული გაუტიალდენ;
ზოგიერთები მტრებათ იცანი.
მგონი ზეიმით სანამ იარდე
ჩამოაწითლო მკერდი კლდისანი!

აბა, ლალესთან რა ფიქრებს მალავ,—
თქვიო, სიკვდილმა შემოგითვალა!..

III.

გულდამ თქვა მაშინ,—პირშიშველაშა:
— წინ გაბედულად, გზაში ნუ დგები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა გინდ შემხედო მაგრე ელამად,
რა გინდ მედაო,—განადგურდები...

გულდამ თქვა: მსურდეს მაქვე დაგაკლავ,
შებმას აშკარად როგორ ჰბედაო?!—
და გულმოსულმა შოლტი გადაჰკრა
უჩარდიონს და შემდეგ ბედაურს...

IV.

ისევ ძახილი... და წინ მთებურად
ეხლა წამოდგენ თორმეტიოდე;
უჩარდიონთან შეერთებულან
და ჭრილობები ერთად ტკიოდენ.

მაშინ მოუნდა მხედარსაც ბრძოლა,
მაგრამ, ჩაქოლვა ვერ აიშორა...

და დააყარენ ღმუილით ქვები,
შემოეხვიენ გარშემო გუნდათ!..
ბრძოლაში იქვე დაეცენ ქვევით—
მძიმე ხროტინით ქვები და გულდა.

თავზე დაადგა უჩარდიონი,
თავზე დაადგა თორმეტიოდე...
დაბლა დაცემულ კომკავშირელის
თვალებს ცრემლი და სისხლი დოდენ.

უკვე ბნელოდა.
ნელი ძუნძულით
გაბრუნდა უკან ბრბო და
მდინარის პირზე გულდა ეგდო და
მდინარე კვნესით რბოდა...

V.

არსაიდან გზა ხმას არ იღებდა,
არ მოდიოდა ხალხის ყურამდე.
ყოველ ეზოში, ყოველი კაცი
ჩასულიყო და ჭიშკრებს ხურავდენ.

მარტო ისმოდა მდელოს ბიბინი;
იავნანური ძილი ენებათ!—

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ბედაურმა შეჰქნა ჭიხვინი
და შარა გრძელი შესძრა ჭენებამ!

ფაფარ გაშლილმა არემარენი
სულ დაარბია შმაგ სირბილითა,
და გაპობილი მისგან ჰაერი
უზანგებს ჰგლეჯდა უნაგირიდან...

ადგა ხალხი, და
ეზოები
    გზა და
        მდინარე
თან ახმიანდა!—
გორაკებზე შეირხენ ხენი...

ძახილითა და ლაპარაკით ჩამოიარეს
და იმათ შუა, მძიმე სუნთქვით შეჩერდა ცხენი.

VI.

რა უნდა ეთქვა? – დუმილში დარჩენ.—
მან საუბარი აღარ იცოდა...
დახარა თავი ხალხის წინაშე
და სისხლიანი ფაფარი ჰქონდა.

იყო დუმილი ყრუ, საშინელი,
გლეხებს უკვირდათ და ხელებს შლიდენ,—
აქ იდგა ექვსი კომკავშირელი
დაიგვიანა მარტო მეშვიდემ.

— გულდა გვაკლია ამხანაგებო!—
თუ დააშავა გზაშიეე ცხენმა...

მიმოიარენ მთელი გარემო,
დაადგენ გზებს და დაიწყენ ძებნა.

აანთენ კვარი,
და აქა-იქ სჩანდა გორებთან,—
მიმქრალი შუქი
    თვალბეღნითად
        მოსიარულე!

ჩასძახენ ხევს და ხევი ძახილს იმეორებდა...
ვერ ნახენ გულდა და გულისთქმა ვერ აისრულენ.

VII... VIII.

გულდამ თქვა: მტრებმა დღე დამიმოკლენ
და კლასობრივი ბრძოლა,—
ჩემ მიერ
განვლილ
წელიწადებზე
გაევლო წითელ ზოლად.

გულდამ თქვა: ჩვენი გამარჯვებანი
ახალ ბრძოლებსვე ქმნიან,—
მაშასადამე, მშრომელი ხალხის მეომარს
გმირი მქვიან.

ჩემი სიკვდილი ნუ დაიტირონ,—
მე ცრემლი მძულდა მუდამ.
თქვენ შეგემატონ ჯანი და ღონე,
რაც ვერ დავხარჯე გულდამ.

## სანდრო ეული

# ინფორმაციორი*)

## თავი მეორე

დღეს მის ოჯახში
ქეიფია:
სტუმრათ ყავს ბენო,—
მისი უფროსი,
ჭარხნის გამგე და
კიდევ სხვები.
დასჭირდა ფიქრი,—
წინასწარი
სიის შედგენა,
რომ ყოლებოდა
მას სტუმრებათ
პარტიულები.
მან კარგად იცის,
ნაცადია,

*) გაგრძელება. იხ. „პრ. მწ." № 3. 1930 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ „ხელი ხელს ბანს,“
ვისგანც მოელი
ყურადღებას,—
პატივი ეცი.
თუმცა დღეს ჩვენში
თავის კაცად
თვლიან ელიზბარს.
ამბობენ მასზე:
„მაგისანა
არა გვყავს სპეცი“,
მაგრამ ხვალ ბედმა
რომ უმუხთლოს,—
წაუხდეს საქმე
და შეამჩნიონ
მას ნიღაბი
და ჩამოხადონ,—
მისი ცხოვრება
შეტრიალდეს,—
დაეშვას თავქვე,
მაშინ ხომ შველა
ყველასაგან
უნდა იკადროს.
„საკვირველია,—
მეზობლები
ამბობენ ასე,—
—რატომ ელიზბარ
კომპარტიის
არ არის წევრი?
ამ წყობილების
სიყვარულით
არის აღსავსე,
მასზე ერთგული
პარტიაშიც
არა ყავთ ბევრი“.
თამადა სიტყვას
ქარაგმებით
აფრქვევდა უხვად.
„ამ სასმისითა
ვადღეგრძელებ
ძვირფას ელიზბარს,
მეჭერმეტყველობის
არ მაქვს ძალა,
მაინც უნდა ვთქვა:
ჩვენი ელიზბარ,
ვით წარსულში
დღესაც ხალხს უყვარს.
ერთგულ დარაჯათ
იყო მუდამ
მშრომელი ხალხის.
თუმცა მას წინად,
ვიცით, ქონდა
აზრი შემცდარი,
მაგრამ უარყო
და დღეს ბრძოლის
დროშას ძირს არ ხრის.
არ მიატოვა
მან წითელი
ჩვენი საზღვარი.
ამხანაგებო,
ვადღეგრძელებ
ძვირფას ელიზბარს.
ის ჩვენი არის
და იქნება
თანამებრძოლი...
ის უდგას მკერდით
კომუნისტურ
აღმშენებლობას.
ვით საქმის მცოდნეს,
—დღეს ჩვენ შორის
არა ყავს ტოლი“.
„მრავალ-ჟამიერ“
რომ დაფარავს
თამადის სიტყვას
და საპატიო
სადღეგრძელოს
ყველა მიირთმევს,
ხელში აიღებს
ელიზბარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვინით სავსე ყანწს
და არტისტული
მიხვრა-მოხვრით
ასე დაიწყებს:
„ამხანაგებო!
სიხარულს მგვრის
თქვენი სტუმრობა.—
ბედნიერი ვარ,
რომ აქ ვხედავ
სტუმრად რჩეულ ხალხს,
თუმცა ღირსი ვარ
კომპარტიის
რომ მქონდეს ნდობა,
მკერდით უდგევარ
მე საბჭოთა
ხელისუფლებას.
ემიგრანტებში
ჩემზე თურმე
რას არ ლაყბობენ,—
წევრათაც მთვლიან
კომპარტიის,—
დე, ასე იყოს.
საქართველოზე
ზღაპრებს თხზავენ,—
ჭორებს აცხობენ,—
უნდათ, რომ ხალხის
სისხლისღვრა კვლავ
ჩვენში დაიწყოს.
ამხანაგებო!
ვადღეგრძელოთ
„ექსტრათ“ პარტია,
რომელმაც შესძრა
მსოფლიო და
ოქტომბრის ცეცხლად
მოედო მიწას
და ყველაფერს,—
ყველგან ანთია,
რომ წვავს და აქცევს
ძველ სამყაროს
ნაცრად და ფერფლად“...
ტაშის გრიალი
ელიზბარის
სიტყვას დაფარავს,
როიალის ხმას
აყვებიან
და ყველა მღერის.
მხიარულება
უსაზღვროა,—
ქუჩას არ სძინავს,
თუმც შუაღამეა
და სიბნელეს
ეცვლება ფერი...
ქეიფის შემდეგ
ყველას სახეს
სიამე ფენდა.
დამშვიდობების
ჟამს სტუმრებმა
თხოვეს ელიზბარს:
—„ჩვენსას მოგელით,
არა, ჩვენსას.
მომიკვდეს დედა...
რომ უარი თქვა,—
არ შეგხედავ
და არ გაგცემ ხმას!“
დიდი მადლობით
გაისტუმრებს
ელიზბარ ყველას
და მიაცილებს
ძვირფას სტუმრებს
ეზოს კარამდის.
გამობრუნდება
და ბინისკენ
მიდის ნელ-ნელა.
ფიქრობს: ვინა ვარ
და ამ გზითა
მივალ სანამდის?
საწოლში დიდხანს
ელიზბარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძილს არ იკარებს:
იგონებს ვისგან
რა ითქვა და
რა გაიგონა...
—„ღვინოში ბევრი
პარტიულიც
თავს ვერ იკავებს...
ღვინოში ყველა
ბითურდება—
ერთი აქვთ წონა...
აი, ის ვასო
ბეგალელი,
სახვაჭრობიდან,—
საცა მას წინად
ქონდა დიდი
თანამდებობა,
„ბეწვზე“ ეკიდა
მისი საქმე
და პარტიიდან
გამოცოცხვა
რომ მოელოდა,—
როგორ მოუშვა
„თავი გუდას“—
რას არ ამბობდა.
გავიგე, თუ სად,
რა ადგილას
შეეიძლებთ დარტყმას,—
მან კი ვერ მიხვდა,—
საიდუმლო
საქმეს მაცნობდა,—
მან ვერ გაიგო,
თუ უწყობდა
ხელს მავნებლობას...
სამსონ ქადაგელს
ღვინო თურმე
ჭკუას უკარგავს,—
კანდიდატია
პარტწმენდისა,—
ეჭვი არ შემდის,—
რაც კი სათქმელათ
მოადგება ამბობს, არ ფარავს,—
მე თუ მავნე ვარ,
ქადაგელზეც
იგივე ითქმის...

—

და ამ ფიქრებში
ელიზბარსა
ჩაეძინება...
. . . . . .

ფრ. ნაროუშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავადი ი. ჭავჭავაძე

(პოემიდან)

გული როგორ არ დაგიღონდება,
როცა მძინვარებს შავი სახადი;
სომხებთან ომი მოგაგონდება,
როგორც აშკარა „ქვათა ღაღადი“.
იგი არ არის ისე წყვდიადი,
როგორც წარწერა ქვაზე ლურსმული,
იგი ღაღადებს ისე „დიადი,“—
როგორც ქართული, როგორც რუსული.
იგი აროდეს არ იუფლება
გიპოტეზების გაუვალ ნისლით,
ვით ჟორდანიას ხელისუფლება
შეღებილია სომხების სისხლით.
ხოცვა-ჟლეტაში შენ თუ ერიე
რაა, უარს თუ მაინც ვერ იშლი,
ფაქტების ხმალს ვერ მოიგერიებ—
ხმალზე მჭრელია მისი იერიში.
მთავრობა ომში წაგებულია,
მაინც მძინვარებს შავი სახადი;
მორჩა, წაკითხულ-გაგებულია
ცხრაას თვრამეტ წლის ქვათა ღაღადი.
წამოდგა ნოე, როგორც ილია,
ფოილოს გაღმა მიწა-წყლის მდომი,
„დემოკრატიულ“ კავკასიაში
ჰავჰავაძური ატეხა ომი.
ხოცვის და სისხლის წყურვილი მყისვე
გამეფდა, როგორც შავი სახადი;
ომობდა ნოე სომხებთან ისე,
როგორც ილიას ქვათა ღაღადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგამდა საზიზღარ ომს რეჟისორი,
ყავდა გვარდია და „მძიმე ჯვარიც“,
და შოვინიზმის ბებერი მძორით
სომხეთისაკენ დაიძრა ჯარი.
კაუცკის მიერ ნებადართული,
ვით ტრაგედია სისხლიან მკაში,
ქვათა ღალადი იქნა დადგმული
„დემოკრატიულ“ რესპუბლიკაში:
ყუმბარა გლეჯდა ხეს, თხრიდა მიწას,
ტყე მღელვარებდა ხოცვა ჟლეტაში,
დახოცილ ტყეში ცხედრები იწვა
და პარლამენტში ისმოდა ტაში...
მღერის გვარდია... პრეზიდენტს ესმის
„დემოკრატიულ“ მთავრობის ლექსი.
ქადაგებს ნოე: „საომრად,
გმირო, ლაშქარი დასძარი,
„ქართველო ხელი ხმალს იკარ“—
სომხებს დაეცი თავზარი!
სავსეა იმავ შხამით და გესლით
დაშნაკელების მთავრობის ლექსი.
და პრეზიდენტი იმავე ფერის
იმავ სიმღერას სომხურათ მღერის:
ქალაქ ტფილისში თავს იკრავს
ჩვენი სამშობლოს საზღვარი;
სომეხო, ხელი ხმალს იკარ
„ვრაცებს“ დაეცი თავზარი...
ზღვარი წალეკილ და წაშლილია,
როგორც ძმებ შორის სხვადასხვა ძეთა,—
ასე გადიქცა ნოეთ ილია
და ჟორდანია ჭავჭავაძეთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ანატოლ გიდაშ

# 1. სამშობლო, ჩემო უნგრეთო!

ჩემო სამშობლო! ჩემო უნგრეთო!
შენ სახეს ურვა რა მწარეთ მოსავს!
ჩვენ გვახრჩობს თეთრი საშინელება,
დროა, ჩვენს კისერს მარყუჟი მოვხსნათ
სამუდამოთ.

შენ მზე და ბედი იყავი ჩვენთვის,
ვარსკვლავი—წითლათ მძლეთ რომ ანათებს
ის ამოვიდა—და კვლავ შთაინთქა.
ჩვენ გამოვედით, ბრძოლა გავმართეთ...
ამაოთ.

ვარსკვლავო, სად ხარ? გასჭერ წყვდიადი!
აღმოსავლეთიდან კვლავ იხედები
შენი ბრწყინვალე დიადი თვალით—
და ირყევიან ჩვენი ქედები
პირქუშად.

ჩემო სამშობლო! ჩემო უნგრეთო!
შენ სახეს ურვა რა მწარედ მოსავს!
ჩვენ გვახრჩობს თეთრი საშინელება,
დროა, ჩვენს კისერს მარყუჟი მოვხსნათ
სამუდამოთ.

# 2. შური იძიეთ

1926 წ. ქალაქ დებრეცენში უდარიბესმა გლეხებმა თავიანთი შვილები ყმებათ მიყიდეს მემამულეებს და სერთოდ მდიდრებს.

პირზე სისხლის ხვირთქლი,
ზურგს სიმწარით ვღუნავ.
მტვერიან თოჯრაში
მე ვითმენდი ბოღმას,
თუ მჭრელია დანა,
ხელიც მაგრათ არის,—
ვაი მდიდრებს!
ახლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოთ მწარეთ ვდუმვარ,
თვალებს ურვა მივსებს...
პირზე სისხლის ხვირთქლი,
ზურგს სიმწარით ვღუნავ.

* * *

მე სულ არ მყავს ახლა
საქონელი სახლში,
შვილები კი ჩემთვის—
ღვთის რისხვაა მხოლოთ.
დებრეცენში მოველ
და ძლივს ვმალავ სირცხვილს.
დილიდან აქ ვდგევარ,
ველურივით ვყირი:
„ვის გსურს ჩემი შვილი?
მე სულ არ მყავს ახლა
საქონელი სახლში.

* * *

ოჯახიდან მიმყავს
ჩემი ორი ვაჟი,
შევაწმინდე მათ შუბლს
სიმწარის ცივი ოფლი—
და ვეხვევი, ვამბობ:
„სიკვდილი სჯობს ასჯერ
დღის წყვდიადში ყოფნას.“
აქვითინდა დედა,
მკერდი ძნებში ჩაფლა,
როცა ოჯახიდან
მივდენიდი ვაჟებს.

* * *

„პატარებო ჩემო!“
ქვითინებდა დედა.—
მე ჩამეკლა სჯობდა
აკვანშივე ყრმები,
მდიდრის ყანა ველზე
ლარიბული ჩანთა—
ჩანს ხვედრია ჩვენი.
სიცხე თავბრუს გვასხამს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმშილი ჭირს გვიჩენს...
„პატარებო ჩემო!“
ქვითინებდა დედა.

* * *

გაბახების შვილნო,
ბატონებზე შური
იძიეთ!
დე, ჩვენი
სისხლიანი ოფლი
ნუ ჩაუვლით მუქთად.
მიწიანი ხელის
ნაცვლად ხმალი კრთოდეს,
ნუ დაზოგავს მუშტი
თავის გაშლილ ტოტებს.
დე, გააშროს შიშით,
დე, მოახრჩოს თოკით,
სისხლიანი ოფლი
ნუ ჩაუვლით მუქთად!

* * *

გაბახების შვილნო,
ბატონებზე შური
იძიეთ!
დე, გაწყდეს
მათი ჯიში
თქვენი
ცოფიანი რისხვით!
ბატონებზე ახლა
თქვენ იძიეთ შური!

## 3. კმარა

„გუშინ შემოდგომა პარიზში შევიდა...
მე კი მექარხნემ ქუჩაში გამაგდო,
შეხურებული ლამაზი ფოთლები—რა არის მისთვის,
ვისაც კუჭი სიმშილით ეწვის
და ვისიც მზერა გაუმაძღარი
ბნდუთ იყურება დღიურ წყვდიადში?

* *
*

კონდახის ცემით
და სიმშილის მბღოტავ ხელებით
ჩვენმა სამშობლომ
ჩვენ გვისროლა საზღვრების იქეთ.
ვართ მომწყვდეული
უცხოეთის გულგრილ კედლებში.
პარიზის ასფალტზე
ჩვენ გულით დაგვაქვს
დამარცხებულთა დიადი ბოლმა.
ყველგან—ერთი და იგივე.
არც იქ,
აღარც აქ სიტკბო არ არის.
ჟანდარმი ხიშტით,
პოლისმენი შაშხანით—
განა არსებობს მათ შორის საზღვარი?

* *
*

პარიზი, ბუდაპეშტი!
ყველა ქალაქი ერთმანეთსა გავს,
უფლება ყველგან მდიდრების ხელშია.

* *
*

ჩვენ, დევნილები ხელმოკლეობით,
საითაც არ უნდა წავიდეთ—
ადრიატიკის ცისფერ წყლებიდან
ბრიტანეთისა ზღვებამდე—
ყველგან მარყუჟებს მივიღებთ.
ყველგან დაგვთოკავს აი, ეს—
ჯალათთა წყეული ქვეყანა.

* *
*

დე, შემოვიდეს ეს შემოდგომა...
დე, ილივლივოს მოლურჯო სენაჟ...
ფაბრიკა ყვირის,
ფაბრიკა, სადაც ჩვენ ჯვარს გვაცვეს,
სადაც ჩვენ გვხოცავენ.
გროშებში
გვართმევდენ ლოყების სიახლეს
და ბრწყინვალეს თვალისას.

* *
*

დროა დავამხოთ მთელი ეს ქვეყანა.
ფაბრიკა ყვირის,
ხმას აძლევს მიწა.
მძვინვარეთ ბერავს
დამწველი სუნთქვა
მსოფლიოს ახალ პატრონებისა.

* *
*

გუშინ შემოდგომა პარიზში შევიდა...
ხვალ გაზაფხული მას უცებ შეცვლის.
ფურცლებს გაავსებს წითელი ცეცხლით—
და ფაბრიკები თავისუფალი
ჩვენი ქვეყნის ფაბრიკებისკენ
ევროპის თავზე სიმღერებით გადმოატარებს
გავარვარებულ ღერძების ბორბლებს.

## 4. თავთავმა გავსება დაიწყო

თავთავმა გავსება დაიწყო—ასეა,
ჩვენც მალე დავიწყებთ აკრეფას—ასეა.
ხორბალი მთლიანათ ბატონობს—ასეა,
ჩვენ მხოლოთ მშრალი მზე დაგვრჩება—ასეა.
მაგრდება ქარიშხლის ნაბიჯი—ასეა,
ცელები ყალყზე კვლავ ადგება—ასეა,
წვეტები ნაპერწკლებს გაკვესავს—ასეა,
და სისხლი იფეთქებს ღვარებათ—ასეა,
სისხლი ხომ ციდანაც წამოვა—ასეა,
მიწები გვექნება ჩვენ უხვათ—ასეა,
თავთავი რომ უფრო დამშვენდეს—ასეა,
ბატონის ლეშებსაც გადავხნავთ—ასეა.

თარგმანი კ. ლ

სიმონ ჩიქოვანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გმირის დაგადება

მოშლილ დაზგასთან მღელვარ საამქროს
დადგა კამეჩად ზანტი ხარატი:
ჭახრაკს გასწია,
შუქი ჩააქრო
და ძლივს გადიხსნა ბლავვმა ხალათი,
ზედმეტ სახელად, დამკვრელ ბიჭებმი,
დაერქვა ზარმაცს „ვეშაპის ხახა“.
დიდყურა ვაჟი
ზარმაც ბეჭებით
მუდამ პირღია დაყავდა წაღას.
და კამეჩივით დილიდან ზოზინს
დაეჩვია და შეაკრთო თაღიც;
ჯიბით დაქონდა სახვლეპი კოვზი
და ზურგზე ეკრა ზარმაცის დაღი.
მაგრამ დღეს გზნებამ
გაკრა საფეთქელს,
ზარმაცის კუნთშიც ავარდა კვესი;
ჩამოჭრა რკინა, როგორც ნაფოტი,
და სწრაფ დათალა ფოლადზე კვნესით.
სიმძაფრე ტემპის დაეცა ხელს,
იგრძნო სიამე რკინის დაფნიდან.
მისცა სხეულმა
ლითონს სიცოცხლე
და დაზგის ცეცხლმა დუნე დაფლითა.
გაკვირდა ზანტი
შრომის ნაყოფით:
„სად მიმაქანებს კუნთების აზრი?
მე ხომ დაზგიდან ბნელში გავრბოდი
და სიდან გაჩნდა ენტუზიაზმი?“
—საოცარია,—ფიქრობს ზარმაცი—
შეგნებას უსწრებს
მკლავის ძალღონე.

როგორ იქნება გაიყოს კაცი
და შიგ ვერ სცნობდეს
თავის საქონელს!—
მაგრამ არ არის
დრო ამგვარ ფიქრის;
გეგმას მოყვება დაზგების მადლი;
თეთრი რკინები მიზნებათ მიჰქრის
და ეცემიან სიბრტყეებს დათლილს.
—საოცარია—უელავს ტვინში,
—სად დამემართა შრომის სახადი.
„დღეს დაიბადე, ხელახლა იშვი“
ესმის დაზგების ძარღვთა ღაღადი.
შრომობს და არკვევს
ზარმაცი არეს
და უცებ მიხვდა ნაკვერცხლის მიზეზს
ის იუმუხნება,
თითს იმტვრევს მწარედ,
მაგრამ ტემპის ცეცხლს
გაყვება ისევ.
ის გარდიქმნა და
ნამყო გარიყა,
რამ გამოსცვალა
ზანტი ამრიგად?
გვერდით საამქროს, მომქმედ დაზგასთან
იდგა დამკვრელი, ძველი ხარატი.
ბევრჯერ ის გეგმას გაღმა გადაცდა
და ირგვლივ ჩაკლა გეგმის ღალატი.
დღეს გადმოვიდა ზარმაცის გვერდით,
შრომის სურს განცდა
კაცს გაულვივოს;
მოაწვა დაზგებს მკლავით და მკერდით
და უნდა სძლიოს ძილსა და ღვინოს.
გმირი ხუთწლედის
სდგას და ქადაგებს
არა სიტყვებით, არამედ ქლიბით.
მიყავთ სადგურებს და ლიანდაგებს
ორთქლმავალები მისგან შექმნილი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოს ავსებსო აზრებით ვაზნებს,
ბევრს მოლალატეს ჩამოხსნა მასკა
და გადიყვანა დიდ შეტევაზე
ბოლშევიკ აზრით ასხმული დაზგა.
დილიდან სჭვრეტდა
ზარმაციც გმირს და
გმირის განცდები მოედო მასაც,
ზანტი კუნთების შინაარს მიხვდა
და ტანში იგრძნო ჩამდგარი ძასსა.
გრძნობდა, საქებ ხმით
ელოდენ გარეთ;
გმირში ხედავდა გარდაქმნის მიზეზს,
წუთით მშრომელ თითს
უკბინა მწარედ,
მაგრამ კვლავ ტემპებს გალდია მტკიცედ.
მთლიანად გაყვა კუნთების მიზნებს,
თავის გამრჯე მკლავს
წარუძღვა აზრათ
და წაიყვანა დიდ შეტევისკენ
ბოლშევიკ გრძნობით მფეთქავი დაზგა.

---

ბიურბი კაჭახიძე

# შეტევის ენტუზიაზმი

მეგობრებს

რომ შემოგხედავთ,
სურვილივით აზრი მაღლდება,
თბება გული და,
მეგობრობაც, ვამბობ, ეგ არის.
მოდის დღითი-დღე
გამარჯვების მოზარდ ტალღებად
პოეზიაში ჩვენი ხმა და ლექსი მედგარი.
გულს რომ შევარხევთ,

ვგრძნობთ ერთმანეთს, როგორც სიცოცხლეს.
ვდგებით რიგში და
სამოქმედოდ მკერდი გვიღელავს;
ვიმძლავრებთ ტემპით,
განგაშივით მკერდში იცეცხლებს
განახლებული ბარისა და მთების სიმღერა.
დარჩება სიტყვას
მზის ამოსვლის სიდარბაისლე,
თვალის მოქნევა—მონადირე მამაორბისა.
გავა ფრონტზე და,
ჩვენ აგვანთებს ბრძოლის ხმა ისევ,
კვლავ შეჯიბრი და
კვლავ სიმღერა მეგობრობისა.
და ასე, ძმებო!
ბრძოლებისთვის ლექსებს ვახშირებთ,
აზრი ნიადაგ
ძოქმედების რგოლში იმკობა.
ვართ სიხარული,
ცხოვრებაში ჩვენ გვაკავშირებს
პოეზია და კიდევ უფრო ბოლშევიკობა.

დღეთა გარდაქმნა
ქარიშხლიან ლექსით დავიწყეთ:
ხმა მოზარდია და შეტევის ენტუზიაზმი.
მოიქხევ სიტყვას,
შეძახილი დაღლას გავიწყებს,
წაიღებს ცეცხლს და
ფრონტებისკენ წავა ზრიალით.
ზრდის გაქანებას სტრიქონიდან აზრით ბასრობა,
ოცნებასავით ფართოვდება ფიქრთა მანძილი.
ფრონტზე ნიადაგ
მომარჯვებით სიტყვის გასროლა
ჩვენი ტემპია
და მებრძოლი აზრის ნაწილი.
მიდიან დღენი,
გული რჩება დღეთა მეზარე,
ენტუზიაზმით მაგრდებიან გმირთა მუხლები.—
რამდენი აზრი იბადება ტემპით მგზნებარე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენი კიდევ ირკვევა და
გვრჩება უთქმელი.
და გული მიდის ამნაირად განცდის ძირამდე,
ყოველი ძარღვით რომ დასწუროს სიტყვა ბოლომდის,
რომ გამარჯვებით
გადახედოს დღეებს წინანდელს
და დიდ მომავალს აგრძნობინოს, თუ რით ვცხოვრობდით.

ლექსს გარჯილობა,
მზე უყვარს და არა პანიკა,
არც საქორწილოდ მორთულობის თეთრი კარავი.
მოსულ აზრებთან,
თუ გამჭრელი სიტყვა არ იქნა,
უნდა დაიმსხვრეს სტრიქონებზე უმალ კალამი.
მიტომ მოგმართავთ,
მეგობრებო, ლექსით ამხანად,
მჯერა—სტრიქონებს
და ერმანეთს ბრძოლით გავიტანთ;
დღეთა წინაშე არ იქნება გული მანქანა,
და არც სიმღერა—დაწყებული ისევ თავიდან.

დღეს რომ ასე ვართ,
მეგობრებო, მჯერა ხვალ უფრო
გავშლით ფრონტსა და სტროფებივით ავსწევთ ცხოვრებას.
და ასე მუდამ
იბობოქროს ჩვენმა სიცოცხლემ,
ჩვენმა თვალებმა გაიხარონ დღეთა ლივლივით.
დე, სამარემდე ეს ცხოვრება მუდამ ვიცოდეთ,
ვიყოთ ცეცხლი და
ცეცხლოვანი გვქონდეს სიკვდილიც.
ზა ვრცელი გვაქვს და
ვინ გაზომოს ტემპი ამღები,
ან თუ რამდენჯერ დაგვჭირდება სიტყვით ბასრობა!
ვქმნიდეთ სიხარულს,
ვმოქმედებდეთ უნდა მზით ყველა,
გვახლდეს თვალი და სითამამე მამაორბისა,
იყოს დღე ჩვენი, დღე ნათელი, მუდამ სიმღერა,
ბრძოლის ტემპი და მაგალითი მეგობრობისა!..

ალექსანდრე გოგიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიმღერა ყელისმჭრელ მანქანაზე

მთების დაზგის წინ ყელისმჭრელი ქშინავს მანქანა
და ალისპირულ სრა-კბილებით მიაქვს კლდეთა შრე...
ბარბაცებს არშა! საკეცეთის ცისფერი ქანა —
მოსჭერი, მოეც—ნევის მხარეს, ამხანაგო შენ,
შენ, კავკასიის მაღალ მთების შვილს,
რომელმაც მამის ნასახლარი და საარწივო
დატოვე—(თითქო შევარდენმა კლდეები ქვიშის)—
და ეხლა გინდა სხვა ლაჟვარდი გაინაწილო!..
—რისხვა და რისხვა, ბევრის რისხვა დაიმსახურე,
ჩემო მანქანავ,—მაგრამ რაა მოლას ტკივილი...
შენ გასჭრი ბეთლემს, გადმოიღებ მყინვრის საყურეს
და გაშლილ ველზე გადიქროლებ მძაფრი კივილით!..
—შენი ნახტომი, თუ გასერავს სივრცეს კივილით,
შენ, რომელსაც რომ
მყინვარივით მკერდი გიღელავს.—
ასწიე ბორბალს! კლასის ცეცხლში ნაწრთობი კბილით
გაუძეხ შრეს და შემოსძახე გმირის სიმღერა!..
ველის ძახილი შემოიჭრა მთებში ერთობლივ?—
იკეცებიან ნაღებიდან ოხერ-ხევები.—
—მხარიმხარ გორებს მოანგრევენ მანქანა-ორბით
თრუსოს ოსები, ხევსურები, მოხევეები!..
—ხევშია კოშკი და დაკიდულ კოშკში—ბეწიკა,
მკლავები მუცალ-ზვიადაურ-არხოტიანის.—
ამხანაგური თბილი ხელი გადმოხვეწილ კაცს,
რომ იცის დაზგა და ბორბლების ჩქარი ტრიალი.
დატოვე კერა?—მაშ დაჰკარი სხვებთან მხარიმხარ
კლდეთა დაზგაზე ჩამოწყობილ „მთების ანდამატს''.
აიღე ტემპი? ეს ტიალი ნისლიც გაირღვა—
შიბო და შიბო ყელის მჭრელი ქშინავს მანქანა!..
აიღე ტემპი!
ველს მიეცი როგორც ლითონი,
ისე ნახშირი, ისე არშის სტანდარტული ქვა.
აიღე ტემპი! —მექანიკურ ვეფხების ტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძაფრი რიალით, რომ ზრიალებს ბეთლემსა შიგან!..
აიღე ტემპი და ჭარმაგი ვაჟკაცის მუხლებს,
შეახვედრე მთა ძალგულოვან ნისლების მკაში.—
სჭრიდეს ყელისმჭრელ მანქანებით მაღალ ჭიუხებს
სოციალიზმის მემანქანე მებრძოლი კლასი!...
გადმოხვეწილ კაცს, სად უცხონი მრავალ უნახავს—
ბერძენი ზახარ, დონბასელი ნიკოლ და სხვები...—
თითქოს შეჯიბრი გაუმართავს „ვეშაპის ხახას“
და იბრძვის მთებით ანდეზიტის აღმოსავლეთი.
შენი მანქანაც ამ ბრძოლაში თითქოს ვეფხია—
ქშინავს—ხრიალებს... ხრეში გააქვს ყელისმჭრელ კბილებს
და წუთით ნისლი ნაპრალებს თუ შემოეხვია—
ბორბლები გაჰკვეთს კლდეს და გაღმა ხევს მიაკივლებს.
და დგრიალებენ ანდეზიტის კლდეთა დაზგაზე
ნაღმის ჩაქუჩი,

სატეხები, ბირდაბირები.

არხოტიანო, ეგ მანქანა, ვით იალაღზე—
მიდის და მიაქვს მბრეგ-დაჭრილი მთის ადგილები!
არხოტიანო, ფოლადს ისე შეკედლებულხარ,
ისე გულდაგულ კრიალებენ კბილები ბორბლის,
თითქოს არშაა — ნაჭარმაგევ ბებერი მუხა
და ეს მბორგავი ყელისმჭრელი მანქანა-ორბი.
არხოტიანო, მაშ დაჰკარი სხვებთან მხარიმხარ
კლდეთა დაზგაზე ჩამოწყობილ „მთების ანდამატს.“—
აიღე ტემპი? ეს ტიალი ნისლიც გაირღვა—
შიბო და შიბო ყელის მჭრელი ქშინავს მანქანა!..
აიღე ტემპი! ველს მიეცი, როგორც ლითონი,
ისე ნახშირი, ისე არშის სტანდარტული ქვა.
აიღე ტემპი!—მექანიკურ ვეფხების ტორი
მძაფრი რიალით, რომ ზრიალებს ბეთლემსა შიგან!..
აიღე ტემპი და ჭარმაგი ვაჟკაცის მუხლებს
შეახვედრე მთა ძალგულოვან ნისლების მკაში.—
სჭრიდეს ყელისმჭრელ მანქანებით ძაღალ ჭიუხებს
სოციალიზმის მემანქანე მებრძოლი კლასი!..

გიორგი შატბერაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენ „ფმინდა ლექსის“ კარიბჭეს ვჩეხთ!

1.

ამართე ხელი!
და შეულერე—
წარსულის ძონძებს—მოსწყდი ერთხელვე.
სიხარულს მღერი?
კვლავაც უმღერე
კვამლით გარუჯულ დამკვრელის ხელებს!

—

—შენ ჩვენთან მოხველ
ქარიშხალიან
შეხლა-შემოხლის ჯანღიან გზაზე,
—რამდენ შხამიან
ფურცელს ჩამოხევ—
ეს მატიანე შენ დაგაფასებს!

—

თორემ ვინც გულით ატარებთ ბალღამს,
წარსულში ეძებთ ფერად ნატეხებს,—
—რჩებით წარსულის ჭირვეულ ბალღად,
რა სევდა თვალში ჩაეშვა ერთხელ!

—

დაიფანტებით!
დღეებს ქარიანს
თუ არ მოსტაცეთ ტემპი და სიტყვა,
თქვენ თუ სიჩქარე არ გიხარიათ,
წყალვარდნილების დენამ რა გითხრათ?!

2.

რომ არ იმღეროს—გული არ ითმენს,
თქვენ კი ლანდების გტანჯავთ ლაშქარი,—
კამათელივით აგორებთ რითმებს,
და ჩვენი ლექსი გგონიათ ტლანქი,—
მაგრამ რას არგებს სოხეტი მჭკნარი
შეტევის წლების მოვარდნილ ლანქერს?!

—

ისევ წარსულის მოიმედე ხართ,
ისევ წუხილი გფარავთ ჭირხლივით,—

ეროვნული ბიბლიოთეკა

—გინდათ: „ისანი
დადგეს მეტეხად—
ქართველმა შესვას სისხლი მტრისანი“,
და სევდიანებს მოგესმით ეხლაც
ბარათაშვილის მერნის ჭიხვინი!

3.

ტემპში რა უნდა ოხვრას ან სევდას?!
თქვენ კვლავ გასცქერით ვზებს სინანულით,
დაღუპულ გემის დამტყდარ ანძებთან,
მყუდრო ქოხმახებს ნუ ეძებთ ნურვინ!
—უიმედოა ეგ ყველაფერი.
თქვენი დაშნები დატყდენ ვადაში,
რღვეული ქვეყნის ხისლისფერ ზღაპრებს
ამოვარდნილი ქარბუქი დაშლის!

—

—კლასი ვერ ნახეთ,
ის ვერ იცანით—
კლასი, რომელიც გაშლილ ხელებით
გადმოდიოდა შარებზე ზარით,
ხმაურით—
ხმებით ქარტეხილების!

4.

წარსულის ძონძებს თუ არ მოათრევ
და „წმინდა ლექსის“ კარი-ბჭეს ჩეხავ,—
ეპოქალური სიტყვის მონატრე,
ეპოქალური მესიტყვე შენ ხარ!

5.

თქვენ კი, რომელნიც წარსულში დარჩით
და არ შეუშვით დუმილში ქარი,
—მოელით ისევ გარდასულ აჩრდილს—
ბაგრატიონთა სისხლიან ხმალს...
—სტიროდეთ!
რადგან ვერ გაიხარებთ.
სტიროდეთ!
რადგან განწირულნი ხართ.
სტიროდეთ, რადგან წარსულში დარჩით
და ვერ მიეცით მომავალი ხალხს!!

ფალვა რადიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მუშაობის გარდაქმნის ამოცანები

უდავოა, რომ საქართველოს პროლეტარული მწერლობა გაიზარდა, მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს, გადაიქცა ჩვენი ლიტერატურის წამყვან რაზმათ, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ის ჯერ კიდევ საგრძნობად რჩება უკან გაშლილ სოციალისტურ მშენებლობას.

საბჭოთა კავშირი უკვე შევიდა სოციალიზმის პერიოდში. გასულ 1931 წელს დავასრულეთ სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აშენება. საბჭოთა ძვეყანა ისერება ინდუსტრიის გიგანტებით. კოლმეურნეობა გახდა საბჭოთა სოფლის ცენტრალური ფიგურა.

სოციალისტური მშენებლობის გრანდიოზულ ეპოქას ესაჭიროება თავისი შესაფერისი ნაწარმოებები, ის მოითხოვს ლიტერატურის, ხელოვნების აქტიურ მონაწილეობას ახალი ქვეყნის მშენებლობაში. პროლეტარული მწერლობის წინაშე მთელი თავისი მოცულობით სდგას გადაუდებელი ამოცანა—შექმნას ისეთი მხატვრული ნაწარმოებები, რომელიც შესატყვისი იქნება დიადი ეპოქის, დიადი სოციალისტური მშენებლობის. ამ მიმართულებით პროლეტარულ მწერლობას ძალიან ცოტა აქვს გაკეთებული. პროლეტარულმა მწერლობამ ყოველ მიზეზს გარეშე უნდა შესძლოს გადაწყვეტა უდიდესი ამოცანის, რომელსაც მის წინაშე აყენებს თანამედროვეობა.

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის გამგეობის მეშვიდე პლენუმმა დასახა გზები, თუ როგორ უნდა ჩატარდეს მთელი პროლეტ-ლიტერატურული მოძრაობის ყველა სფეროების, ყველა დარგის ნამდვილი გარდაქმნა იმ მითითებების საფუძველზე, რომელსაც მას უყენებს პარტია და მუშათა კლასი.

ხდებოდა თუ არა პროლეტ-ლიტერატურული მოძრაობის გარდაქმნა უკანასკნელ წლების განმავლობაში?—რასაკვირველია, ხდებოდა. მაგრამ ეს გარდაქმნა ხდებოდა ნელის ტემპით და სრულიად არა დამაკმაყოფილებლად. ამხ. სტალინის ისტორიული მითითებების მიხედვით სხვა ორგანიზაციები თავისი მუშაობის სისტემის და ფორმების გარდაქმნას ატარებდენ უფრო სრულად, ღრმად და სწრაფად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ხელმძღვანელობამ სათანადოთ ვერ გაიგო, ვერ შეაფასა კომკავშირის საქმიანი მითითებები, რომლის აზრიც ძირითადში იმაში მდგომარეობდა, რომ პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია აგვიანებს გარდაქმნის ტემპებს, რომ აუცილებელია მუშაობის სისტემის ძირეული გადახალისება.

უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია მკირერიცხოვან ჯგუფიდან გადაიქცა მასიურ ორგანიზაციათ. მიუხედავათ იმისა, რომ საქარ. პრ. მწერ. ასოციაციამ უკვე დიდი ხანია განვლო ჯგუფის, ვიწრო წრის სახე, ეს ტრადიცია—ჯგუფური კარჩაკეტილობა მას დღემდე შერჩა. სწორედ ამის მიზეზი იყო, რომ საქარ. პრ. მწერ. ასოციაციაში თვითკრიტიკა მეტად სუსტად იყო გაშლილი. თვითკრიტიკის შესახებ ზოგადათ ბევრი „წერებოდა, მაგრამ პრაქტიკულად არ ხორციელდებოდა. საქ. პრ. მწერ. ასოციაციის ხელმძღვანელობა ხშირად არ ღებულობდა, „საუწყებოთ“ უდგებოდა ამხანაგების საქმიან მითითებას, საქმიან კრიტიკას.

ჩვენს გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს ბოლშევიკური თვითკრიტიკის ფართოდ გაშლა. თვითკრიტიკის გაშლის გარეშე პროლეტარული მწერლობა ვერ წავა წინ, ვერ ავა თავისი განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე.

ბოლშევიკური თვითკრიტიკის საფუძველზე უნდა გამოვამზეურეთ ყველა ჩვენი შეცდომა, ყველა ჩვენი ნაკლოვანება, არ უნდა დავსტოვოთ არც ერთი დიდი თუ პატარა შეცდომა, რომ ის არ ვამხილოთ ბოლშევიკურათ.

სასტიკად უნდა შეეებრძოლოთ იმათ, ვინც ცდილობს დაფაროს, დამალოს თავისი შეცდომები. ამის შესახებ მეშვიდე პლენუმის რეზოლუციაში გარკვევით არის ნათქვამი: „პლენუმს აუცილებელ და გადაუდებელ ამოცანად მიაჩნია ყველა იმ შეცდომების მხილება, რომელსაც ადგილი ქონდა ასოციაციაში როგორც მისი ძირითადი მომუშავეების, ისე სხვა ამხანაგების თეორეტიულ მუშაობაში, რაც გამოიხატებოდა უპირველეს ყოვლისა პლეხანოვის მემკვიდრეობისადმი არა კრიტიკულ მიდგომაში ხელოვნებისა და ლიტერატურის სფეროში, ზოგიერთ დებორინულ შეცდომაში, მემარჯვენე-„მემარცხენე“ გადახრების ზოგიერთ კონკრეტულ მოვლენებისადმი შემარიგებლობაში, მე-60 წლების მოღვაწეების როლის შემცდარ შეფასებაში, გადემიანურების ლოზუნგის გაზიარებაში, ცალკეული შეცდომები კლასიკოსებისადმი არა ლენინურ გაგების სახით (ბუაჩიძე, რადიანი, ლუარსამიძე, სულავა, ნატროშვილი და სხვები). უკანასკნელ ხანებში, კერძოთ, ამხ. სულავას მიერ დაშვებული იქნა უხეში

პოლიტიკური შეცდომები, რომელიც მდგომარეობს სტენის შეეჭვების თეორიის გაზიარებაში, ომის საკითხების არა ლენინურ გაგებაში. ამავე დროს შეუბრალებლად მხილებული უნდა იქნას „ლიტფრონტის“ ზოგიერთი შეხედულებების დაუძლეველი გავლენები (ბენაშვილი, ნაროუშვილი), ლიტფრონტული და ცალკეული ნეომენშევიკური დებულებები (ბ. ქიქოძე), ფედერალისტური რეციდივები და დამპალი ლიბერალიზმი (ხუხდაძე, ამაღლობელი), მომენშევიკო იდეალიზმი (დუდუჩავა), ლიკვიდატორული შეხედულებები (მუშიმვილი)“ და სხვა.

მთელმა ასოციაციამ, მისმა ხელმძღვანელობამ შეუნელებელი ბრძოლა უნდა აწარმოოს მთავარი საფრთხის—მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ, რომელიც დღეს გამოიხატება არა მარტო პროლეტარული ლიტერატურის განვითარების შესაძლებლობის უარყოფაში, არამედ იმაშიაც, რომ პროლეტარული მწერლობა წარიმართოს ძველის აღდგენის, რესტავრატორობის გზით, არამედ იმის გაუთვალისწინებლობაშიაც, რომ პროლეტარული ლიტერატურა თვისობრივათ განსხვავდება ყველა წარსული კლასების ლიტერატურისაგან.

საქარ. პრ. მწერ. ასოციაციამ უნდა დაირაზმოს მემარჯვენე საფრთხის ყოველი სახის (ესთეტიური ფორმალიზმი, ვორონშჩინა, პერევერზევშჩინა და სხვ.) წინააღმდეგ საბრძოლველად. ამავე დროს არ უნდა იქნას დავიწყებული „მემარცხენე“ ნახტომები. მის წინააღმდეგაც შეუნელებელი ბრძოლა უნდა იქნას წარმოებული. ლიტფრონტის ნარჩენები, ლიტფრონტის საგრძნობი გავლენები ჩვენში ჯერ კიდევ არსებობს. ის დაუზოგველად უნდა ვამხილოთ.

საქ. პრ. მწერ. ასოციაციამ შეუნელებელი ბრძოლა უნდა აწარმოოს წვრილ-ბურჟუაზიულ განწყობილებების წინააღმდეგ, რომელსაც ადგილი აქვს ცალკეულ პროლეტარულ მწერლის შემოქმედებაში, ძირ-ფესვიანად უნდა მოვსპოთ დამპალი ლიბერალიზმი ჩვენს საქმიანობაში, ჩვენს თეორეტიულ და პრაქტიკულ მუშაობაში, სასტიკი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ კონტრ-რევოლუციონურ ტროცკიზმის წინააღმდეგ.

საქარ. პრ. მწერ. ასოციაციამ უნდა იბრძოლოს თეორიის ლენინურ პარტიულობისათვის, ლენინის მემკვიდრეობის (როგორც ახალი საფეხურის მარქსიზმის განვითარებაში) დაუფლებისათვის, თეორიის და პრაქტიკის დაკავშირებისათვის, კლასიური მტრების და მისი გავლენების წინააღმდეგ ლიტერატურაში და ლიტერატურის თეორიაში.

ამხ. ს ტ ა ლ ი ნ ი ს ცნობილი წერილი „ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხების შესახებ“ საფუძვლად უნდა დაედვას ასოცია-

ციის მთელ მუშაობას. ლიტერატურის ფრონტზე ჯერ კიდევ ბოგინობს დამპალი ლიბერალიზმის და კონტრ-რევოლუციონური ტროცკიზმის ნარჩენები, მათ წინააღმდეგ დაუზოგველი ბრძოლა უნდა იქნას წარმოებული.

პროლეტარული ლიტერატურის ჩამორჩენა მუშათა კლასის სოციალისტური პრაქტიკისაგან განსაკუთრებულათ გვაიძულებს მკვეთრად დავსვათ პროლეტარული ლიტერატურის პ ა რ ტ ი უ ლ ობ ი ს საკითხი. ბრძოლა პროლეტარულ ლიტერატურის პარტიულობისათვის განსაკუთრებით მკვეთრად სდგას დღეს გაიწვავებულ კლასთა ბრძოლის პირობებში.

პროლეტ-ლიტერატურული მოძრაობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა შემოქმედებითი დისკუსიის გაშლა.

რას წარმოადგენს შემოქმედებითი დისკუსია?

შემოქმედებითი დისკუსია წარმოადგენს კოლექტიურ სკოლას ბოლშევიზმის დიადი ხელოვნებისათვის ბრძოლაში; შემოქმედებითი დისკუსია ეს არის ბრძოლა დიალექტიურ-მატერიალისტური შემოქმედებითი მეთოდის გამოჟუშავებისათვის; შემოქმედებითი დისკუსია წარმოადგენს საუკეთესო გზას მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლებისათვის და მის მხატვრულ შემოქმედებაში მოხმარისათვის. შემოქმედებითი დისკუსია არის პროლეტარულ მწერალთა მასების ბოლშევიკური აღზრდის სკოლა.

ჩვენში შემოქმედებითი დისკუსია საფუძვლიანად ჯერ კიდევ არ გაშლილა. აქამდე წარმოებული შემოქმედებითი დისკუსია დაშორებული იყო კონკრეტულ მხატვრულ პრაქტიკას, კონკრეტულ ამოცანებს, რომელსაც პროლეტარულ ლიტერატურის წინაშე აყენებს სოციალისტური მშენებლობის ახალი პერიოდი.

შემოქმედებითი დისკუსიის ახალ ეტაპზე უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს კონკრეტულ მხატვრულ პარქტიკას, შემოქმედებითი ამოცანები მტკიცედ უნდა დაუკავშირდეს სოციალისტური მშენებლობის ამოცანებს, უნდა ავამაღლოთ დისკუსიის თეორეტიული დონე.

როდესაც შემოქმედებითი დისკუსიის გაშლაზე ვლაპარაკობთ, აქ ბუნებრივად ისმება საკითხი შემოქმედებითი ჯგუფების არსებობის შესახებ პროლეტარულ მწერლობაში.

პროლეტარულ მწერლობას აქვს თავისი შემოქმედებითი გეზი, რომელიც გამოთქმული იყო მთელ რიგ დოკუმენტებში და რომელიც მთლიანად ემყარება პარტიის ლიტერატურულ-პოლიტიკურ ხაზს. ამ ხაზის ფარგლებში არა თუ შესაძლებელია, არამედ აუცილებელია შემოქმედებითი ჯგუფების არსებობა, რომელიც გამოხატავს პრო-

ლეტარული მწერლობის მისწრაფებას სხვადასხვა გზებით დაეუფლონ დიალექტიურ-მატერიალისტურ შემოქმედებითი მეთოდს. რამდენათ მეტი იქნება ასეთი შემოქმედებითი ჯგუფები, იმდენათ უფრო საინტერესოდ და საქმიანად გაიშლება შემოქმედებითი დისკუსია, იმდენათ ადრე დაიპყრობს პროლეტარული მწერლობა ჰეგემონიის სიმაღლეებს.

როგორი მდგომარეობა გვაქვს ჩვენ ამ მხრივ საქართველოში?

სამწუხაროდ, ჩვენში არც ერთი შემოქმედებითი ჯგუფი აო არსებობს.

რით უნდა ავხსნათ ეს გარემოება?—ამის ახსნა ჩვენ არ შეგვიძლია იმით, რომ შემოქმედებითი მეთოდი ერთნაირია მთელი თავისი ნიუანსებით ყველა პროლეტარული მწერლისათვის, ან იმით, რომ იმდენად სრულად დაეუფლეთ დიალექტიური მატერიალიზმის შემოქმედებითი მეთოდს, რომ არ არის ჩვენს რიგებში შემოქმედებითი უთანხმოებანი. შემოქმედებითი ჯგუფების უყოლობა ამტკიცებს ჩვენს სუსტ განვითარებას. რამდენათ მეტი შემოქმედებითი ჯგუფები იქნება, იმდენათ მეტად გამოჩნდება პროლეტარული ლიტერატურის მრავალფეროვნება, მისი სიძლიერე.

ამ ხაზით ჩვენი შემდგომი გადახილისება, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება იმაში, თუ რამდენათ ფართოდ გავშლით შემოქმედებითი დისკუსიის ტემპებს, რამდენათ მაღალ დონეზე იქნება ის აყვანილი და რამდენათ მეტი შემოქმედებითი ჯგუფები ჩამოყალიბდება საქმიანი პროგრამით.

შემოქმედებითი საკითხებისადმი ყურადღების გაძლიერებით, შემოქმედებითი ჯგუფების შექმნით, შემოქმედებითი შეჯიბრების და შემოქმედებითი დისკუსიის გაშლით განიზომება პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის წარმოებითი გადახალისება.

საქ. პრ. მწერ. ასოციაციის ხელმძღვანელობამ შემოქმედებითი ჯგუფების არა პასიური რეგისტრაცია უნდა აწარმოოს, არამედ ყოველნაირად ხელი შეუწყოს, უხელმძღვანელოს მათ ჩამოყალიბებას. ასოციაციის ხელმძღვანელობა არ უნდა მოითხოვდეს მათგან პროგრამას. შემოქმედებითი ჯგუფების მუშაობა შემოწმებული უნდა იქნას, უპირველეს ყოვლისა, მათი მხატვრული პროდუქციით.

კონკრეტული კრიტიკის გარეშე ჩვენ ვერ გავშლით შემოქმედებითი დისკუსიას. იმისათვის, რომ გავაუმჯობესოთ კონკრეტული კრიტიკა, აუცილებელია მოვახდინოთ კრიტიკული კადრების დათვალიერება. უნდა ავსწიოთ ჩვენი კრიტიკოსების თეორეტიული დონე, რათა ისინი სრულიად დაეუფლონ დიალექტიურ მატერია-

ლიზმს, ლენინის მემკვიდრეობას, რათა მათ მტკიცეთ იბრძოლონ ბოლშევიკური პარტიულობისათვის.

პროლეტ-ლიტერატურული მოძრაობის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს კოლექტიურობა და მასიურობა მუშაობაში. ეს, სხვათაშორის, ნიშნავს იმასაც, რომ ყოველი პროლეტარული მწერლის გამოცდილება უნდა გადაეცეს მთელ ასოციაციას. მაგრამ აქამდე ეს ასე არ ხდებოდა. აუცილებელია თვითეული ამხანაგის გამოცდილება მთელი ორგანიზაციის საკუთრებათ გახდეს. უნდა მოვახდინოთ გამოცდილებების გაზიარება, გამოცდილების ყველასათვის გაცნობა.

როდესაც ვლაპარაკობთ მუშაობის მასიურობაზე, ეს ნიშნავს აგრეთვე მტკიცე, ცოცხალ კავშირს მშრომელ მასებთან. აქამდე ამ მიმართულებით ჩვენ ძალიან ცოტა გვაქვს გაკეთებული. უფრო მეტი კავშირია საჭირო მუშებთან, კოლმეურნეებთან, უფრო მეტად უნდა დაუახლოვდეთ წარმოებას, კოლმეურნეობას.

მტკიცე კავშირი უნდა ვიქონიოთ იდეოლოგიური ფრონტის სხვა სფეროებთან, უფრო მტკიცე კონტაქტი უნდა ვიქონიოთ მათთან. კერძოთ, აუცილებელია ასოციაციის მუშაობაში აქტიურად ჩავაბათ ფილოსოფიური კადრები.

ასოციაცია აქამდე სუსტ ყურადღებას აქცევდა ხელოვნების სხვა სფეროებს. პროლეტარული მწერლობის გავლენა თითქმის არ იგრძნობა ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში, როგორიც არის თეატრი, კინო და სხვ. ამ სფეროებთან პროლეტარული მწერლობის კავშირი შემთხვევითია. ეს დაუშვებელია. უნდა დავეხმაროთ ხელოვნების მთელ ფრონტს.

ახალი სახით უნდა დაისვას დამკვრელ მუშებთან მუშაობის საკითხები. აქ უკვე აღარ არის საკმარისი ზოგადი დეკლარაციები. ასოციაციამ უნდა გაშალოს იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა მწერლობაში გაწვეულ დამკვრელ მუშებთან.

ასოციაციამ უნდა აიღოს ინიციატივა, რათა ჩვენში შეიქმნას კოლმეურნე-პროლეტარულ მწერლების კავშირი.

უნდა გავაძლიეროთ საბჭოთა მწერლობის ფედერაციის როლი, რომელსაც ჩვენ ვიხილავთ, როგორც დიდი მნიშვნელობის ორგანიზაციას. გადახალისება, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, საბჭოთა მწერლების ფედერაციასაც უნდა შეეხოს.

პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია, როგორც ხელმძღვანელი ორგანიზაცია, პასუხს აგებს მთელი საბჭოთა ლიტერატურის გარდაქმნისათვის.

ჩვენი ლიტერატურული პოლიტიკის აუცილებელ პირობას წარმოადგენს უფრო მეტი მუშაობა თანამგზავრებთან და მოკავშირეებთან. მათ წინაშე ჩვენ უნდა დავსვათ მთელი სიფართოვით და კონკრეტულად მხატვრული შემოქმედების მეთოდის საკითხები და მათ საფუძველზე აღვზარდოთ ისინი. ამ ნიადაგზე უნდა მოვახდინოთ მათში დიფერენციაცია, შემოქმედებითი დანაწილებანი. ამავე დროს შემოქმედებითი დისკუსიის გაშლის საფუძველზე შესაძლებლობა მოგვეცემა უფრო სასტიკი ბრძოლა ვაწარმოოთ ანტითანამგზავრულ ტენდენციების წინააღმდეგ.

აქამდე ჩვენ მრავალ ამხანაგისაგან გვაქვს მარქსისტულ-ლენინური ცოდნის დაუფლების დაუფასებლობა. კითხვაზე „თუ რატომ არ სწავლობს"—გიპასუხებენ: „არ მცალია", „არაა საჭირო", „ისედაც იოლად გავდივარ". ეს არ არის სწორი. მარქსისტ-ლენინურ მოძღვრების საფუძვლიან შესწავლის და შეთვისების გარეშე პროლეტარული მწერლები ვერ წავლენ წინ. ყოველ მიზეზს გარეშე უნდა დავიუფლოთ მარქსისტულ-ლენინური თეორია. კარგათ უნდა გვახსოვდეს სტალინის სიტყვები „პრაქტიკოსების მისწრაფება—თავი დააღწიონ თეორიას ეწინააღმდეგება ლენინიზმს და დაკავშირებულია დიდ საშიშროებასთან საქმისათვის".

ჩვენ გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს პროლეტარულ მწერალთა კადრების ბოლშევიკური აღზრდა მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე.

პარტია ყოველთვის და მით უფრო მიმდინარე ეტაპზე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მასების პარტიულ-ბოლშევიკურ აღზრდას (ც. კ. დადგენილება, პოსტიმევის სიტყვა და სხვა). ეს პრ. მწერლობასაც შეეხება. ჩვენც კარგათ უნდა გავითვალისწინოთ ის ვალდებულებები, რომელიც გვეკისრება პროლეტარულ მწერლობის პარტიულ-ბოლშევიკური აღზრდის საქმეში.

ჩვენი მუშაობის სისტემაში უნდა შევიდეს საწარმოო თათბირები. რა ამოკანებს ისახავს საწარმოო თათბირები?—იგი წარმოადგენს მნიშვნელოვან საშუალებას შემოქმედებითი დისკუსიის ჩასატარებლად და ნამდვილ შემოქმედებითი დიფერენციაციისათვის; საწარმოო თათბირი შეიცავს კოლექტიურ მუშაობის ახალ ფორმას. ის არის სერიოზული საშუალება შემოქმედებითი სფეროში ყოველი სახის დიდკაცურ-მეშჩანური განწყობილებების წინააღმდეგ საბრძოლველად; ის არის შემოქმედებითი გამოცდილების გაცვლა-გამოცვლის საუკეთესო ფორმა, ამა თუ იმ შემოქმედებითი შეცდომის, ხაკლოვანების მითითების საშუალება. საწარმოო თათბირი ხელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

უწყობს სწორი შემოქმედებითი გზის დასახვას და ბრძოლას მარქსიზმ-ლენინიზმის მეთოდის დასაპყრობად.

საქ. პრ. მწ. ასოციაციამ უნდა გააძლიეროს კავშირი კომკავშირთან, უნდა ჩაებას კომკავშირული ლიტერატურის დათვალიერებაში, ამავე დროს კომკავშირული კადრები ფართოდ უნდა ჩაებან ასოციაციის ხელმძღვანელ მუშაობაში.

ასოციაციის ხელმძღვანელობამ უნდა გააძლიეროს მაქსიმალურად კავშირი ასოციაციაში შემავალ ცალკეულ სექციებს, ავტონომიურ ოლქებსა და რესპუბლიკებს შორის, მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებთან ურთიერთ შორის მოხსენების გაკეთებით, ურთიერთ ნაწარმოებების განხილვით, შემოქმედებითი გამოცდილების გადაცემით. ასოციაციის მუშაობაში უდიდესი ადგილი უნდა დაეთმოს პროლეტარულ მწერლების ინტერნაციონალურ აღზრდას.

მასიური მუშაობის ხაზით ჩვენს წიგნაში სდგას ასეთი ამოცანები: მუშაობა მკითხველთან და ბიბლიოთეკებში, მუშაობა იმისათვის თუ რა სახის მხატვრულ ლიტერატურას აწოდებენ სკოლებს.

ჩვენი ლიტერატურული წრეების მუშაობა წარმოებებში უფრო მეტად უნდა დაუახლოვოთ პროფკავშირებს.

უნდა მოვსპოთ ადმინისტრატიულობა და მბრძანებლობა, ხელმძღვანელობაში, პრაქტიკულ მუშაობაში უნდა ჩავაბათ მეტი ამხანაგები, უფრო მეტად დაუახლოვდეთ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებს.

მხოლოდ ასეთი გადახალისების საფუძველზეა შესაძლებელი ნამდვილი ბოლშევიკური კონსოლიდაცია ყველა პროლეტარული მწერლების, რომლებიც იბრძვიან პარტიის გენერალური ხაზისათვის ლიტერატურაში.

გადახალისების აუცილებელ პირობას წარმოადგენს ბრძოლის გაძლიერება პროლეტარულ ლიტერატურის ბოლშევიკურ პარტიულობისათვის. ლიტერატურა კლასთა ბრძოლის უდიდესი იარაღია, მასების კომუნისტური აღზრდის საშუალებაა. მიმდინარე ეტაპზე მხატვრული ლიტერატურის ეს პარტიული როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ იმათ წინააღმდეგ, ვინც ვერ აფასებს პროლეტარული ლიტერატურის ბოლშევიკურ პარტიულობას.

საქ. პრ. მწ. ასოციაციამ უნდა დაისახოს არა მარტო გარდაქმნის სწორი გზები, არამედ ამავე დროს უნდა აიღოს გარდაქმნის სათანადო ტემპები.

პარტია და მუშათა კლასი პროლეტარული მწერლობისაგან მოითხოვს ლიტერატურულ მაგნიტოსტროებს. პროლეტარულმა მწერლობამ უნდა მისცეს ის.

დ. ვოლსკი, ვ. ლუარსამიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სალიტერატურო კრიტიკის ბოლშევიკური პარტიულობისათვის

ჩვენი მიზანია—მოკლედ შევეხოთ ერთ-ერთი ლიტკრიტიკოსის—ამხ. პლატონ ქიქოძის—ოპორტუნისტულ გადახრებს და უხეშ ლიტერატურულ-პოლიტიკურ შეცდომებს; სამართლიანად წერდა ამხ. კ. გორდელაძე, რომ „მარქსისტულ-ლენინური კრიტიკის ამოცანას შეადგენს ამ შეცდომების ბოლომდე მხილება“ (იხ. ჟურნ. „ბოლშევიკი“ გვ. 75, № 1-2, 1932 წ.). დღემდე ამხ. პ. ქიქოძის ოპორტუნისტული გადახრები და შეცდომები არ არის გამომჟღავნებული და გაკრიტიკებული.

ზედმეტი არ იქნება, თუ ჯერ-ჯერობით სქემატურად მაინც შევეხებით ამხ. ქიქოძის პოლიტიკურ-ლიტერატურულ მოსაზრებებს, „პრატფორმებს“ და „პროგრამებს“. მოგვყავს უმთავრესად მხოლოდ ციტატები მისი ბროშურებიდან და წერილებიდან, ძალზე „მჭერმეტყველური“ და ფიზიკურად ხელშესახები ციტატები. უმთავრესად ვეყრდნობით მის წიგნს „ლიტერატურული საქართველო“ (1927 წ.).

საქართველოს ლენინური კომკავშირის ცეკას პლენუმის (1928 წ. 28 ივნისი) რეზოლუციაში ხაზგასმულია, რომ „ნაციონალისტური განწყობილებაა ზოგიერთ კერძო, თვით კომკავშირელ პოეტთა შორისაც კი (მაშაშვილი, ქიქოძე*)“. როგორც ვხედავთ, საქართველოს კომკავშირის ცეკას პლენუმს თავის დროზე ხაზი გაუსვია იმ გარემოებისათვის, რომ პროლეტარული მწერალი პლატონ ქიქოძე ნაციონალისტურ განწყობილებათა მატარებელია. შევეხოთ ამხ. პ. ქიქოძის ნაციონალისტურ განწყობილებებს და შეცდომებს.

ნაციონალური კულტურის გაგების საკითხში ქიქოძე მცდარ პოზიციაზე სდგას. უკეთესია სიტყვა თვითონ ქიქოძეს დავუთმოთ:

„ოქტომბრის რევოლუციამ,—წერდა ქიქოძე,—ქართველი მწერლების ძველ თაობას გამოაცალა მთავარი საფუძველი—ნაციონალიზმი. რევოლუციის შემდეგ გამოირკვა საქართველოს ადგილი „ჩვენ პლანეტაზე“, როგორც ერთ-ერთი სოციალისტური რესპუბლიკის, და ეს „ნაციონა-

---

*) იხ. ლევან ღოღობერიძე: „საქართველოს კომკავშირის მორიგი ამოცანები“, გვ. 90. სახელგამი, 1928 წ.

ლისტური თემა ამოიწურა". მაშ ასე: პლ. ქიქოძე 1928 წელს წერდა, რომ ქართველ ნაციონალისტურ მწერლებს წაერთვათ ნაციონალიზმი და ნაციონალისტური თემა ამოწურულია.

ნაციონალიზმი კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი გამომხატველი მოვლენაა. ქიქოძეს კი გამწვავებული კლასთა ბრძოლა კლასობრივ ზავად ეჩვენება. ქიქოძის დებულება მემარჯვენე ოპორტუნიზმის გამოვლენას წარმოადგენს ჩვენს სალიტერატურო კრიტიკაში; ჩვენ კი ვიცით, რომ „კლასობრივი ბრძოლის გამწვავების საერთო ატმოსფერო შეუძლებელია არ იწვევდეს ნაციონალური უთანხმოების ერთგვარ გამწვავებას" (სტალინი).

პ. ქიქოძე რომ ზოგჯერ ხელს აფარებდა ადგილობრივ ნაციონალიზმს, ეს შემდეგი ფაქტებითაც მტკიცდება: „ვაკელის იდეურად არარევოლუციონური ლექსი,—წერდა ქიქოძე,—ნაწილობრივ მაინც ჯანსაღ ემოციას იწვევს. ეს იმით აიხსნება, რომ ვაკელი აგებს ნაწარმოებს პათეტიურ საფუძველზე („ზელიმხანი") და განსაკუთრებული ძალავრი, მე ვიტყოდი, ცხოველური რიტმით ამუშავებს პათეტიურ ოდას (ლექსი აღმშენებლობაზე, ზაჰესს და სხ)... განსაკუთრებით კარგია იდეურადაც და ფორმალურადაც „ლექსი აღმშენებლობაზე".

ამ მეთოდოლოგიური დაბნეულობის, იდეურობისა და ემოციურობის მომხრეების მექანისტური დაცილების ფოკუსი ისაა, რომ ქიქოძეს სურს ა. ვაკელის ნაციონალისტური ხასიათის ლექსები იდეურად გაამართლოს! ჩვენ ვიცით, რომ ი. ვაკელი გასულ წლებში „საერთოდ" უმღერდა საქართველოს ინდუსტრიალიზაციას, ვაკელი უგულებელყოფდა ამ ინდუსტრიალიზაციის სოციალისტურ ბუნებას; ქიქოძეს არაფერი არა სთქვა ვაკელის ლექსების ერთი რგოლის („ზაჰესს", „ლექსი აღმშენებლობაზე", „ზელიმხანი" და სხ.) ნაციონალისტურ ხასიათზე და, დაკმაყოფილდა რა ამ ლექსებში „ცხოველური რიტმის", „ჯანსაღი ემოციების" და „პათეტიურობის" აღნიშვნით, ლექსების აღნიშნული რგოლი იდეურადაც გაამართლა. თუ როგორ „ებრძვის" პ. ქიქოძე ადგილობრივ ნაციონალიზმს, ეს დამატებით იმითაც მტკიცდება, რომ ამხ. კარლო კალაძის ნაციონალისტური ლექსების („ტფილისი", „ნახტომი გულიდან" და სხ.) მიზანდასახულობას მან ნიღაბი ჩამოაფარა, როცა წერდა: „კ. კალაძე ფარდას ხსნის ახალ ადამიანში კომუნისტური ინტერნაციონალიზმის შოვინიზმთან ბრძო-

ლისას", ფაქტიურად კი კ. კალაძის მოცემული ლექსები ქართული ნაციონალიზმის გააქტიურების შტანგი იყო.

„ორიგინალური მოაზრეა" პლ. ქიქოძე! მის წერილებში უხვადაა გაბნეული „მარქსისტული" ფორმულირობები! ვიქონიოთ მოთძინება! „...ორი მთავარი ხაზით უნდა წავიდეს ჩვენი ფორმალური ძიება,—წერს ქიქოძე:—პროლეტარულითა და ნაციონალურით. ეს ორი ცნება ამ შემთხვევაში არ ეწინააღმდეგება ერთიმეორეს... საქართველოს პროლეტმწერლობა პროლეტარული შინაარსისა და ნაციონალური კოლორიტის პროლეტარულ ფორმასთან სინთეზის გზით უნდა განვითარდეს" (იხ. „ლიტერატურული საქართველო". გვ. 135).

ლენინური თვალსაზრისით ეროვნული კულტურა პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში შინაარსით სოციალისტურია, ფორმით—ნაციონალური. ამხ. ქიქოძე კი, „მემარცხენე" ბუვირალა ფრაზას („პროლეტარული ფორმა") ამოფარებული, ნაციონალური კულტურის ლენინური გაგებას რევიზიას უკეთებს, როცა მოითხოვს „პროლეტარული შინაარსის" პლუს „ეროვნული კოლორიტის" სინთეზს „პროლეტარულ ფორმაში". ესაა არა ბოლშევიზმის, არამედ ე. წ. „სოციალისტური ნაციონალიზმის" (ყოფ. ფედერალისტის სერგო ამაღლობელის თვალსაზრისი—ავტ.) პოზიცია ეროვნული კულტურის გაგების საკითხში.

„რა არის ნაციონალური კულტურა პროლეტარიატის დიქტატურის დროს? ეს არის შინაარსით სოციალისტური, ხოლო ფორმით ნაციონალური კულტურა... სისულელე იქნება ვიფიქროთ, რომ ლენინს სოციალისტური კულტურა მიაჩნდა უერო კულტურად, ისეთ კულტურად, რომელსაც არ აქვს ესა თუ ის ნაციონალური ფორმა" (სტალინი). ესაა ნაციონალური კულტურის ცნების ლენინური გაგება. ქიქოძის „მოჩვენებითი ინტერნაციონალიზმი" და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშით ჟონგლიორობა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის უხეში დამახინჯებაა.

ელემენტარული მცოდნეობაა, რომ პროლეტარული მწერლობის შემოქმედებითი ძიება პროლეტარული ხაზით მიიმართება დიალექტიური მატერიალიზმის ბაზაზე. ამიტომ დილეტანტური განცხადება რაღაცა „ორ მთავარ" (პროლეტარული და ნაციონალური) ხაზზე, „ნაციონალურ კოლორიტზე", „პროლეტარულ ფორმაზე" და სხ. მეთოდოლოგიურად ეკლექტიზმია, მექანისტიციზმია. ქიქოძეს „ინტერნაციონალური" და „ნაციონალური" მექანისტურად, განყენებულად აქვს წარმოდგენილი; ქიქოძეს ვერ გაუგია, რომ პროლეტარულ-ინტერნაციონალური ნაციონალურში უნდა მოიცეს,

„ნაციონალური“ პროლეტარული შინაარსის გამოვლენის ფორმაა. ქიქოძის აღნიშნული დებულება პროლეტარულ მწერლობაში ნაციონალიზმის დაშვებისათვის ნიღაბაფარებული საქმიანობაა; პროლეტარულ შინაარსთან „ნაციონალური კოლორიტის“ ეკლექტიურ „შედ[illegible]ლებას“ (ქიქოძეს მატერიალისტური დიალექტიკა წინაღმდეგობათა შერიგებად ესმის) პროლეტარულ ინტერნაციონალიზმთან არაფერი აქვს საერთო.

ამიტომაა, რომ „ნაციონალური კოლორიტის“ ენტუზიასტი ქიქოძე კარლო კალაძის და იონა ვაკელის ნაციონალისტური და ეროვნული მთლიანობის იდეოლოგიის შემცველ ლექსებში („ძახილი აღმოსავლეთს“, „ტფილისი“, „ნახტომი გულიდან“, „ზაჰესი“, „ლექსი აღმშენებლობაზე“, „ზელიმხანი“ და სხვ.) „ვერ“ ამჩნევს ეროვნული მთლიანობის იდეოლოგიის მოტივებს და ყოველი ნაციონალისტური ლექსი „ჯანსაღად“ ეჩვენება და „იდეურად“ სწორად!

ქიქოძე ნაწილობრივ ჩქმალავს ადგილობრივ ნაციონალიზმს, მან უგულებელყო ნაციონალიზმის საშიშროება. ამხ. ქიქოძე გაზ. „ახ. კომუნისტი“-ის ფურცლებზე კარლო კალაძის შესახებ წერდა: „კ. კალაძე ყოველთვის ცდილობდა ინდუსტრიალურ-რევოლუციონური თანმიმდევრობის რიტმი მოეცა წმინდა ქართული ლექსიკონის (იაკობ ხუცესის, საბასი, თუ კ. გამსახურდიას!?. წ. ავტ.), გამოთქმების, ეპიტეტების... საშუალებით... კალაძის ეროვნული მოტივები უთუოდ ლიტერატურიდან მოსდის და არა ცხოვრებიდან“ და ა. შ. ასეთ შემთხვევებში იტყვიან: კომენტარიები ზედმეტია!

როგორც ხედავთ, ქიქოძემ ადგილობრივი ნაციონალიზმის საშიშროება „დაივიწყა“, კარლო კალაძის ნაციონალისტური გადახრები ქიქოძეს კალაძეზე მხოლოდ კლასიკოსების იდეურ-მხატვრული ზეგავლენიდან გამოჰყავს! ქიქოძე აღტაცებულია კალაძის „ლაბორატორიული“ (ჩვენ გვგონია — რესტავრატორული. — ავტ.) მუშაობით „წმინდა ქართულ“ ლექსიკონზე და მხედველობიდან „ეპარება“ მას საერთოდ ენების დიალექტიური განვითარების პროცესი.

კლასიკოსებისადმი ამხ. ქიქოძის იდეურ-მხატვრული დამოკიდებულების საკითხი ხომ პირდაპირ მარქსიზმის ფალსიფიკაციაა, კულტურული მემკვიდრეობისადმი ლენინური დამოკიდებულების დამახინჯებაა. ქიქოძე წერდა: „კლასიკური და რევოლუციონური ლიტერატურა სოციალური ბრძოლის და ჯანსაღ იდეების განმასახიერებელი იყო. ილია ჭავჭავაძის და აკაკის ფორმა მონუმენტალურია და გამძლე. აკაკისაგან

პირველ რიგში შეიძლება სწავლა—იყო პოეტი გულწრფელი ლირიკის. ილიას პროზა ცხოვრების დიალექტიკის მაჩვენებელია და დღესაც გამოსაყენებელია რეალისტური ლიტერატურისათვის, მისი ბურჟუაზიული ლიბერალიზმის (?—ავტ.) გამოკლებით, პროლეტარული ლიტერატურა საკუთარი ფორმების დამუშავების პროცესში უმთავრესად კლასიციზმით უნდა წავიდეს" (იხ. „პროლეტ-ლიტერატურისათვის", გვ. 47).

მაშასადამე, ამხ. ქიქოძის გაგებით კლასიკური მწერლობა (მაგ. ილია ჭავჭავაძე) „ჯანსაღი იდეების განმასახიერებელი" ყოფილა, ილიას ბელეტრისტული პრაქტიკა „ცხოვრების დიალექტიკის მაჩვენებელია", ილია „ბურჟუაზიული ლიბერალიზმის" მთავარი წარმომადგენელია და პროლეტარული მწერლობის შემოქმედებითი ძიება „კლასიციზმით უნდა წავიდეს".

ამხ. ფ. მახარაძე კი წერდა: „თქვენ ხედავთ, თუ როგორი მჭერმეტყველებით და თავგამოდებით იცავს ი. ჭავჭავაძე პატრიარქალურ-ფეოდალურ წესწყობილებას, ე. ი. არსებითად თავად-აზნაურობას და მის ინტერესებს. მართალია, ისტორიული განვითარების ლოგიკა დაუნდობლად აქარწყლებდა ყველა მის წამოყენებულ დებულებას, მაგრამ ამას იგი თითქო ვერც კი ამჩნევდა".

ამ მარქსისტულ-ლენინური აქსიომის შემდეგ გამოდის ამხ. ქიქოძე და პათეტიკურად წერს, რომ ილია ჭავჭავაძის „პროზა ცხოვრების დიალექტიკის მაჩვენებელია"!? „ი. ჭავჭავაძე იმიტომ იყო ძლიერი, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ცენტრში იდგა". (იხ. „შემოქმედება თუ თვითმკვლელობა", გვ. 35), ან: „ქართული წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენცია ცნობილია რევოლუციონური წარსულით"...—(იხ. „პროლეტლიტერატურისათვის", გვ. 53) და სხვა.

ამხ. ქიქოძის გაგებით: 1. ილია „ბურჟუაზიული ლიბერალიზმის" წარმომადგენელია, ე. ი. ჭავჭავაძე იბრძოდა ბატონყმობის ინსტიტუტის წინააღმდეგ. 2. ი. ჭავჭავაძე, რომლის ყველა დებულებას „ისტორიული განვითარების ლოგიკა დაუნდობლად აქარწყლებდა" (ფ. მახარაძე), საზოგადოებრივი ცხოვრების დინამიკისა და დიალექტიკის მაჩვენებელი ყოფილა, ილია „საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ცენტრში" მდგარა (ს. ხუნდაძის ფედერალისტური დებულებებია—ავტ.) და ა. შ. ყველა ამას თუ

იმასაც მივუმატებთ, რომ ამხ. ქიქოძის გაგებით მთელი ქართული წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენციარევოლუციური წარსულის მქონეა და სხვ. (ალბათ, ამიტომ წერდა ქიქოძე, რომ რეაქციონერი და ფეოდალი, მონარქისტი და ექსპლოატატორი მწერალი ილია ჭავჭავაძე ბურჟუაზიული ლიბერალიზმის წარმომადგენელია და არა „პატრიარქალურ-ფეოდალურ წესწყობილების“ (ფ. მახარაძე) დამცველი, რომელიც, თურმე იმავე ქიქოძის დამოწმებით, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ცენტრში მდგარა),—ადვილი გასაგებია, რომ ქიქოძის მოსაზრებათა რგოლი მარქსიზმ-ლენინიზმის ფალსიფიკაციაა.

ამხ. სტალინის ისტორიული მნიშვნელობის წერილი უმთავრესად კონტრ-რევოლუციური ტროცკისტული კონტრაბანდის და დამპალი ლიბერალიზმ-ს წინააღმდეგაა მიმართული. მაგრად უნდა დავკრათ კონტრ-რევოლუციურ ტროცკისტულ კონტრაბანდას და სხვ. უნდა მხილებულ იქნას ტროცკისტული და მომენშევიკო მოსაზრებანი პროლეტარული სალიტერატურო კრიტიკის შიგნით.

თუ რამდენად მომენშევიკო და ნახევრად ტროცკისტული მოსაზრებების და დებულებების პროპაგანდას (ხშირად ორაზროვნად, „მხატვრული“ შედარებების, „ორიგინალური“ ანალოგიების და „პოლემიკური“ ხერხების გზით) აწარმოებდა წლების განმავლობაში ამხ. ქიქოძე, ამას მიაი ბროშურა—წერილებიდან მოყვანილი ამონაწერები ლაადებენ. პლატონ ქიქოძის გაგებით:

1. „და თუ ამდენხანს ჩვენი მწერლობა პროლეტარული იდეების მწერლობა იყო, ეხლა პროლეტარული მკითხველის მწერლობად უნდა გახდეს, ე. ი. იდეური საზომი ხელმძღვანელობასთან ერთად საჭიროა მკითხველის ხელმძღვანელობაც“.

2. „ამ მწერალთა ყრილობის შემდეგ (ლაპარაკია საქ. მწერალთა 1-ელ ყრილობაზე—ავტ.) ჩვენ შევედით მწერლობაში კლასთა ბრძოლის სულ ახალ სტადიაში. აღარ არსებობს აშკარად და პოლიტიკურად ანტისაბჭოთა პარტიების დამხმარე მხატვრული მწერლობა... ჩვენში მოისპო აშკარა ანტისაბჭოთა გაერთიანებული ლიტერატურული ფრონტი, მაგრამ ძალაში რჩება და მოქმედობს პროლეტარული მწერლობის მოპირდაპირე მხატვრული მწერლობა. გამომდინარე აქედან, ჩვენ უნდა მოველოდეთ პოლიტიკურ რეციდივებსა და დაბრუნებებს... ანტისაბჭოთა ლიტერატურული ფრონტი განიარაღებუ-

ლია და დღეს ლიტერატურული რეაქციის ძალები ნეიტრალიზაციაქმნილია“ (იხ. ჟურნ. „მნათობი“ № 10, 1927 წ.).

3. „პროლეტარული მწერალი უეჭველად უნდა იცნობდეს და „შესისხლხორცებული“ ჰქონდეს ჩვენი პარტიის იდეები და საქმე, მაგრამ ესეც აღარ არის საკმარისი! საჭიროა ამ საერთო და დიდი იდეების ფარგლებში მწერალს მოეპოებოდეს საკუთარი, ახალი, საერთო იდეებთან შეთანხმებული კონკრეტული და მებრძოლი აზრები და განწყობილებები, რათა ამ იდეების აქტუალურ მხატვრულ ფარგლებში ჩამოყალიბებით ეკვეთო (sic!. — ავტ.) მკითხველს და შენივე საზოგადოებას ბრძოლით, ამ „შენი“ მხატვრული აზრის თავზე „ძალით“ მოსახვევად, პროლეტარულმა მწერალმა უნდა აიწიოს ხმა, დადგეს შესაფერ სიმაღლეზე, მოქალაქეობრივი უფლებები აღადგინოს და ეკვეთოს მკითხველს“.

4. „ლიტერატურამ დაჰკარგა აქტუალური საზოგადოებრივი მნიშვნელობა, რომელიც მეცხრამეტე საუკუნეში გააჩნდა მას“ (იხ. „ლიტ. საქართველო“, გვ. 22) ან: „და თუ ბურჟუაზიული ლიბერალიზმის (ი. ჭავჭავაძე) (ისევ ხუნდაძის გადამღერება წ.—ავტ.) ლიტერატურა კლასობრივი ბრძოლის ობიექტი და იარაღი იყო, მეოცე საუკუნეში იგი არასაზოგადოებრივ მოვლენად იქცევა. ლიტერატურის საზოგადოებრივად მომქმედი მხარე პოლიტიკურ პარტიათა მოშაირეებს (?—ავტ.) დაეთმოთ“ (იხ. „პროლეტ. ლიტერატურისათვის“, გვ. 31).

5. „... ახლა სწარმოებს მასების ფსიქოლოგიის დასაპყრობად ბრძოლა ლიტერატურაში და ამ შედარებით „უვნებელ“ (?) ფრონტზე ჩვენმა პარტიამ მეტი თავისუფლება მისცა არაკომუნისტურ განწყობილებათა გადმოსალაგებლად“ (იხ. „ლ. ს.“, გვ. 156), ე. ი. ტერმიდორი—წ. ავტ.

ან „ავტორი (მხედველობაშია მიხ. ჯავახიშვილი, რომელსაც ქიქოძე თანამგზავრად სთვლიდა—ავტ.) საკუთებით მართალია, რომ რევოლუციით კულაკი ხშირად სარგებლობს და ხშირად (?—ავტ.) ეპატრონება კიდევაც რევოლუციის მონაპოვარს“ (იხ. „ლ. ს.“, გვ. 188) (ისევ ტერმიდორი—ავტ.).

6. „მაგრამ დღეს რევოლუციის და გაჭირვებათა ქარიშხლიანი დღეები დროებით შეჩერებულია. შედარებითი სიწყნარეა, აღარ არის ძლიერი ეკონომიური კრიზისი და პოეტს თა-

ვისუფლად შეუძლია ისეირნოს კოჯორში, შეუძლია გამოიციალოს კოსტუმი, ტუალეტი და გაიპუდროს“ (იხ. „ლ. ს.“, გვ. 15).

„დიდებულია!“ პროლეტარულმა კრიტიკოსმა ქიქოძემ პროლეტარული რევოლუციის საფეხური (ნეპ) კოჯორში სეირნობად, კოსტუმის, ტუალეტის და... პუდრის დიქტატურის პერიოდად განსაზღვრა, ე. ი. უობივატელესი და ნახევრად ტროცკისტული დამოკიდებულება გამოამჟღავნა ნეპისადმი. ამბ. ქიქოძის გაგებით, ნეპი „კანცელარულობის“ და „ბიუროკრატიზმის“ პერიოდი ყოფილა, თურმე ამ „მჭელ დღეებში“ ფეხს იმაგრებს „ობივატელობა“ და „წვრილმანი ანგარიშები“, „ენტუზიაზმს გონება ველარ აჩჩენევს, ეტუზიაზმი გონებას“ და... ერთი სიტყვით, ნეპი ობივატელშჩინა ყოფილა და საბჭოთა კალეიდოსკოპი! აი, ამბ. ქიქოძის მიერ შექმნილი ნეპის „სოციოლოგია,“ ნეპის ქიქოძისებური „სოციოლოგიური“ ფორმულა:

„ბევრისათვის რომანტიკა ძნელი საპოვნელია, წყნარი და მძიმე პერიოდია, კანცელარულობა და ბიუროკრატიზმი მართლაც მძლავრად უშვებს კლანჭებს, ფეხს იმაგრებს ობივატელობა და წვრილმანი ანგარიშები. ამ მჭელი დღეების ბურუსში და მტვერში მსხვერპლებით, მძიმე მსხვერპლებით წინ მიმავალ ქვეყანაში ენტუზიაზმს გონება ველარ ამჩნევს, ენტუზიაზმი გონებას. პერსპექტივას ჭკარგავენ და ხეებს იქით თითქოს აღარ სჩანს ტყე“ (იხ. „შემოქმედება თუ თვითმკვლელობა“. გვ. 29).

მოყვანილი ციტატები კონკრეტულად ამჟღავნებს ამბ. ქიქოძის ნახევრად ტროცკისტულ შეხედულებებს, რაც ასე ბლომადაა გაბნეული მის ბროშურებსა და წერილებში. პ. ქიქოძე საბჭოთა ხელისუფლების ბურჟუაზიული გადაგვარების (ტერმიდორი) ტროცკისტული ლაყბობის „ლიტერატურულ“ პროპაგანდას ეწევა, როცა 1927 წელს წერს, რომ საკ. კ. პარტიამ (ბ) იდეოლოგიის ფრონტზე გასაქანი მისცა ანტიპროლეტარულ იდეოლოგიას, რომ კულაკი ხშირად სარგებლობს პროლეტარული რევოლუციით და „ხშირად ეპატრონება კიდევაც რევოლუციის მონაპოვარს“, რომ ნეპი „წყნარი და მძიმე პერიოდია, კანცელარულობა და ბიუროკრატიზმი მართლაც მძლავრად უშვებს კლანჭებს, ფეხს იმაგრებს ობივატელობა და წვრილმანი ანგარიშები“ და სხ. მრ. ამიტომ შემთხვევითი არაა ის, რომ ქიქოძე საბჭოთა კავშირში კლასობრივი ბრძოლის გამახვილებას, კლასობრივი ბრძოლის ხელოვნურად გამწვავებას და განზრახ გაზვიადე-

ბას მოითხოვდა*). ამის ძირები პროლეტარული ხელისუფლების ტერმიდორული გადაგვარების ტროცკისტულ „ფილოსოფიაში“ და სოციოლოგიაში უნდა ვეძიოთ. აქედანვე გამომდინარეობს ის მოვლენა, რომ ამხ. ქიქოძე მეორეს მხრივ პროლეტარული მწერლობის კრიზისის ტროცკისტულ თეორიას ტროცკისტ ლელევიჩისაგან აქართულებდა და სხვ.

საერთოდ ამხ. ქიქოძე ხშირად ჩქმალავდა კლასთა ბრძოლას მწერლობაში, უგულებელყოფდა ენინშევიზმის ნაშთების აქტიურ საშიშროებას. ეს რომ ასეა, ამას დამატებით ქიქოძის შემდეგი ციტატაც ამტკიცებს: „იშვიათია ინტელიგენტის, თუგინდ პოლიტიკოსის ტიპი, — წერდა ქიქოძე, — რომელიც პოეზიით არ იყოს ატაცებული. მართლაც, მენშევიზმი პოლიტიკური პოეზია არის“. ქიქოძის დებულება — „მენშევიზმი პოლიტიკური პოეზიაა“, პროლეტარული მწერლობისათვის ლენინური პარტიის იდეები საკმარისი აღარაა, — მომენშევიკო პოზიციაა. სხვათაშორის, „სიბრძნის აფორიზმი“ — „...ეკამათო ს. დევდარიანს — ნიშნავს მისი „ფილოსოფიის“ ნახევრად მიღებას“ — ქიქოძის მიერაა წარმოთქმული. ქიქოძეს მართლაც ასე დაემართა, მან გაიზიარა ზოგიერთი ნახევრად მენშევიკური დებულება.

ამხ. ქიქოძე წერდა: „მენშევიზმის სამმა წელმა საბოლოოდ გახრწნა შოვინიზმის და პოლიტიკური რომანტიკის ნიადაგი. აქ იყო მწვერვალი კასტური უმიზნო ხელოვნების და მესაფლავის ბოჰემური პესიმიზმის“ (ის. „პრ. ლიტერატურისათვის“, გვ. 32).

ქიქოძის გაგებით, მენშევიზმი პოლიტიკური პოეზია ყოფილა! საქართველოში ჟირონდისტების დიქტატურის დროს, სოციალ-შოვინიზმის ტრიუმფის წლებში საბოლოოდ გახრწნილა შოვინიზმის ნიადაგი, მენშევიზმის დროს საქართველოში უმიზნო ხელოვნებას ჰქონდა ადგილი და სხ. საქართველო სომხეთის ომი, ოსეთის აწიოკება, გვარდიის თარეში აფხაზეთსა და აჭარისტანში, საერთოდ ეროვნულ უმცირესობათა მასობრივი დევნა — გარკვეულად მებრძოლი შოვინიზმის გააქტიურებაზე ლაპარაკობს, შოვინიზმის ნიადაგის გახრწნაზე კი არა, არამედ შოვინიზმის ნიადაგის გამაგრება-გაძლიერებასა და ზოოლოგიურ გაახვილებაზე. ცნობილი ავანტურისტის და „დემოკრატიული“ ხერონის ჯულელის დღიური: „მძიმე ჯვარი“ და ყარიბის „წითელი წიგნი“ შოვინიზმის განმტკიცებისა

*) ამხ. ქიქოძე წერდა: „სულ სხვა ფორმებში, ვიდრე ვინეთ, მაგრამ მაინც (sic! — ავტ.) სწარმოებს კლასობრივი ბრძოლა ჩვენში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ზრდის საუკეთესო ლიტერატურული დოკუმენტია. თუ ქიქოძისათვის ოდები ნოე „აღმაშენებელ“—ჟორდანიას, „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“, ლექსების კრებულები „ვარდია გვარდიაზე“, ქართველი ერის რასიულ უპირატესობაზე, ქართულ მესიანიზმზე და „ზღვიდან ზღვამდე დიდ საქართველოზე“ (ისევე, როგორც დამნაკური მაუზერიზმის ლიტერატურა „ნაირის ქვეყანაზე“, ან მუსავატური აზერბაიჯანის პანთურქისტული მწერლობა) „უმიზნო ხელოვნებაა“,—მაშინ საკითხავია, როგორია მიზნური ხელოვნება?

პ. ქიქოძემ თავი გამოამჟღავნა, როგორც ვორონშჩინის ეპიგონმაც. სიტყვა პლ. ქიქოძეს ეკუთვნის:

„იქ უნდათ შრომით დაღლილებმა ესთეტიკით დაისვენონ“. „ყოფას უყვარს ლექსის რომანტიული ფორმა“. „პროზის მწერალს რილიზმით შეუძლია წინსვლა“. „პოეტი მხოლოდ ერთ-ერთი ეპიზოდის შემთხვევითი, არასრული, განცვიფრებული გამვლელია“ (?ავტ.) „შეცდომა იქნებოდა გვეთქვა, თითქოს პრ. მწერლისათვის არარსებობდეს მწუხარება, ინდივიდუალიზმის პრობლემა“. „მხატვრული მწერლობის სპეციფიურობა უმთავრესად იმაში დგომარეობს, რომ მწერალი ესთეტიკურად აზროვნებს, რომ იგი ესთეტიკურ ემოციებში განიცდის სამყაროს და ცხოვრებას“. „იაფი „იდეების“ წინააღმდეგ ჩვენც ვილაშქრებთ, მოქ. ს. დევდარიანო, ჩვენც მოპასანთან, ლუნაჩარსკისთან, ლ. ტოლსტოისთან, პლეხანოვთან ერთად ვიმეორებთ, რომ ყოველი მხატვრული ნაწარმოები, შემოქმედის პოემა ნაგრძნობი, სისხლით დაწერილი უნდა იყოს. ჩვენც ვამბობთ მოპასანთან (ძალიან არ იმოწმებს მოპასანს!—წ. ავტ.) ერთად, რომ მწერალმა უბრალო რამეებზე წერით უნდა გაგვიტაცოს. ხშირად გაგვიმეორებია ბუხარინის დებულება, რომ ხელოვნება გრძნობათა განსაზოგადოებრივობის საშუალებაა, ტყვილად ხომ არ ვეძახით ხელოვნებას მსოფლშეგრძნობას და არა უბრალო იდეოლოგიას“, და მრავალი მსგავსი ქიქოძის ლიტერატურულ სამზარეულოდან.

ჩვენის გაგებით, პერევალის იდეოლოგიურ შემოქმედებითი პლატფორმით სათანადოდ უსარგებლნია პლ. ქიქოძეს და პერევალელის სახითაც გვევლინება. მსოფლშეგრძნობის და ე. წ. ქვეცნობიერი მოვლენების პრიმატი კომუნისტურ მსოფლმხედველობაზე (ქიქოძის გამოთქმით „უბრალო იდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლოგიაზე"), „სამყაროს და ცხოვრების ესთეტიურ ემოციებში განცდა", „სისხლით დაწერილი" პოემა და სხვ. ნაღდი პერევალიზმია, რასაც არაფერი აქვს საერთო „წერლობის რაობის ბოლშევიკურ გაგებასთან.

მართალია, ამხ. პ. ქიქოძე თავის შესახებ წერდა: „ჩემი ლიტერატურულ-პოლიტიკური შეცდომები საფუძველში „მომემარცხენო" ხასიათისაა (რაც, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ მე არ მაქვს სხვა ხასიათის შეცდომებიც"). მართალია, მას ჰგონია, რომ „მემარცხენე" შეცდომები „სიმპატიური" ხასიათისაა, მაგრამ ამხ. ქიქოძის ოპორტუნისტული გადახრები და პოლიტიკურ-ლიტერატურული შეცდომები არსებითად და ფაქტიურად ძირითადში და საფუძველში მემარჯვენე ხასიათისაა. „მემარჯვენე ოპორტუნიზმის ძირითადი უბედურება ის არის, რომ იგი კავშირს სწყვეტს კლასობრივი ბრძოლის ლენინურ გაგებასთან და წვრილ-ბურჟუაზიული ლიბერალიზმის თვალსაზრისამდე ქვეითდება" (სტალინი).

წვრილ-ბურჟუაზიული ლიბერალიზმი და წვრილ-ბურჟუაზიული რადიკალიზმი ერთ წერტილში ურტყამს. ყოველი „მემარცხენე" შეცდომა მემარჯვენეში გადადის. „მემარცხენე" შეცდომების და ნახტომების მემარჯვენე ოპორტუნიზმში გადასვლის დიალექტიკის საუკეთესო ილუსტრაციაა ქიქოძის ლიტერატურულ-კრიტიკული საქმიანობა.

ამხ. ქიქოძე წერდა, რომ მას აქვს „სხვა ხასიათის შეცდომებიც" (იხ. მ. წ. გაზ. „კომუნისტი", № 37), მაგრამ „ვერ" მოახერხა მან თავისი „სხვა ხასიათის" გადახრებისა და შეცდომების მეთოდოლოგიური კლასიფიკაცია და პოლიტიკური კვალიფიკაცია. ეს შრომა ქიქოძეს ჩვენ ნაწილობრივ, მხოლოდ ნაწილობრივ უკვე შეეუმსუბუქეთ. ახლა საჭიროა თვითონ ამხ. ქიქოძე გამოვიდეს პრესაში თავისი ნამდვილი შეცდომების (და არა მხოლოდ მისთვის „სიმპატიური" შეცდომების!) გაშლილი ბოლშევიკური კრიტიკით; მთავარია — პოლიტიკურად გააზროს მან თავისი გადახრები და შეცდომები; აუცილებელია ყოველი გადახრისა და შეცდომის პოლიტიკური, ბოლშევიკურ-პარტიული კვალიფიკაცია; ყოვილ გადახრას და შეცდომას თავისი სახელი უნდა დაერქვას და მეთოდოლოგიური ბაზა გამოენახოს. მოცემულ შემთხვევაში „ფ[illegible]ევდონიმი" დაუშვებელია და ძავნე.

დროა—გამოაშკარავებულ და გამომჟღავნებულ იქნას ამხ. ქიქოძის ოპორტუნისტული გადახრები და შეცდომები! ნახევრად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტროცკისტულ, ნაციონალისტურ, პერევალის შეხედულებებს და ანარქო-„მემარცხენე“ ფრაზებს მუშათა კლასის რევოლუციურ იდეოლოგიასთან არაფერი აქვს საერთო.

გავაძლიეროთ ბრძოლა ორ ფრონტზე და გადახრებისადმი მოთმენითი დამოკიდებულების წინააღმდეგ—პროლეტარული ლიტერატურის ბოლშევიკური პარტიულობისათვის!

---

გოგი ლომიძე

# ნაციონალ-ფედერალიზმის ნამსხვრევების წინააღმდეგ

ამხ. სტალინის წერილმა „ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხების შესახებ“ გამოაცოცხლა იდეოლოგიური ფრონტი, დარაზმა პარტიულ მასების ყურადღება ტროცკისტული კონტრაბანდის და დამპალ ლიბერალიზმის საბოლოო განადგურების საქმეში. კონტრ-რევოლუციონურ ტროცკისტების და სხვა გაკოტრებულ ანტი-ბოლშევიკურ პარტიების იდეურ აგენტების გველივით შემოცოცვის ცდას ჩვენ უსასტიკესი ბოლშევიკური ცეცხლი უნდა დავახვედროთ. რუსეთში მარქსისტულმა აზროვნებამ ბევრ კონტრ-რევოლუციონერს ჩამოგლიჯა ტროცკისტული და სხვ. პირბადე. მარქსისტულმა ფრონტმა ლენინური სიმკაცრით შეუტია ყველა ჯურის ოპორტუნისტების, კონტრაბანდისტებს, ბოლშევიზმის დიად ისტორიის საძაგელ ფალსიფიკატორებს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჯერ კიდევ არ ცოცხლობენ პატარა რანგის და მოცულობის სლუკუკები, რომლებიც თავის ბნელი მოღვაწეობით წყალს ასხამენ მენშევიზმის წისქვილზე, ებრძვიან მარქსისტულ მეთოდოლოგიას.

საქართველოში უკვე დაძსხვრეულ სოციალ-ფედერალისტურ პარტიის იდეურ აგენტად ამხ. ს. ხუნდაძე უნდა ჩაითვალოს. ამხ. ფილიპე მახარაძემ სწორად ამხილა ს. ხუნდაძის ფედერალისტური თვალსაზრისი საქართველოს მე-60 წლების მოღვაწეთა შეფასების საკითხში. ჩვენი მიზანი არ არის უკვე გამოთქმულ აზრების განმე-

ორება, ჩვენ მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ ს. ხუნდაძის ნაციონალ-ფედერალისტურ კონცეპციის ახალ, ჯერ გაუკრიტიკებელ მხარეებზე.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ს. ხუნდაძე რუსეთში არსებულ სხვადასხვა ლიტერატურულ-იდეურ მიმართულებების ფალსიფიკაციის იშვიათ ნიმუშსაც იძლევა. ს. ხუნდაძე სწერს:

„1830 წლის შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტთან დაარსდა ორი წრე. ერთი განიცდიდა გერმანიის ფილოსოფიურ აზროვნების გავლენას, ხოლო მეორე—საფრანგეთის სოციალისტურ იდეებისას. ამ უკანასკნელების მეთაურები იყვნენ ჰერცენი და ოგარევი“. (იხ. ს. ხუნდაძე „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“ ტ. I. გვ. 7).

გამოდის თითქო რუსეთში სოციალისტურ იდეოლოგიის ბელადებათ, რომლებმაც თავის მოქმედების და ბრძოლის გეზი განსაზღვრეს სენსიმონის და ფურიეს ძოწინავე იდეებით. იყვენ ჰერცენი და ოგარევი. სხვანაირად შეუძლებელია ჰერცენის და ოგარევის მოღვაწეობით გავიგოთ „სოციალისტური იდეოლოგიის შემოჭრა“. მოკლედ, ძლიერ მოკლედ განვიხილოთ ჰერცენის და ოგარევის პოლიტიკურ-ეკონომიური პლატფორმა 30—40 წლებში, რომ ნათელი გახდეს ს. ხუნდაძის ანალოგიის მთელი სიყალბე და მისი აშკარა წინააღმდეგობა სინამდვილესთან. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ „სოციალისტ“ ჰერცენს და ოგარევს „ობშჩინა“,—ფეოდალურ-ნატურალურ მეურნეობების ეს საძაგელი ნაშთი,—მიაჩდათ კლასობრივ ბრძოლის და პროლეტარიატის, როგორც კლასის, წარმოშობის თავიდან აცილების საშუალებად. მათი აზრით „ობშჩინა“ იყო სოციალიზმის განხორციელების უშუალო და პირდაპირი გზა. ცხადია რომ „ობშჩინის“, როგორც სოციალიზმის განხორციელების აუცილებელ პირობის აღიარებით, უარყოფდენ კლასობრივ და პოლიტიკურ ბრძოლის წარმოების საჭიროებას. საერთოდ ჰერცენი და ოგარევი, იდგენ რა ჰუმანიზმის საფუძველზე, მოითხოვდენ კაცობრიობის მომავალ კეთილდღეობისათვის კლასთა შორის ურთი-ერთ თანამშრომლობის და ინტერესთა შეთანხმების პოლიტიკის წარმოებას. აი, ასეთი იყო მათი „რევოლუციონურ“ მოქმედების ლოგიკა, მათი ბრძოლის სტრატეგია და ტაქტიკა არსებულ ხელისუფლების წინააღმდეგ.

სად არის აქ სოციალისტური იდეოლოგიის და აზროვნების მირაჟიც კი? საიდან ან როგორ დაუკავშირა ს. ხუნდაძემ საფრანგეთის მოწინავე უტოპისტ-სოციალისტების მოძღვრება ჰერცენისა და

ოგარევის კონსერვატორულ კონცეპციას?! მაგრამ ქვევით იწყება ისტორიული სინამდვილის უფრო გაუგონარი ფალსიფიკაცია. პირდაპირ აღმაშფოთებელია, როდესაც ხუნდაძე მ. ბაკუნინს—სოციალ-ანარქიზმის ამ პირწავარდნილ ბელადს და იდეოლოგს, რომელსაც რამოდენიმე წლების განმავლობაში სასტიკად და დაუზოგავად ებრძოდა კ. მარქსი,— სოციალისტურ აზროვნების წამყვან და სტიმულის ბიმცემ ძალად აცხადებს. ს. ხუხდაძე ყვება, რომ:

> „ბაკუნინმა, ლავროვმა და ტკაჩოვმა, რომლებმაც გააგრძელეს ჰერცენის მიერ დაწყებული საქმე, 70 წლებში უტოპიური სოციალიზმი გარკვეულ რევოლუციონურ იდეოლოგიით შემოსეს და ამრიგად ახალი მიმართულება მისცეს ნაროდნიკულ მოძრაობას. ბაკუნინმა განავითარა ანარქისტული უტოპიზმი, ტკაჩოვმა—ბლანკისტური, ლავროვმა— ეკლექტიური“ (ს. ხუნდაძე ტ. I. გვ. 15).

ს. ხუნდაძის აზრით უტოპიურ სოციალიზმის გარკვეულ რევოლუციონურ იდეოლოგიაში გახვევა ნიშნავს მასში ანარქისტულ-უტოპიურ, ბლანკისტურ და ეკლექტიურ ელემენტების შეტანას. მაშასადამე, ამ სამი მომენტის სინთეზი პლიუს ნაროდნიკობა არის სოციალიზმი. კომუნისტ ხუნდაძეს რევოლუციონურ-სოციალისტური მსოფლმხედველობა წარმოდგენილი აქვს სამ ერთმანეთისადმი ძირითადშივე დაპირდაპირებულ პოლიტიკურ მიმართულებების კომპლექსად. სინამდვილეში არც ბაკუნინის, არც ლავროვის და ტკაჩოვის მსოფლმხედველობა არ ყოფილა გარკვეულ რევოლუციონურ იდეოლოგიით შემოსილი. სოციალისტური იდეების გარკვეულ რევოლუციონურ სამოსელში გახვევა ნიშნავს, ასე თუ ისე, მეცნიერულ კომუნიზმის პრინციპების პოზიციაზე დგომას, მარქსიზმის მეთოდით შეიარაღებას, ბრძოლას ამ მეთოდის მომხრეებისათვის საზოგადოებრივ საკითხებში. ს. ხუნდაძეს იქვე „დაავიწყდა“, რომ ტკაჩოვი, რომელსაც იგი განახლებულ სოციალისტურ მიმდინარეობის ერთ-ერთ მედროშეთ აცხადებს, არასდროს არ ყოფილა ნამდვილ სოციალისტურ აზროვნების წარმომადგენელი. ბ. კუზმინი სამართლიანად შენიშნავს, რომ ტკაჩოვი ნაწილობრივ იზიარებდა მარქსის მოძღვრების სოციოლოგიურ მხარეს, მაგრამ მეორეს მხრივ, რევოლუციონურ ბრძოლის შეფასებაში ვულგარულ პრიმიტივიზმის პოზიციაზე იდგა. მისი აზრით რევოლუციონურ ბრძოლაში მთავარი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა პროლეტარიატს, არამედ „რაზნოჩიხცულ“ ინტელიგენციის პატარა-პატარა ჯგუფებს. პ. ტკაჩოვს რევოლუციონური პროცესი მიაჩნია არა მუშათა კლა-

სის რევოლუციონურ მოქმედების თანდათანობითი განვითარების შედეგათ, არამედ შეთქმულებად. აი, ის ტიპიური, გულუბრყვილო და წვრილ-ბურჟუაზიული თვალსაზრისი, რომელსაც პ. ტკაჩოვი ასე მკვეთრად იცავდა მთელ თავის სიცოცხლის განმავლობაში.*)

მაგრამ ხუნდაძისთვის არ არსებობს ისტორიული ფაქტების რკინის ლოგიკა, მისთვის არ არსებობს ობიექტური სინამდვილის განვითარების დიალექტიკა.

ს. ხუნდაძე ქვევით არჩევს ან. ფურცელაძის სოციალურ პროექტების თეორიას და აყენებს იდეალისტურ დებულებას. მისი აზრით:

> „საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნა შესაძლებელია მტკიცედ განსაზღვრული მეცნიერული დასკვნების მიხედვით“ (იხ. ტ. I. გვ. 223).

ეს არის სწორედ იმ „რაციონალიზმის“ თეორიის გაშლილი აპოლოგეტიკა, რომელსაც ჩვენში პირველ ხანებში თავგამოდებით ქადაგებდა არ. ჯორჯაძე, ხოლო შ მდეგ ან. ფურცელაძემაც გაიმეორა. ს. ხუნდაძის აზრით ობიექტური სინამდვილის განვითარების და მოძრაობის კანონები თვით ადამიანის ბუნებაშია მოთავსებული. თითქო „სინამდვილეს ძოლოდ იდეები მართავენ“ (ჰეგელი). ხუნდაძეს არ ესმის, რომ „ჩვენი გონების მტკიცედ განსაზღვრული მეცნიერული დასკვნების მიხედვით“ არ შეიძლება ცხოვრების მთლიანი გარდაქმნა, რადგანაც ცხოვრებას (როგორც ობიექტს) აქვს სუბიექტისგან განსხვავებული განვითარების გზა და განსაკუთრებული კანონზომიერება. მეცნიერული დასკვნები კი არ მართავენ ობიექტურ სინამდვილეს, არამედ ხელს უწყობენ, ერთგვარ სტიმულს აძლევენ ობიექტურ პროცესის განვითარებას. სწორედ აქ ისმება საკითხი სუბიექტის როლის შესახებ ისტორიაში, რომელიც ასე უსწოროდ აქვს გაგებული ხუნდაძეს. ხაზგასმით შეგვიძლია ავღნიშნოთ, რომ სუბიექტ-ობიექტის ურთიერთ მიმართების არასწორი ტრაქტოვკა—„კრიტიკულად მოაზროვნე“ სუბიექტის როლის ფატალისტური გადიდება და ამ ნიადაგზე წარმოშობილი სუბიექტური იდეალიზმი არის კრიტერიუმი ცალკეულ პიროვნებების (ოგარევი, ჰერცენი, ი. ჭავჭავაძე, გ. წერეთელი და სხვ.) ასეთი გადიდების და მათი საზოგადოებრივ ცხოვრების რეფორმატორებად გამოცხადებისა. აქ თითქო იწყვიტება მთლიანი ჯაჭვი და ს. ხუნდაძე გამოდის არა ფედერალიზმის, არამედ სუბიექტურ იდეალიზმის მეთო-

---

*) დაწვრილებით ამის შესახებ იხ. „Очерки по истории русской критики“ т. II. გვ. 276.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოლოგიის დამცველად ჩვენში. მაგრამ, არა! ხუნდაძე დასრულებული ფედერალისტია, მონისტური ფიგურაა. ამაში დავრწმუნდებით ქართულ ფედერალიზმის წარმოშობის მხოლოდ ერთი თვალის გადავლებით. ცნობილია, რომ 1901 წელს სოციალ-ფედერალიზმის ბელადი არ. ჯორჯაძე არკვევდა ისტორიულ მატერიალიზმის მეთოდოლოგიას და ძირითად შეხედულებებს. არ. ჯორჯაძემ სინამდვილეში გააყალბა ისტორიული მატერიალიზმის თეორია, გამოაცალა მას აქტიური, თვითმოქმედებითი როლი და რაციონალიზმის გამოუვალ ჩიხში მოამწყვდია. არ. ჯორჯაძემ შეამჩნია, რომ ობიექტური რეალობა მოძრაობს არა თავისუფლების, არამედ აუცილებლობის კანონით. ამიტომ მან ობიექტური სინამდვილე გამოაცხადა უაზრობათ, მოითხოვა ამ სინამდვილის გარდაქმნის საქმეში „კრიტიკულად მოაზროვნე" ადამიანის ჩარევა. ამხ. ფილიპე მახარაძე, რომელიც მაშინ განშანადგურებელი კრიტიკით გამოვიდა, არ. ჯორჯაძის წინააღმდეგ, სწერდა:

> „ნუთუ თქვენ გგონიათ, რომ საზოგადოებრივ ცხოვრების პროცესი „აზრიანი" იქნებოდა, რომ „გონიერ ადამიანთა კრებულს"—ინტელიგენციას შესძლებოდა „თავის სურვილისამებრ" ამ ცხოვრების შეცვლა" *).

მაგრამ ხუნდაძე ჯორჯაძეზე უფრო შორს წავიდა. არ. ჯორჯაძის ჰიპოტეზას ს. ხუნდაძემ ძისცა უფრო გამოკვეთილი, რეალური სახე და ამით სოციალ-ფედერალიზმის გაკოტრებულ და დამსხვრეულ შეხედულებების რე ტავრატორის როლში გამოვიდა. ხუნდაძის მიხედვით არ არის საჭირო პროლეტარული რევოლუცია, კლასიური ბრძოლა, მთავარია, რომ შემუშავდეს „მტკიცედ განსაზღვრული მეცნიერული დასკვნები", რომელიც არსებულ ცხოვრებას ახალ ცხოვრებად გარდაქმნის და შეცვლის. აი, უმოკლესი გზა, აი, გზა უმცირეს წინააღმდეგობისა, რომელსაც ჩვენში ასე თავგამოდებით ქადაგებს ს. ხუნდაძე.

როგორც ცნობილია ს. ხუნდაძემ გამოუშვა სპეციალური მონოგრაფია ნ. ჩერნიშევსკის შესახებ. ხუნდაძე ისე, როგორც სხვაგან, აქაც ორტოდოქსალურად იცავს თავის ფედერალისტურ მეთოდოლოგიას და ძირითად შივე აყალბებს ჩერნიშევსკის როგორც პრაქტიკულ, ისე პოლიტიკურ მოღვაწეობას. ს. ხუნდაძე სინამდვილის ლავიროვკის მეთოდით, ყოველგვარ თეორიული საფუძვლისა და სათანადო ფაქტების მტკიცე ლოგიკის გარეშე, ჩერნიშევსკის მარქსიზმის ორტოდოქსალურ წარმომადგენლათ და იდეოლოგათ აცხა-

*) იხ. ფ. მახარაძე. ტ. VI. გვ. 62.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებს. ამით ს. ხუნდაძე ერთი მარცვ აყალბებს მის რევოლუციონურ ბუნებას, მეორე მხრით კი ჩქმალავს იმ სუსტ მხარეებს, რომელიც ჩერნიშევსკის გააჩნდა თავის თეორიულ მოღვაწეობაში. მთავარი და ძირითადია ნ. ჩერნიშევსკის ესთეტიკისადმი დამოკიდებულება. როგორ ესმის ხუნდაძეს ეს ძირითადი საკითხი? აი, რას სწერს იგი:

> „ნ. ჩერნიშევსკის ესთეტიკურ თეორიას უახლოესი კავშირი აქვს თანამედროვე პროლეტარულ მწერლობის შეხედულებებთან ესთეტიკისა და ხელოვნების დარგში“.*)

და შემდეგ:

> „ჩერნიშევსკიმ, მატერიალისტურ და უტილიტარულ-რეალისტურ აზროვნების შეტანით ლიტერატურის და კრიტიკის დარგში, მეტად დიდი როლი ითამაშა საზოგადოებრივ აზროვნების გამოფხიზლების საქმეში .**)

აი მთელი „ფილოსოფია“, რომელსაც ანვითარებს ს. ხუნდაძე ჩერნიშევსკის ესთეტიკურ მემკვიდრეობის გადაფასების საქმეში. ს. ხუნდაძის აზრით ჩერნიშევსკის ესთეტიკას უახლოესი კავშირი აქვს პროლეტარული მწერლობის შეხედულებებთან ესთეტიკაზე, თითქო ჩერნიშევსკის გააჩნია ესთეტიკაში მტკიცე თანამიმდევნური მატერიალისტური პრინციპი და ამგვარად მატერიალისტურ ესთეტიკის ერთ-ერთ მამამთავარს წარმოადგენს. ვერავინ ვერ უარყოფს იმ უდიდეს როლს, რომელიც ჩერნიშევსკიმ ითამაშა ხელოვნების ბუნების იდეალისტური ინტერპრეტაციის წინააღმდეგ. ჩერნიშევსკიმ 30—40 წლებში გაბატონებულ მემარცხენე ჰეგელიანელობას (კატკოვი, დუდიშკინი) განმანადგურებელი ლახვარი ჩასცა, მაგრამ ჩერნიშევსკი, როგორც დემოკრატი „რაზნოჩინეცი“. ბრძოლას იდეალისტურ ფილოსოფიისა და ესთეტიკის წინააღმდეგ ვერ აწარმოებდა მთლიანად და თანმიმდევრობით მატერიალისტურ „რეალისტურ“ ფილოსოფიის პოზიციებიდან. ჩერნიშევსკი, როგორც ფეიერბახის მოწაფე, ვერ განთავისუფლდა მთლიანად ფეიერბახიანელობის ბურუსიდან; პირიქით, მან განავითარა ფეიერბახის მცდარი შეხედულები, მისცა მათ დასრულებული და სრულყოფილი სახე.

რუსეთში 30—40 წლებში მემარცხენე ჰეგელიანელებმა, რომლებმაც შეაერთეს ჰეგელის იდეალიზმი და შელინგის მეტაფიზიკური ფილოსოფია, სასტიკი ბრძოლა გაუმართეს ხელოვნების უტილიტარულ გაგებას. „შეფობა ხელოვნებისა არის მეფობა აბსოლუტური სუ-

*) იხ. ს. ხუნდაძე „ნ. გ. ჩერნიშევსკი, მონოგრაფია“ გვ. 48.
**) იქვე გვ. 49.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისა“ (ჰეგელი)—აი, რა ლოზუნგის ქვეშ გაერთიანდენ მემარცხენე ჰეგელიანელები. ჩერნიშევსკიმ მემარცხენე ჰეგელიანელების იდეურ-ფილოსოფიური პოზიციები ძირითადში დაამსხვრია; მაგრამ მან იდეალისტურ დუალიზმს—„ხელოვნება და ცხოვრება“ დაუპირისპირა ასევე თვით დუალიზმი „ცხოვრება და ხელოვნება“. ამით ჩერნიშევსკიმ ხელოვნება გამოთიშა ცხოვრებისგან, დააყენა იგი ცხოვრების მიღმა.

ჩერნიშევსკის დაავიწყდა, რომ თვით ხელოვნებაც არის ერთგვარი მყოფობა, რომ ხელოვნება შემეცნებას წარმოადგენს, ამიტომ საჭიროა ხელოვნებასა და ცხოვრებას შორის მთლიანობის გამონახვა. ამიტომ ჩერნიშევსკი ანაწილებს კატეგორიებათ შემეცნებას (ცხოვრებას) და ესთეტიკას (ხელოვნებას).

რასაკვირველია, ეს არ არის ძირითადში სწორი. შემეცნებითი მომენტის დაპირისპირება ესთეტიურ მომენტისადმი ვულგარულია, რადგანაც ხელოვნებაში ესთეტიური და შემეცნებითი ძომენტი მოცემულია დიალექტიურ მთლიანობაში. ესთეტიური მომენტი (შეგნება) წარმოადგენს აქტიურ და არა პასიურ კატეგორიას. ლენინი ამბობდა, რომ „შეგნება არა ძარტო გამოსახავს სინამდვილეს, არამედ ჰქმნის კიდეც მას“. როგორც ვხედავთ, ჩერნიშევსკი, რომელმაც „ესთეტიკაში პირველად შეიტანა მატერიალიზმი“, არ არის დაზღვეული სხვადასხვა ხასიათის შეცდომებისაგან. ამიტომ საჭიროა მის მსოფლმხედველობის სუსტ მხარეებზე მიუთითება და არა ფატალისტური თაყვანისცემა.

ს. ხუნდაძე ქვევით ასეთ ახირებულ აზრს ანვითარებს:

> „ამგვარად ჩერნიშევსკიმ თავის აზროვნების ცენტრალურ ფიგურად გახადა ადამიანი, ადამიანის პრობლემა მისმა მატერიალისტუმა მსოფლხედველობამ ანტროპოლოგიური მატერიალიზმის შინაარსი მიიღო. ამით ჩერნიშევსკიმ მეორე ნაბიჯიც გადადგა თავის მატერიალისტურ-რეალისტურ მსოფლმხედველობის განსამტკიცებლად“ (იქვე. გვ 56).

და იქვე:

> „მაშინ როდესაც ფეიერბახისათვის პიროვნება საინტერესო იყო, როგორც პიროვნება, ჩერნიშევსკისათვის საინტერესო გახდა პიროვნება, როგორც სოციალური კატეგორია“ (იქვე. გვ. 62).

ისევ ფაქტების დამახინჯება. ვილაპარაკოთ ფაქტების ცოცხალი ენით. როგორ ესმოდა ჩერნიშეკსკის პიროვნების ცნება. აი, რას სწერდა იგი:

„Действительно существует человек, а идея прекрасного есть только отвлеченное понятие об одном его стремлений. А так как в человеке, живом органическом существе, все части и стремления неразрывно связаны друг с другом, то из этого и следует, что основывать теорию искусства на одной исключительной идее прекрасного, значит впадать в односторонность и строить теорию несообразную с действительностью. Искусство производится не отвлеченным стремлением к прекрасному (идеею прекрасному), а совокупным действием всех сил и способностей живого человека". *)

ხუნდაძეს ვერ გაუგია ის მეტად ელემენტარული ამბავი, რომ ანტროპოლოგიზმის პრინციპი ნიშნავს სწორედ პიროვნების, როგორც ბიოლოგიური სუბიექტის, უპირატესობას სოციალურ სუბიექტზე. ჩერნიშევსკი ზემოდმოყვანილ სტრიქონებში იძლევა ამომწურავ და დასაბუთებულ შეხედულებას პიროვნების დამოკიდებულებისაა ხელოვნებასთან. ჩერნიშევსკის ფეიერბახის ძლიერი გავლენა ხელს უშლიდა ხელოვნების განვითარების კანონები გამოეყვანა არა უპარტიო ადამიანის „მოქმედების ნატურალურ კანონებიდან", არამედ სოციოლოგიიდან. **)

ჩერნიშევსკის ზემოდმოყვანილ სიტყვების შესახებ მისი ერთ-ერთი მკვლევარი ამბ. კამენევი სამართლიანად სწერს:

„არ არის ძნელი დავინახოთ ძირითადი ნაკლი ამ მსჯელობისა. ის გამოდის ხელოვნების წარმოშობის და ახსნის დროს ანტროპოლოგიიდან და არა სოციოლოგიიდან, ეყრდნობა „ცოცხალი ადამიანის", როგორც ორგანიული არსების, ძალის და ნიჭის ანალიზზე, იხილავს ხელოვნებას, ხელოვნების განვითარების კანონებს, როგორც ნატურალურ კანონს ადამიანის მოქმედებისას და არა როგორც სოციალურ პროდუქტს." ***)

---

*) იხ. ნ. ჩერნიშევსკი: „Очерки критики гоголевского периода".

**) ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ნ. ჩერნიშევსკი თავის „ანტროპოლოგიური პრინციპი ფილოსოფიაში" ანტროპოლოგიური პრინციპის წინაკრებად სთვლიდა არისტოტელს და სპინოზას, რომლებიც (განსაკუთრებით კი სპინოზა) თეოლოგიურ მატერიალიზმის პოზიციებს იცავდენ.

***) იხ. „Очерки по истории русской критики" ტ. II. გვ. 79.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩერნიშევსკიმ შეითვისა გონებრივი ეგოიზმი ანუ „ნორმალური ადამიანის მოთხოვნილება“, როგორც გამოსავალი წერტილი ხელოვნების განვითარებისა. ამ შეხედულების გენეალოგია აუცილებლად სპინოზას რაციონალიზმის თეორიისა და ლ. ფეიერბახის ფილოსოფიურ კონცეპციიდან მომდინარეობს.

ყოველივე ამის შემდეგ ვისთვის რა საჭიროა ხუნდაძისებური ფალსიფიკაცია სინამდვილისა. ასე არ ესმის გასულ საუკუნის უდიდეს სოციალისტ მოღვაწეების შეფასება მარქსისტულ კრიტიკას. იგი სასტიკი წინააღმდეგია ყოველგვარ აპოლოგეტიკის და კერპთთაყვანისმცემლობის.

მაგრამ ხუნდაძე ასეთივე ორტოდოქსობას იჩენს ლ. ტოლსტოის შეფასების საკითხში. ფედერალისტურად აყალბებს ლ. ტოლსტოის ესთეტიკას და მის საზოგადოებრივ ისტორიულ როლს, აჭყავს იგი სოციალისტურ მსოფლმხედველობის და იდეების სიმაღლემდე. ს. ხუნდაძე აქ კვლავ იმეორებს იმ „ოპორტუნისტების და საძაგელ ადამიანების“ (ლენინი) შეხედულებებს, რომელთა აზრით ტოლსტოი იყო სოციალისტურად განწყობილ ინტელიგენციის მსოფლმხედველობის გამომხატველი და მებაირაღტრე. ს. ხუნდაძე წერს:

> „ძველი მემამულე გრაფი, კონსერვატორულ აზროვნების მატარებელი, ძირითად რევიზიას უკეთებს თავის მდგომარეობას და მსოფლმხედველობას და გადადის გლეხურ ბანაკში, ხდება გლეხურ იდეოლოგიის მატარებელი და თავისებური გლეხური სოციალიზმის მქადაგებელი“. *)

სხვაგან ხუნდაძე ამტკიცებს:

> „ტოლსტოი, გადადის რა გლეხურ იდეოლოგიაზე, ითვისებს ამ კლასის მსოფლმხედველობას და მისი საზომით სჭვრეტს ყოველივე მოვლენას.“**) „წინასწარ უნდა ითქვას, რომ ტოლსტოიმ 80-იან წლებში გლეხურ თვალსაზრისზე გადასვლასთან ერთად შეითვისა სოციალისტური მსოფლმხედველობაც, თავისებური ქრისტიანული ანარქიზმის სისტემა“. ***)

რა დასკვნა შეიძლება გამოვიყვანოთ ს. ხუნდაძის ზემოდმოყვანილ დებულებებიდან? დასკვნა მხოლოდ ერთი უნდა იყოს: ს. ხუნდაძეს, ლენინის და სხ. მარქსისტების დაჟინებითი მტკიცების მიუხედავათ, უნდა შემოათრიოს ის ყოვლად რეაქციონური და ყალბი დებულება, თით-

*) იხ. ს. ხუნდაძე „ლ. ტოლსტოი და სოციალიზმი“. გვ. 7.

**) იქვე. გვ. 15.

***) იხ. იქვე, გვ. 18.

ქო რუსეთში სოციალისტურ იდეების პირველი გამავრცელებელი და სოციალისტურ მსოფლმხედველობის საფუძვლებზე მდგომი იყო ტოლსტოი და არა რევოლუციონური მარქსისტები. ს. ხუნდაძე მთელი ენერგიით სცდილობს დაკანონოს ის შეხედულება, რომ ტოლსტოი იყო გლეხობის განსაზღვრული ფენის განწყობილებების არა მარტო გამომსახველი, არამედ მათი იდეოლოგი და ბელადი, „გლეხურ იდეოლოგიის ბატარებელი და თავისებურ გლეხურ სოციალიზმის მქადაგებელი"-ო სწერს ხუნდაძე. ხუნდაძემ არ შეიძლება არ იცოდეს იმ დავის შესახებ, რომელსაც ა. ლუნაჩარსკი აწარმოებდა ლენინთან.

ლენინი ტოლსტოის შესახებ სწერდა:

> „Толстовские идеи это — зеркало слабости недостатков нашего крестьянского восстания, отражение мягкотелости патриархальной деревни и заскорузлой трусливости „хозяйственного мужика". *)

ა. ვ. ლუნაჩარსკი, უკმაყოფილო ლენინის კლასიკური ფორმულით, ამტკიცებდა, რომ ტოლსტოი იყო გლეხობის მოციქული და იდეოლოგი. ლუნაჩარსკიმ, რომელმაც მოიხდომა ტოლსტოის ლიტერატურულ მემკვიდრეობის სფეროში საკითხის ლენინურ დაყენების აშკარა რევიზია, განძანადგურებელი პასუხი მიიღო. მაგრამ ასე როდი ფიქრობს ხუნდაძე. მისთვის არავითარი მნიშვნელობა არა ქვს მარქსისტულ-ლენინურ შეხედულებას.

როგორც ძკითხველი დაინახავდა, ს. ხუნდაძე აქ უკვე პირდაპირ და აშკარა ფორმებში ებრძვის ლენინის შეხედულებებს ამ საკითხში. ს. ხუნდაძე თავის მონოგრაფიაში ჩერნიშევსკის შესახებ ასეთ ახასიათებს მარქს-ენგელსის მოძღვრებას:

> „მარქსმა-ენგელსმა ამ შემთხვევაში დიალექტიურ მეთოდის და ფეიერბახის ანტროპოლოგიური მატერიალიზმის ერთგვარი თავისებური სინთეზი (??) მოახდინეს. ჰეგელმა თავისი მეთოდით მეტად დიდი სამსახური გაუწია მატერიალისტურ ფილოსოფიის განვითარებას, იმდენათ, რამდენადაც მარქს-ენგელსმა გადმოიღეს ჰეგელიდან ეს მეთოდი და მატერიალისტურ ფილოსოფიას დაუკავშირეს". **)

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ თანაძედროვე ბურჟუაზიული მეცნიერება მაქს ადლერის და სხვათა სახით ამ დასკვნის იქით არ წასულა. ხუნდაძე ამტკიცებს (?) რომ მარქსიზმი არის ჰეგელის დიალექტიურ მეთოდის და ფეიერბახის ანტროპოლოგიზმის სინთეზი. ***) იბადება

---

* იხ. „Ленин о Толстом" გვ. 23.

**) იხ. ს. ხუნდაძე „ნ. გ. ჩერნიშევსკი, მონოგრაფია".

***) ჩვენ ადარ ვლაპარაკობთ ამ დებულების მომენშევიკო-იდეალისტურ ბუნებაზე.

კითხვა: მაშ რაღა შექმნეს მარქს-ენგელსმა? მაშ რაღაა მარქსიზმი? განა ცხადი და ნათელი არ არის, რომ ხუნდაძე ამცირებს მარქსიზმის ფილოსოფიის მეთოდოლოგიას? მარქსი მხოლოდ კომენტატორია, სხვადასხვა ფილოსოფიურ შეხედულებათა კომპილიატორია. ამით ს. ხუნდაძე ანაღდებს არ. ჯორჯაძის თამასუქს, რომელსაც ჯერ კიდევ 1905 წელში მარქსიზმი სხვადასხვა ფილოსოფიურ შეხედულებების უსუსურ და მექანიკურ კრებულად მიაჩდა. ხუნდაძეს არ ასვენებს თავისი წინაპარის ისტორიული წუხილი, ხუნდაძე ვერ ღალატობს სოციალ-ფედერალისტურ პარტიის „სასიცოცხლო ინტერესება". პირდაპირ საოცარია, როდესაც ს. ხუნდაძე რეაქციონერ ილია ჭავჭავაძეს ნ. ჩერნიშევსკის მოწინავე სოციალისტურ იდეოლოგიის გამგრძელებლად აცხადებს*). აი რას სწერს ს. ხუნდაძე:

> „ილია ქავჭავაძის პირველ ნახევრის მოღვაწეობას აუცილებლად ატყვია ჩერნიშევსკის დემოკრატიულ აზრების და საერთოდ 60 წლების პროგრესიულ მიმდინარეობის გავლენა. ამ პერიოდის ილია ჭავჭავაძის პირველი მხატვრული ნაწერები, რომელიც მიმართულია ბატონყმობის წინააღმდეგ (?), დაწერილი არის ჩერნიშევსკის და „სოვრემენიკი"-ს დიდი გავლენის ქვეშ. ცნობილი პოემის „აჩრდილის", „შრომის სუფევი"-ს მოტივები ნათლად ამტკიცებს ამ დიდ გავლენას". **)

გრძნობათა მორევში შეცურებულ ხუნდაძეს მოჰყავს ილიას პოემა „აჩან დიდიდან" ერთ-ერთი ადგილი. აი, ეს ადგილიც:

„ყველასათვის იქნეს იგი სუფევა
თანასწორადა ნიჭთა მფენელი,
მის მადლით წარწყმდეს ძარცვა და რბევა
და ერთგან ძოვდეს ცხვარი და მგელი.
მაშინ უქმ სიტყვად არ იქნებიან
ძმობა, ერთობა, თავისუფლება,
ეკლის გვირგვინით აღარ ივლიან
კაცთმოყვარება და სათნოება".

---

*) აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ასეთივე არა კრიტიკული დამოკიდებულება ილია ჭავჭავაძისადმი გამოამჟღავნა ამხ. ბ ე ნ ი ტ ო ბ უ ა ჩ ი ძ ე მ. ამხ. ბ. ბუაჩიძემ მე-60 წლების მოღვაწეები და კერძოდ კი ილია ჭავჭავაძე გამოაცხადა ეგზატე ნინოშვილის იდეურ წინამორბედათ.

**) იხ. ს. ხუნდაძე „ნ. გ. ჩერნიშევსკი" გვ. 177.

„მარქსისტი“ ხუნდაძე ასეთ ინტერპრეტაციას უკეთებს ილიას პოემის ამ სიტყვებს:

> „ეს ტაეპები დიდი განძია ჩვენს ლიტერატურაში. იგი გამოხატავს ავტორის დემოკრატიულ-რადიკალურ სულისკვეთებას.“ *)

ხუნდაძე ვერ ამჩნევს, რომ ილიას პოემაში ლაპარაკია მომავლის შესახებ, „რომ განძტკიცდება ძმობა, ერთობა, თავისუფლება“ და სხვ. მაგრამ... სწორედ აქ არის საქმე. ილიას, როგორც კონსერვატორს, არ შეეძლო იმ ძალის დასახელება, რომელიც შეცვლიდა არსებულ ეკონომიურ სტრუქტურას. ყოველივე ამის შემდეგ ხუნდაძეს რატომ არ შეუძლია რადიკალ-დემოკრატიულ მისწრაფებების გამომხატველად გამოაცხადოს რელიგია, რომელიც „ასწავლის“ მშრომელ ხალხს „სულის სიმშვიდეს და მოთმინებას“ საიქიოში თანასწორი ცხოვრების საფუძველზე? განა ხუცებიც არ მოსთხოვენ ხუნდაძეს სოციალისტობას!. და ჩვენ გვჯერა, ღრმად გვჯერა, რომ ხუნდაძე სოციალისტობის მანდატს არც მათთვინ დაიშურებს.

ერთი რამ ცხადია და ნათელი, ხუნდაძე თავის დასკვნაში სასტიკად ეწინააღმდეგება ფაქტებს, „ფაქტების ჭეშმარიტ ლოგიკას“. ფაქტები გარკვევით ლაპარაკობენ, რომ ილია ჭავჭავაძე იყო და დარჩა ბატონყმობის საძაგელ ინსტიტუტის შეუპოვარ დამცველად და აპოლოგეტად. აი, რას სწერს ამ საკითხზე ძველი ლენინელი, ჭალარა ბოლშევიკი ამხ. ფილიპე მახარაძე:

> „აქ („ნუ თუ“-ს გამოქვეყნების შემდეგ—გ. ლ.) ილია ჭავჭავაძე გველაპარაკება ჩვენ როგორც კერძო საკუთრების იდეოლოგი, როგორც მემამულე, რომელიც ყოველ ფეხის გადადგმაზე მზად არის იარაღით ხელში დაიცვას თავისი ინტერესები.“

ამხ. ფილიპე იქვე დასძენდა, რომ „საკმარისი არ არის მხოლოდ რამოდენიმე სანტიმენტალურ მოთხრობის დაწერა, რომ მის დამწერს ასეთი სისაძაგლე ეპატიოს.“ და მართლაც, ვინც ილია ჭავჭავაძის პრაქტიკულ და თეორიულ მოღვაწეობას მთლიანობაში არ განიხილავს, ვინც გაგლეჯს ილიას პრაქტიკულ ცხოვრებას და ბრძოლას მხატვრული შემოქმედების ძირითად ხაზიდან, ის ვერ მოგვცემს ილიას შემოქმედების სოციოლოგიურ ანალიზს. იგი აუცილებლად გაყალბებს საკითხს, ილიას პიროვნებაში დაუწყებს ძებნას დუალიზმს და ამით ფედერალიზმის დანგრეულ პოზიციაზე დადგება. ილია მთლიანი ტიპია, მონოლიტური ფიგურაა, რომლის ბრძოლის და მოქმე-

---

* იხ. „სოც. ისტ.“ ტ. I გვ. 74.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებ-ს ხაზი ბატონყმობის დაცვის ზღვარით იყო შემოსალტული. აი ეს არ ესმით ფედერალისტებს, აი ამის გაგება არ სურს ს. ხუნდაძეს.

ბოლშევიკური პირდაპირობით გააკრიტიკეს ამხ. ს. ხუნდაძის ნაციონალ-ფედერალისტურ შეხედულებათა სისტემა ამხ. ამხ. პ. მელაძემ და კ. გორდელაძემ. ამხ. პ. მელაძემ თბილისის პარტ. კონფერენციაზე, ამხ. კ. გორდელაძემ პარტ. აქტივის კრებაზე ერთხელ და სამუდამოთ ნიღაბი აგლიჯეს სოციალ-ფედერალისტ ხუნდაძეს. მაგრამ ს. ხუნდაძის კონცეპციის წინააღმდეგ ბრძოლა არ დამთავრებულა. ეს ბრძოლა უნდა გაგრძელდეს ისეთივე სიმკაცრით და პირდაპირობით, როგორითაც იქნა დაწყებული.

---

# გავუძღოთ ბრძოლა ერ ფრონტზე!

## ბოლშევიკურად გამოვასწოროთ შეცდომები

### საქ. პროლეტმწერალთა ასოციაციის ბიუროს კომფრაქციის 5 თებერვლის დადგენილებიდან

1. ბიუროს კომფრაქცია აღნიშნავს, რომ საქართველოს პროლეტმწერალთა ასოციაციის ხელმძღვანელობამ სამი წლის განმავლობაში სათანადო ბრძოლა ვერ აწარმოა სოციალ-ფედერალიზმის ნაშთების წინააღმდეგ (ამხ. ს. ხუნდაძე, ამხ. ს. ამაღლობელი, მოქ. ს. თავზარაშვილი და სხვ.): 1) მიუხედავად იმისა, რომ 1931 წელში მთელი რიგი წერილები გამოქვეყნდა პრესაში ს. ხუნდაძის ფედერალიზმის რეციდივების შესახებ, ასოციაციის ხელმძღვანელობამ მტკიცედ ვერ დასვა საკითხი ამხ. ს. ხუნდაძის ფედერალისტურ შეცდომათა სისტემის მხილებისათვის, 2) განსაკუთრებით აღინიშნოს, რომ ასოციაციის ხელმძღვანელობამ ვერ მიაქცია ყურადღება მოქ. გ. თავზარაშვილის ფედერალისტურ საქმიანობას რამოდენიმე წლის განმავლობაში რუსეთის პრესაში (ენციკლოპედიები, „ზემლია სოვეტსკაია“, „ვოკსი“ და სხვ.); 3) აღინიშნოს, რომ ამხ. ბ. ბუაჩიძე დღემდის არ გამოსულა ყველა თავისი შეცდომების გაშლილი თვითკრიტიკით. ამხ. ბ. ბუაჩიძე თავისი ფედერალისტუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი რეციდივებით ობიექტურად ხელს უწყობდა ამხ. ს. ხუნდაძეს; წინადადება მიეცეს ამხ. ბუაჩიძეს გამოვიდეს ყველა თავისი შეცდომების ბოლშევიკური კრიტიკით; 4) აღინიშნოს, რომ ძველი პარტიული ხელძღვანელობა ამხ. მ ა მ უ ლ ი ა ს, და სხვ. მეთაურობით აშკარა ლიბერალურ დამოკიდებულებას იჩენდა და კიდეც მფარველობდა ფედერალისტურ რეციდივებს (ამხ. ხუნდაძე, ამხ. ბ. ბუაჩიძე და მოქ. თავზარაშვილი); 5) წინადადება ძიეცეს ამხ. პ. ქიქოძეს გამოვიდეს ყველა თავისი შეცდომების გაშლილი ბოლშევიკური კრიტიკით, რაც ღიმდე არ ჩაუტარებია მას ქართულ პრესაში.

საქ. პროლეტმწერალთა ასოციაციის პ.-მგ. მდივანი

— შ. რ ა დ ი ა ნ ი.

## წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ მოათავსოთ ჩემი შემდეგი განცხადება: ამხ. ფ ი ლ ი პ ე მ ა ხ ა რ ა ძ ე მ „კომუნისტი“-ს № 248-ში გააკრიტიკა ჩემი ზოგიერთი სოც.-ფედერალისტური ხასიათის შეცდომები წარსული საუკუნის 60-იან წლების მოღვაწეთა და კერძოდ ილია ჭავჭავაძის შესახებ. 1932 წ. 1 იანვარს საქ. პრ. მწერ. ასოციაციის მე-7 პლენუმზე ჩემს მიერ გაკეთებულ მოხსენებაში მე განსაკუთრებით ხაზი გაუსვი ამხ. ფილიპეს კრიტიკის დადებით მნიშვნელობას და განვაცხადე, რომ მე ამ კრიტიკას ვღებულობ, რაც იმავე პლენუმზე ფაქტიურად დავამტკიცე იმითაც, რომ გავაკრიტიკე ჩემი შემცდარი დებულებანი.

მე კიდევ ერთხელ აუცილებელ საჭიროებად მიმაჩნია განვაცხადო, რომ ვემიჯნები იმ ჩემს შეცდომებს, რომელზედაც ამხ. ფილიპემ მიუთითა. მე ა~ამც თუ საკუთარი ვღებულობ იმ ჩემი დებულების კრიტიკას, რომელიც ეგრეთ ნინოშვილის ილია ჭავჭავაძის ღირსეულ მემკვიდრედ მიჩნევაში გამოიხატება, არამედ სრულიად ეერთდები ამხ. ფილიპეს გულისწყრომას იმ ბუაჩიძის წინააღმდეგ, რომელმაც დასწერა ეს 1925 წელს და დღემდე არ გაასწორა. ამ შემთხვევაში მე, წავედი რა ცალმხრივი მხატვრული შედარების ხაზით, ლენინური დებულება წარსულის კულტურის მემკვიდრეობის შესახებ გამოვსთქვი უხეშად, მოუქნელად და, მაშასადამე, არა სწორადაც, შეცდომით შევადარე ერთმანეთს ილია ტ ე ფ ნ ა ტ ე. აქედან სავსებით ვღებულობ ამხ. ფილიპეს სამართლიან კრიტიკას იმის შესახებ, რომ მე გავიმეორე ფედერალისტური დებულება 60-იან წლების მოღვაწეთა შეჯახებაში (აქ შედის ილია ჭავჭავაძეც). მე შევცდი იმაში, რომ ჩვენი

სამოციანი წლების მოღვაწეთა პროგრამა მივიჩნიე როგორც დაყრდნობილი რუსეთის მოწინავე ინტელიგენციის იდეებზე.

უეჭველად შემცდარია ამ ციტატის ის დებულება, სადაც მე ვსვამ თითქმის იგივეობის ნიშანს რუსეთის სამოციანი წლების მოწინავე ინტელიგენციის და ჩვენი სამოციანი წლების მოღვაწეთა შორის.

მე დაუშვებლად ვივიწყებ იმ გარემოებას, რომ ჩვენი სამოციანი წლების მოღვაწენი მხოლოდ მახინჯი, ცალმხრივი ანარეკლი იყვნენ რუსეთის მაშინდელი მოწინავე ინტელიგენციისა.

მართალია ამბ. ფილიპე მახარაძე, როდესაც ამბობს, რომ ჩვენი სამოციანი წლების ინტელიგენცია რუსეთში ფორმალურად ითვისებდა მოწინავე იდეებს და საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ეს იდეები ხუნდებოდაო.

ამავე ამონაწერში ფედერალისტური ხასიათის შეცდომაა, რომ ვითომც მწერალთა ჯგუფი ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის მეთაურობით იბრძოდა ბატონყმობისაგან ხალხის განმანთავისუფლებელ იდეებისათვის. აქ მე ხაზი უნდა გამესვა იმისათვის, რომ აქ ჩვენ ბრძოლასთან, სოციალურ ჩაგვრის მოსპობასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ ამ ჩაგვრის „გაუმჯობესებასთან“ უკეთესი ექსპლოატაციის თვალსაზრისით. ერთი მხრივ თავადური ლიბერალიზმს თავადა-ზნაურობის გადარჩენის წყურვილი კვებავდა და მეორეს მხრივ „ჰუმანიურ“ იდეებს ბურჟუაზიის კლასიური ინტერესები ედვა საჩულად,

აუცილებელია სასტიკი ბრძოლა 60-იან წლების მოღვაწეთა არასწორ შეფასებასთან. ეს ბრძოლა აუცილებელია ამ საკითხში დაშვებულ ცალკე შეცდომებთანაც.

ილია ჭავჭავაძე არ იყო მებრძოლი ბატონყმობის წინააღმდეგ, არამედ ის იყო თავად-აზნაურობის მოწინავე, ჭკვიანი წარმომადგენელი, ე. ი. ყველაზე ძლიერი და მძაფრი რეაქციონერი, რომელსაც თავის მუშაობით მეტი სარგებლობა მოქონდა თავის კლასისათვის. ამაშია ილია ჭავჭავაძის თვითკრიტიკის აზრი საკუთარი კლასის მიმართ, რომელზედაც მე ვსწერდი იმ შემცდარ დებულებებთან ერთად, რომელთაც მე არავითარ შემთხვევაში არ ვამართლებ. ეს ძირითადად ეწინააღმდეგება ამბ. სიმონ ხუნდაძის დებულებებს, რაც არავითარ შემთხვევაში არ იძლევა ჩემი ხუნდაძესთან გათანაბრების საბაბს, თუმცა ეს ჩემი შეცდომები ობიექტურად ხელს უწყობდა ს. ხუნდაძის და სხვ. ფედერალისტურ რეციდივებს.

მე საქ. პრ. მწერ. ასოციაციის ხელმძღვანელობის და ჩემ შეცდომად მიმაჩნია ის, რომ გასული წლის მეორე ნახევრამდე სას-

ტიკი ბრძოლა არ გავშალეთ ხუნდაძის ფედერალისტურ შეხედულებების წინააღმდეგ და დაუშვებლად დავიგვიანეთ ამ საქმეში. ჩვენი დიდი შეცდომაა აგრეთვე ის, რომ არავითარ თვალყურს არ ვადევნებდით ენციკლოპედიებში ლიტერატურული თანამშრომლობის საქმეს, კერძოდ იქ გ. თავზარაშვილის მუშაობას.

მე ვთვლი ჩემს გამოსვლას კომაკადემიის უჯრედის პლენუმზე აეხ. ფილიპე მახარაძის წინააღმდეგ დაუშვებლად.

საქ. პროლეტმწერალთა ასოციაციის ბიუროს კომფრაქციის 5 თებერვლის დადგენილებას („კომუნისტი“ № 8 თებერვლის №-ში ვსთვლი ძირითადად სწორად.

ჩემ ბოლშევიკურ მოვალეობად მიმაჩნია სასტიკი კრიტიკის ქარცეცხლში გავატარო ის მემარჯვენე და „მემარცხენე“ ხასიათის შეცდომები, რომლებიც მე მაქვს. კერძოდ, ეს ითქმის ჩემს წიგნზე: „Пути развития грузинской литературы“.

ეს შეცდომები სამართლიანად იქნა თავის დროზე ამხანაგების მიერ გაკრიტიკებული „კომუნისტში“.

ბ. ბუაჩიძე.

# ბიბლიოგრაფია

## „მნათობი“ № 9—10

„მნათობი“-ს სარეცენზიო ნომერი იხსნება ილო მოსაშვილის ნაწარმოებით: „ლექსები ალაზანზე“. ლექსები დეკლარატიულია. პოეტი თავის ძველ რომანტიკას გულმტკივნეული გატირებით აცილებს. არის გულდაწყვეტა, გულჩვილობა, მგრძნობიარობის სიმპარბე, ჩხუბი და დავა თავის თავთან გარდატეხის საჭიროებაზე. ამ დავის გადაუწყვეტილობით დასრულება, აღმშენებლობის შორიდან პასიური ბვრეტა. მოსაშვილი ყველაზე უფრო საჭიროებს იდეურ-შემოქმედებითი რეკონსტრუქციას.

შალვა შაველაშვილის ლექსი: „ცენტი“. ამ ლექსში მოცემულია კასპის ცენტის ქარხნის საწარმოო ცხოვრების საერთო სურათი საზეიმო პათოსით. ალბად, საზეიმო პათოსია იმის მიზეზი, რომ არის მიღწევები, არ არის დაბრკოლება, არის ია-ვარდები, ერთი სიტყვით, არის პრიმიტიული. „ყველაფერი რიგზე არის“ განწყობილება. ამ ახალგაზრდა დამწყებ პოეტს მართებს მეტი კონკრეტულობა და პოლიტიკური სიფხიზლე.

ვარლამ რუხაძის ორი ლექსი ხალხური ეხება დაზგასა და ინდუსტრიას. პოეტი მსუბუქი ენით ერთობ მსუბუქ აზრებს ანვითარებს. ინდუსტრია მის ლექსში ასეა წარმოდგენილი:

> განგაშებს საქმე მუშური,
> ცივივა შავი ქვის ლოდები
> **და როგორც ყველი თუშური**
> **მოგორავს რკინის ზოდები.**

მტერი არ სჩანს, დაბრკოლება არ არსებობს, სიძნელეებზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია, გზა ყველგან და ყოველთვის ია და ვარდით ფენილია და ვ. რუხაძის მუშაც მიდის და მიდის ამ გზაზე, მიდის ისე, რომ მტერს არ ხვდება, ბრძოლები არ გადააქვს. აქ ბევრია მეშჩანური გულუბრყვილობა და ცოტაა ნამდვილი ენტუზიაზმი.

ვარლამ ყურულის ლექსი: „გმირი იზრდება“ გაშლილია კომკავშირელი მუშის ცხოვრების ფონზე, მაგრამ მუშა მოცემულია არა თავისი კლასის წრეში, არამედ ბავშური იდილიით. ამიტომაც მისი ზრდა ხდება „ნუცას სკოლის“ სიბრძნით და არა დაკვრითი მუშაობითა და ბრძოლებით. გლეხის მუშის ქვაბში გადახარშვის მთავარი მომენტები დავიწყებულია და უმნიშვნელო მომენტები იმის შესახებ, თუ როგორ „ტრამვაის სვლაში გარბოდენ ქვები და ვირს აგინებდა ტეტია ბიჭი“, დაყენებულია პირველ რიგზე.

ი. მიკიტენკოს, უკრაინელ პროლეტმწერლის მოთხრობაში მოცემულია დამახასიათებელ და უმთავრეს მომენტში ძველი სოფლის ცხოვრების რღვევა. ზოგიერთი ადგილი ძლიერი სიმახვილითა და პოლიტიკური სიფხიზლით არის გაკეთებული. გაჭირვებისა და გამოუვალ მდგომარეობის ფონზე ერთი ძმა სოფელს სტოვებს. იდიოტური, კერძო მესაკუთრული ფსიქოლოგია მასში მარცხდება და ქალაქის მუშის ცხოვრების ფერხულში ებმება. მეორე ძმა დიდხანს კლერიკალობს, კონსერვატორობს, ბოლოს ისიც ადგება და ქალაქში თავის ძმას მიაშურებს. იქ მას ავტორი ბევრ რამე მოსაწონს აჩვენებს, თითქოს შეამზადებს გარდასაქმნელადაც, მაგრამ ერთი შემთხვევის გამო (პროხორის შვილი ელექტრონმა იმსხვერპლა) ისევ კონსერვატორული განწყობილებით და თავისი ძველი აზრებით უბრუნებს სოფელს. ეს ავტორის მსოფლმხედველობის სივიწროვეა და პერსპექტივის დაკარგვაა.

სერგო კლდიაშვილის: „ლულუმის შემდეგ“ ნარკვევი, ძალიან მოხდენილად დაწყებული, ნაწარმოების დასაწყისში მხატვრული შემოქმედების სიმაღლემდე აყვანილი, მაგრამ შემდგომში კორესპონდენტური ხაზით გაგრძელებული და დასრულებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარკვევი იმ ნაწილში, როდესაც სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია ხდება, მეტის-მეტად ზერელეა. აქ ავტორი მარტო იმის აღნიშვნით კმაყოფილდება, რომ ის ადგილები, რომელსაც წინათ ამილახვარი ფლობდა, ახლა კოლექტივების ხელშია, ძველი ბატონები აღარ არიან. ეს დიდი ამბები არც მთლად ასე უბრალოდ მომხდარა, როგორც ამას ავტორი გვიჩვენებს.

მიხ. ჩიქოვანის: „ქვა“—ჭიათურის შავი ქვის მაღაროების საწარმოო ცხოვრების ფონზე დაწერილი ნარკვევია. ნაწარმოებს აკლია სიღრმე. მთავარია მომენტების გამოჭერა. არის ზერელობა.

ა. დუდუჩავას წერილი რუსთაველის თეატრის შემოქმედებითი მეთოდის შესახებ, **რუსთაველის** თეატრის **აპოლოგეტობაა და არა მისი კრიტიკული** შეფასება. ის რუსთაველის თეატრის მუშაობაში საკრიტიკოთ იმეტებს მხოლოდ იმ მომენტებს, - აც უკვე გაკრიტიკებულია და რის წინაადმდეგაც თავის დროზე ავტორი არც ერთხელ კრიტიკით არ გამოსულა.

ამავე ნომერში მოთავსებულია ა. ბეზიმენსკის: „შეტევა“, ა. შანშიაშვილის: „ანზორი“, მიხ. ჯავახიშვილის: „არსენა მარაბდელი“, ამხ. ზალვა რადიანის: „ლენინური ეტაპისათვის ლიტერატურის მეცნიერებაში“, პროფ. კორ. კეკელიძის - ავტორი ვეფხვის ტყაოსნისა და დრო მისი დაწერისა.

ფარი.

---

# ა. ჭუმბაძე: „ხ უ თ ი ქ ი მ ი“

## გამოცემლობა „ფედერაცია“

ოქტომბრის რევოლუციამ ქართული ლიტერატურის განვითარებაში ძირეული გარდატეხა მოახდინა. „მარადიულ თემებს“ და „განყენებულ პრობლემებს“ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ყოველგვარი ფასი და მნიშვნელობა დაეკარგა. პარნასის პოეტებს და იალბუზის პროზაიკოსებს მკითხველები შემოეფანტენ და უჯარო გენერლებათ დარჩენ. ოქტომბრის რევოლუციამ მათ გარკვეულად დაუყენა საკითხი: ან იქით, ან აქეთ. რევრმა მათგანმა აქეთკენ იბრუნა პირი, მაგრამ ზოგიერთმა ეს გამოხატა მხოლოდ თ ე მ ი ს შ ე ც ვ ლ ა შ ი.

ერთი ასეთი მწერალთაგანია სარეცენზიო წიგნის ავტორი ა რ ი ს ტ ო ჭ უ მ ბ ა ძ ე. მას ოდესღაც უყვარდა აბსტრაქტული თემები. მარადიული და უკვდავი თემა სიყვარული იყო, ერთი უმთავრესი საგანი მისი მხატვრული შემოქმედებისა.

ჭუმბაძე ერთი იმ მწერალთაგანია, რომელმაც ოქტომბრის რევოლუციის მიღება ჯერ-ჯერობით მხოლოდ თემატიკის გამოცვლაში გამოხატა. დღეს მისი მხატვრული შემოქმედების საგანია: საბჭოთა მოსამსახურე, საბჭოთა მოქალაქე, მუშა, კომუნისტი და სხვ.

მაგრამ მარტო თემა არასოდეს არ სწყვეტდა და არც ახლა სწყვეტს ლიტერატურის დანიშნულების საკითხს. საკითხის სიმძიმე და საქმე ისაა, თუ როგორ არის ეს თემა იდეურად—მხატვრულად დამუშავებული.

ამ მხრივ არისტო ჭუმბაძე, სამწუხაროდ, შორს არ არის წასული და ვერ სდგას თანამგზავრობის სიმაღლეზე. მასში ჯერ კიდევ ძლიერია მემკვიდრეობა. მის მიერ ასახული ხალხი, რაღაც არა გავს საბჭოთა სინამდვილის ხალხს. ზოგს რა აკლია და ზოგს რა და ყველას კი თანამედროვე ეპოქის ტემპი და სტილი.

სარეცენზიო ნაწარმოების პირველი მოთხრობა „საქმის კაცი“ „გივი შადურის“ ტიპის მოთხრობაა, მისებურ ხასიათით გაკეთებული ნაწარმოებია. მართალია, ჭუმბაძე თავის ტიპებს უფრო „წკეპლავს“ და უფრო „იმეტებს,“ მაგრამ რათ გინდათ, ხეებს იქით ტყე არა ჩანს, უარ-

ყოფითი ტიპების გადადმა დადებითი ტიპები არ გამოიყურებიან. უეჭველად კარგი და მოსაწონი საქმეა უარყოფითი ტიპის გამოჭერა, მისი გამათრახება, მის მიმართ სატირისა და ირონიის ცეცხლის გაჩენა. მაგრამ ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში რომ მარტო ასეთი ტიპების მეტი ვერაფერი დაინახო, ეს ჯოხის მეორე მხარეზე გადაღუნვაა, პერსპექტივის დაკარგვაა, ბნელაში ხელების ფათურია და, რაც მთავარია, თანამედროვე ცხოვრების შესახებ პასკვილია.

ჭუმბაძემ უნდა იცოდეს, რომ საბჭოთა აპარატში არიან გახრწნილი ელემენტები, მაგრამ თვით აპარატი არ არის გახრწნილი, მასში ჯანმრთელური საწყისებია გაბატონებული და ბოლოს ეს საწყისები თვითვე ებრძვის და ამარცხებს კიდეც ამ გახრწნილ ელემენტებს.

ჭუმბაძემ კი თავის პირველ მოთხრობაში ისე ჩამოუშვა ფარდა, რომ გახრწნილებს ჩრდილი არ მიყენებია და მკითხველებს ჯანმრთელური საწყისები არ დაუნახავს. ეს მიხ. ჯავახიშვილის „დამპატიჟეს“ განმეორებაა და ჭუმბაძე ამას უნდა ერიდოს.

მეორე მოთხრობა „ფულიანი ბარათი“ ქარაფშუტა და „ჩინოვნიკი“ ხალხის ყოფითის ფონზეა გაშლილი. საბჭოთა ცხოვრების სინამდვილეზე შეუცვლელად დამყნილია ძველი ცხოვრების ტიპიური მოვლენები. ზოგიერთ მეშჩანს ფოლაქიც კი არ აქვს გამოცვლილი. სიყვარული, ფულებზე სხეულის გაყიდვა, აგარაკები და განცხრომითი ცხოვრება, ქალის ქმრისადმი ღალატი—ეს ძველთა-ძველი თემა—გაკეთებულია ძველებური შაბლონური ხერხებით.

მესამე მოთხრობა „სასწაული“, ცხადია, ავტორს დაწერილი აქვს ანტირელიგიური მოთხრობის პრეტენზიით და უნდა აღინიშნოს, რომ ეს პრეტენზია ნაწილობრივად გამართლებულია კიდეც. მაგრამ ავტორი ეპიფანე დეკანოზს ერთობ მალე და იოლად არჯულებს. ეკლესიის დანგრევა და ამის დანახვა საკმაო შეიქნა, რომ ეპიფანეს საუკუნოებით ძვალრბილში გამჯდარი ღვთისადმი რწმენა დაეკარგა, თავისი ცოდვები მოენანიებია და ხალხისათვის საჯაროდ ეთქვა: ორმოცი წლის განმავლობაში გატყუებდით, თვალებს გიხვევდით.

ავტორი აქ თანამგზავრულ სიმსუბუქეს, ან უკეთ რომ ვთქვათ, ზერელობას იჩენს. ბრჰოლებში გამარჯვება თუ დამარცხება ნამდვილად არც მთლად ასე იოლად ხდება. ეს კაბინეტში, ისიც მაგრად ჩაკეტილ კაბინეტში, გამომცხვარი ამბავია, მოკლებული ცხოვრების მაჯის ცემას.

მეოთხე მოთხრობაში („ცხოვრების ქარაგმა“) საბჭოთა ცხოვრების სინამდვილე გაზვეულია გასული საუკუნის ცხოვრების ბურანსა და ნისლებში.

კომუნისტს და პასუხისმგებელ მომუშავე პროკონტის სოფლიდან მამა ესტუმრება, მაგრამ არც პროკონტი და მით უმეტეს არც მისი მამა თანამედროვე ეპოქის არა გავს. კერძოთ პროკონტის მამა—ეს საუკალო საუკუნეების ქართველი გლეხის ტანისამოსში გამოწყობილი გლეხის ტიპია. დღევანდელ პირობებში ასეთი ამბები ანეგდოტებად ჩაითვლება და არა მოვლენად. ავტორი პროკონტის წარსულის მოცემაშიაც ერთობ ამლაშებს, ამ დადებითი ტიპს ერთობ საეჭვო წარსულის კაცად ხდის, რაღაც ვერცხლის წყალის დაუდგრომლობასთან აკავშირებს, ერთი სიტყვით, ეკლებზე იას ჭრეფავს.

უკანასკნელი მოთხრობა „მოსისხლეენი“ ერთობ განყენებული მოთხრობაა. აქ ცხოვრების შეუვალი ასახვა კი არ არის, არამედ უფრო განყენებული პრობლემის დეყენებაა. მემანქანე (მენშევიკი) და მისი თანაშემწე (კომკავშირელი) აგვისტოს ავან ტურის დროს ზესტაფონის სადგურზე ერთმანეთს ებრძვიან ორთქლმავლისათვის.

საერთოდ, თუ უნდა ავტორს, რომ თავისი თანამგზავრობის პრეტენზია გაამართლოს და თანამგზავრობიდან მოკავშირეობაზე გადავიდეს, უეჭველად უნდა იზრუნოს მსოფლმხედველობის რეკონსტრუქციაზე და ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობაში უკეთ გარკვევაზე.

მებრძოლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იონა ვაკელი: „ო რ ი პ ო ე მ ა“

პოეტი, რომელიც აცდენილია საკუთარი კლასის მებრძოლი მსოფლმხედველობის ლიანდაგს, განწირულია ისტორიულად. ამიტომ პროლეტარიატის მხატვრულ მესიტყვედ უნდა ჩაითვალოს ის მწერალი, რომელიც ამ კლასის თვალსაზრისს თანმიმდევრობით გაატარებს შემოქმედებითი პრაქტიკაში.

პროლეტარული პოეტის გადახვევა პროლეტარიატის კლასიურ ხაზიდან ნიშნავს პოეტის შემოქმედებით უჭან დახევას. აქედან ორიოდე ნაბიჯი-ლაა კლასიური მტრის იდეურ ბანაკში გადაბარგებამდე.

იონა ვაკელი რევოლუციამდე კაპიტალიზმს „სულთათანას“ უმღერდა და ენტუზიაზმით გამთბარ ლექსებს სწერდა პროლეტარულ რევოლუციაზე. მაგრამ დაიწყო სოციმშენებლობის პერიოდი და ვაკელიც „შეშფოთდა“. ვაკელი არ შეჩერებულა ობივატელურ წუწუნზე, ეროტომანიაზე და დაცემულობის განწყობილებებზე,—ის იქამდე დაქანდა მემარჯვენეობის გზაზე, რომ ნაციონალისტური სლოკინიც დაიწყო „მზისფერი სისხლის“ შესახებ. ასე რომ, დღეს უკვე აღარ შეიძლება მარქსისტული კრიტიკა ვაკელზე, როგორც პროლეტარულ პოეტზე ლაპარაკობდეს. ვაკელი რომ მწერლობის მემარჯვენე ბანაკის განწყობილებათა ჩიხშია მომწყვდეული, ამის შესახებ სხვათა შორის მისი „ორი პოემაც“ გარკვევით ლაპარაკობს. უნდა ითქვას, რომ ვაკელმა ამ პოემით იდეური ნათესაობა დაამყარა კონტრრევოლუციონური მენშევიზმის დამპალ პოეზიასთან, რომლის მედროშეები ბოლშევიკური შეტევის პერიოდში დაუმარხავი მკვდრების ჭირისუფლებლად გვევლინებიან. ვაკელს თემატიური მასალა წარსულიდან აუღია, მაგრამ ძნელი როდია ამ ფაქტებშიც მწერლის კლასიური გადაგვარების მეტერმეტყველური ნიმუშები დავინახოთ.

მწერლის თემატიური პროგრამა მუდამ მის მსოფლმხედველობის საფუძველზეა შემუშავებული. მაგალითად, თუ მეწეველიკური უბადრუკი პოეზიის ნაშხვრეტები ასე საეჭვოდ გაურბიან დღევანდლობის თემატიკას, განა ეს შემთხვევით მოვლენად უნდა ჩაითვალოს? ასევეა ვაკელის მაგალითზეც. მისი დაბრუნება წარსულში სწორედ მის თანადროულ განწყობილებების შედეგია. დემონსტრატიული უკუგდება მიმდინარე თემატიური დღის წესრიგის და ორიენტაცია მხოლოდ ისტორიულ წარსულზე უთუოდ უნდა აიხსნას, როგორც მწერლის პროტესტი სოციალისტური მშენებლობის მიმდინარე პროცესებისადმი. ვაკელი ამ გზით დღესაც განაგრძობს სვლას. ეს კი იმას ამტკიცებს, რომ მას ჯერ კიდევ არ გადაუდგამს გაბედული ნაბიჯები ანტიპროლეტარულ განწყობილებებისაგან თავის გასანთავისუფლებლად და დღემდე დარჩენილია მის ტყვეობაში. ამას ადასტურებს „ზელიმხანი“ და „არსენა ჯორჯიაშვილი“. თემატიურად მასალა მეტად საინტერესოა. მაგრამ ვაკელმა ამ ორი მგამბოხის იდეა იმდენად გაუყალბა,/ რომ დაიყვანა ის ჩვეულებრივი სიყვარულის რომანტიკამდე. პროლეტმწერალს ისტორიული წარსულიდან აღებული თემატიური მასალა სოციოლოგიურად უნდა აინტერესებდეს. ამისათვის საჭიროა ეს მასალა მას ფართო სოციალურ ფონზე გადმოკონდეს. მაგრამ ვაკელმა აირჩია სულ სხვა გზა. ის წავიდა კლასიკური პოეზიის ყველაზე ცუდი ტრადიციების გზით და ჩაიჩეხა. საერთოდ საკმაოდ ცნობილია ის ფაქტი, რომ ვაკელს „აწვალებს“ კლასიკოსები. მას კლასიკური მწერლობის ტრადიციები კომშარივით დასწოლია თავს. პოეტიც ადვილად ურიგდება ამ „ბედს“ და ერთგულად მიყვება ილია ჭავჭავაძის და ნ. ბარათაშვილის პოეზიის გზას. უბედურება ისაა, რომ ვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველი კლასიკოსებისაგან სწავლობს (უკეთ, „იწერს“) იმას, რაც უკუსაგდებია და დამლუპველი პროლეტ-პოეტის შემოქმედებითი წინსვლისთვის. მაგ., „არსენა ჯორჯიაშვილი“ ილიას „კაკო ყაჩაღის“ უხეირო ეპიგონობის შედეგია.

ვაკელმა გლეხური მოძრაობის გმირს— ზელიმხანს ჩამოგლიჯა სოციალ-ეკონომიური გარემოცვა და ამოატ-ვტივა ის რომანტიულ ტრაღედიის (!) ფონზე ისტორიული გმირი იმდენად გააყალბა ვაკელმა, რომ ის მოაქცია ვიწრო ინდივიდუალურ ნაპოლში:

„მიქრის ზელიმხან, მაგრამ აგრე
სად მიიჩქარის,
მძლე აგურხანის აულისკენ, როგორც
შურდული?
შესაძლო არის სიყვარულის
მგზნებარე ალი
დაღესტნის არწივს გულზე ცეცხლის
ზოლებად უკლის!
მაგრამ აგურხან, ხომ მტერია
ზელიმხანისა.
ვ-ოთ დღე და ღამე, ცა და მიწა,
ცეცხლი და წყალი,
როგორც ვეშაპნი და ნიაღვრი
ჰიკანიისა —
არ შეუძლიათ გაუჩერონ ერთმანეთს
თვალი“... და სხვ.

შეუძლებელია ამაზე შორს წავიდეს კლასიკური მწერლობის უხეირო ეპიგონობა. ვაკელმა სოციალური უკულმართობის წინააღმდეგ ამხედრებული მეამბოხის მაგიერ მოგვცა ლეილი ხანუმისათვის მებრძოლი რომანტიული ჰაბუკი. აი, სანამდე მიიყვანა პოეტი „კლასიკოსებისაგან სწავლის“ ყალბმა გაგებამ.

არსებითად ამასვე განიცდის ვაკელის „არსენა ჯორჯიაშვილი“. ამ პოემითაც ვაკელი მონურ მორჩილებაშია ილია ჭავჭავაძის პოეზიისადმი. მაგრამ აქ უკ-�о საინტერესოა მეორე მხარე. სახელდობრ ის, რომ ვაკელმა „არსენა ჯორჯიაშვილი“ გამოიყენა თავის მომეწეშევიკო განწყობილების და დაცემულობის ძლავრ დემონსტრაციისათვის. მემარჯვენეობის დამპალ ჭაობში ჩაფლულ პოეტმა ამ პოემით დაიწყო პროლეტარიატის ავანგარდ ს წინააღმდეგ ტალახის სროლა და აშკარა მენშევიკური ცილისწამებით დაესხა მას თავს. ვაკელი დასტირის 905 დადუპულ რევოლუციონერებს და სწერს, რომ

„თქვენ მებრძოლებო, თუ ამ
სტრიქონებს
გულს მოახვედრებთ ვნების
ღვარებად,
ნახავთ, რომ გულწრფელ პოეტის
ღონეს
ძველი ბრძოლები ამღელვარებდა.
**ხომ ხედავთ, დასწვა ცხოვრების**
**მტვერმა**
**ბევრი ნიჭი და ბევრი უნარი“...**

აი, რაში ყოფილა საქმე! ხედავთ, როგორ იცავს დარბაისელი ინტელიგენტი თავის „ნიჭსა და უნარს“? მაგრამ პირდაპირ საოცრებაა, როდესაც ვაკელი სწერს:

**„მაგრამ სად არის გმირთა სახელი.**
**ვხედავ ბრძოლებიც ოთოქო**
**წავიდნენ“...**

ნუ თუ აქ კომენტარიებია საჭირო? ვაკელი მენშევიკური პოეზიის ენით ჩურჩულებს კლასიური ბრძოლების გადავლაზე. მაგრამ ყველაზე მკაფიოდ და „დაწმენდილად“ ის, რაც ასე აწვალებს ვაკელს, მოსჩანს შემდეგ სტრიქონებში:

„და სასახელოდ მრავალ ბრძოლებში
წითელი დროშა გვიტარებია.
. . . . . .
**თუმც ეს დროშა დაფლეთილია,**
ვით ძველი ყოფა და იდილია.
**ის დაიცრიცა, თან მებრძოლები—**
სისხლით რომ იყვნენ მკერდ-
დაბანილი—
**დავიწყებულა... დღეს ჩვენს ქუჩებში**
**სხვა დროშებია გამოტანილი“...**

ეს ყოველგვარ საზღვარს აჭ რბებს! ვაკელი თავ-ს მემარჯვენე განწყობილებებს მკვეთრად ამეღავნებს და ყოფნის გ მბედაობა სოცი ლიზმის მშენებელ მილიონების და მისი ავანგარდის წი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კელი კლასიკოსებისაგან სწავლობს (უკეთ, „იწერს“) იმას, რაც უკუსაგდებია და დამლუპველი პროლეტ-პოეტის შემოქმედებითი წინსვლისთვის. მაგ., „არსენა ჯორჯიაშვილი“ ილიას „ეკა ყაჩაღის“ უხეირო ეპიგონობის შედეგია.

ვაკელმა გლეხური მოძრაობის გმირს— ხელიმხანს ჩამოგლიჯა სოციალ-ეკონომიური გარემოცვა და ამოატივტივა ის რომანტიულ ტრაედიის (!) ფონზე ისტორიული გმირი იმდენად გააყალბა ვაკელმა, რომ ის მოაქცია ვიწრო ინდივიდუალურ ნაჭოში:

„მიქრის ხელიმხან, მაგრამ აგრე
სად მიიჩქარის,
მძლე აგურხანის აულისკენ, როგორც
შურდული?
შესაძლო არის სიყვარულის
მგზნებარე ალი
დაღესტნის არწივს გულზე ცეცხლის
ზოლებად უკლის!
მაგრამ აგურხან, ხომ მტერია
ხელიმხანისა.
ვ ოთ დღე და ღამე, ცა და მიწა,
ცეცხლი და წყალი,
როგორც ვეშაპნი და ნიაბგნი
ჰიროკანიისა—
არ შეუძლიათ გაუჩერონ ერთმანეთს
თვალი“... და სხვ.

შეუძლებელია ამაზე შორს წავიდეს კლასიკური მწერლობის უხეირო ეპიგონობა. ვაკელმა სოციალური უკუდმართობის წინააღმდეგ ამხედრებული მეამბოხის მაგიერ მოგვცა ლეილი ხანუმისათვის მებრძოლი რომანტიული ჭაბუკი. აი, სანამდე მიიყვანა პოეტი „კლასიკოსებისაგან სწავლის“ ყალბმა გაგებამ.

არსებითად ამასვე განიცდის ვაკელის „არსენა ჯორჯიაშვილი“. ამ პოემიაც ვაკელი მონურ მორჩილებაშია ილია ჭავჭავაძის პოეზიისადმი. მაგრამ აქ უკეთო საინტერესოა მეორე მხარე. სახელდობრ ის, რომ ვაკელმა „არსენა ჯორჯიაშვილი“ გამოიყენა თავის მომავლშევიკთ განწყობილების და დაცემულობის ძლევრ დემონსტრაციისათვის. მემარჯვენეობის დამპალ ჭაობში ჩაფლულ პოეტმა ამ პოემით დაიჭყო პროლეტარიატის ავანგარდ ს წინააღმდეგ ტალახის სრო�ლა და აშკარა მენშევიკური ცილისწამებით დაესხა მას თავს. ვაკელი დასტირის 905 დადუპულ რევოლუციონერებს და სწერს, რომ

„თქვენ მებრძოლებო, თუ ამ
სტრიქონებს
გულს მოახვედრებთ ვნების
ღვარებად,
ნახავთ, რომ გულწრფელ პოეტის
ლონეს
ძველი ბრძოლები ამღელვარებდა.
ხომ ხედავთ, დასწვა ცხოვრების
მტვერმა
ბევრი ნიჭი და ბევრი უნარი“...

აი, რაში ყოფილა საქმე! ხედავთ, როგორ იცავს დარბაისელი ინტელიგენტი თავის „ნიჭსა და უნარს“? მაგრამ პირდაპირ საოცრებაა, როდესაც ვაკელი სწერს:

„მაგრამ სად არის გმირთა ხახელი.
ვხედავ ბრძოლებიც თითქო
წავიდნენ“...

ნუ თუ აქ კომენტარიებია საჭირო? ვაკელი მენშევიკური პოეზიის ენით ჩურჩულებს კლასიურ ბრძოლების გადავლაზე. მაგრამ ყველაზე მკაფიოდ და „დაწმენდილად“ ის, რაც ასე აწვალებს ვაკელს, მოსჩანს შემდეგ სტრიქონებში:

„და სასახელოდ მრავალ ბრძოლებში
წითელი დროშა გვიტარებია.
. . . . . .
თუმც ეს დროშა დაფლეთილია,
ვით ძველი ყოფა და იდილია.
ის დაიცრიცა, თან მებრძოლები—
სისხლით რომ იყვნენ მკერდ-
დაბანილი—
დავიწყებულა... დღეს ჩვენს ქუჩებში
სხვა დროშებია გამოტანილი“...

ეს ყოველგვარ საზღვარს აჭრბებს! ვაკელი თავის მემარჯვენე განწყობილებებს მკვეთრად ამეღავნებს და ყოფნის გ მბედობა სოციალიზმის მშენებელ მილიონების და მისი ავანგარდის წი-

ნაადმდეგ ფილისტერული შეპარვით ცილისწამების ტალახი ისროლოს. ასეთი გააფთრებით იბრძოდენ ჩვენში მენშევიკურ-რეაქციონური პოეზიის „ნიბლიები“ ს. თავაძის მეთაურობით. „პროლეტ-პოეტი“ ვაკელი ამ გზით განაგრძობს სელას.

ნუ თუ ყველა ამის შემდეგ შეიძლება ვაკელზე, როგორც პროლეტპოეტზე ვილაპარაკოთ? რა თქმა უნდა, არა. ეს იქნებოდა კლასიური პოზიციების დათმობა მწერლობის მეარჯვენე რეაქციონური ბანაკის სასარგებლოდ.

პროლეტმწერლის სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვს, რომ ის პარტიულ თვალსაზრისით უყურებდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს, რისთვისაც საჭიროა მატერიალისტური დიალექტიკის მეთოდის დაუფლება. ვაკელი კი კლასიციზმის რეაქციონური გზით მიდის და ვერ სცილდება ილია ჭავჭავაძის პოეზიის ტრადიციულ ჩარჩოებს.

ვაკელმა რევოლუციონური ბრძოლების ეპოპეის მნიშვნელოვანი ეპიზოდები ვერ დასძლია, საკითხი გადასჭრა მენშევიკური პოეზიის საზომით. სწორედ ამიტომ მისი გლეხი-მეამბოხე (ხელიმხანი) და პროლეტარული რევოლუციისათვის თავდადებული მებრძოლი (არსენა ჯორჯიაშვილი) სანტიმენტალური ლირიკის ტილოებზეა გადმოტანილი და გაყალბებული.

„არსენა ჯორჯიაშვილი“ და „ხელიმხანი“ ფორმალური სრულყოფის მხრივაც კლასიკური მწერლობის დრომოჭმულ საფუძველზეა აგებული. ამიტომ „ორი პოემა“ არამც თუ რაიმე ახლის თქმას წარმოადგენს ამ დარგში, არამედ უნდა ჩაითვალოს რეაქციათ პროლეტარული მწერლობის ფორმის სრულყოფის მიმდინარე ეტაპში. სხვაგვარად შეუძლებელი იყო ილია ჭავჭავაძის ეპიგონობის ნაყოფი

ვაკელი მსოფლმხედველობით მოწყვეტილია პროლეტარიატს.

**შ. შავგულიძე.**

---

# ივანე გომართელი: „სამი დროება“

## რომანი-ქრონიკა—სახელგამი. 1931 წ.

ივანე გომართელმა პროზის ფრონტზედაც სცადა თავისი კალამი. სარეცენზიო, საკმაოდ მოზრდილი რომან-ქრონიკაში მას ახალი არაფერი უთქვამს. მას შედარებით დაბალი მხატვრული დონით განმეორებული აქვს ის, რაც სხვა მწერლების მიერ უფრო უკეთესად არის გაკეთებული.

როგორც სჩანს, ავტორს განუზრახავს სამი ეპოქის ასახვა: ბატონყმობისაგან განთავისუფლების პირველი ხანები, მენშევიზმი და საბჭოთა ხელისუფლება.

ივანე გომართელმა თავის დეკლარაციებსა და პოლიტიკურ წერილებში საკმაოდ დაგმო და უარყო თავისი მენშევიკური წარსული, მაგრამ, სარეცენზიო ნაწარმოების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს წარსული, ეს მემკვიდრეობა მასში ჯერ კიდევ ძლიერია.

ბატონყმობის გადავარდნის შემდეგი მომყოლი ხანა გაკეთებულია ბატონყმობის ფონზე. ის ახალი მთავარი ძალა, რომელიც ბატონყმობის ინსტიტუტის გაუქმების შემდეგ ცხოვრების ფართო ასპარეზზე გამოვიდა, ნაწარმოებში არა სჩანს. ავტორი ისე გვისახავს ამ დროის ჩვენი ცხოვრების სინამდვილეს, თითქოს მაშინ საქართველო ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარებისაკენ კი არ მიდიოდა, არამედ ფეოდალიზმისაკენ ქონდა პირი მობრუნებული.

მეორე მხრივ ფეოდალიზმის გაწბილება ავტორს დიდ რევოლუციონერობათ არ ჩაეთვლება. ახლანდელ პირო-

ბებში ეს არც არის მხატვრული შემოქმედების აქტუალური თემა. ამ მხრივ გომართელმა მთელი საუკუნით დაიგვიანა.

სარეცენზიო ნაწარმოების კითხვის დროს ერთი გარემოებაც იპყრობს მკითხველის ყურადღებას. ნაწარმოების მთავარი მომქმედი პირი ვახტანგი ასაკ დაკარგულია, ანუ ყოველგვარ ასაკის გარეშეა შოცემული; სამივე ეპოქაში ვახტანგი ახალგაზრდაა და ახალგაზრდული ენერგიით აღსავსე.

სარეცენზიო ნაწარმოებში სოციალისტური რევოლუციონური მოძრაობა იბადება არა მუშისა და ღარიბი გლეხის შრომის ექსპლოატაციის, არამედ ყოფილი მემამდნის ვაქიშვილის ქალთა ფრონტზე მსუხაგობის ნიადაგზე. ეს ილია ჭავჭავაძისებური ტრაქტოვკაა („გლახის ნაამბობი“). ასეთი ტრაქტოვკა ყალბია, შემოხვევითი მომენტებით დაჩრდილულია მთავარი.

შეორე გარემოება, რაც მკითხველის განცვიფრებას იწვევს, ეს შემდეგში მდგომარეობს. გომართელი ჩვენი ცხოვრების უახლეს ეპოქებს „ასახავს“, მაგრამ მენშევიზმის ბატონობის დამყარებამდე ბოლშევიზმი არ სჩანს და მენშევიზმის დროსაც მას მენშევიკურ წარმოშობას უკეთებს.

თვითმპყრობელობის დროს მთელ რევოლუციონურ მუშაობას, თავისი ციხე-კატორღებით, არალეგალური სტამბებით და სხვ. მენშევიზმის წარსულთან აკავშირებს, მის დამსახურებად აცხადებს. მენშევიკი ვახტანგი მოცემულია ას პროცენტიან სოციალისტად, რევოლუციონერად. ცხადია, აქ საქმე გვაქვს აქტიურ მენშევიკურ მსოფლმხედველობასთან, მენშევიკური მემკვიდრეობის დიდ სიმძიმესთან.

ვახტანგ ზამბახიძე ისეთი რევოლუციონური გაქანებით არის მოცემული, რომ მკითხველს იგი მენშევიკი არა ჰგონია. მაგრამ მის მენშევიკობაში მხოლოდ მაშინ რწმუნდება, როდესაც ვახტანგი მენშევიკურ პარტიას სტოვებს და ბოლშევიკი ხდება. გამოდის, ბოლშევიზმი თურმე გაგრძელებაა მენშევიზმის, რომ 1918 წლამდე მენშევიზმი რევოლუციონური მოვლენა ივო.

რამ გამოიწვია ვახტანგში რევოლუციონერობა. აქ ავტორი წმინდა წყლის იდეალისტურ ეკლექტიკას იჩენს. მას თუ დაუჯერებთ, თვითმყრობელობის დროს ციხე-რევოლუციონერობის ინსტიტუტი ყოფილა; იქ თურმე ადამიანი წიგნებს კითხულობდა და სოციალისტი და რევოლუციონერი ხდებოდა. ეს კიდევ ცოტაა. ციხეს ისეთი წიგნსაცავი ჰქონია, რომ იქ თურმე მოიპოვებოდა ისეთი წიგნები, რომლებიც ჯარედ აკრძალულნი იყვნენ. ეს ზღაპარია და ციხის რეჟიმის გამშვენიერებაა, გაკეთილშობილებაა.

უკვე გაბოლშევიკებული ვახტანგი რაღაც არა გავს ბოლშევიკს. ის ინგლისის და საფრანგეთის ბატონობას საქართველოში იმიტომ კი არ უარყოფს, რომ იმპერიალისტურია, არამედ იმიტომ, რომ გაზიდავენ საქართველოდან მთელ ბუნებრივ სიმდიდრეს და სამაგიეროდ არაფერს არ მოგვცემენო. ეს ქართველი წვრილი ბურჟუას ანგარიშია და არა ბოლშევიკის არითმეტიკა. „სამი დროებაში“ მენშევიკური ხანა, მენშევიზმის სოციალური ბუნება არ არის მკაფიოდ გამომჟღავნებული, გამოაშკარავებული, ხოლო რაც შეეხება ბოლშევიზმს, ის ერთობ ცალყბად, ზოგად სქემატიურ ხაზებში არის მოცემული, იმდენად ცალყბად და ზოგადათ, რომ ნაწარმოები ტყუილად ატარებს სამი ეპოქის სახელწოდებას. ბოლშევიზმის ეპოქის შესახებ მასში არსებითად არაფერია მოცემული.

ნაწარმოების მხატვრული დონეც ერთობ დაბალია. მასალების დალაგება, მოქმედების განვითარება ერთობ პრიმიტიულია.

**ახალი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პეტრო პანჩ: „ცისფერი ეშალონები“

## გამოქცეულება „ფედერაცია“. 1931 წ.

უკრაინელი მწერლის პეტრო პანჩის სარეცენზიო მოთხრობა გაშლილია სამოქალაქო ომის ფონზე. ნაწარმოებში მშვენივრად არის ნაჩვენები უკრაინის წვრილბურჟუაზიულ ფენების გაბრწყნა, გაკოტრება.

ლეც ოტომანოვი ცენტრალური ფიგურაა. ის თეთრგვარდიელთა ჯარების წინამძღოლია. მას ასულდგმულებს „სამშობლოს განთავისუფლების“ იდეა, უკეთრომ ვსთქვათ, ის ამ სამშობლოს წვრილად და ბითუმად ყიდის იმპერიალისტებზე.

მისი ეშალონი მოდის რკინის გზის ხაზით, მაგრამ სად მიდის აღარ იცის, ყოველ-ხრივ წითლებისაგან გზა გადაჭრილი აქვს. წითლები წინ მიიწევენ. ლეც ოტომანოვის ცისცერი ეშალონი სულ იხევს და იხევს.

საფრანგეთის მისია იმავე ვაგონშია, რომლითაც ეშალონი უკან იხევს. საფრანგეთის მისიის იმპერიალისტური ზრახვები ავტორს კარგად არა აქვს გამომჟღავნებული. აქ ავტორი სემატრურობას იჩენს, კმაყოფილდება მისიის ზოგიერთი წევრის ცინიკური განცხადებების აღნიშვნით: უკრაინის დირექტორიის შემადგენლობა საფრანგეთის მთავრობამ უნდა დაამტკიცოს, გინდათ არ გინდათ თეთრგვარდიელ პოლონელებს და მოხალისეებს „ნდა დაუმეგობრ-დეთ, რკინის გზებსა და ფინანსებზე საფრანგეთის კანტროლი უნდა დაწესდეს, პატარა სახელმწიფო ხართ დამოუკიდებლად ვერ იარსებებთ და სხვ.

ეშალონი მებრძოლ ერთეულს უკვე აღარ წარმოადგენს, ის გახრწნილია. მასში მძარცველობისა და დატაცების ინსტიქტები ბატონობს. დისციპლინაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია. სახელმწიფო ქონებას ვაგონებით იპარავენ და ყიდიან.

ნინა გიორგის ასული, რომელიც იმავე მატარებელს მოყვება, არალეგალურად მომუშავე ბოლშევიკია. მას თან ბლომად დაავქს და ავრცელებს არალეგალურ ფურცლებსა და პროკლამაციებს. ამასთანავე ის აგროვებს ზოგიერთ ცნობებს. საერთოდ მოთხრობაში ის არ სჩანს როგორც ენერგიული არალეგალური მომუშავე.

ლეც ოტომანოვი დამარცხებისაგან გამოწვეულ მწარე სევდას არაყში ახრჩობს. მაგრამ მას ესეც ვერ აკმაყოფილებს. არაყზე მეტ სითბოს ეძებს. ნინა გიორგის ასულთან ე. წ. არშიყობს. ნინა გიორგის ასული მას წინადადებას აძლევს: მახლობელ დაბამდე მიმაცილე, იქ სასტუმროში უნდა გავათიო ღამე. ეს დაბა უკვე წითლების ხელშია. ეს ნინა გიორგის ასულმა იცის, ლეც ოტომანოვმა არ იცის. ამიტომ ლეც ოტომანოვი მას სიამოვნებით აცილებს. გზაში ეტლი გადაუბრუნდებათ. ნინა გიორგის ასულის ჩემოდნებიდან პროკლამაციები და კარაბინი გადმოცვივა, ნინა გიორგის ასულს ლეც ოტომანოვი დაპატიმრებული მიყავს დაბამდე და მოთხრობაც ამითი სრულდება.

ამავე წიგნში მოთავსებულია მეორე პატარა მოთხრობა: „მუხა მაკარი“. ეს მოთხრობა უეჭველად ძლიერი ნაწარმია. აქ მოცემულია კოლმეურნეობა. მუხა მაკარი ღარიბია, მაგრამ თავს ღარიბებში არ სთვლის. ქოსი აქვს, ხუთი თმა ხუჭუჭა ბიჭი და თაროზე კიდევ ბებერი კატა უწევს. მისი დიდი ხნის სანეტარო ოცნებას ცხენი შეადგენს. რა კარგია რომ ცხენი ყავდეს, მაშინ ის ანკეტებში ჩასწერდა: თითქმის ხელმოკლე საშუალო გლეხი.

კოლექტივიზაცია ხდება, მუხა მაკარი ბევრს ფიქრობს კოლექტივზე. მან კოლექტივის ძესახებ ბევრი ოოატორის სიტყვა მოისმინა. ბოლოს მიდის ის თემსაბჭოში და აცხადებს: ჩასწერეთ კოლექტივში მაკარ მუხა ცოლი მარინეთი, ჩალით დახურული ქოხი, ხუთი შვილი და ბუნართან მძინარე კატა. მუხა მაკარი უკვე ინციატორია, აგ ტატორია.

ამ დროს მის ნივთიერ მდგომარეობაში ცოტა რამ ცვლილება ხდება. ცხენი იაფად იყიდება. ისიც სარგებლობს ამ შემთხვევით და თავის დიდი ხნის ოცნებას ისრულებს.

ამ ცვლილებასთან დაკავშირებით იწყება მისი მერყეობა. ერთი წელიწადი მაცალეთ ჩემი ცხენით ვიმუშაო ჩემი ოჯახისათვი ო. სარწმუნოების საკითხშიაც ყოყმანობს. ცოლი დასცინის. მასში შეგნების ზრდა თანდათანობითი და ბუნებრივი გზით ხდება.

ავტორს ეს მომენტი უეჭველად მოხერხებულად აქვს გამოჭერილი. მას ამ მომენტის ასახვაში ზედმიწევნით დაცული აქვს მხატვრული ზომიერების გრძნობა. ნაწარმოებში მომქმედი პირები გამზადებული ხასიათებით არ არის შემოყვანილი. ეს ხასიათები მოქმედების მსვლელობაში იქმნება.

ფარი.

ნ. იტრიევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნიკო ასლამაზაშვილი

(50 წელი დაზგასთან)

ნიკო ასლამაზაშვილი დაიბადა 1871 წელს, ქ. ტფილისში, მუშის ოჯახში; მამამისი ხელობით დურგალი იყო, დედა-მრეცხავი. იმ დროს მუშის შვილებისათვის სასწავლებლის კარამდე მისვლა მეტად ძნელი იყო. შვიდი წლის ნიკო წერაკითხვას შინაურობაში სწავლობს. 1882 წელს ნიკო შეგირდათ შედის ერთ ერთ სტამბაში ასოთამწყობად.

ხელობის შესწავლის შემდეგ ნიკო მუშაობას იწყებს ტფილისის სტამბებში. სხვათაშორის ნიკო ასლამაზაშვილი ხუთი წლის განმავლობაში მუშაობს გაზეთ „ივერია"-ს ასოთამწყობად.

1902 წელს ის გაემგზავრება ბაქოში თავისავე ხელობაზე, ბაქოდან მოსკოვში და შემდეგ კი პეტერბურგში. 1918 წელს პეტროგრადიდან ბრუნდება ტფილისში და კვლავ სტამბაში მუშაობს.

ნიკო ასლამაზაშვილი არც რევოლუციონურ მოძრაობას ჩამორჩენილა, მისი სახლის კარი მაშინდელი რევოლუციონერებისათვის მუდამ ღია იყო; ნიკოს ბინაზე ცხრაასხუთიან წლებში იმართებოდა არალეგალური კრებები, ინახებოდა აკრძალული ლიტერატურა და სხვა.

ნიკო ასლამაზაშვილი პირველად თანამშრომლობდა გაზეთ „ივერია"-ში, მაგრამ მაშინდელ გაზეთებში მისი თანამშრომლობა არ ნიშნავდა კვალიფიციურ მწერლობას. ნიკო ასლამაზაშვილის გამოსვლა სამწერლო ასპარეზზე უნდა ჩაითვალოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროიდან. მუშათა კლასის მიერ ძალაუფლების დაპყრობამ ყველა მშრომელს მისცა საშუალება განეკითარებინა თავისი უნარი როგორც სხვა დარგში, ავრეთვე მწერლობაშიაც. ასეც მოხდა, საბჭოთა პრესამ მრავალი მუშის უნარს გასაქანი მისცა და კორესპონდენტები სამწერლო ასპარეზზე გამოიყვანა. ერთ-ერთი ასეთი მწერალია ნიკო ასლამაზაშვილიც.

ასლამაზაშვილის გამოსვლა სამწერლო ასპარეზზე 1924 წლის თარიღით უნდა აღინიშნოს. პირველად მისი მოთხრობა გაზეთ „კომუნისტი"-ს დამატება ჟურნალ „ჩირაღდანში" (1924 წ.) დაიბეჭდა.

ასლამაზაშვილს დაწერილი აქვს პატარ-პატარა მოთხრობები. მისი მოთხრობების უმრავლესობა 1905 წლის რევოლუციის ეპიზოდების გადმოცემაა მხატვრულ ფორმებში.

მას გადმოცემული აქვს 1905 წლის რევოლუციის მთავარი ეპიზოდები და მომენტები: „ნაძალადევის არწივნი", „პატიმარი", „წითელი დროშა ფრიალებს", „სისხლის ზოლი", „უკანასკნელი საათი" და სხვ.

ნიკო ასლამაზაშვილი ისტორიულ ფაქტს ადვილად გასაგები ენით გადმოგვცემს.

მის მოთხრობათა შორის საუკეთესო ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს „ნაძალადევის არწივნი". მას გადმოცემული და ასახული ჰყავს ურყევი პროლეტარული რევოლუციონერის არსენ ჯორჯიაშვილის გმირული ტიპი.

განსაკუთრებით კარგათ აქვს გადმოცემული ტუსაღი რევოლუციონერის სიმტკიცე, როდესაც მასთან მიდიან და ატყობინებენ, რომ მეფემ მას სასჯელი აპატია, მაგრამ მისი რევოლუციონური თავმოყვარეობა იმდენად ძლიერია, რომ

პატიებასა და შეწყალებაზე უარს აცხადებს, თავის დამცირებად სთვლის და ასეთ „თავისუფლებას“ ციხეში ყოფნას და სახელოვან სიკვდილს ამჯობინებს (მოთხრობა – „უცნობი კაცი“).

მის ზოგიერთ მოთხრობაში ერთგვარი გაუგებრობაც არის. მაგალითად, მოთხრობა „მოლოდინი“ ლადო ბზიანიძე დასახული ჰყავს, როგორც რევოლუციონერის ტიპი, რომელსაც პოლიცია უკვე იცნობს, შემჩნეულია და სდევნის კიდეც; ეს რევოლუციონერი ბზიანიძე საახალწლო სტუმრობაზე ფიქრობს, ემზადება კიდეც, მოწვეული ჰყავს ოც კაცამდე შინ კი არა, არამედ სამიკიტნოში. იგი ახალგაზრდა ცოლს შინ მარტოდ-მარტო სტოვებს და თვითონ კი მიდის ამხანაგებთან ერთად ახალწლის შესახვედრად, ისიც ღვინის სარდაფში, სადაც ბზიანიძეს რევოლუციონური სიტყვების წარმოთქმისათვის აპატიმრებენ და მიჰყავთ ცემით პოლიციაში, ბზიანიძე მოულოდნელად კვდება.

ნიკო ასლამაზაშვილს აწერილი და გადმოცემული აქვს აგრეედვე იმპერიალისტური ძალმომრეობის, ეროვნული და რასიული ჩაგვრის მთელი რიგი მომენტები. იმპერიალისტური სახ ლმწიფოების მიერ შავკანიანებზე თავდას ხმა (იხ. „ზანგი და თეთრი“).

ნიკო ასლამაზაშვილის მოთხრობები, გარდა მათი შინაარსიანობისა, მხატვრულიცაა; მისი მოთხრობები მიტომაა მიმზიდველი, რომ ოსტატურადაა დამუშავებული. თუ მხედველობაში მივიღებთ ერთი მხრივ მის მწერლობის ასპარეზზე გამოსვლის მეტად მოკლე მანძილს და ანგარიშს გაუწევთ იმასაც, რომ მასცოდნა არა აქვს მიღებული და წერა-კითხვაც შესწავლილი აქვს თვითგანვითარების გზით, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ თუ სავსებით არა, ის ნაწილობრივ მაინც აკმაყოფილებს მკითხველს. აღსანიშნავია ისიც, რომ იგი სწერს იმ დროს, როდესაც უნდა ისვენებდეს.

პროლეტარული მწერლობა უნდა ემსახურებოდეს ოქტომბრის რევოლუციის ყველა ამოცანას, რომლის წიაღიდანაც თვით პროლეტარული მწერლობა წარმოიშვა.

მართალია, ნიკო ასლამაზაშვილს მოხდენილად აქვს გადმოცემული თავის მოთხრობებში რევოლუციის ეპიზოდები, მაგრამ დღევანდელ აღმშენებლობაში მისი კალამი ძალზე სუსტად და მქრალად მოსჩანს.

დღეს ყველა ჩაბმულია სოციალისტურ აღმშენებლობაში, ყველა მშრომელის ძარღვები დაჭიმულია უდიდესი ისტორიული საქმის გასაკეთებლად, მაგრამ ასლამაზაშვილის კალამს დღევანდელ ცხოვრებისათვის ალღო ნაკლებად აურთმევია.

პროლეტარულ მწერლობას ჩვენმა აღმშენებლობამ წინ გაუსწრო, ეს განსაკუთრებით ითქმის მუშა-მწერლებზე. ჩვენს მუშა-მწერლებს სჭირდებათ პოლიტიკურად მომზადება და ლიტერატურული კვალიფიკაცია

პროლეტარული მწერალი უნდა იცნობდეს მარქსიზმ-ლენინიზმს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის თავის ნაწერებში მუდამ იკოჭლებს იდეოლოგიურად, შინაარსისა და ფორმის მხრივ.

ნიკო ასლამაზაშვილს მიუხედავათ თავისი წლოვანებისა (59 წლისაა) მაინც შეუძლია მეტის მოცემა, უკეთუ ის დაეუფლება მარქსისტულ შემოქმედებითი მეთოდს.

ნიკო ასლამაზაშვილი 50 წელია, რაც წარმოებაში მუშაობს. მწერალი— პროლეტარი, რომელიც ნახევარი საუკუნე დაზგასთან სდგას დღეს, მუშაობს თავისი თავგადასავლის მხატვრულ დაძლევაზე.

วัดมหาธาตุ
จังหวัดนครศรีธรรมราช